გივი ლობჟანიძე

სახელმწიფო სამართალი

(თეორიული საფუძვლები)

თბილისი
2022

წიგნი ეძღვნება ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის, ჩემი მეგობრის, პროფესორ ბიძინა ლუტიძის ნათელ ხსოვნას.

ნაშრომი – სახელმწიფო სამართალი შედგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისა და თანამედროვე მეცნიერების (სახელმწიფომცოდნეობა) მიღწევათა გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს ჩვენს მიერ ადრე გამოცემული წიგნის „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის“ შემცირებულ და შესწორებულ სახელმწიფოს ნაწილს.

წიგნი, როგორც სახელმძღვანელო, სამსახურს გაუწევს სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს, ისტორიკოსებს, პოლიტიკოსებს, სახელმწიფოს პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფაროო წრეს.

რედაქტორი: როინ მეტრეველი, აკადემიკოსი

რეცენზენტები: რომან შენგელია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ავთანდილ ტუკვაძე, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ნინო ბოჭორიშვილი,
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

წიგნი გამოსაცემად და სახელმძღვანელოდ რეკომენდებულია გურამ თაყართქილაძის სახელობის თბილისის სასწაულო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით

ავტორი დიდ მადლობას უხდის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას თანადგომისათვის წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით.

ISBN 978-9941-8-4011-1

შესავალი

სახელმწიფო სამართალი არსებობდა გასულ საუკუნეშიც, როგორც ცალკე დისციპლინა, ასევე ერთიანდებოდა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიაში. სამართლის სისტემის რეფორმირების შემდეგ, სახელმწიფოს შესახებ სამართლებრივი ჭრილი, იზოლაციაში აღმოჩნდა. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია დაიშალა ისეთ მიმართულებებად, როგორიცაა: შესავალი სამართალმცოდნეობაში, სამართლის მეთოდები. სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს წაერთვათ შესაძლებლობა, სახელმწიფო შეისწავლონ საფუძვლიანად. არადა მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს ფუნდამენტური სწავლების გარეშე სამართლის შესახებ მიღებული ცოდნა სრულფასოვანი ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ სამართლის შემოქმედი და სამართლის ნორმების ცხოვრებაში განმახორციელებელი სახელმწიფოა, მართალია, სახელმწიფოს შესახებ მსჯელობები არის კონსტიტუციურ სამართალში, მაგრამ ეს საკმარისად არ მიგვაჩნია. ამიტომ გადავწყვიტეთ, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის სახელმწიფოს ნაწილი, ცალკე გამოგვეცა სათაურით, „სახელმწიფო სამართალი", ეს პრაქტიკა ევროპაშიცაა.[1] თავის დროზე პროფ. ო. მელქაძის წიგნიც იყო გამოცემული, სათაურით – „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი", რომელსაც სხვა შინაარსი და დატვირთვა გააჩნდა.[2]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფორმის შედეგად სამართლის თეორია რამდენიმე დამოკიდებელ ნაწილად გაიყო. სახელმწიფოს თეორია კი ერთიანობაში უფუნქციოდ დარჩა, თუმცა პირობით დაყოფა ჩრდილს არ აყენებს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიას. ამ სფეროში მოღვაწე ზოგიერთი სპეციალისტი, სამწუხაროდ, სასწავლო კურსის ამ დასახელებას საბჭოურ გადმონაშთად მიიჩნევს, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით. ჯერ კიდევ 1907 წელს ცნობილმა იურისტმა და მეცნიერმა

---

[1] ტერმინი „სახელმწიფო სამართალი" ევროპულ ქვეყნებში არცთუ იშვიათად გამოიყენება. იხ. მაგ. გერმანული სახელმღვანელოების სათაურები: Degenhart Ch., Staatsrecht I: Staatsorganisationsrechr, 18., neu bearb. Aufl., Heidelberg 2002; Pieroth B., Schilnk B., Grundrechte: Staarsrecht II, 18., neubearb. Aufl/. Heidelberf 2002. (ციტირება ი. კობახიძის წიგნიდან).

[2] ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. თბ. 1995.

ლ.პეტრაჟეცკიმ გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით "Теория Права и Государства", რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმთან საერთო არაფერი აქვს. ჩვენი აზრით, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, თუნდაც ორად გაყოფილი ფორმით სწავლებას, დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალკვალიფიციური იურისტის მომზადების საქმეში, რაზედაც ცალკეულ სახელმძღვანელოში განხილული საკითხები მეტყველებენ.

ამის ჭეშმარიტი გაგება და გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს ღრმა მეცნიერული კვლევის შედეგებთან შესაბამისობაში, ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების პრიორიტეტის აუცილებლობას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების განუხრელი დაცვით. ადამიანის, პიროვნების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა, მისი უფლებების დაცვა ევალება სახელმწიფოს ყველა ორგანოს, კერძოდ, სამართალდამცავი სტრუქტურების უპირველესი მოვალეობაა. აქედან ნათელი ხდება სახელმწიფო სამართლის მნიშვნელობა, რაც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ცხოვრებისა და პრაქტიკული მოღაწეობის ერთიან სპექტრს წარმოადგენს. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ორ ნაწილად გაყოფის გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი არგუმენტია; ორსემესტრიანი კურსის სწავლების ჩანაცვლება მისი შემოკლებული ერთსემესტრიანი ვარიანტით, ამით პრობლემური გახდა, როგორც მასალის აუცილებელი მოცულობის ხელოვნური შემცირება, ისე სტუდენტთა მხრიდან სხვადასხვა საკითხებზე მიწოდებული მასალის აღქმა-ათვისებაც.

მეორე არგუმენტი: სრულიად უგულვებელყოფილია „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია". კურსისადმი ამ მიდგომას არ იზიარებს არაერთი ჩემი კოლეგა.[3]

ვიმედოვნებ, თუნდაც ცალ-ცალკე ორი დისციპლინის სწავლება, „სახელმწიფო სამართალი" და შესავალი სამართალმცოდნეობის შეავსებს იმ ხარვეზს, რაც ამ საგნის სასწავლო პროგრამებიდან ამოღებამ განაპირობა.

[3] ი. ბაჩიაშვილი. იურიდიული განათლება და სამართალმცოდნეობა. თბ. 2017. გვ. 7.

თავი პირველი

სახელმწიფო სამართლის თეორიის ზოგადი ნაწილი

§1. სახელმწიფო სამართლის თეორიის არსი და საგანი

ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას, აღარ ვსაუბრობთ სამეცნიერო დარგზე, თავისი კვლევის საგანი (ობიექტი) აქვს, რადგანაც იგი, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის საზოგადოებრივი პროცესებისათვის ან ბუნებრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. სახელმწიფო სამართალს, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, თავისი კვლევის საგანი (ობიექტი) გააჩნია, რაც ფაქტობრივად სახელმწიფოთმცოდნეობის შესავალს გულისხმობს.

სახელმწიფო სამართლის თეორია შეისწავლის საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, სახელმწიფოს წარმოშობის, განვითარების, დანიშნულებისა და ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს.[4] ის, ერთი შეხედვით, თითქოს განაცალკევებს სახელმწიფოს საზოგადოებრივი მოვლენების მთელი სისტემისაგან, იკვლევს მათ შიდა სტრუქტურებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო და სამართალი განიხილება ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, მორალთან, კულტურასთან და სხვა საზოგადოებრივ ფენომენებთან კავშირში. ამასთან, სახელმწიფო სამართლის თეორია სწავლობს არა მხოლოდ იმას, თუ როგორია სახელმწიფოებრივი მოვლენების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განპირობება, არამედ, თუ როგორია ამ უკანასკნელთა მზარდი გავლენა ეკონომიკაზე, საზოგადოების სოციალურ და სულიერ ცხოვრებაზე. მათი ერთობლიობა შესავალია სახელმწიფოთმცოდნეობაში.

სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის საგანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მრავალმხრივი და რთული ურთიერთმოქმედება, სახელმწიფოს როლი და ადგილი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. იგი შეისწავლის არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოვლენებსა და პროცესებს, არამედ ხალხის

[4] ჯ. ხეცურიანი. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები. თბ. 1995. გვ. 38.

წარმოდგენას მათზე. მისი საგანი მოიცავს საზოგადოებრივ, ჯგუფურსა და ინდივიდუალურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ცნობიერებას.

სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიის საგნის მნიშვნელობა განპირობებულია მათი პრაქტიკული და სამეცნიერო-ცნებობრივი ერთიანობით.

სახელმწიფო და სამართალი პირობით განუყოფელია ერთმანეთისაგან. ამიტომ სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია ცოდნის იზოლირებული დარგი კი არა, ერთი მთლიანი მეცნიერებაა და შედარებით დამოუკიდებელ სტრუქტურულ ნაწილად იყოფა:

სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი მიმართულებები.

სახელმწიფოს ზოგადი თეორია (სახელმწიფომცოდნეობა).

სწორედ აღნიშნული ერთიანობა და დიფერენციაცია იძლევა საშუალებას, შევისწავლოთ სახელმწიფო თავისი სამართლებრივი გაფორმებითა და იურიდიული დამკვიდრებით, სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სამართლებრივი უზრუნველყოფით. ამასთან, ეს დიფერენციაცია ხელს არ უშლის სახელმწიფოსა და სამართლის ჩაღრმავებულ და დეტალურ ანალიზს. სამართლის თეორიის ხელოვნური მოწყვეტა სახელმწიფოს თეორიისაგან ორივეს აღარიბებს და ართულებს მათ გაგებას. ასევე, დაუშვებელია სახელმწიფოსა და სამართლის ერთმანეთთან დაპირისპირება, ამასთანავე მათი ცალ-ცალკე განხილვა უბრალოდ კონკრეტიკაა და დროებითი მოვლენა.

ბოლო წლებში, ტოტალიტარიზმთან ბრძოლის საბაბით, ჩვენს პერიოდულ პრესასა და სამეცნიერო ლიტერატურაში შეიმჩნეოდა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის დაქვეითების მცდელობა. გამოითქვა საეჭვო იდეები თვით სახელმწიფოს ცნების „ნაკლებადვარგისიანობის“ შესახებ, მაგრამ მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო არის ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი, რომლის დასუსტება მყისვე ნეგატიურად მოქმედებს მართლწესრიგზე, ზრდის დაძაბულობას სამართლებრივ სივრცეში.

ამგვარად, სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიის, როგორც საზოგადოებრივი დისციპლინის კვლევის საგანი არის სახელმწიფო და

ნაწილობრივ სამართალი, სახელმწიფოს წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი, არსი, დანიშნულება და ფუნქციონირება საზოგადოებაში. აგრეთვე, პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერების მოწესრიგების თავისებურებანი, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მოძღვრებას სახელმწიფოს, მისი ისტორიული, ეროვნულ-კულტურული ფესვების და ტრადიციების შესახებ.

დაბოლოს, სახელმწიფო სამართალი, როგორც სასწავლო კურსი შეისწავლის სახელმწიფო წეს-წყობილებას, ინსტიტუტების ერთობლიობას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ მხარეებს, სახელმწიფო და საზოგადოების ურთიერთობას, დემოკრატიზმის პრინციპებს, ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და ვალდებულებებს.

§2. სახელმწიფო სამართლის მეთოდები, არსი და ცნება

ტერმინი „მეთოდი“ მეცნიერებაში ძველმა ბერძნებმა შემოიღეს და იგი ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნებისა და კვლევის ხერხს გულისხმობს. შემდგომი პერიოდის გამოჩენილი მეცნიერები შემეცნების მეთოდებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ბეკონი მეთოდს ადარებდა ფარანს, რომელიც მეცნიერს გზას უნათებს და თვლიდა, რომ ფარნით გზაზე მიმავალი კოჭლიც კი გაასწრებს იმას, ვინც უგზო-უკვლოდ გარბის სიბნელეში.[5] სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერული ძიების ნაყოფიერება, რეალური სინამდვილის შემეცნების დონე და სიღრმე ბევრადაა დამოკიდებული მკვლევართა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე. მეთოდი თავისთავად არის ადამიანის შემოქმედებითი, ინტელექტუალური აზროვნების პროდუქტი, რომელიც უწყვეტადაა დაკავშირებული შესწავლის საგანთან. კვლევის ახალი ხერხების, ფორმებისა და მეთოდების მუდმივი ძიება უზრუნველყოფს მეცნიერული ცოდნის ზრდას, აღრმავებს წარმოდგენას საგნისათვის მახასიათებელ კანონზომიერებათა შესახებ.

სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია არ არის მზა

[5] ფ. ბეკონი (1561-1626) ფილოსოფოსი, ინგლისური მატერიალიზმის მამამთავარი.

კონსტრუქციების, სისტემების და დოგმების კრებული,—ის სულ ძიებაში მყოფი, განვითარებადი, ცოცხალი დისციპლინაა. შემეცნების მეთოდები მუდმივი განახლებითა და განვითარებით უახლოვდებიან თავის ძირითად დანიშნულებას—იყვნენ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრაქტიკის მეცნიერული ორიენტირები.

ამგვარად, მეთოდები არის ის ხერხები, ფორმები და საშუალებები, რომლებსაც იყენებს სახელმწიფო სამართლის თეორია, როგორც სასწავლო დისციპლინა თავისი საგნის შესაცნობად და მეცნიერული შედეგების სარეალიზაციოდ. იგი ემთხვევა სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, როგორც მეცნიერების კვლევის მეთოდებს. მოძღვრებას, რომელსაც მეცნიერულ-შემეცნებითი მეთოდების შესახებ მეთოდოლოგია ეწოდება.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განვითარების მრავალსაუკუნოვანმა მსოფლიო გამოცდილებამ დასაბამი მისცა მრავალგვარ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოქტრინასა და თეორიას. ყველა მათგანი სხვადასხვა მეთოდსა და მიდგომას ეყრდნობა და სხვადასხვა დასკვნასა და შედეგს იღებს: ზოგიერთი თეორია უარყოფს თვით სახელმწიფოსა და სამართლის არსის შემეცნების შესაძლებლობას, სხვები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო და სამართალი სპონტანურად წარმოიშობა და ვითარდება, ზოგი კი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო და სამართალი ხალხის ნებით იქმნება და იხვეწება და ა.შ.

მეცნიერებაში, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შესწავლასთან დაკავშირებით, მრავალი ათწლეულის მანძილზე ბატონობდა მარქსისტულ-ლენინური მიდგომა. სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია აღიარებული იყო ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიად, რომელიც სწორად ასახავდა ობიექტურ სინამდვილეს. დომინირებდა აზრი, რომ ყველა სხვა თეორია და დოქტრინა ცრუა და მეტნაკლებად აკრიტიკებდნენ კიდეც, რაც აღარიბებდა ჩვენს მოძღვრებას სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, არ იძლეოდა პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის მსოფლიო მიღწევების სრული გამოყენების შესაძლებლობას.

ამასთან, ნებისმიერ თეორიას, თავისი შემეცნების მეთოდების გამოყენებით, ჭეშმარიტი ცოდნის რაციონალური მარცვლები შეაქვს საერთო

ყულაბაში, გვაძლევს საშუალებას. უფრო ღრმად ჩავწვდეთ შესასწავლი ფენომენის ამა თუ იმ ნიუანსს. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისათვის წარსულისა და აწმყოს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოძღვრებათა შეფასებისა და ანალიზის სადღეისოდ ყველაზე მისაღები ფორმა კონსტრუქციულ-კრიტიკული მიდგომაა. ეს ეხება მარქსისტულ-სამართლებრივ დოქტრინასაც, რომელიც ბოლო დროს მკაცრად იქნა გაკრიტიკებული, მათ შორის, ყოფილ, „მხურვალე" მომხრეთა მხრიდანაც.

ბევრ ქვეყანაში გაჭიანურებულმა სისტემურმა კრიზისმა, მისი დაძლევის სასიცოცხლო მოთხოვნილებამ, განაპირობა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება წინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობისადმი, მაგრამ მეცნიერება არ შეიძლება ჩავარდეს უკიდურესობაში. უეჭველია, რომ კაცობრიობის ისტორიასა და იდეოლოგიებში ბევრი რამ უტოპიური და მიუღწეველია, მაგრამ არის მასში წარუვალი მნიშვნელობის მქონე დებულებები და დასკვნებიც, რომელთა მოსპობა შეუძლებელია, სანამ ადამიანი და სამყარო არსებობს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია „სამართალმემკვიდრეობაში" „სამართლიანობის" პრინციპი.

დღეს ჩვენს ქვეყანაში სამართლის შესწავლის მეთოდების, ხერხების, მიდგომების არჩევის თავისუფლება, მოძღვრებათა და შეხედულებათა მრავალფეროვნებაა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მეთოდები, როგორც უკვე ითქვა, მჭიდროდ არის დაკავშირებული მის პრობლემებთან. ეს უკანასკნელი პასუხობს კითხვას, რას ასწავლის სახელმწიფოთმცოდნეობა, სამართლის თეორია? იგი შეისწავლის როგორც ზოგად ცნებებსა და კატეგორიებს, ასევე, სახელმწიფოს ფორმალურ და სტრუქტურულ ელემენტებს.[6] შესაბამისად, სახელმწიფო სამართლის თეორია მოიცავს ხელისუფლების სტრუქტურას, სახელმწიფოს მეცნიერულ ხედვას, სისტემურ არქიტექტონიკას, მართვის ანალიტიკურ თეორიას, კანონმდებლობისა და სახელმწიფოს უწყვეტობის თეორიას, სამართლებრივ რეგლამენტაციას, იურიდიულ არგუმენტაციას

[6] Kaufmann/Hassemer. Einfuhrung in die Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart. 5 Aufl. 1989, S. 10.

და სხვა.[7] მეთოდები კი გვიჩვენებს, როგორი ხერხებით აკეთებს იგი ამას. მეთოდებს საფუძვლად უდევს თეორიის საგანი, რადგან საგნის გარეშე მეთოდი უსარგებლო, მეცნიერება კი უშინაარსო ხდება. თავის მხრივ, მხოლოდ ადეკვატური მეთოდებით შეიარაღებულ თეორიას შეუძლია გადაწყვიტოს სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები და შეასრულოს ფუნქციები.

§3. ზოგადმეცნიერული კვლევის მეთოდები

ნებისმიერი მეცნიერება, იქნება ის საზოგადოებრივი თუ საბუნებისმეტყველო, აყალიბებს კვლევის საკუთარ მეთოდებს. ამ მხრივ, არც სახელმწიფო სამართალია გამონაკლისი. იგი აქტიურად იყენებს ზოგადმეცნიერულ მეთოდებსაც.

იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე მეცნიერებაში ერთმანეთს უპირისპირდება შემეცნების ზოგადფილოსოფიური, მეტაფიზიკური და დიალექტიკური მეთოდები. მეცნიერებას მემკვიდრეობით ერგო ორიენტაცია მატერიალისტური მიდგომისაკენ, რომლის თანახმად სახელმწიფოსა და სამართლის არსებითი მხარეები საბოლოოდ ეკონომიკით, საკუთრების ფორმებით განისაზღვრებოდა.

სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია იყენებს **დიალექტიკურ მეთოდს**, მისთვის მნიშვნელობა აქვს სამყაროს შემეცნებისა და მიმდინარე პროცესების ურთიერთკავშირს, საყოველთაო ცვალებადობის აღმავალი განვითარების, წინააღმდეგობებისა და ერთიანობის და სხვა ზოგად მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, რომლებსაც ემყარება იგი საკვლევი ობიექტის შესწავლის პროცესში.

ისეთი ფილოსოფიური კატეგორიები, როგორიცაა „შინაარსი და ფორმა“, „შესაძლებლობა და სინამდვილე“, „შემთხვევითობა და აუცილებლობა“, „არსი და მოვლენა“, „მიზეზი და შედეგი“, „ისტორიული და ლოგიკური“, „ზოგადი და ცალკეული“, „თავისუფლება და პასუხის-

[7] გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004 წ. გვ. 11-12.

მგებლობა“ და სხვა. საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ცალმხრივი განმარტებები.

ჩვენი მეცნიერება ემყარება, აგრეთვე, აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე დაყვანის და კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე აღმასვლის ფილოსოფიურ მეთოდს. ამდენად, სახელმწიფოს ფორმის შემეცნების პროცესი შეიძლება მოძრაობდეს აბსტრაქციიდან–„სახელმწიფოს ფორმა“ მისი სახეების–მმართველობისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმებისა და შემდეგ კი მათი ნაირსახეობებისაკენ. ამგვარი მიდგომისას სახელმწიფოს ფორმის შემეცნება უფრო ღრმა და კონკრეტული ხდება, თვით ცნება „სახელმწიფოს ფორმა“ კი მდიდრდება კონკრეტული ნიშნებითა და თავისებურებებით. აზრის კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, აბსტრაქტულისაკენ მოძრაობისას მკვლევარს შეუძლია შეისწავლოს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო-სამართლებრივი და დისციპლინური სამართალდარღვევები, მათი თავისებურებანი და თვისებები, შემდეგ კი ჩამოაყალიბოს სამართალდარღვევის ზოგადი (აბსტრაქტული) ცნება.

ჩვენი მეცნიერება არ იკვლევს სამართალს სტატიკაში, არ განიხილავს მათ, როგორც რაღაც ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, უცვლელს. პირიქით, იგი ხელმძღვანელობს იმით, რომ გასაანალიზებელი დინამიური ისტორიული მოვლენები, რომლებიც საზოგადოებასთან ერთად იცვლებიან, იყენებენ ცივილიზაციის, მსოფლიო პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის მიღწევებს.

საზოგადოების სოციალური პროგრესის გზით განვითარების შემთხვევაში სახელმწიფოსა და სამართლის შინაარსი ჰუმანიზმითა და დემოკრატიზმით, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებით მდიდრდება, ხდება უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული. ამის გარდა, მეცნიერება ვალდებულია, გაითვალისწინოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიული ტრადიციები, სოციალურ-კულტურული ფესვები, რაც განაპირობებს შემეცნების დროს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ მოვლენათა მიმართ ისტორიული მეთოდის გამოყენებას.

აქამდე სამართლის თეორიის შესწავლისას **მეტაფიზიკურ,** როგორც კვლევის მეთოდს, ფაქტიურად, არ ვიყენებდით, მას მხოლოდ ვადარებდით დიალექტიკურს, რათა დაგვემტკიცებინა ამ მეთოდის უპირატე-

სობა კვლევის ყველა დანარჩენ მეთოდთან, მათ შორის, მეტაფიზიკურთან შედარებითაც.

სინამდვილეში, მეტაფიზიკური მეთოდი არის ზოგადმეცნიერული მეთოდი, რომელსაც ფართოდ იყენებდა დასავლეთის მეცნიერება. მას ისეთივე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც დიალექტიკურ მეთოდს. უფრო მეტიც, მეტაფიზიკურმა კვლევის მეთოდმა პროგრესული როლი შეასრულა ცალკეული სამეცნიერო დარგის განვითარებაში, ვინაიდან მისმა განხილვამ დამოუკიდებლად, სხვა მოვლენებთან დაუკავშირებლად, საშუალება მისცა მეცნიერებს, უფრო ღრმად ჩაწვდომოდნენ თითოეულ მათგანს, მათ შორის, სახელმწიფოსა და სამართლის კონკრეტულ მხარეებს, დეტალებს, სპეციფიკურ თავისებურებებს.[8]

ზოგადმეცნიერულ მეთოდებში განიხილავენ იდეალისტური კვლევის მეთოდს, რომელიც თავის მხრივ იყოფა ორ: ობიექტურ და სუბიექტურ მიმართულებად იმისდა მიხედვით, თუ სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას რა უდევს საფუძვლად. მაგ. ობიექტური იდეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოს და სამართლის წარმოშობა უკავშირდება ღვთის ნებას, ხოლო სუბიექტური იდეალიზმის მიხედვით სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა ადამიანის ცნობიერებითა და ხალხის შეთანხმების წყალობით.

სამართლის თეორიას არსენალში აქვს **შემეცნების სისტემური მეთოდიც**. ნებისმიერი სისტემა წარმოადგენს ელემენტების მთლიან, მოწესრიგებულ სიმრავლეს, რომელთა ურთიერთმოქმედება წარმოშობს ახალ, მათთვის არადამახასიათებელ თვისებას. სახელმწიფო და სამართალი თავისი არსითა და სტრუქტურით რთული, სისტემური მოვლენებია. სახელმწიფოს ძირითადი ელემენტებია სახელმწიფო ორგანოები, სამართლის ნორმები, მთლიანობაში კი–სახელმწიფო, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტიტუტი, სხვა ინსტიტუტებთან ერთად შედის პოლიტიკურ სისტემაში, სამართალი კი–საზოგადოების ნორმატიულ სისტემაში.

[8] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია თბ., 2000 გვ. 8.

§4. კერძო მეცნიერული და სპეციალური კვლევითი მეთოდები

სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია აქტიურად იყენებს კერძო მეცნიერულ და სპეციალურ კვლევის მეთოდებს, მათ შორის: **კონკრეტულ-სოციოლოგიური, სტატისტიკური მოდელირების, შედარებით-ისტორიულ** და სხვა მეთოდებს. ამ შემთხვევაში, ამათგან გამოვყოფთ და განვიხილავთ მთავარს, რომელთა ცოდნა და მოხერხებული გამოყენება კი არ გამორიცხავს, პირიქით, ითვალისწინებს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შემეცნების სპეციალური და კერძო მეცნიერული მეთოდების გამოყენებას.

მმართველობითი სისტემები შესაძლოა, განსხვავებული ტიპოლოგიებისა და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით შეისწავლება. მმართველობითი ტრადიციების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შედარება შესაბამისი კრიტერიუმების შერჩევასა და მათ იმგვარ კომბინაციას მოითხოვს, რომელიც შედარებით მეთოდს აყალიბებს. ამ კრიტერიუმების შერჩევა დამოკიდებულია მკვლევრის ინტერესსა და კვლევის საგანზე.[9] ნაშრომში გამოყენებული შედარების მეთოდის ტიპოლოგიები ინსტიტუციურ, მმართველობით და სამართლებრივი კულტურის მახასიათებლებს აერთიანებს.

თანამედროვე პირობებში, როცა ინტეგრაციული პროცესები კანონზომიერად ვითარდება, იზრდება **შედარებითი** სახელმწიფომცოდნეობის მეთოდის როლი. მეცნიერული კვლევის შედარებითი მეთოდი სამართლებრივ მეცნიერებაში შემოიტანა შვეიცარიელმა მოაზროვნემ ბახოფენმა (1815–1881), რომელსაც კვლევის ობიექტად სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიური სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტები ჰქონდა მხედველობაში. თანამედროვეთა შორის შედარებითი მეთოდი და შედარებითი სამართლის ისტორია შეისწავლა რენე დავიდმა. მაგალითად, შედარების გარეშე დაადგინო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების ღირსება-ნაკლოვანებები, ძნელი იქნება. ამ მეთოდის მნიშვნელობა იზრდება, როცა ჩნდება პოლიტიკური და სა-

[9] ტ. კულმანი, ჰ. ვოლმანი. შესავალი შედარებით საჯარო მმართველობაში. თბ., 2019. გვ. 10.

მართლებრივი რეფორმების აუცილებლობა. სახელმწიფომცოდნეობასა და სამართალმცოდნეობას არაფერი აქვს საერთო უცხო გამოცდილების უაზრო გადმოღებასთან, ჩვენს სპეციფიკურ ისტორიულ, ეროვნულ და სოციალურ-კულტურულ პირობებში მის მექანიკურ გადმოტანასთან.

სახელმწიფო სამართალში **მოდელირების მეთოდიც** სპეციალურს განეკუთვნება. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ მოვლენას შორის არსებობს გარკვეული მსგავსება, ამიტომაც, როდესაც ცნობილია ერთ-ერთის (მოდელის) თვისებები და ნიშნები, შეიძლება საკმარისი სიზუსტით ვიმსჯელოთ სხვებზეც.

მოდელირება გამოიყენება სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციის საუკეთესო სქემების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის უფრო რაციონალური სტრუქტურის ძიების, კანონმდებლობის სისტემის ჩამოყალიბების და სხვა პროცესებში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი პრობლემების კვლევის **კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდები**. მათი მეშვეობით შეიძლება დავადგინოთ სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი მოწესრიგების ყველა შტოს ფუნქციონირების ეფექტურობის ხარისხი, ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობა. კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე მუშავდება სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკვანძო საკითხები, რომელთა შესასწავლად გამოიყენება სოციოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული ახალი სასიცოცხლო ინფორმაციები, სტატისტიკური და სხვა მონაცემები.

კონკრეტული სოციოლოგიური მეთოდების ჩარჩოებში გამოიყენება ისეთი ხერხები, როგორიცაა დაკვირვება, ტესტირება, ანკეტირება, ინტერვიუირება, დოკუმენტების ანალიზი და სხვა.

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კვლევის მეთოდოლოგია აპრობირებული მოვლენაა მეცნიერებაში, მას მდიდარი მემკვიდრეობა აქვს, ამიტომ, კვლევის რომელიმე მეთოდისათვის პრიორიტეტის მინიჭება შექმნის დისკომფორტს მეთოდოლოგიაში. მკვლევარმა თვითონ უნდა განსაზღვროს, რომელი მეთოდის გამოყენება უფრო ეფექტური იქნება საკვლევ საგანთან დაკავშირებით. უფრო ზუსტად, მეთოდოლოგიის სფეროში უნდა დავამკვიდროთ პლურალიზმის პრინციპები, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო

სამართლის ზოგადი თეორიის სრულყოფას, რაც თავისთავად სახელმწიფო სამართლის მეთოდოლოგიის არსენალს გაამდიდრებს.

§5. სახელმწიფო სამართლის წყაროები

სახელმწიფო სამართლის წყაროები, როგორც ისტორიული, ასევე სამართლებრივი ხასიათისაა. იგი სარგებლობს ძირითადად თეორიებით სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, მოყოლებული ანტიკური ეპოქიდან დღემდე.

სახელმწიფო სამართალი იყენებს მომიჯნავე მეცნიერებათა წაყროებს, რადგანაც მეცნიერების ვერცერთი მიმართულება სახელმწიფოს გვერდს ვერ აუვლის. საქმე გვაქვს პირდაპირ და არაპირდაპირ წყაროებთან.

ჩვენთვის წყაროთცოდნეობა გააჩნია პოლიტიკურ სფეროში გამოცემულ ლიტერატურას, საზოგადოებრივი მიმართულების მეცნიერებათა სფეროს ნაშრომებს და ა.შ.

დაბოლოს, წყარო არის ის ძალა და ენერგია, რითაც საზრდოობს ესა თუ ის მოვლენა. ამ მხრივ სახელმწიფო სამართალი წყაროთა სიმწირეს არ განიცდის.

სახელმწიფო სამართალი ხასიათდება მრავალრიცხოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი წყაროებით, რომლებიც აყალიბებენ და განსაზღვარვენ სახელმწიფო სისტემისა და სტრუქტურის ცალკეული ორგანოების საქმიანობის შიდა ორგანიზაციას და სახელმწიფო უწყებათა სამართლებრივ მდგომარეობას.

თუკი წყარო არის ის ძალა და ენერგია, რითაც საზრდოობს სახელმწიფო სამართალი, ამ შემთხვევაში წყაროები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1) რომლებიც ასაზრდოებენ სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ წარმონაქმნს, საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტს; 2) რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო სტრუქტურების სამართლებრივ მდგომარეობას, ერთად კი იქმნება საჯარო ხელისუფლებისა და საჯარო სამართლის ურთიერთქმედება ხელისუფლების მფლობელთა სპეციფიკური საქმიანობის ლეგიტიმაციისა და ლეგალურობისათვის.

თავი მეორე

სახელმწიფო სამართლის თეორიის ზოგადი ნაწილი

§1. სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიის სისტემა და მისი ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის

სახელმწიფო სამართლის ზოგადსახელმწიფოებრივი საკითხების წამოჭრითა და განხილვით ყველაზე მეტად ახლოს დგას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებთან, რადგანაც სწორედ ისინი შეისწავლიან საზოგადოებას, ადამიანს, ადამიანურ ურთიერთობებს, ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და საზოგადოებრივ ცნობიერებას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცენტრში ადამიანი, მისი უფლება და თავისუფლება დგას, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს სახელმწიფო.[10]

უკანასკნელ წლებში გლობალიზაციის პრობლემების წინა პლანზე წამოწევამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, რომელიც სხვა სამეცნიერო დარგებთან ერთად განვითარებას განიცდის. სახელმწიფო სამართალი თავისი კვლევის საგნითა და მეთოდებით უახლოვდება საზოგადოებრივი მეცნიერების კონკრეტულ დარგებს და ამ ურთიერთობით იქმნება დისციპლინათა მიკრო სისტემა. აქედან გამომდინარეობს მისი მჭიდრო ურთიერთკავშირი ისტორიასთან, ეკონომიკურ თეორიასთან, სოციოლოგიასთან, პოლიტოლოგიასთან, ფილოსოფიასთან და ა.შ.

ნებისმიერ საზოგადოებრივ მოვლენას საკუთარი **ისტორია** გააჩნია, მით უმეტეს სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ წარმონაქმნს. სახელმწიფო სამართალი განსხვავდება სახელ ჯიფოს ისტორიისგან, რადგანაც ისტორიას შექმნისა და ჩამოყალიბების უწყვეტობა გააჩნია (ქრონოლოგიური და ლოგიკური ჟამთაღწერა) სახელმწიფო სამათალი იმდენადაა ახლოს ისტორიასთან, რამდენადაც მათი საწყისი ერთია:

---

[10] Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000. стр. 18.

ს.ახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება. ოღონდ სხვადასხვა რაკურსში.

ნებისმიერ სასწავლო დისციპლინას თუ სამეცნიერო დარგს საკუთარი სტრუქტურა და აგებულება გააჩნია, რაც საბოლოოდ სისტემას ქმნის. მარტივი ცნებით ,,სისტემა არის ელემენტების ლოგიკური წყობა", რაც გულისხმობს სისტემის ცალკეული ელემენტების უწყვეტ და დინამიურ კავშირს, ერთი ელემენტი მეორის გამყარებაზეა ორიენტირებული და ასე გრძელდება მთელი პროცესი. სისტემას შლის და ანგრევს ურთიერთდაპირისპირება და წინააღმდეგობა. სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მიდგომებია სისტემის მიმართ, რაც დამოკიდებულია სამეცნიერო სფეროზე. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი ურთულესი სისტემისაა, რომელიც უამრავი ქვესისტემისგან შედგება და მათი ლოგიკური კავშირი გადამწყვეტია სახელმწიფო ხელისუფლების საჯაროობის, ლეგიტიმაციისა და ლეგალურობისათვის. ის ცოცხალი ორგანიზმია და სისტემის სინქრონულ მუშაობას გადამწყვეტი როლი აკისრია.

რაც შეეხება სასწავლო დისციპლინას ,,სახელმწიფო სამართლის" სისტემურობა აისახება განსახილველ საკითხთა ლოგიკურ წყობაში. მას როგორც სასწავლო დისციპლინას და მეცნიერებას საკუთარი ადგილი გააჩნია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, რაზედაც გვექნება მსჯელობა.

სახელმწიფო სამართლის თეორია და ეკონომიკური მეცნიერებანი. ეკონომიკური მეცნიერებანი შეისწავლიან მატერიალური დოვლათის წარმოების ხერხებს, საკუთრების ფორმებს, საზოგადოებაში ადამიანის სამეურნეო საქმიანობას, მასში არსებული განაწილების მექანიზმებს და ა. შ. ხსნიან სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ეკონომიკური ბაზის ზემოქმედებას.

მეცნიერება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ გამომდინარეობს შემდეგი თეზისისგან: სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების ობიექტური ეკონომიკური განპირობება გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ წარმოების ყოველი ხერხი უფრო წარმატებით ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმები მას უფრო მეტ სივრცეს აძლევენ. ერთი სიტყვით, განვითარების ნებისმიერი დონის ეკონომიკური ურთიერთობები ითხოვენ თავისთვის ყველაზე უფრო ადეკვატურ სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ინ-

სტიტუტებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვილაპარაკოთ სახელმწიფო დაწესებულებათა და სამართლებრივი ნორმების ეკონომიკურ მოცემულობაზე, სადაც უშუალოდ გადაიკვეთება ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემები. სახელმწიფო და სამართალი ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გაჩნდნენ და ეფექტური ფუნქციონირებისა და სათანადო საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორსაც წარმოადგენენ.

სახელმწიფო და სამართალი უფრო უშუალოდ და მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკურ ურთიერთობებს. სწორედ მათში აისახება კონცენტრირებულად სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებები და ინტერესები. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკისა და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მართვის მოწესრიგების თანაფარდობის პრობლემებმა ბოლო წლებში განსაკუთრებული სიმწვავე და აქტუალობა შეიძინა. სტიქიური ბაზრის გაჩენის შემდეგ ეკონომიკის ავტომატური გაჯანსაღების პროცესი გაჭიანურდა, რადგან ეკონომიკური პროცესების სტიქიურ განვითარებას მოსდევს მატერიალური წარმოების მთელი სისტემის მოშლა და ნგრევა. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ პოლიტიკურმა ხელისუფლებამ შეიძლება უდიდესი ზიანი მიაყენოს ეკონომიკურ განვითარებას, ძირი გამოუთხაროს, გაანადგუროს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. ეკონომიკაზე სახელმწიფო ხელისუფლების ასეთი ზემოქმედების შედეგები დღეს უკვე აშკარაა.

სახელმწიფო სამართლის თეორია და სოციოლოგია. სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს სოციალური ცხოვრების მართვისა და სოციალური სისტემების ფუნქციონირების უზოგადეს კანონზომიერებებს. სოციოლოგია შეისწავლის, აგრეთვე, ხალხის ქცევის კანონზომიერებებს, მის მოტივაციას.[11] სოციოლოგიურ მიღწევებსა და კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერებას შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს სამართლის ნორმების სოციალური ეფექტურობის ამაღლების პრობლემები, სახელმწიფო აპარატის საქმიანობის სრულყოფის ხერხები და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები. სახელმწიფოსა და სამართლის

[11] ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ. 2002 წ. გვ. 9.

თეორიის სოციოლოგიასთან ურთიერთობის პრობლემაზე თავის დროზე პროფ. ირ. სურგულაძე მიუთითებდა, ისევე, როგორც სოციოლოგიის საგნის და იმ ძირითადი პრინციპების ახსნისას, რომელთა მეოხებით ის თავისი მასალის მეცნიერული დამუშავების ამოცანას წყვეტს, სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერების მიმართაც, როცა გვინდა განვსაზღვროთ მისი საგანი, ამოსავალ პუნქტად უნდა მივიჩნიოთ ყველაზე უფრო ელემენტარული სოციალური მოვლენის ანალიზი. ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწორედ იმ ყველაზე მარტივ ელემენტებზე, რომელთაგან სახელმწიფოსა და სამართლის რთული შენობაა აგებული.[12]

სახელმწიფო სამართლის თეორია და პოლიტოლოგია. პოლიტოლოგიის მთავარი დანიშნულება პოლიტიკის, პოლიტიკური ინსტიტუტების, სისტემებისა და პროცესების ზოგადკანონზომიერებათა შესწავლაა. სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია პოლიტიკისა და საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრებისაგან. ამასთან, სახელმწიფო, მისი მოღვაწეობა, არ არის პოლიტიკის კერძო შემთხვევა და არც პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი რიგითი მონაწილე. პოლიტიკური ცხოვრება პირდაპირაა დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან, მის შინაარსსა და ფორმებთან, მოღვაწეობის მეთოდებთან. პოლიტიკა ხომ, როგორც აღვნიშნეთ, ძველი ბერძნების აზრით, სახელმწიფოს მართვის ხელოვნებაა.

სახელმწიფო ხელისუფლება არის პოლიტიკის გვირგვინი, წესრიგის საფუძველი საზოგადოებაში. პოლიტიკურ ძალაუფლებასთან პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული ყველა პოლიტიკური პარტია და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტები, აქედან გამომდინარე, ყველა მათგანი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფოსა და სამართალთან.

სახელმწიფო სამართლის თეორია და სოციალური ფსიქოლოგია. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, რომელიც იკვლევს სპეციფიკური ფორმებისა და მეთოდების ზემოქმედებას ხალხის ქცევაზე, არ შეიძლება არ დაინტერესდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით.

სოციალური ფსიქოლოგია მოწოდებულია, დაეხმაროს მეცნიერებას, დაადგინოს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების

---

[12] ირ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

მოღვაწეობის ყველაზე ტიპიური შედეგები. ერთი მხრივ, დამნაშავეობის ზრდისა თუ კლების ტენდენციები, საზოგადოებრივი განწყობა, საყოველთაო უნდობლობის დონე, ეჭვი, პასიურობა და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საქმიანობა, ხვალინდელი დღის რწმენა, ორგანიზებულობა და მაღალი დისციპლინა. საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ეს ორი პოლუსი, რომლებიც არა მხოლოდ სხვადასხვაგვარად მოქმედებენ სახელმწიფოს ფორმებსა და ფუნქციებზე, სამართლიანობისა და სამართლებრივი მოწესრიგების განვითარების დონესა და ეფექტურობაზე, არამედ მნიშვნელოვანწილად მათი ფუნქციონირების შედეგსაც წარმოადგენენ.

სახელმწიფო სამართლის თითქმის არც ერთი ძირითადი კატეგორია (ხელისუფლება, ავტორიტეტი, სუბიექტების უფლებები და მოვალეობები, დამორჩილება, დისციპლინა, კანონიერება, ბიუროკრატიზმი, კორუფცია და სხვა), არ შეიძლება ღრმად აიხსნას მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის გამოვლენის გარეშე.

დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემთა გამოყენება ადამიანის ქცევის ისეთ თავისებურებათა თაობაზე, როგორიცაა აპერცეფცია (აღქმა), რომელიც გამოხატავს ხალხის ცნობიერებისა და ქცევის დამოკიდებულებას, მათ გამოცდილებას ადრე ათვისებული ცოდნისა და შეხედულებების მიმართ. აპერცეფციის მექანიზმი უზრუნველყოფს მასების ქცევაში როგორც პროგრესული ტრადიციებისა და ჩვევების, ისე კონსერვატიზმის, ჩამორჩენილობის, ინერტულობის გადაცემას. აქედან გამომდინარე, სამართალშემოქმედის ამოცანაა, შეიმუშავოს ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პროგრესულს და შექმნიან ამ კონკრეტული ფსიქოლოგიური მექანიზმის საშუალებით მათი დაძლევის შესაძლებლობებს.

ასევე შეიძლება ითქვას მასიური მიმსგავსების, მიმბაძველობის, განკერძოების, საკუთარი თავის სხვებთან დაპირისპირების ფსიქოლოგიური კანონების შესახებაც. ეს ფსიქოლოგიური პროცესები შეიძლება გაძლიერდნენ ან შესუსტდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად უწყობს ხელს ან აბრკოლებს მათ სახელმწიფო და სამართალი.

სახელმწიფომცოდნეობისა და სამართალმცოდნეობის გამდიდრება ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების უახლესი მიღწევებით ხელს შეუწ-

ყობს მათ, ახსნან თავისი საგანი, მისი ბუნება, არსი და მოძრაობის კანონზომიერებანი, შეარჩიონ სწორი, თემატურად გამართლებული შემეცნებითი მეთოდები, დაუახლოონ ისინი პრაქტიკის მოთხოვნილებებს.

სახელმწიფო სამართლის თეორია და ფილოსოფია. ფილოსოფია (ბერძ. Philosophia) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს სიბრძნის სიყვარულს. იგი არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონების, საყოველთაო კანონზომიერებისა და ადამიანის ადგილის შესახებ სამყაროში.

ფილოსოფიური ცოდნის მიღწევების შემოქმედებითი გამოყენება ბევრად განაპირობებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ მოძღვრების ზოგადმეცნიერულ დონეს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აწვდის ფილოსოფიას მდიდარ მასალას, რომლითაც თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის განვითარების საერთო პრინციპები ფორმულირდება.

სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემათა შესწავლისას ფილოსოფიის მოწინავე მიღწევების გამოყენება მკვლევარებს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილონ მსოფლმხედველობრივი შეცდომები, ხელს უწყობს ახალი მეთოდების შემუშავებას და სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების უფრო თანადროულ გადაწყვეტას.

სწორედ ამა თუ იმ მოაზროვნის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა შეიძლება იქნას გამოყენებული პროგრესული ან რეაქციული ზემოქმედებისათვის სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ საზოგადოების შეხედულებათა ფორმირებაზე. ასე მაგალითად, ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიური სისტემა, პრუსიის მონარქიის პირობებში, ხელს უწყობდა ანტიდემოკრატიულ შეხედულებათა გავრცელებას. ამავე დროს, ჰეგელის ფილოსოფია სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ პროგრესული მეცნიერული წარმოდგენების ობიექტურ წყაროდ იქცა. მიუხედავად ამისა, იდეალიზმი ყოველთვის არ არის ფილოსოფიაში სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების უარყოფითი ასოციაციის წყარო. ამგვარადვე, დიალექტიკური მეთოდი ავტომატურად არ იწვევს პროგრესულ პოლიტიკურ განცდებს.

საბოლოოდ, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ხელს უწყობს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის, უფრო ღრმა ათვისებას.

§2. სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში

სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია დამოუკიდებელი მეცნიერება და სასწავლო დისციპლინაა, რომელიც სწავლობს სამართლის სახელმწიფოს სტრუქტურას, სისტემას და ა.შ. და აღიარებულია, როგორც ფუნდამენტური მეცნიერება, რომელიც „ბალავარის" ფუნქციას ასრულებს იურიდიულ სფეროში. იგი კავშირშია ისტორიულ-თეორიულ, დარგობრივ და სპეციალურ გამოყენებით დისციპლინებთან, უქმნის „თეორიულ ბაზას" და ხელს უწყობს მათ განვითარებას.

იურიდიული დისციპლინების სისტემა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

ისტორიულ-თეორიული (ზოგადიურიდიული) დისციპლინები: შესავალი სამართალმცოდნეობაში, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფო სამართალი, რომის სამართალი, სამართლის მეთოდები და ა.შ.

დარგობრივი მეცნიერებები: საკონსტიტუციო სამართალი, სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, ეკოლოგიური სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, ადმინისტრაციული სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და სხვა.

კონსესუალური და დარგთაშორისი დისციპლინები: ისტორიულ-სამართლებრივი (ზოგადიურიდიული) დისციპლინები მჭიდროდ უკავშირდებიან სახელმწიფო სამართლის თეორიას და მის თავისებურ განშტოებას წარმოადგენენ. ისინიც მთლიანობაში შეისწავლიან სახელმწიფოს სამართალს, პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორიულ განვითარებას, მაგრამ უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ფაქტიურ მხარეს, კონცეფციებს, დოქტრინებს, სახელმწიფო სამართლის ისტორიულ კონკრეტულობას. ზოგადიურიდიული დისციპლინებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ის, რაც წარსულში დღემდე არსებობდა, ამიტომ, სახელმწიფო სამართლის თეორია, როგორც საყრდენ ბაზას, ისე იყენებს ისტორიულ მეცნიერებათა დასკვნებსა და მიღწევებს. სახელმწიფო

სამართლის ისტორია სწავლობს სახელმწიფოსა და სამართალს, როგორც ცვალებადსა და განვითარებადს ისტორიზმის პრინციპების საფუძველზე.

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას აინტერესებს პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეების, კონცეფციების, დოქტრინების ევოლუცია, რომელსაც გვთავაზობენ ანტიკური ეპოქის, შემდგომი და თანამედროვე პერიოდის მოაზროვნენი.

დარგობრივი იურიდიული მეცნიერებები ყველაზე დიდი ჯგუფია, ისინი არსებით ცვლილებებს განიცდიან. ასე, მაგალითად, ჩვენს დროში მნიშვნელოვნად იზრდება სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერების როლი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სამოქალაქო კანონმდებლობაში მოიძიოს პასუხები კითხვებზე, რომლებიც მის ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩნდება.

სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიის კვლევის საგანი, შინაარსი და ცნებები მჭიდრო კავშირში არიან დარგობრივ მეცნიერებებთან. განსაკუთრებით სადაც სახელმწიფოს აქტიური პოზიცია უკავია, ეს საჯარო სამართლის სფეროა, სადაც სახელმწიფო სამართალი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია გამოდის, როგორც შემაჯამებელი, მასინთეზირებელი მეცნიერება. ჯერ ერთი, იგი მთლიანობაში შეისწავლის სახელმწიფოს, არკვევს მისი წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს. ნებისმიერი დარგობრივი მეცნიერების საგანი კი შემოიფარგლება გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების და დარგობრივი მეცნიერებისთვის საერთო საკითხებით და იგი თამაშობს მაკოორდინირებელ როლს იურისპრუდენციაში. მისი დასკვნების, შესაბამისი კატეგორიების შესწავლის გარეშე შეუძლებელია დარგობრივ მეცნიერებათა განვითარება.

სახელმწიფო სამართლის თეორია გარკვეულწილად დაკავშირებულია (გამოყენებით) სპეციალურ დარგებთან, სადაც სახელმწიფოს როლი და ჩარევის კოეფიციენტი დიდია.

ცალკე განხილვის საგანია სახელმწიფო სამართლის კავშირი საერთაშორისო სამართალთან, ვინაიდან მას საჯარო სამართლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სახელმწიფო საერთაშო-

რისო სამართლის უპირატესი სუბიექტია, ამიტომ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ საერთაშორისო სამართალს ცალკე დარგები გამოეყო და სისტემად ჩამოყალიბდა (მაგ: ჰუმანიტარული სამართალი, ადამიანის საყოველთაო უფლებათა სამართალი, ადამიანის საყოველთაო უფლებათა გარანტიები და ა.შ.), რაც სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაშიცაა გასათვალისწინებელი.

§3. კონსტიტუციური სამართლისა და სახელმწიფო სამართლის თანაფარდობა

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის შესავალში ვკითხულობთ:

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის და მასში შეტანილია ცვლილება 2018 წლის 23 მარტის №2071-IIს საქართველოს კონსტიტუციური კანონის საფუძველზე. კონსტიტუციის მიღებას წინ უძღოდა ქვეყნის მასშტაბით მისი საყოველთაო განხილვა, რომლის მიმდინარეობისას მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა შესატან ცვლილებებს. კონსტიტუციის პროექტი სამართლებრივი ექსპერტიზისათვის გადაეგზავნა ვენეციის კომისიას, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა შესატან ცვლილებებს და პოზიტიური დასკვნა მოამზადა.

კონსტიტუციის ტექსტი ქართული სახელმწიფოებრიობის მდიდარი ისტორიული ტრადიციების საფუძველზე შეიქმნა და მას ბევრი ისეთი ნიშან-თვისება ახასიათებს, რომლებითაც იგი არ ჩამოუვარდება მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის საუკეთესო ნიმუშებს.

დამოუკიდებელი საქართველოს 1995 წლის რიგით მეორე კონსტიტუციამ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველად საფუძველი ჩაუყარა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ინსტიტუტს.[13]

---

[13] ჯ. ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. თბ. 2019, გვ. 5.

კონსტიტუცია შედგება თერთმეტი თავისგან, რომელიც მოიცავს 78 მუხლს და იგი ამოქმედდა საქართველოს მომდევნო პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.[14]

რაც შეეხება 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციის პრეამბულაში, რომელშიც ნაწილობრივი შესწორება შევიდა, ეწერა:

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

კონსტიტუციის მიღებიდან ორი ათეული წლის გასვლის შემდეგ საკანონმდებლო ორგანოს პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლში დაფიქსირებულია, რომ

– საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

– სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

– არავის აქვს უფლება მიითვისოს ხელისუფლება. საყოველთაო არჩევნებში არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია.

– პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობის და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს.

მე-4 მუხლის თანახმად:

– საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო.

– სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ

[14] საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია. თბ. 2021. გამ. „ბონა კაუზა", გვ. 3.

და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

– სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

– სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღებისა და გამოცემის ზოგადი წესი და მათი იერარქია განისაზღვრება ორგანული კანონით.

– საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.[15]

კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით:

– საქართველო არის სოციალური სახელმწიფო.

– სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე.

– სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს.

– სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრება კანონით.

---

[15] საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324 – ვებგვერდი, 19.10.2017 წ; საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონი №2071 – ვებგვერდი, 02.04.2018 წ.

– სახელმწიფო ზრუნავს გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობაზე.

– სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

– სახელმწიფო ზრუნავს სპორტის განვითარებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მათ ჩართვაზე.

– სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.[16]

მე-6 მუხლი კი აღიარებულია:

– ეკონომიკური თავისუფლება და მისი უზრუნველყოფა.

– სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

– დაუშვებელია კერძო საკუთრებისს აყოველთაო უფლების გაუქმება.

როგორც ვხედავთ, თავის დროზე კონსტიტუციის პრეამბულაში დაფიქსირებული დათქმები საქართველოს პარლამენტმა შესრულებულად მიიჩნია და ცალკე მუხლებით განამტკიცა.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, რადგანაც სახელმწიფო მოწყობის მომწესრიგებელ სხვა აქტებთან შედარებით კონსტიტუციას უპირატესი ძალა აქვს ევროპულ და კერძოდ, გერმანულ სახელმძღვანელოებში, „სახელმწიფო სამართალში" ასახულია კონსტიტუციური სამართალის საკითხები,[17] თუმც მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო სამართალი სხვა სახელმწიფოებრივ კატეგორიებსაც ითავსებს, რაც კონსტიტუციური სამართლის ჩარჩოებს მიღმა რჩება. თუმცა ძირითად მოწესრიგების საგნად განიხილება სამი ძირითადი ელემენტი, როგორიცაა: სახელმწიფოს ტერიტორიის, სახელმწიფოს ხალხისა და სახელმწიფოს ხელისუფლების ერთობლიობა: ა) სახელმწიფოს ტერიტორია არის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცე და წიაღი, რომელზეც სახელმწიფოს

---

[16] იქვე.

[17] Degenhart Ch., Staatsrecht I: Staatsorganisationsrechr, 18., neu bearb. Aufl., Heidelberg 2002; Pieroth B., Schilnk B., Grundrechte: Staarsrecht II, 18., neubearb. Aufl/. Heidelberf 2002.

იურისდიქცია ვრცელდება;[18] ბ) სახელმწიფოს ხალხი არის იმ ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც მოქალაქეობრივი სტატუსით სახელმწიფოსთან პოლიტიკურ-სამართლებრივად მყარად არიან დაკავშირებული და რომლებზეც სახელმწიფოს იურისდიქცია პერსონალურად ვრცელდება; გ) სახელმწიფოს ხელისუფლება არის მმართველობის სისტემა, რომლის იურისდიქცია შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაბამისი სახელმწიფოს ხალხის მიმართ მოქმედებს.[19] სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლი, რომლის მიხედვითაც:

– საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

– საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

სახელმწიფო სიმბოლოებს შეეხება მე-2 მუხლი, სადაც აღნიშნულია:

– საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“.

– საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

– საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური. სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით.

– საქართველოს სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი დადგენილია ორგანული კანონით, რომელიც გადაისინჯება კონსტიტუციის გადასინჯვისთვის განსაზღვრული წესით.

---

[18] იხ. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[19] ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2019, გვ. 35.

აქვე ჩნდება კითხვა: პრეამბულა საუბრობს, თუ როგორი სახელმწიფო გვინდა მომავალში, მაშინ როდესაც, ეს სურვილები უკვე კონსტიტუციის ტექსტში მუხლებადაა შეტანილი და მიღწევადაა აღიარებული, რაც ახსნას საჭიროებს.

კონსტიტუციონალისტების აზრით, როდესაც მოხდება სრულად პროპორციული სისტემით პარლამენტის არჩევნები, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და გადასინჯვა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იქნება შესაძლებელი და არა ისე, როგორც აქამდე ხდებოდა. ამის გარანტი იქნება ფართო პოლიტიკური კონსესუსი მრავალპარტიულ პარლამენტში და კოალიციური მთავრობის პირობებში, რაც კონსტიტუციის სტაბილერობას მაღალი ხარისხით უზრუნველყოფს.

* * *

საკონსტიტუციო (კონსტიტუციური) სამართლის მიზანია წარმოაჩინოს კონსტიტუციის ფორმალური მხარე, ფართოდ განიხილოს სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ სფეროთა განვითარების შინაარსი. ეს ეხება ზოგადი დებულებების გააზრებას ადამიანის ძირითადი უფლებების, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, სასამართლო ხელისუფლების და პროკურატურის, სახელმწიფოს ფინანსების და კონტროლის, სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, კონსტიტუციის გადასინჯვის, გარდამავალი დებულებების ფართომასშტაბიან წარმოჩენას.

სახელმძღვანელოების ავტორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს კონსტიტუციური სამართლის ნორმებს შედარებითი მეთოდით განიხილავენ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და კონსტიტუციის ყველა მუხლის ახსნა-განმარტებით. უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ ნაშრომებში საკითხთა დალაგების სტრუქტურა განსხვავებულია, მაგრამ კონსტიტუციიდან გამომდინარე სხვადასხვა ჭრილში და სხვადასხვა რაკურსითაა წარმოდგენილი. უნდა ითქვას, რომ იურიდიულ კოჰორტას ყავს პრაქტიკოს-კონსტიტუციონალისტების საკმაოდ მაღალი დონის სპეციალისტები, მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ავთანდილ დემეტრაშვილი, პაატა ცნობილაძე, ჯონი ხეცურიანი, ოთარ მელქაძე, ვახტანგ ხმალაძე, გიორგი კვერენჩხილაძე, ნანა ჭილაძე, კონსტანტინე კუბლაშვილი, ირაკლი კობახიძე, გიორგი გოგიაშვილი, ნინო

ნიშნიანიძე, ეკა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, ანა ფირცხალაშვილი, დავით წერეთელი, ოთარ ბეჟიტაშვილი, ვასილ გონაშვილი, გიორგი თევდორაშვილი, დავით ლონდარიძე, ომარ მახარაძე, ნოდარ პაპუკაშვილი, ნუცა რამიშვილი, ნათია შიოშვილი, კახა ყურაშვილი, შალვა ხუციშვილი, ნინო რუსაძე, გიორგი მელაძე, გიორგი კახიანი, მარინა მარინაშვილი, ირაკლი კახიძე, დავით გაბუხაძე, დავით აზმაიფარაშვილი, ნინო ბოჭორიშვილი, დავით ლობჟანიძე, დიმიტრი გეგენავა, ანა ფირცხალაიშვილი, ბექა ქანთარია და სხვები.[20]

რაც შეეხება სახელმწიფო სამართლის თეორიას, შემდგომში სახელმწიფო სამართალს, ნაწილობრივ ეხება კონსტიტუციური სამართლის საკითხებს. ასევე განვიხილავთ სახელმწიფოს წარმოშობას, მისი განვითარების სტადიებს, ფორმებს, სტრუქტურას, ფუნქციას, მიზნებსა და ამოცანებს. სახელმწიფოს კავშირს, ეკონომიკასთან, კულტურასთან, სამართალთან, რელიგიასთან, ზნეობასთან და სხვა საზოგადოებრივ ღირებულებებთან. აღნიშნული დისციპლინის შესწავლა სტუდენტებს გაუიოლებს კონსტიტუციური სამართლით გათვალისწინებული საკითხების ათვისებას, რადგანაც სახელმწიფო ყველაზე მაღალი დონის წარმონაქმნია პოლიტიკურ სისტემაში და ამასთანავე სამართალი სახელმწიფოს პირმშოა და მათი ურთიერთკავშირი უწყვეტია. მათ ცალ-ცალკე შესწავლას თუ ერთად განხილვას პრინციპული მნიშვნელობა არა მგონია ჰქონდეს, მთავარია, მათი კონცეპტუალური გააზრება და შემდეგ პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება.

რამდენადაც კონსტიტუციურ სამართალში ბევრი სახელმძღვანელო, მეთოდური მასალაა გამოქვეყნებული და მათი

---

[20] ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011.
პ. ცნობილაძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2004.
გ. გიორგაძე, ვ. თოდრია, ვ. ხმალაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. თბ. 2001.
გ. გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, 2014.
ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2019.
ჯ. ხეცურიანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება. თბ. 2019.
ვ. გონაშვილი, ქ. ერემაძე, გ. თევდორაშვილი, გ. კახიანი, ლ. კვერენჩხილაძე, ნ. ჭიღლაძე, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბ. 2017.
ავტ. კოლექტივი, ი. მელქაძის რედაქ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. კრებული I-II. თბ. 2003. და ა.შ.

უმრავლესობა კონსტიტუციიდან გამომდინარე ფართო სპექტრით განიხილავს კონსტიტუციის არქიტექტონიკის არეალში მოქცეულ საკითხებს, მის მიღმა კი რჩება სახელმწიფოს, როგორც პირველი პოლიტიკური წარმონაქმნის არსი, ბუნება, მისი განვითარების პერიოდიზაცია, ისტორიული ტიპები, სახელმწიფოს ფორმები, სახელმწიფოს ცნება, ნიშნები, პრინციპები და უამრავი სხვა საკითხი, რომლის ცოდნის გარეშე განყენებულად სამართლის შესწავლა სრულფასოვანი ვერ იქნება, გარდა ამისა, სამართლის სახეცვლილება და დემოკრატიულობა სახელმწიფოზე, მმართველ ძალაზე და მის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

ისე არავინ გაიგოს, თითქოს კონსტიტუციური სამართალი ვერ პასუხობს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ კითხვებს, არ უპასუხებს, რადგანაც კონსტიტუციაა ამ სამართლის ძირითადი წყარო და კონსტიტუცია ქმნის ამ დისციპლინის ჩარჩოებს. აქ საუბარია თვითონ სახელმწიფოზე მის სტრუქტურაზე, მექანიზმებზე, ფუნქციებზე, ნიშნებზე, პრინციპებზე და ა.შ. რომელიც ცალკე მეცნიერება და სასწავლო დისციპლინაა. ამის მტკიცება არ გვჭირდებოდა, როდესაც სახელმწიფო და სამართალი ერთი სახურავის ქვეშ განიხილებოდა, ეს იყო „სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მდგომარეობასთან: „მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს“. შესაძლებელია ჩვენი წიგნი „სახელმწიფო სამართალი“ უფრო ფაქტობრივად სახელმწიფო სამართლის თეორიაზე და ეს რეალობაა, ამასთანავე საკონსტიტუციო სამართალი ფორმალური გაგებით განსხვავდება დანარჩენი სახელმწიფო სამართლისგან ე.წ. უბრალო სამართლისგან, ე.ი. სამართლისაგან, რომელსაც კონსტიტუციის ფორმა არა აქვს.[21] ცნობილი გერმანელი პროფესორის ოლაფ მუთჰორსტის ეს მოსაზრება ამაგრებს ჩვენს მიდგომას იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სამართლის მიღმა დარჩენილი საკითხები, ანუ მატერიალური ნაწილი უნდა განიხილოს სახელმწიფო სამართალმა.

დაბოლოს კონსტიტუციური სამართალი სახელმწიფო სამართლის ის ნაწილია, რაც მოცემულია კონსტიტუციაში, ანუ ყველაფერი, რაც კონსტიტუციურ-სამართლებრივია, იმავდროულად არის

[21] ო. მუთჰორსტი. სამართალმცოდნეობის საფუძვლები. თბ. 2020. გვ. 261.

სახელმწიფო-სამართლებრივიც, მაგრამ ყველაფერი რაც სახელმწიფო სამართლებრივია, არ არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი.[22]

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს სახელმწიფოსთან დაკავშირებულ სხვა ინსტიტუტებსაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ სახელმძღვანელოს შინაარსობრივი მხარე სრულად შეიძლება არ პასუხობდეს სახელმწიფო სამართლის კლასიკურ ფორმას, მაგრამ სახელმწიფო საფუძვლიანადაა განხილული თეორიულ-სამართლებრივ ჭრილში, რაც გარკვეულწილად ამართლებს წიგნის დასახელებას.

[22] კ. კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები. თბ. 2010. გვ. 5.

თავი მესამე

საზოგადოება, მისი არსი, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები

§1. საზოგადოება და მისი არსი

განცალკევებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული ადამიანები ჯერ კიდევ არ ქმნიან საზოგადოებას. ეს უკანასკნელი წარმოიქმნება მხოლოდ იქ, სადაც ცალკეულ პიროვნებებს შორის აღმოცენდება განსაზღვრული ურთიერთობები, რომელთა ერთობლიობა აღინიშნება სოციალური ცხოვრების ცნებით.[23]

სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში მოცემულია ადამიანთა საზოგადოების მრავალი განსაზღვრა და დახასიათება, მაგრამ ყველა მათგანის ძირითადი აზრი ერთია: საზოგადოება არის ადამიანთა ურთიერთმოქმედების შედეგი, მათი ცხოვრების გარკვეული ორგანიზაცია, შინაგანად წინააღმდეგობრივი ორგანიზმი, რომლის არსი მდგომარეობს მრავალფეროვან, (ეკონომიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ და სხვა) კავშირებში, ადამიანთა გაერთიანებებსა და ერთობებს შორის ურთიერთობებში. ეს არის კავშირების რთული თვითგანვითარებადი სისტემა, რომელიც ეკონომიკური, ოჯახური, ჯგუფური, ეთნიკური, წოდებრივი, კლასობრივი ურთიერთობებითა და ინტერესებით ერთიანდება. საზოგადოებაში, პირველ რიგში, მოქმედებენ არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური კანონები.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში არისტოტელე (384-322 წ.წ. ძვ. წ. აღ-ით.) ამბობდა, რომ ადამიანი არის მოაზროვნე საზოგადოებრივი არსება. ამიტომ საზოგადოების მთავარი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გონიერ არსებათა ურთიერთკავშირების სისტემას წარმოადგენს. საზოგადოებასთან ურთიერთობისას ადამიანი ვითარდება თვითონ და ავითარებს თავის სოციალურ, არსებით თვისებებს და ძალებს. ამით იგი ხდება პიროვნება და ახდენს საზოგადოებრივი პროგრესის სტიმულირებას.

საზოგადოება, როგორც სამყაროს ურთულესი სისტემური

[23] ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002. გვ. 60.

წარმონაქმნი, ისტორიული განვითარების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ფორმას იღებდა, იცვლებოდა მისი სიმწიფის ხარისხი, შინაგანი აგებულება, ე. ი. ეკონომიკური, სოციალურ-კლასობრივი, პოლიტიკური სტრუქტურა. პირველყოფილი საზოგადოება დიდი ხნის მანძილზე მეტნაკლებად ერთგვაროვან-კოლექტიური იყო, არ იცოდა სოციალური და სხვა დაყოფა, თანდათანობით რთულდებოდა საზოგადოების სტრუქტურა: ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილებასთან ერთად გაჩნდა სოციალური ერთობები, ჯგუფები, კლასები და ა. შ., რომლებსაც თავიანთი ინტერესები და თავისებურებები ჰქონდათ.

საზოგადოებაში მკაცრად განაწილებულია უფლება-მოვალეობები. თუ რომელიმე მათგანი თავის უფლებებს გადააჭარბებს, ან დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს, მაშინ მას ამა თუ იმ სახით პასუხს მოსთხოვენ. ამ პროცესის მოწესრიგება ხდება ტრადიციების, რელიგიური და ზნეობრივი, სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ნორმებით და მიღებული კანონების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საკმარისია, რომ ზოგადად განვმარტოთ საზოგადოების არსი: **საზოგადოება არის ადამიანთა მრავალფეროვან ურთიერთობათა ერთობლიობის აუცილებელი ფორმა, რომელიც ყალიბდება კულტურის ფარგლებში მისი არსებობისა და ცვალებადობის საკუთარი სპეციფიკური კანონებით.**

საზოგადოება ადამიანების ისტორიული ერთიანობაა. ცხადია, რომ ინდივიდების ყოველგვარი, შემთხვევითი და დროებითი გაერთიანება საზოგადოებას ვერ შექმნის—ამისათვის აუცილებელია საერთო მიზნებისა და ინტერესების არსებობა. რას მატებს ტერმინი ,,ისტორიული'' ანუ ,,კულტურული'' საზოგადოების ზემოთმოყვანილ განსაზღვრას? პროფ. ბ. ლუტიძის აზრით, ამით ფიქსირდება საზოგადოების არსების განსაზღვრული კიდევ ერთი, თავის ხასიათით გარეგადამწვდომი ნიშანი: მთელი თავიანთი ერთობებით და ურთიერთობებით, ადამიანები მიეკუთვნებიან ბუნებისაგან თვისებრივად განსხვავებულ სამყაროს; კერძოდ, ყველა სოციალური წარმონაქმნი არის ბუნებისათვის უცხო ისტორიული ანუ

კულტურული სინამდვილის გამოვლინება.[24] ამას სათანადო ადგილი უნდა მიეჩინოს საზოგადოების განსაზღვრებაში.

საუკუნეების მანძილზე ფიქრობდა ხალხი სიკეთესა და სამართლიანობაზე, ჰარმონიულ და იდეალურ ურთიერთობებზე, მაგრამ საზოგადოება ძალთა კონფლიქტებისა და შეთანხმებების, მეტოქეობისა და თანამშრომლობის მეტნაკლებად მყარი ბალანსია. მასში მოქმედებს ორი კანონზომიერი, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია—სწრაფვა წესრიგისაკენ და სწრაფვა უწესრიგობისაკენ.

საზოგადოების ნორმალური ცხოვრების აუცილებელი პირობაა წესრიგი. ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, სტაბილურობა, შეთანხმება, გარკვეული ჰარმონია ხალხის ქცევაში, რაც ასახავს საზოგადოების კულტურული ცხოვრების მიღწეულ დონეს და ვლინდება ისეთ თვისებრივ მაჩვენებლებში, როგორიცაა გეგმაზომიერება, რიტმულობა, სხვადასხვა მოვლენისა და პროცესის მართვა მატერიალური წარმოების სფეროში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფაში და ა.შ.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი წესრიგის დონეზე დამოკიდებულია ადამიანთა პირადი სიმშვიდის, უსაფრთხოების მდგომარეობაც, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინტერესებისა თუ მოთხოვნილებათა რეალიზაციისათვის აუცილებელია წესრიგი—უდიდესი სიკეთე საზოგადოებისა და პიროვნებისათვის. სამართლის სოლიდარიზმის თეორიის შემქმნელებს (ო. კონტი, ლ. დიუგი) მიაჩნიათ, რომ ხალხს ცხოვრებაში ყოველთვის გააჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განწყობა—სოლიდარობა და აგრესიულობა. სოლიდარობა, როგორც სიკეთე, გამომდინარეობს ადამიანის ბუნებიდან და ხალხთა შორის ჰარმონიით ხასიათდება, რაც ერთმანეთს შორის შეთანხმებული ინტერესებით მყარ საზოგადოებრივ წესრიგში ვლინდება. აგრესიულობა ზიანს აყენებს ხალხს, იწვევს უწესრიგობას. საზოგადოებრივი წესრიგი თავისით არ ჩნდება, იგი სოციალური ურთიერთობების მოწესრიგების შედეგია, რაც ნიშნავს ხალხისა და მათი სოციალური ერთობების ქცევის მართვას, გარკვეულ ჩარჩოებში მათი მოწესრიგების მიზნით ორგანოებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობას, რომლის არსებობა და განვითარება, ადგილი და მნიშვნელობა საზოგა-

[24] ბ. ლუტიძე. დას. ნაშ. გვ. 230-232.

დოებრივ ცხოვრებაში გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება.

ჯერ ერთი, ყოველი ისტორიულად კონკრეტული საზოგადოება ობიექტურად ითხოვს სოციალური მოწესრიგების ზომას. თუ მისი მოცულობა და ინტენსიურობა ნაკლებია საჭირო ზომაზე, გარდუვალია სტიქიურობა და არაორგანიზებულობა, რაც ძირს უთხრის საზოგადოებრივ წესრიგს. პირიქით, ზედმეტ, ანუ ზომაზე მეტ რეგულირებას გადაჭარბებულ ორგანიზებულობამდე, ინიციატივისა და თვითმოწესრიგების შეზღუდვამდე მივყავართ. ეს ზომა დამოკიდებულია საზოგადოების სიმწიფის დონეზე, მასში წინააღმდეგობის არსებობასა და სიმწვავეზე, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების დონეზე, ჩამოყალიბებული ტრადიციების კულტურასა და სიმტკიცეზე და სხვა.

მეორე, საზოგადოების განვითარებისას ურთიერთობათა მოწესრიგების პროცესში იცვლება ადამიანის ქცევის სოციალური ფაქტორის როლი. ნათქვამია, რომ ადამიანი არ იბადება კეთილი ან ბოროტი, არც ბოროტმოქმედი ან კეთილისმსახური–ასეთს მას სხვა ფაქტორებთან ერთად სოციალური გარემოც ხდის.[25] გარდა ამისა, რესოციალიზაციის პროცესების განვითარება ადამიანს საშუალებას აძლევს, ნებისმიერ დროს მოიშოროს დამნაშავეობრივი ბიოგრაფია.

მესამე, სოციალური ცხოვრების გართულებით რიცხობრივად და თვისობრივად იცვლება მისი მექანიზმები, ჩნდება მომწესრიგებელი ნორმების მთელი სისტემა.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ სოციალური მოწესრიგების ორ ძირითად სახეობას–ინდივიდუალურს და ნორმატიულს.[26] ინდივიდუალური მოწესრიგება არის ხალხის ქცევის მართვა ერთჯერადი პერსონალური აქტებისა და გადაწყვეტილებების მეშვეობით, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებს და კონკრეტულ პირებს განეკუთვნება. ეს არის სოციალური მოწესრიგების უმარტივესი სახეობა, რომელიც ხორციელდება შრომითი თანაცხოვრების პროცესში. ოპერატიული გადაწყვეტილებების, დავალებების, ბრძანებების შესრულების გზით. ინდივიდუალურ მოწესრიგებას აქვს უეჭველი ღირსებები, რადგან იძლევა შესაძლებლობას, შემსრულებელ-

[25] ამ მიდგომას მარქსისტულად თვლიან. ჩვენი აზრით, არავის შეუძლია სოციალური გარემოს როლის უგულებელყოფა.

[26] Теория государства и права под. ред. В Корельского, В Перевалова. М. 2000 г. ст. 27-37

თა პერსონალური თვისებების გათვალისწინებით გადაიჭრას ესა თუ ის ცხოვრებისეული პრობლემა. მაგრამ აშკარაა მისი არსებითი ნაკლოვანებაც: ხშირ შემთხვევაში, პრობლემა ყოველთვის თავიდან გადასაწყვეტი ხდება, რადგანაც არ არსებობს ერთიანი წესრიგი, აგრეთვე, ამ დროს აშკარად იქმნება ფართო შესაძლებლობები პირადი შეხედულებებისა და სუბიექტივიზმისთვის.

ნორმატიული მოწესრიგება არის ზოგადი წესების, ე. ი. ქცევის სტანდარტების, ნიმუშების, ეტალონების, მოდელების მეშვეობით ორგანოების, ორგანიზაციების საქმიანობის მოწესრიგება, მას უნდა დაექვემდებაროს ყველა, ვინც მისი მოქმედების სფეროში მოექცევა.

ნორმატიული მოწესრიგება გარდამტეხი ეტაპია სოციალური სფეროსი, რითაც საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო ზოგადი წესების შემოღების ერთიანი, უწყვეტად მოქმედი წესრიგი ყალიბდება. ამ გზით მნიშვნელოვნად იკლებს სუბიექტივიზმის, განუკითხაობის გამოვლინების შესაძლებლობები. მასაც, მისი აბსტრაქტული ბუნებიდან გამომდინარე, გააჩნია ნაკლოვანებებიც, ამიტომ, ნორმატიული მოწესრიგება, ჩვეულებრივ, ინდივიდუალურთან შეხამებით ხორციელდება.

სტაბილური საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, გარდა რეგულაციური მექანიზმების მუდმივი მოქმედებისა, საჭიროა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების აქტიური ძალისხმევა.

უწესრიგობა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და სტიქიურობას არაორგანიზებულობას, ქაოსს ნიშნავს. იგი, საზოგადოების დესტაბილიზაციის მიზნით, შეიძლება გამოწვეულ იქნეს განზრახ ქმედებით, შეიძლება სტიქიურადაც გაჩნდეს წესრიგის შესუსტების შედეგად და შეუძლია საზოგადოება დაშლამდე მიიყვანოს. ესე იგი, წესრიგი და უწესრიგობა არის წინააღმდეგობების დიალექტიკური ერთიანობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერ შეხამებაში ერთმანეთს უპირისპირდებიან სოციალური (მასტაბილიზებელი) და ანტისოციალური (დამანგრეველი) ძალები. მომწესრიგებელი მექანიზმები და მათი მოქმედების უზრუნველმყოფი ძალოვანი ორგანოები და ინსტიტუტები აკავებენ დამანგრეველ (დამნაშავეობრივ, ექსტრემისტულ, ტერორისტულ, ანარქისტულ და სხვა) ძალებს, რომლებიც მზად არიან, ამისთვის საჭირო პირობების არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი

ცხოვრების ავანსცენაზე გამოვიდნენ. ორგანიზებულობის, დისციპლინის, სტაბილური საზოგადოებრივი წესრიგის უდიდესი სიკეთე გაცნობიერებული და აღიარებულია მრავალი ქვეყნის მოსახლეობის მიერ. წესრიგითა და დიდი ორგანიზებულობით გამოირჩევა, მაგალითად, აშშ, იაპონია, გერმანია. სწორედ ეს არის, უდავოდ, მატერიალური წარმატების, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, კულტურის სფეროში საზოგადოებრივი წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

სამწუხაროდ, პოსტსაბჭოური სივრცის ზოგიერთი ხალხი ჯერ კიდევ შორსაა საზოგადოებრივი წესრიგის პატივისცემისგან. კრიზისულ პერიოდებში საზოგადოებაში იქმნება ხელსაყრელი პირობები ანტისოციალური ძალების აქტივიზაციისათვის. ამასთან, სწორედ ჩვენს საზოგადოებას, სხვებზე მეტად, ესაჭიროება მემკვიდრეობითობა, სტაბილურობა, ორგანიზებულობა და წესრიგი.

§2. სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები

ადამიანთა საზოგადოებასთან ერთად გაჩნდა სოციალური ხელისუფლება, როგორც მისი განუყოფელი და აუცილებელი ნაწილი. იგი იყო ორგანიზებულობისა და წესრიგის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უზრუნველყოფისათვის, რითაც ამთლიანებდა და მართვადს ხდიდა საზოგადოებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის წარმოადგენდა აუცილებელ ელემენტს, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას. ხელისუფლების ზეგავლენით საზოგადოებრივი ურთიერთობები ხდებოდა მიზანმიმართული, ამ გზით იძენდა მართვადი კავშირების ხასიათს, ხალხის ერთობლივი ცხოვრება კი ორგანიზებულ სახეს იღებდა. ამგვარად, სოციალური ხელისუფლება არის ორგანიზებული ძალა, რომელსაც ხელეწიფება ამა თუ იმ სოციალური ერთობის–გვარის, ჯგუფის, ხალხის უნარი დაუმორჩილოს თავის ნებას. ძალაუფლება ორგვარია–არაპოლიტიკური (პირველყოფილ საზოგადოებაში) და პოლიტიკური (სახელმწიფო ხელისუფლება).

სახელმწიფოს წარმოშობამ განაპირობა ადამიანთა პოლიტიკური საქმიანობა. ეს არის სახელმწიფოს ფუნქციონირებასა და მოქმედებასთან დაკავშირებული მოღვაწეობა. შეიქმნა შესაბამისი დაწესებულებანი, ორგანიზაციები, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელთა დანიშნულება იყო

სახელმწიფოებრივი საქმიანობის განხორციელება.

საზოგადოების განვითარების ისტორია იცნობს თაობების ურთიერთდაპირისპირებასა და თანაარსებობას, ხოლო თვით საზოგადოება სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტთა მთლიანობად გვევლინებოდა.

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა. მას არ შეუძლია იცხოვროს, იშრომოს, თუ არ გაერთიანდება მოთხოვნილებების, ინტერესებისა და მიზნების მიხედვით. ერთი სიტყვით, სოციალური, პოლიტიკური, ბიოლოგიური ინტერესები ჩნდება ობიექტური აუცილებლობის გამო.

საარსებო საშუალებების მოპოვების, გარეგანი საფრთხისაგან თავდაცვის და სხვა სასიცოცხლო მოთხოვნების დაკმაყოფილება აღემატებოდა ადამიანთა მცირე გაერთიანებების შესაძლებლობებს, ამიტომ, პირველი სოციალური ინსტიტუტი იყო გვარი, რომელიც სისხლის ნათესაობის ნიშნით იყო გაერთიანებული. გვარები არსებობდნენ და ფუნქციონირებდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში. ისინი ერთიანდებოდნენ უფრო მსხვილ სოციალურ ინსტიტუტებად – ტომებად და ტომთა კავშირებად. ტომებისა და ტომთა კავშირების შემდგომ საფეხურს მოჰყვა მაღალგანვითარებული ერთობის ხალხის ჩამოყალიბება. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება, ტერიტორიული შეკავშირება, ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება იწვევდა სოციალური ინსტიტუტების გარდაქმნას პოლიტიკურ ერთეულებად. ისტორიულად პირველ, ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინსტიტუტად იქცა სახელმწიფო.

სამეცნიერო-პოლიტიკურ ლიტერატურაში ზოგჯერ პოლიტიკურ სისტემას იყენებენ ვიწრო და ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, ეს არის პოლიტიკურ ორგანიზაციათა, ინსტიტუტთა, გაერთიანებათა და საერთოდ, პოლიტიკურ ურთიერთობათა მარეგულირებელი სუბიექტების ერთობლიობა, რომლითაც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური მართვა ფართო გაგებით, იგი მოიცავს საზოგადოების მთელ პოლიტიკურ სტრუქტურას, პოლიტიკურ ურთიერთობებს, პოლიტიკურ პროცესებსა და მოვლენებს, პოლიტიკურ სუბიექტებსა და ინსტიტუტებს, პოლიტიკურ ნორმებსა და ღირებულებებს, პოლიტიკური თანაცხოვრების წესებსა და პოლიტიკურ აზროვნების სტილს, პოლიტიკურ კულტურასა და

პოლიტიკურ ცნობიერებას, რომლითაც ხორციელდება პოლიტიკური ძალაუფლება და სახელმწიფოში მყარდება გარკვეული პოლიტიკური წესრიგი და სტაბილურობა.[27]

საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა სამი ელემენტისაგან შედგება: პოლიტიკური სისტემა, ადამიანთა პოლიტიკური ცხოვრება–საქმიანობა და პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკური სისტემა არის პოლიტიკური ურთიერთობებისა და მათი მომწესრიგებელი ორგანიზაციების, დაწესებულებების და სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობა. იგი დაკავშირებულია პოლიტიკური თეორიებისა და იდეების ფორმირებასთან, შესაბამისად, ადამიანთა აქტივობასა და საქმიანობასთან, რაც საბოლოოდ იწვევს პოლიტიკური კულტურის შექმნასა და ჩამოყალიბებას.

[27] პოლიტოლოგია პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქტორობით, თბ. 2004 წ. გვ. 186.

თავი მეოთხე

სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა

§1. პირველყოფილი საზოგადოება

საბჭოური იურიდიული, ისტორიული და პოლიტიკური ლიტერატურა სახელმწიფომდელ საზოგადოებას მარქსისტული თეორიის მიხედვით იხილავდა, რომელიც ეფუძნებოდა ლ. მორგანის[28] ფუნდამენტურ გამოკვლევას „ძველი საზოგადოება“, რომელშიც განხილულია ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელი ირიკეზების ტომის სენეკას გვარის ცხოვრება.

ლ. მორგანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საზოგადოების ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა აქტიურ, გარდამქმნელ დამოკიდებულებას ბუნებისადმი. მან კაცობრიობის განვითარების ეტაპები საარსებო საშუალებათა წარმოების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს დაუკავშირა და გამოყო კაცობრიობის განვითარების სამი ეპოქა: ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია, რომელთაგან მისი მტკიცებით, თითოეულმა სამი საფეხური განვლო.

მორგანის შემდეგდროინდელმა მეცნიერებმა ბევრი სიახლე შეიტანეს კაცობრიობის მიერ განვლილი ეპოქის და საზოგადოების ფორმირების გზების გაგებაში. დღეს სახელმწიფომდელი საზოგადოების მეცნიერული პერიოდიზაცია ახლებურადაა დასაბუთებული. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისთვის გარკვეულ მეთოდოლოგიურ ფასეულობას წარმოადგენს პირველყოფილი საზოგადოების განვითარებაში ორი ძირითადი პერიოდის და, აქედან გამომდინარე, მისი არსებობისა და აღწარმოების ორი ხერხის გამოყოფა: ეს არის მიმთვისებელი ეკონომიკა (ნადირობა, თევზაობა, შემგროვებლობა) და მწარმოებელი ეკონომიკა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ლითონის დამუშავება, კერამიკული წარმოება). პირველ პერიოდს, ძირითადად, მატრიარქატი, მეორეს კი პატრიარქალური შეესაბამება.

ადამიანთა ნებისმიერი საზოგადოება გარკვეული ნიშნით, ე.ი. ორგანი-

---

[28] ლუის ჰენრი მორგანი (1818-1881) ამერიკელი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, რომელმაც 1877 წ. გამოსცა შრომა „ძველი საზოგადოება“.

ზაციულად გაფორმებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჯოგად, ბრბოდ გადაიქცევა. სახელმწიფომდელი საზოგადოების ორგანიზაციის პირველი ფორმა იყო გვაროვნული თემი. პირადი სისხლითნათესაური კავშირი ამთლიანებდა გვარის ყველა წევრს, ამ ერთიანობას განამტკიცებდა, აგრეთვე, კოლექტიური შრომა, საერთო წარმოება და თანაბარი განაწილება. ფ. ენგელსი გვაროვნულ ორგანიზაციაზე წერდა: „და რა სასწაულად კარგი ორგანიზაციაა ეს თემური წყობილება, მთელი მისი მიამიტობითა და სიმარტივით! ჯარისკაცების, ჟანდარმებისა და პოლიციელების, აზნაურების, მეფეების, მეფისნაცვლების, პრეფექტებისა და მოსამართლეების, ციხეების, სასამართლო პროცესების გარეშე—ყველაფერი ჩვეულებითი წესით მიმდინარეობს“.[29] ასე რომ, გვარი ერთსა და იმავე დროს იყო უძველესი სოციალური ინსტიტუტი და სახელმწიფომდელი ორგანიზაციის ყველაზე პირველი ფორმა.

იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ძალაუფლების წყარო და მატარებელი (ძალის მქონე სუბიექტი) იყო გვარი, ხელისუფლება გვარის საერთო საქმეების მოსაგვარებლად იყო მიმართული. ყველა ქვეშევრდომი (ძალაუფლების ობიექტი) მისი წევრი იყო. აქ ძალაუფლების სუბიექტი მთლიანად შეესატყვისებოდა ძალაუფლების ობიექტს, ამიტომ იგი თავისი ბუნებით იყო უშუალოდ საზოგადოებრივი. მისი რეალიზაციის ერთადერთ საშუალებად საზოგადოებრივი თვითმმართველობა რჩებოდა.

გვარში საზოგადოებრივი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო საზოგადოების ყველა მოზრდილი ადამიანის—ქალებისა და კაცების კრება. იგი ისეთივე უძველესი ინსტიტუტია, როგორც თვითონ გვარი. კრება (აგორა) წყვეტდა ცხოვრების ყველა ძირითად საკითხს. აქ ხდებოდა წინამძღოლების (უხუცესების, ბელადების, ბასილევსების) არჩევა გარკვეული ვადით ან კონკრეტული საქმის შესასრულებლად, დავის გადასაჭრელად ცალკეულ პირებს შორის, მათი სოციალური ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გადადიოდა.

პირველყოფილი საზოგადოების მეორე საფეხურს შეადგენდა

---

[29] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ. 1953, გვ. 131.

„ფრატრია“ (ძმობა ან თემი), რომელიც ორი ან სამი გვარის კავშირის საფუძველზე ყალიბდებოდა. მას ჰყავდა თავისი მამასახლისი და სარდალი. მკვლელობის შემთხვევაში „ფრატრია“ არიგებდა მოდავე მხარეებს. მესამე საფეხური იყო ტომი, რომელშიც ორი ან სამი თემი შედიოდა. მას საერთო ტერიტორია ჰქონდა და ერთ ენაზე მოლაპარაკე თემებს აერთიანებდა. ტომი ამტკიცებდა გვარის მიერ არჩეულ ზახემს და სარდალს. აგრეთვე, შეეძლო მათი თანამდებობიდან გადაყენება. ტომს საერთო საბჭო ჰქონდა, რომლის წევრები გვარის მიერ არჩეული მამასახლისები და სარდლები იყვნენ. საკითხები ყველას თანდასწრებით წყდებოდა, ამიტომ მათ მიერ მოწონებული გადაწყვეტილება იძულებით ხასიათს არ ატარებდა. შემდგომში ჩნდება ტომთა კავშირები, რომელსაც ტომთა საბჭო ხელმძღვანელობდა.

კრების გადაწყვეტილებები, ისევე როგორც ბელადის მითითებები, ყველასათვის აუცილებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ ხელისუფლებას არ გააჩნდა სპეციალური იძულებითი აპარატი და დაწესებულებები, იგი სავსებით რეალური გახლდათ და შეეძლო ქცევის არსებული წესების დარღვევის აღსაკვეთად ეფექტური იძულება განეხორციელებინა.

პირველყოფილი საზოგადოების მარტივი ურთიერთობები წესრიგდებოდა ჩვეულებებით–ისტორიულად ჩამოყალიბებული ქცევის წესებით, რომლებიც ჩვევად იქცნენ აღზრდის, ერთი და იმავე მოქმედებისა და ქცევის მრავალჯერადი გამეორების შედეგად. საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ სტადიებზე, ადათ-წესების მნიშვნელობას იძენს კოლექტიური შრომითი საქმიანობა, ნადირობა და სხვა ჩვევები. ყველაზე მნიშვნელოვან შემთხვევაში შრომით პროცესს თან ახლდა რიტუალური მოქმედებები. მაგალითად, მონადირეთა ვარჯიში მისტიური შინაარსისა იყო, შეიცავდა იდუმალ წეს-ჩვეულებებს. ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციისა და პირველყოფილი მორალის ნორმებს, სარიტუალო და ჩვეულებათა წესებს. შრომით პროცესში კაცსა და ქალს, მოზრდილსა და ბავშვს შორის ფუნქციათა ბუნებრივი განაწილება ერთსა და იმავე დროს განიხილება, როგორც საწარმოო ჩვეულება, მორალის ნორმა და როგორც რელიგიური დოგმა.

თავდაპირველად, მიმთვისებელი საზოგადოების მონონორმები

ბუნებითი მიმთვისებელი საზოგადოების ადამიანსაც ბუნების ნაწილად აღიქვამდა. მათში თითქოს ერთიანდებოდა უფლება-მოვალეობები. ამასთან, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ისეთ საშუალებას, როგორიცაა ტაბუ (აკრძალვა). ადამიანთა საზოგადოების ისტორიის გარიჟრაჟზე წარმოქმნილმა ტაბუმ უდიდესი როლი ითამაშა სქესობრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში, მკაცრად იკრძალებოდა ქორწინება სისხლით ნათესავებს შორის (ინცესტი). ტაბუს მეშვეობით პირველყოფილი საზოგადოება იცავდა საჭირო დისციპლინას, რომელიც უზრუნველყოფდა სასიცოცხლო სიკეთის მოპოვებასა და აღწარმოებას. ტაბუ განადგურებისაგან იცავდა ფრინველების ბუდობისა და ცხოველების ბინადრობის ადგილებს, უზრუნველყოფდა ხალხის კოლექტიური თანაარსებობის პირობებს.

საზოგადოებაში წეს-ჩვეულებები, როგორც წესი, დაცული იყო სოციალური ხელისუფალის ავტორიტეტის ძალით, მაგრამ როდესაც ჩვეულება ითხოვდა განმტკიცებას პირდაპირი იძულების გზით, საზოგადოება გამოდიოდა იმ ძალის კოლექტიური მატარებლის როლში, რომელიც ავალდებულებდა, აძევებდა და საჭიროების შემთხვევაში, სასიკვდილოდ სწირავდა წეს-ჩვეულების დამრღვევს.[30]

შურისძიება თავიდან სისხლის აღების ჩვეულების სახით გვევლინებოდა. მთელი გვარი იყო ვალდებული, შური ეძია, შემდგომში ეს წრე შევიწროვდა და მხოლოდ ახლო ნათესავებს ეხებოდა. უფრო მოგვიანებით დამკვიდრდა ე.წ. „ტალიონის პრინციპი" (თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ), რაც საბოლოოდ შეიცვალა „კომპოზიციის პრინციპით", რომელიც საზღაურის გადახდას ითვალისწინებდა. მოკლედ, ასეთი იყო სახელმწიფომდელი საზოგადოების ცხოვრების წესი.

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მიზეზები და პირობები

ისტორიკოსებსა და იურისტებს შორის დღესაც მიდის დავა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის თაობაზე. ამის მიზეზია სხვა-

[30] ა.ი. პერშიცი. პირველყოფილი საზოგადოების ისტორია თბ., 1986 წ. გვ. 217-286. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000. стр. 37-41.

დასხვა იდეური, ფილოსოფიური შეხედულებები და მიმდინარეობები.[31] მეორეც, ისტორიკოსები, არქეოლოგები და ეთნოგრაფიული დარგის მეცნიერები გვაწვდიან ახალ მოსაზრებებს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის შესახებ.

თანამედროვე მატერიალისტური მეცნიერება სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პროცესს წარმოების განვითარებას, მიმთვისებელი ეკონომიკიდან მწარმოებელ ეკონომიკაზე გადასვლას უკავშირებს.

ევოლუციური განვითარების შედეგად, ადამიანი საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თანდათან გადავიდა მზა ცხოველური და მცენარეული მიმთვისებლური ფორმიდან ჭეშმარიტ შრომით მოღვაწეობაზე, რომელიც ბუნების გარდაქმნის, შრომის, საკვების და სხვა იარაღების წარმოებისაკენ იყო მიმართული. სწორედ მწარმოებელ ეკონომიკაზე გადასვლამ მისცა ბიძგი შრომის საზოგადოებრივ–სამ დიდ დანაწილებას–მესაქონლეობის გამოყოფას მიწათმოქმედებისაგან, ხელოსნობის ცალკე ჩამოყალიბებას. გაცვლისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებული ხალხის ფენის (ვაჭრობის) განკერძოებას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, შესაბამისად, მრავალგვარი შედეგი მოჰყვებოდა. შეცვლილ პირობებში გაიზარდა მამაკაცთა შრომის როლი, რომელიც ქალთა შრომასთან შედარებით პრიორიტეტული გახდა. ამასთან დაკავშირებით, მატრიარქალურმა გვარმა ადგილი დაუთმო პატრიარქალურს, სადაც ნათესაობა უკვე მამის და არა დედის ხაზით ითვლებოდა. „დედის უფლების დამხობა მდედრობითი სქესის მსოფლიო ისტორიული დამარცხება იყო. მამაკაცმა ოჯახშიც ხელთ იგდო გამგებლობის საჭე, დედაკაცმა კი დაკარგა თავისი საპატიო მდგომარეობა, იგი გახდა მსახური, მონა მამაკაცის ჟინისა, შვილოსნობის უბრალო იარაღი“[32] –წერდა ფ. ენგელსი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საგვარეულო თემი თანდათანობით იყოფოდა

---

[31] მაგალითად, არსებობს აზრი, რომლის თანახმად სახელმწიფო და სამართალი მუდმივად არსებობდა. მისი მომხრეებისათვის საერთოდ არ არსებობს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის პრობლემა ამ თვალსაზრისს ნაწილობრივ იზიარებდა პროფესორი გ. ელინეკი. იხ. Елинек Г. Общее учение о государстве СПбМ. 1908 г.

[32] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. თბ., 1953 წ. გვ. 75.

პატრიარქალურ (მიწათმოქმედთა, მესაქონლეთა, ხელოსანთა) ოჯახებად, რომელთა ინტერესები უკვე აღარ ემთხვეოდა გვარის ინტერესებს. ოჯახის წარმოშობასთან ერთად, დაიწყო საგვარეულო თემის დაშლა. ბოლოს, შრომის დაყოფისას გარდაუვალი სპეციალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების ჯერიც დადგა. ნამეტმა პროდუქტმა, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგმა, განაპირობა საქონელბრუნვისა და სხვისი შრომის შედეგების მითვისების, კერძო საკუთრების წარმოშობის, პირველყოფილი საზოგადოების სოციალური დაყოფის, კლასების შექმნის, სახელმწიფოსა და სამართლის აღმოცენების ეკონომიკური შესაძლებლობების გაჩენა.

და მაინც, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა არა მარტო მატერიალურმა წარმოებამ, არამედ თვით ადამიანის განვითარებამაც განაპირობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავს სულიერი ღირებულების შექმნას.[33] კერძოდ, ინცესტის (სისხლის აღრევის) აკრძალვამ არა მარტო ხელი შეუწყო ადამიანთა მოდგმის გადარჩენასა და განმტკიცებას, არამედ მრავალმხრივი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე, მის შიდა და გარე ურთიერთობების სტრუქტურასა და კულტურაზე. გაცნობიერება იმისა, რომ სისხლის აღრევა იწვევს გვარის განადგურებას, საქმის ნახევრის ტოლფასია. უფრო რთული იყო მისი საბოლოო აღმოფხვრა, რისთვისაც საჭირო გახდა აღკვეთის მკაცრი ზომების გამოყენება. ამიტომ, არსებობს საფუძველი ვარაუდისა, რომ საგვარეულო ორგანოები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ინცესტის აკრძალვას, მოითხოვდნენ გვარში მის იძულებით აღკვეთას, ქალების ურთიერთგაცვლის მიზნით კი სხვა გვარებთან კავშირების განვითარებას, ყოველივე ეს კი ახლად აღმოცენებული სახელმწიფოებრიობის უძველესი ელემენტები იყო.

საზოგადოების გვაროვნული ორგანიზაცია სახელმწიფოდ გარდაიქმნებოდა ევოლუციურად, ამავე დროს, გარდამავალი სტადიების გავლენით ინარჩუნებდა ისტორიულ მემკვიდრეობას. ერთ-ერთი ასეთი გარდამავალი, წინასახელმწიფოებრივი ფორმა, ლ. მორგანის აზრით, იყო „სამხედრო დემოკრატია“, სადაც გვაროვნული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოები ჯერ კიდევ შენარჩუნებული გახლდათ, მაგრამ

[33] ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ. 2002. გვ. 290.

თანდათანობით ძალას იკრებდნენ ახალი სახელმწიფომდელი სტრუქტურები, სამხედრო სარდლისა და მისი რაზმის სახით. აქ გაჩნდა სამხედრო იძულებისა და ჩახშობის ჩანასახი, რადგან ტრადიციულ საგვარეულო თვითმმართველობის ორგანიზაციას უკვე აღარ შეეძლო გადაეჭრა წარმოქმნილი წინააღმდეგობები, რომლებიც საუკუნოვან წესრიგს ანგრევდნენ.

სახელმწიფოს ჩამოყალიბება არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც სხვადასხვა ხალხში სხვადასხვა გზით მიმდინარეობდა. ამჟამად დომინირებს აზრი, რომ ერთ-ერთი ძირითადია სახელმწიფოს წარმოშობის აღმოსავლური გზა, „წარმოების აზიური წესი“ (ჯერ—უძველესი აღმოსავლეთი, შემდეგ—აფრიკა, ამერიკა და ა.შ.). აქ ძალიან მყარი, ტრადიციული აღმოჩნდა თემური წყობილების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები და სტრუქტურები: საადგილმამულო თემი, კოლექტიური საკუთრება. საზოგადოებრივი საკუთრების მართვა ხდება უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გვარისა და ტომის იმ განკერძოებული ოჯახებისა, რომლებიც თანდათანობით პრივილეგირებულ სოციალურ ჯგუფად (წოდებად, კასტად) ჩამოყალიბდა, მათი ინტერესები კი უფრო მეტად ემიჯნებოდა საზოგადოების დანარჩენი წევრების ინტერესებს.

მაშასადამე, სახელმწიფოებრიობის წარმოშობის აღმოსავლური (აზიური) ვარიანტი სხვა ვარიანტებისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ აქ ხდებოდა საზოგადოებრივ თანამდებობაზე მყოფი გვარისა და ტომის დიდგვაროვანთა ტრანსფორმაცია სახელმწიფო ორგანოებად. (სახელმწიფო მოხელეთა აპარატი) მიწაზე საზოგადოებრივი (კოლექტიური) საკუთრებაც, აგრეთვე, თანდათანობით სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. კერძო საკუთრებას აქ არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. სახელმწიფოს აღმოცენებაზე დიდი ზემოქმედება მოახდინა გეოგრაფიულმა პირობებმა, მსხვილმასშტაბიანი საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების აუცილებლობამ (ირიგაციული სისტემების და სხვათა აგება, ექსპლუატაცია და დაცვა), რომლებმაც წინასწარ განსაზღვრეს დამოუკიდებელი და ძლიერი საჯარო ძალაუფლების წარმოშობა.

აღმოსავლური სახელმწიფოები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, თუმცა ბევრი საერთოც ჰქონდათ. ყველა ისინი იყვნენ

აბსოლუტური, დესპოტური მონარქიები, ჰქონდათ ძლიერი მოხელეთა აპარატი, მათ ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა სახელმწიფო საკუთრება. აქ არ აღინიშნებოდა მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი დიფერენციაცია. სახელმწიფო ექსპლუატაციასაც უწევდა სასოფლო თემის წევრებს და, ამასთანავე, მართავდა მათ, ანუ თვით სახელმწიფო გამოდიოდა წარმოების ორგანიზატორად.

სხვა ისტორიული გზით მიმდინარეობდა სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი ევროპის ტერიტორიაზე,[34] სადაც სახელმწიფოს შექმნის მთავარი ფაქტორი იყო საზოგადოების კლასობრივი დაყოფა, რომელიც მიწაზე, საქონელსა და მონებზე კერძო საკუთრების ინტენსიური ფორმირებით იყო განპირობებული. ფ. ენგელსის აზრით, ყველაზე „სუფთა" სახით ეს პროცესი მიმდინარეობდა ათენში. რომში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა თემური საზოგადოების ორი დაჯგუფების—პატრიციებისა და პლებეების ხანგრძლივმა ბრძოლამ. ამ უკანასკნელთა გამარჯვების შედეგად, მასში განმტკიცდა დემოკრატიული წესები: ყველა თავისუფალი მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, შესაძლებლობა, ერთსა და იმავე დროს ყველა ყოფილიყო მიწათმოქმედიც და მებრძოლიც, და სხვა. მაგრამ ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის ბოლოს რომის იმპერიაში გამწვავდა შიდა დაპირისპირებები, რამაც გამოიწვია ძლიერი სახელმწიფო მანქანის შექმნა.

ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სახელმწიფოს აღმოცენების საკითხთან დაკავშირებით, ლიტერატურაში გამოთქმულია ორი მოსაზრება. ერთის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ამ რეგიონში პირველყოფილი ურთიერთობების დაშლის შედეგად წარმოიშობოდა ფეოდალური სახელმწიფოები (აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება გერმანიასა და რუსეთს.) მეორე მოსაზრების მიმდევრები კი ვარაუდობდნენ, რომ თემური წყობილების დაშლის შემდეგ აქ დგება წინა ფეოდალური ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დროსაც დიდგვაროვნები განსაკუთრებულ ჯგუფად გამოიყოფიან, უზრუნველყოფენ თავის პრივილე-

[34] აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოთა ტიპები შემოდგომში განხილულია ცალკე თავებად.

გიებს, პირველ რიგში, მიწის ფლობის პრივილეგიას.[35] ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის მოსაზრება სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათზე. იგი ცნობს კერძო საკუთრების წარმოშობის ორ გზას: ძალმომრეობითი დაპყრობის გზით და პირადი შრომით. კერძო მიწათმფლობელები ხელში იგდებენ დიდი რაოდენობით მიწის ფართობებს, მაგრამ ვერ ამუშავებდნენ. მათ აუცილებლად ესაჭიროებათ მუშახელი, ამიტომ, იძულებულნი არიან მოიწვიონ ისინი, უმიწონი, ეკონომიკური მდგომარეობის გამო, თანხმდებიან, დაექირავონ მიწის მფლობელთ. ასე ჩაეყარა, ილიას აზრით, საფუძველი ბატონყმობას.

ამას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც ლაპარაკობდა მიწისმქონებელთა და უმიწოთა ურთიერთკავშირზე, მათ მორიგებაზე, რომ იგი ბატონყმობის საფუძველს შეადგენდა, მაგრამ არსად მიუთითებდა, რომ ამ გზით ჩამოყალიბდა სახელმწიფო. ისმის კითხვა,–რა გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ მიწიანთა და უმიწოთა მორიგებაში ილია სახელმწიფოს წარმოშობას გულისხმობს? ჩვენი აზრით, რადგანაც ილია თითქმის თანმიმდევრულად აგვიწერს სახელმწიფოს წარმოშობის სტადიებს (გვაროვნული წყობილების რღვევა, კერძო საკუთრების და კლასების წარმოშობა, მათ შორის თანამშრომლობის დამყარება), სხვა დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, და, ამდენად, ილიას სწორ წანამძღვრებს ლოგიკურად მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ზემოაღნიშნულ მსჯელობაში იგი სახელმწიფოს წარმოშობას გულისხმობს, „რადგანაც „კლასობრივი საზოგადოება, სახელმწიფოს გულისხმობს, უკანასკნელის გარეშე პირველი არ წარმოიდგინება.

„უსახელმწიფო“ კლასობრივი საზოგადოება ისევე არ არსებობს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი სიცოცხლის გარეშე“–მიუთითებს ივ. სურგულაძე.[36] „თუმცა, ვ. მეტრეველის აზრით, ის სიტყვა „სახელმწიფოს“ მაგივრად „ბატონყმობას“ იყენებს.[37] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილია მონათმფლობელობას არსად ახსენებს, მისთვის „ბატონყმობა“, ალბათ,

---

[35] Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000. стр. 39-41.

[36] ივ. სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, „მოამბე“, თბ. 1981 წ. გვ 27

[37] ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ., 1977 წ. გვ. 90.

პირველი კლასობრივი საზოგადოების სინონიმია... ხოლო სახელმწიფო კლასობრივი ზავის შედეგია". მაგრამ გლეხები ინარჩუნებენ როგორც თავისუფლებას, ასევე მიწის საკუთრების უფლებას. ამ პერიოდს პროფეოდალიზმს, სახელმწიფოს კი პროფეოდალურს უწოდებენ.

არ შეიძლება, არ დავეთანხმოთ პროფ. გ. ნადარეიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საბჭოთა პერიოდის ლექციებსა და გამოკვლევებში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, მათი განვითარების ისტორიის შესახებ, გადაჭარბებულად იყო შეფასებული სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობაში ეკონომიკური ფაქტორის, წარმოებით ურთიერთობათა როლი და თითქმის უყურადღებოდ მიტოვებული, სულიერი კულტურის განპირობებულობა სამართალგანვითარებით. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით ივ. ჯავახიშვილის მიერ სახელმწიფოს წარმოშობის თაობაზე განვითარებულ აზრს, რომელიც ემთხვევა პროფ. გ. ელინეკის მოსაზრებას. ივ. ჯავახიშვილისა და გ. ელინეკის მიხედვით, პირველყოფილი თემური წყობილების მმართველობის სისტემა შეიცავდა სახელმწიფო ორგანიზაციის ნიშნებს.

აღნიშნული მოსაზრება რეალურ საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული, რადგანაც მეცნიერებაში დამკვიდრებულია აზრი სახელმწიფოს წარმოშობის სხვა გზის შესახებაც (რასაც თავის დროზე მარქსისტებიც იზიარებდნენ). ერთ-ერთი გზა სახელმწიფოს წარმოშობისა იმაში მდგომარეობს, რომ პირველყოფილი თემურ-გვაროვნული წყობილების ბოლო პერიოდში ხდებოდა საზოგადოებრივ თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა, ჯერ კერძო საკუთრების არარსებობის, ან მისი სუსტად განვითარების პირობებში, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სდევდა თან სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს. ამიტომ იქ, სადაც ამ გზით წარმოიშობა სახელმწიფოებრიობა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთზე თემურ-გვაროვნული წყობილება (ცივილიზაციის მეორე და მესამე პერიოდში) და სახელმწიფო თანაარსებობენ.[38]

თანამედროვე მკვლევართა აზრით, საქართველოში სახელმწიფო სწორედ ზემოაღნიშნული გზით უნდა იყოს წარმოშობილი. მეცნიერებაში

[38] ჟურნალი «Народы Азии и Африки». 1990 г. N2-5. 7.

არის „ნახევარსახელმწიფოს“ ცნება, ამიტომ, როგორც ვხედავთ, ამ არგუმენტებს აქვს რეალური საფუძველი, თუმცა ამ მოსაზრებამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.

ამდენად, სახელმწიფოც და სამართალიც თანმხვედრი მოვლენებია, მაგრამ გარკვეულწილად, მეცნიერებაში დღემდე განვითარებული იდეა სახელმწიფოს, როგორც კლასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ, მოძველებულია და არ შეესაბამება მისი წარმოშობის რეალურ სურათს.

მეცნიერთა ნაწილი სამართლიანად ფიქრობს, რომ სახელმწიფოს წარმოშობაში დიდი როლი ითამაშა ექვსმა ფაქტორმა. ამ აზრს იზიარებენ პროფ. გ. მამულია და პროფ. გ. ნადარეიშვილი.

ეს ფაქტორებია:

1. **დემოგრაფიული ფაქტორი, ანუ ჭარბი მოსახლეობის ფაქტორი.** მოსახლეობის რაოდენობის საგრძნობმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მათი გამოკვებისათვის ახალი გზებისა და საშუალებების გამონახვის საკითხი, რამაც ხელი შეუწყო შრომის იარაღების გაუმჯობესებას და მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდას. იზრდებოდა გვარებსა და ტომებში საზოგადოებრივ თანამდებობათა მქონე პირების როლი და მნიშვნელობაც.

2. **ომის მუდმივი საშიშროების ფაქტორი** იწვევდა გამორჩეული მებრძოლების, ფიზიკურად და გონებრივად ძლიერი ადამიანების–ბელადების როლის ზრდას საზოგადოებაში–გვარებსა და ტომებში. მცირდებოდა საგვარეულო კრებების მნიშვნელობაც.

3. **ომის (დაპყრობის) ფაქტორი.** როდესაც ერთი ტომი მეორეს იპყრობდა, მყარდებოდა ბატონობა–მორჩილებითი ურთიერთობა. და ამ ურთიერთობის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო ორგანიზებული სამხედრო-ადმინისტრაციული პერსონალის ყოლა, რაც იწვევდა ჯერ წინარესახელმწიფოებრივი და შემდეგ სახელმწიფო ორგანოების საჭიროებას.

4. **განვითარებული** სახელმწიფოებრიობის მქონე საზოგადოებათა ზეგავლენა გვაროვნულ და წინარეკლასობრივ საზოგადოებებზე.

5. **ნამეტი პროდუქტების არსებობა** ხელს უწყობდა მონობის წარმოშობას და ამით სახელმწიფო–პოლიტიკური სტრუქტურების თანდათა-

ნობით ჩამოყალიბებას.

6. დასარულ, როდესაც ყველა ზემოთ ნახსენები ფაქტორი სახეზეა, დიდ როლს თამაშობს იდეოლოგიური (რელიგიურ-იდეოლოგიური) მომენტიც, რადგანაც სახელმწიფოს წარმომშობი ზემოხსენებული ფაქტორების მოგუმბათება ხდება რელიგიის მეშვეობით.[39]

უკანასკნელი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება გამახვილდა მეშვიდე, გეოგრაფიულ ფაქტორზე.

ამგვარად, მწარმოებლური ეკონომიკის ეტაპზე შრომის განაწილების, პატრიარქალური ოჯახის გაჩენის, სამხედრო დაპყრობების, ინცესტის აკრძალვის, სულიერი კულტურის ჩამოყალიბების სამართალგანვითარებისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით ხდება პირველყოფილი საზოგადოების ფენებად დაშლა, მწვავდება მისი წინააღმდეგობები, რის შედეგადაც ჭრება სოციალური ცხოვრების გვაროვნული ორგანიზაცია, მის ნაცვლად კი იმავე გარდუვალობით საზოგადოების ახალი ორგანიზაციული ფორმა–სახელმწიფოებრიობა მოდის. ჩვენს სინამდვილეში, მიუხედავად მისი არსებობის ხანგრძლივობისა ,,გადის ათეული წლები და ამ მემკვიდრეობის საქმედ ქცევას არა და არ ადგება საშველი".[40]

---

[39] გ. ნადარეიშვილი, სამართლის მსოფლიო ისტორია, ქართული სამართლის ისტორია (ლექციების მოკლე კურსი), გამ. „სამთავისი", თბილისი, 1994 გვ. 25-26.
გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძველ საქართველოში, გამ. „მეცნიერება", 1979. გვ. 163-167.

[40] ო. გოგიაშვილი, ე. ბატიაშვილი. ქართული სახელმწიფოს იდეოლოგები. თბ. 2002 წ. გვ.4.

თავი მეხუთე

სახელმწიფოს წარმოშობის თეორიული არგუმენტაცია

§1. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

თეორია ბერძნული სიტყვაა (Theoria) და ნიშნავს კვლევას, ფართო გაგებით, იგი არის სახელმწიფო იდეების სისტემა ცოდნის ამა თუ იმ დარგში. ამ შემთხვევაში, ისე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებშიც, თეორიებს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებობის დიდი ხნის ისტორია გააჩნია და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობის, ადამიანთა პოლიტიკური შეგნებისა და განვითარების დონეს ასახავენ. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ერთ-ერთი ყველაზე უძველესია თეოლოგიური თეორია. მის შემქმნელებს მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო, ღვთის ნებით, მუდმივად არსებობს და ამიტომ ნებისმიერი პიროვნება ვალდებულია, თავი დაუხაროს და ყველაფერში დაემორჩილოს ამ ნებას. მეფე ჰამურაბის (ძველი ბაბილონი) კანონებში ლაპარაკია მეფის ძალაუფლების ღვთაებრივ წარმოშობაზე: „ღმერთებმა დაადგინეს ჰამურაბი „შავთავიანების“ მმართველად“. „ადამიანი წარმოადგენს ღმერთის ჩრდილს, მონა წარმოადგენს ადამიანის ჩრდილს, ხოლო მეფე–ღმერთის ტოლია“ (ე. ი. ღმერთისმაგვარი). ძველ ჩინეთში იმპერატორს ზეცის შვილი ეწოდებოდა. ჩვენთვის უფრო ახლო დროში, ქრისტიანობა აგრძელებდა სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ღმერთის მიერ დაკანონების იდეის განვითარებას: „ყოველნი ხელმწიფებასა მას უმთავრესისასა დაემორჩილნენ, რამეთუ არა არს ხელმწიფება, გარნა ღვთისაგან და რომელნი იგი არიან ხელმწიფებანი, ღმერთისა მიერ განწესებულ არიან“,–წერს პავლე მოციქული (რომაელთა მიმართ I ეპისტოლე, 13.1).[41]

[41] ამასვე ამბობს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის პირველსავე სტროფში: „რომელმან შეჰქმნა სამყარო, ძალითა მით ძლიერითა... მისგან არს ყოველი ხელმწიფე,

თეოლოგიური თეორიის თანახმად, სამყაროში ყოველივე არსებულის შემქმნელი, მათ შორის, სახელმწიფოსიც, ღმერთია. ღვთაებრივი ჩანაფიქრის საიდუმლოებაში შეღწევა, სახელმწიფოს არსობასა და ბუნებაში ჩაწვდომა კი, შეუძლებელია. თუ არ შევეხებით გადმოცემის აგნოსტიციზმზე დაფუძნებულ მეცნიერულ მონაცემებს, აღვნიშნავთ, რომ თეოლოგიურმა თეორიამ არ უარყო მიწიერი სახელმწიფოს წარმოქმნა და ფუნქციონირება, მართებული მართლწესრიგის უზრუნველყოფა. ამ თეორიით სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ღვთიური შარავანდედითაა მოსილი და მისთვის დამახასიათებელ საშუალებათა გამოყენებით მაღლდება მისი ავტორიტეტი. თეოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის თომა აქვინელს (1225-1274), რომლის თხზულებები ერთგვარ საეკლესიო ენციკლოპედიად იქცა იმ დროისათვის.

შუა საუკუნეების დიდ სქოლასტიკოსს საერთოდ მიაჩნდა, რომ საზოგადოება ემორჩილება სულიერ ძალაუფლებას, რომელსაც ცაში ღმერთი, მიწაზე კი მისი რჩეული რომის პაპი და სახელმწიფო განასახიერებს.[42]

ხელშეკრულების თეორია ძველ საბერძნეთში საუკუნეთა სიღრმეში აღმოცენდა. ზოგიერთი სოფისტი თვლიდა, რომ სახელმწიფო წარმოიქმნა ადამიანთა ხელშეკრულებითი (შეთანხმებითი) გაერთიანების შედეგად სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ეპიკურესთან „პირველად გვხვდება წარმოდგენა იმისა, რომ სახელმწიფო ეფუძნება ხალხის ურთიერთშეთანხმებას...“, ძველი ბერძენი ფილოსოფოსების შეხედულებებში ჩანასახის სახით არსებულმა ამ თეორიამ სრული განვითარება ჰპოვა XVII-XVIII საუკუნეების ბრწყინვალე მოაზროვნეთა ჰ. გროციუსის, ბ. სპინოზას (ჰოლანდია), ა. რადიშჩევის (რუსეთი), თ. ჰობსის, ჯ. ლოკის (ინგლისი), ჟ.ჟ. რუსოს (საფრანგეთი) და სხვა ნაშრომებში.

სახელმწიფოს ხელშეკრულებითი (შეთანხმებითი) წარმომავლობის თეორიის მომხრეები გამოდიოდნენ იქიდან, რომ სახელმწიფოებრიობას წინ უძღვის ბუნებითი მდგომარეობა, რომელსაც ისინი სხვადასხვაგვარად ახასიათებენ. რუსო, თავის ნაშრომში „საზოგადოებრივი

სახითა მის მიერითა“.

[42] ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ. 2002 წ. გვ. 104.

ხელშეკრულება“, წერს, რომ ადამიანები ბუნებრივად ფლობენ თანდაყოლილ უფლებებსა და თავისუფლებებს, ჰობსისთვის ეს ნიშნავს მდგომარეობას „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. ამის შემდეგ კეთილდღეობისა და მშვიდობის დაცვის მიზნით ფორმდება ხელშეკრულება საზოგადოების ყველა წევრსა და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოს შორის. ამ ხელშეკრულების თანახმად, ადამიანები თავისი უფლებების ნაწილს გადასცემენ სახელმწიფო ხელისუფლებას და კისრულობენ, დაემორჩილონ მას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას ადამიანის ისეთი ხელშეუხებელი უფლებები, როგორიცაა თავისუფლება, საკუთრება, უშიშროება. ადამიანების ეს შეთანხმება, რუსოს აზრით, არის კანონიერი ხელისუფლების საყრდენი, რის შედეგადაც, ამ შეთანხმების ყველა წევრი ემორჩილება საერთო ნებას (სახელმწიფოს) და, ამავე დროს, ამ ნების ერთ-ერთი მონაწილეც ხდება. სუვერენიტეტი ეკუთვნის მთლიანად ხალხს, ხოლო ხელისუფლების მართვას განახორციელებენ ხალხის მიერ უფლებამოსილი პირები, რომლებიც ვალდებული არიან, ანგარიში ჩააბარონ ხალხს და მისი ნების მიხედვით იცვლებიან.

სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულების (შეთანხმებითი) თეორია ვერ პასუხობს კითხვებს, თუ სად, როდის და რა პირობებში შედგა საზოგადოებრივი შეთანხმება, ვინ იყვნენ მისი მონაწილეები ან მოწმეები. როგორც ჩანს, არ არსებობს არც ისტორიული მტკიცებანი, რომლებიც ნათელჰყოფს ამ საკითხს. მაგრამ ამ თეორიას აქვს მეცნიერული ღირებულება: მან პირველმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფო ყალიბდება (თუნდაც ობიექტური მიზეზების გამო), როგორც ადამიანთა შეგნებული და მიზანდასახული მოღვაწეობის შედეგი. ეს არის, ფაქტობრივად, ადამიანის მიერ შექმნილი პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც ახდენდა და ახლაც ახდენს უდიდეს ზემოქმედებას ინდივიდების, ჯგუფების, კლასების, მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე. იგი შეიძლება გეგმაზომიერად გარდაიქმნას, გახდეს სრულყოფილი და მოერგოს ცვალებად პირობებს. თუკი ზემოთ თქმულს დავუმატებთ, რომ ხელშეკრულების თეორიამ საწყისი დაუდო სახალხო სუვერენიტეტის, ყველა სახელმწიფო-სახელისუფლებო სტრუქტურის ხალხის წინაშე პასუხისმგებლობისა და კონტროლდაქვემდებარების, მათი შეცვლის კანონ-

ზომიერების კონცეფციას, ცხადი გახდება, რომ იგი დღესაც აქტუალურია.

სახელმწიფოს წარმოშობის ჰეგელის თეორია. სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ თეორიებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გერმანული ისტორიული ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის ჰეგელის[43] მიერ შემოთავაზებულ თეორიას, რომლის მიხედვით, ბუნების ყველა მოვლენის და საზოგადოების საფუძველში, შესაბამისად, სახელმწიფოსა და სამართლის საფუძველშიც, დევს აბსოლუტურად სულიერი და გონივრული საწყისი–„აბსოლუტური იდეა“ (მსოფლიო გონება“, „მსოფლიო სული“).

თავის ნაწარმოებში „სამართლის ფილოსოფია“, ჰეგელი ობიექტური იდეალიზმის პოზიციიდან აკრიტიკებდა სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულებით (შეთანხმებით) თეორიას. ჰეგელი ცნობს რუსოს აზრს, რომ სახელმწიფოს საწყისია საერთო ნება, მაგრამ მიაჩნია, რომ შეცდომა იყო ცალკეული პიროვნებების ნებიდან საერთო ნების გამოყოფა. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო ნება არის რაღაც ობიექტური, თავისთავად გონივრული საწყისი, რომელიც თავისი არსით დამოუკიდებელია ცალკეული პიროვნების ნების აღიარებისაგან.

როგორც ობიექტურ იდეალისტს, ჰეგელს სახელმწიფო და სამართალი აბსოლუტური იდეიდან, გონების მოთხოვნილებიდან გამოჰყავს. მას საეჭვოდ მიაჩნია ხელშეკრულებითი თეორიის მომხრეთა თეზისი, რომ სახელმწიფო შექმნილია პიროვნების თავისუფლებისა და საკუთრების დასაცავად. ჰეგელის აზრით, სახელმწიფო სადაზღვევო დაწესებულება არ არის, არ ემსახურება ცალკეულ პირებს და არ შეიძლება იყოს მათი ქმნილება. სახელმწიფო არის ზნეობის რეალიზაციის უმაღლესი ფორმა. იგი ვინმეს ინტერესებს არ ექვემდებარება და აბსოლუტურ თვითმიზანს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო არავის ემსახურება, იგი არის ბატონობის არა საშუალება, არამედ მიზანი, რომელიც ყველა სხვა მიზანზე მაღლა დგას. სახელმწიფოს აქვს უმაღლესი უფლებები პიროვნებასთან ურთიერთობაში, ხოლო პიროვნების უმაღლესი ვალდებულებაა, იყოს სახელმწიფოს ღირსეული წევრი.

---

[43] გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831) დიდი გერმანელი ფილოსოფოსი.

თეორიული და ფილოსოფიური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ჰეგელი უარყოფს სახალხო სუვერენიტეტს, როგორც სახელმწიფოს საფუძველს და მისგან გამომდინარე, დემოკრატიის იდეას. ჰეგელის აზრით, უმაღლეს ხელისუფლებას არ შეუძლია გამოხატოს ხალხის ინტერესები, რადგანაც ხალხმა არ იცის არა მარტო ის, რაც სურს „გონიერ ნებას", არამედ ისიც, თუ რა სურს თვითონ.

ამგვარად, ჰეგელის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, უპირისპირდება სახელმწიფოს ხელშეკრულებითი თეორიის წარმოშობას, ადამიანის ბუნებრივ და განუყოფელ უფლებებს და ბოლოს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის იდეებსა და მიზნებს. თავისი არსით, ჰეგელის ფორმულა—„ყველაფერი ნამდვილი, გონივრულია", „გონება ბატონობს სამყაროში, მაშასადამე, მსოფლიო ისტორიული პროცესიც გონივრულად მიმდინარეობს".[44]

ჰეგელმა კაცობრიობა ისტორიული პერიოდიზაციის მიხედვით ოთხ საფეხურად დაყო: აღმოსავლური, ბერძნული, რომაული და გერმანული. ამ კლასიფიკაციის შესაბამისად, თვით ცნობიერებამ „სულმა", ყველაზე სრულყოფილი გამოვლენა ჰპოვა გერმანულ სამყაროში თავის თავთან, „გონთან" რეალური მისვლით. მისივე კონცეფციით, გერმანელ ხალხს ხვდა წილად თავისუფლების შემეცნების ბედნიერება, ე.ი. „სულმა" სწორედ გერმანულ სამყაროში მიაღწია „იმის ცოდნას, რასაც იგი წარმოადგენს ჭეშმარიტად". ამით იგი აიდეალებდა რელიგიურ-თეოლოგიურ მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ.

ძალმომრეობის (დაპყრობის) თეორია ბევრისათვის დრომოჭმული და საბჭოური გადმონაშთია, რასაც ვერ გავიზიარებთ, რადგანაც თანამედროვე პერიოდშიც ჩნდება ძალადობისა და ძალმომრეობის საფუძველზე არაღიარებული ე.წ. სახელმწიფოები (მათ შორის საქართველოშიც), ასე რომ ეს თეორია დღესაც მოქმედებაშია. იგი წარმოიშვა და გავრცელდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მისი ფუძემდებლები, ლ. გუმპლოვიჩი, შემდგომში კ. კაუცკი, ე. დიურინგი და სხვები, ეყრდნობოდნენ ცნობილ ისტორიულ ფაქტებს—გერმანიისა და უნგრეთის სახელმწიფოების წარმოქმნას. სახელმწიფოს მშობელი, ამტკიცებენ ძალადობის თეორიის მომხრეები, არის ომი

[44] იხ. Гегель. Философия истории. Соч. Т.8. 1835, стр. 10.

და დაპყრობა. ძალმომრეობის ერთ-ერთ დიდ მჭადაგებლად ითვლება პოლონური წარმოშობის პროფესორი, იურისტი და სოციოლოგი ლუდვიგ გუმპლოვიჩი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალაა რასებს შორის ბრძოლა, რომ კაცობრიობა თავიდან დაყოფილი იყო რასებად, ეთნიკურ ჯგუფებად, რომელთა შორის წარმოებდა ბრძოლა. ამ ბრძოლის პროცესში უფრო ძლიერი ეთნიკური ჯგუფები, ტომები იპყრობენ სუსტებს და ამის შედეგად იქმნება სახელმწიფო, როგორც გამარჯვებული ტომების ძალაუფლების განმხორციელებელი ორგანო დამარცხებულთა მიმართ.[45] მისი აზრით, „ისტორია ვერ გაიხსენებს, ვერ გვიჩვენებს ვერცერთ მაგალითს, რომ სახელმწიფო, ძალადობის გარდა, რაიმე სხვა გზით წარმოქმნილიყო. ამას გარდა, ეს პროცესი ყოველთვის წარმოადგენდა ერთი ტომის ძალადობას მეორეზე და უფრო ძლიერი უცხო ტომის მიერ სუსტი მკვიდრი მოსახლეობის დაპყრობითა და დამონებით გამოიხატებოდა“. გუმპლოვიჩს ცხოველების კანონი ადამიანების საზოგადოებაში გადმოაქვს, რითაც სოციოლოგიური მოვლენების ბიოლოგიზაციას ახდენს. მისი სიტყვებით, ველური ურდოების, საზოგადოებებისა და სახელმწიფოების მოქმედებებზე ბუნების რთული კანონი მეფობს.

ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და სამართალმცოდნე არჩილ ჯორჯაძე განიხილავს რა გუმპლოვიჩის შრომას „სოციალური ნარკვევები“, არ ეთანხმება ავტორის შეხედულებებს სახელმწიფოს წარმოშობაზე. გუმპლოვიჩის აზრით, თითქოს სოციალური ჯგუფები ერთი მეორისაგან ეთნიკურად განსხვავდებოდნენ და ამ ბრძოლას ეთნიკური-რასობრივი ხასიათი ჰქონდა. ძლევამოსილი უმცირესობა ყოველთვის უცხოეთიდან მოსული ხალხი იყო. ერთი ეთნიკური ჯგუფი სხვა ეთნიკურ ჯგუფს იმონებდა. გუმპლოვიჩის განმარტებით, სახელმწიფო მარტო სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან ბრძოლისაგან არ წარმომდგარა.

არჩილ ჯორჯაძე მიუთითებს, რომ ეთნიკური ელემენტი არ იყო სახელმწიფოს წარმოშობის შემოქმედი ძალა. სახელმწიფოს ჯორჯაძე აღიქვამს, როგორც კლასთა ბრძოლის შედეგს და ამდენად, იზიარებს იმ შეხედულებას, რომ სახელმწიფო უმცირესობის მიერ უმრავლესობაზე ბატონობის ნაყოფია, ხოლო უმცირესობა ყოველთვის არაა ეთნიკურად გა-

[45] იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ. 2000 წ. გვ. 24

მორჩეული უმრავლესობისაგან.

ძალმომრეობა, დაპყრობა, გარეშე ძალა, აჩქარებს სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს იმ ქვეყნებში, სადაც მომწიფებულია საამისო წინაპირობები, მაგრამ მარტო ძალმომრეობით სახელმწიფო არსად შექმნილა და ამიტომ, არასწორია გუმპლოვიჩის მოსაზრებანი ამ საკითხზე.

არჩილ ჯორჯაძის სახელმწიფოებრივ კონცეფციას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თანამედროვეთა ნააზრევში.[46]

კ. კაუცკი ავითარებდა ძალადობის თეორიის ძირითად დებულებებს და ამტკიცებდა, რომ კლასები და სახელმწიფო წარმოიქმნება ერთდროულად, როგორც ომებისა და დაპყრობის პროდუქტი. „სახელმწიფო და კლასები,—წერდა ის,—თავის არსებობას ერთდროულად იწყებენ. გამარჯვებული ტომი იმორჩილებს დამარცხებულს, ითვისებს მთელ მის მიწებს და შემდეგ აიძულებს დამარცხებულ ტომს, სისტემატურად იმუშაოს გამარჯვებულთა სასარგებლოდ, გადაუხადოს მას ხარკი. პირველი კლასები და სახელმწიფოები წარმოიქმნება იმ ტომებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაპყრობითი აქტებით“ არიან დაკავშირებული.

ფ. ენგელსი მკაცრად და სამართლიანად აკრიტიკებდა ამ თეორიას, რომელიც განადიდებდა ძალადობის როლს და გამორიცხავდა სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. სახელმწიფოს წარმოსაქმნელად საჭიროა ეკონომიკური განვითარების ისეთი დონის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო აპარატის შენახვას და შესაბამისი საომარი აღჭურვილობის წარმოებას. თუკი ასეთი ეკონომიკური პირობები არ არსებობს, თავისთავად, არავითარ ძალადობას არ შეუძლია, წარმოქმნას სახელმწიფო. ამასთანავე, უდავოა ისიც, რომ ძალადობა და დაპყრობა საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სახელმწიფოს შექმნის პროცესში—იგი არ იყო პირველადი მიზეზი სახელმწიფოს წარმოქმნის, მაგრამ ამ პროცესის მძლავრი კატალიზატორის როლს უეჭველად ასრულებდა.

პატრიარქალური თეორია ფართოდ იყო გავრცელებული ძველ საბერძნეთსა და მონათმფლობელურ რომში. შემდეგ კვლავ აღორძინდა შუასაუკუნეობრივი აბსოლუტიზმის დროს და მისმა გამოძახილმა ჩვენ დრომდეც მოაღწია. ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა, რომ სახელმწიფო წარმოადგენს

[46] იხ. გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან ქუთ. 1992 წ. გვ. 199-200

ადამიანის ცხოვრების ბუნებრივ ფორმას, რომ სახელმწიფოს გარეშე ადამიანებს შორის ურთიერთობა შეუძლებელია. საზოგადოების ცალკეული წევრები მიისწრაფვიან გაერთიანებისა და პატრიარქალური ოჯახის შექმნისაკენ, ხოლო ასეთი ოჯახების მომრავლება და მათი გაერთიანება იწვევს სახელმწიფოს წარმოქმნას. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლება პატრიარქალური ძალაუფლების გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენს.

შუა საუკუნეებში ინგლისში რ. ფილმერი აბსოლუტიზმის არსებობას ასაბუთებდა ნაშრომში „პატრიარქია ანუ მეფეთა ბუნებრივი უფლებების დაცვა“ (1642 წ.), პატრიარქალურ თეორიაზე დაყრდნობით, ამტკიცებდა, რომ თავდაპირველად ღმერთმა მეფური ძალაუფლება მიანიჭა ადამს, ამიტომ იგი არა მხოლოდ ადამიანთა მოდგმის მამა, არამედ მისი მბრძანებელიცაა.

პატრიარქალურმა თეორიამ ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა რუსეთშიც. მის აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა სოციოლოგი, პუბლიცისტი, ხალხოსნობის თეორეტიკოსი ნ. მიხაილოვსკი. გამოჩენილი ისტორიკოსი მ. პოკროვსკიც თვლიდა, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების უძველესი ფორმა უშუალოდ მამის ძალაუფლებიდან წარმოიქმნა. როგორც ჩანს, ამ თეორიის საფუძველზე გაიდგა ღრმა ფესვები „ხალხთა მამის“, კარგი მეფის, ბელადის, ზეადამიანის (რომელსაც შეუძლია ყველას მაგივრად ყველა პრობლემის გადაწყვეტა), რწმენის საუკუნეობრივმა ტრადიციებმა. ასეთი ტრადიცია, თავისი არსით, ანტიდემოკრატიულია, ხალხს უბიძგებს, პასიურად ელოდოს სხვათა გადაწყვეტილებას, უკარგავს საკუთარი თავის რწმენას, აქვეითებს მათ სოციალურ აქტივობას, პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბალზე...

პატერნალიზმის ტრადიციები დღესაც ცოცხლობს. ხშირად, სახელმწიფო მოღვაწეს, ნებსით თუ უნებლიედ, ადარებენ დიდი ოჯახის მამამთავარს, უდიდეს იმედებს ამყარებენ მასზე, სამშობლოს უალტერნატივო მხსნელად თვლიან და მზად არიან, უსაზღვრო უფლებამოსილებანი მიანიჭონ.

პატრიმონიული თეორიის განხილვას სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სახელმძღვანელოებში ნაკლებად ვხვდებით. თუმცა ამ თეორიას თავის დროზეც და ახლაც ჰყავს მიმდევრები. აღნიშნული თეორიის

მიხედვით, სახელმწიფო ჩამოყალიბდა მიწაზე, მამულზე საკუთრების უფლების წყალობით. პატრიმონიული თეორია შექმნა და ჩამოაყალიბა შვეიცარიელმა მეცნიერმა გალერმა. „მისი მოძღვრების ძირითადი მიზანი იყო, პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ პატრიმონიული შეხედულებებით დაეცვა შუასაუკუნეობრივი წესები, რომელთა მიხედვით მემამულე ამავე დროს მეფე იყო თავის კუთვნილ მიწაზე: ამ თეორიის მიმდევრებს სახელმწიფო გამოყვანილი ჰყავთ მონარქის კერძო საკუთრებად. ისინი არ ითვალისწინებენ სახელმწიფოს ნიშნებს, თვისებებს, სპეციფიკურობას და ა.შ.“[47]

ფსიქოლოგიური თეორიის ფუძემდებელი იყო რუსეთში დაბადებული პოლონური წარმოშობის მოაზროვნე ლ. პეტრაჟიცკი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებისა და სამართლებრივი ნორმების წარმოშობას უკავშირებდა ადამიანთა ფსიქიკაში მომხდარ მოვლენებს. სახელმწიფოს წარმოშობის ფსიქოლოგიური თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რაც მოკლებული იყო მეცნიერულ დამაჯერებლობას და დიდი გასაქანი ვერ ჰპოვა, თუმცა მას მიმდევრები მაინც გაუჩნდა გ. ტარდის, ზ. ფროიდის და სხვათა სახით.

ორგანული თეორიის მიმდევრები, რომლებიც XIX საუკუნეში გამოჩნდნენ, ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო ძალიან წააგავს ადამიანის ცოცხალ ორგანიზმს. ისევე როგორც ადამიანის ცალკეული ორგანოები ასრულებენ კონკრეტულ ფუნქციებს, ასევე სახელმწიფო და მისი სტრუქტურები ერთიანად წარმოადგენენ სახელმწიფოს მთლიან ორგანიზმს. ამ თეორიის ერთ-ერთი დამაარსებლის, ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ჰ. სპენსერის აზრით, სახელმწიფოს ნება კანონებში გამოიხატება, ხოლო ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფოს ტვინს. მუშები და გლეხები წარმოადგენენ ქვედა და ზედა კიდურებს. მოძრაობა კი კავშირშია ნერვულ სისტემასთან.[48] მსგავსი მოძღვრებები სათავეს იღებდა ჯერ კიდევ ძველბერძნულ ფილოსოფიურ წყაროებში გ. სპენსერის ამ თეორიას იზიარებდა შვეიცარიელი იურისტი ბლუნჩლი.

---

[47] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 2000 წ. გვ. 25.

[48] Н. Матузов и А. Малько, Теория государства и права М. 2002г. см. 38-39. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г. стр. 24.

მარქსისტული თეორიისათვის დამახასიათებელია თანმიმდევრული მატერიალისტური მიდგომა. იგი სახელმწიფოს წარმოშობას კერძო საკუთრებას, საზოგადოების კლასებად დაყოფასა და კლასობრივ ანტაგონიზმს უკავშირებს. საკითხის არსს მარქსიზმი ასახავს ფორმულით: „სახელმწიფო არის შეურიგებელი კლასობრივი წანააღმდეგობების შედეგი და გამოვლინება“, ან კიდევ „სახელმწიფო არის პოლიტიკური მანქანა უმცირესობის ხელში უმრავლესობაზე საბატონოდ“.

ალბათ, უნდა გავიზიაროთ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არ არსებობს საფუძველი, კატეგორიულად უარვყოთ სახელმწიფოს წარმოშობაზე კლასების გავლენა, მაგრამ ასევე არ არსებობს საფუძველი, რომ კლასები მისი წარმოქმნის ერთადერთ და პირველად მიზეზად მივიჩნიოთ, რადგანაც წინა პარაგრაფებში დეტალურად იყო ჩამოთვლილი და განხილული ის მიზეზები, რამაც განაპირობა სახელმწიფოს წარმოშობა.

§2. საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალი

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ სახელმწიფოს წარმოშობას წინ უსწრებდა საზოგადოების ჩამოყალიბება, ამ საკითხს ხშირად აშუქებენ თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში, თუმცა იშვიათად თუ შევხვდებით ილია ჭავჭავაძის მიერ ამ პრობლემისადმი გამოთქმულ მოსაზრებას| „ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით, ვერასგზით ვერ მიაღწევს ბედნიერებას. ამიტომ იძულებული იქმნა, თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან – სახელმწიფო“.[49] ამდენად, საზოგადოება და სახელმწიფო, მათი თანაფარდობა არის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი პრობლემა, მაგრამ მიუხედავად მისი უდიდესი მნიშვნელობისა და აქტუალობისა, ნაკლებადაა შესწავლილი. დიდი ხნის მანძილზე მეცნიერული აზროვნება არ ასხვავებდა საზოგადოებას სახელმწიფოსგან. ისინი მხოლოდ კაპიტალისტური ეპოქის დადგომიდან განაცალკევეს (თუმცა თავიდან მხოლოდ ტერმინოლოგიურად). ამ პრობლემით დაინტერესების შემდეგ კი დაიწყეს

[49] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V. გვ. 165.

მათი თანაფარდობის გარკვეული ასპექტების განხილვა.

საზოგადოება სახელმწიფოზე ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა და დიდხანს არსებობდა მის გარეშე. სახელმწიფოს არსებობის ობიექტური აუცილებლობა საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის გართულებასთან (სოციალურ დაყოფასთან), მასში სოციალური ჯგუფების ინტერესების შეუთავსებლობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, სახელმწიფო ჩნდება დრომოჭმული გვაროვნული ორგანიზაციის დაშლის შედეგად, როგორც შეცვლილი და გართულებული საზოგადოების ახალი ფორმა.

მსოფლიო ისტორიის მთელი გამოცდილება ამტკიცებს, რომ რთული სტრუქტურის საზოგადოებისთვის, რომელსაც წინააღმდეგობები ღრღნის, შინაგანად დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აუცილებლად ემუქრება თვითგანადგურება. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო არის სტრუქტურულად რთული საზოგადოების ორგანიზაციული ფორმა, რომელიც გამოდის აქ, როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ფენომენი.

სახელმწიფო მთელი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტია, იგი ასრულებს მრავალ ფუნქციას, რომელიც ამ უკანასკნელის სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს. მისი უმთავრესი დანიშნულებაა სოციალური სფეროს მართვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სახელმწიფო უპირისპირდება დამანგრეველ ძალებს და ამიტომ უნდა წარმოადგენდეს მძლავრ, ორგანიზებულ საშუალებას, რომელსაც მართვისა და იძულების შესაბამისი აპარატი (მექანიზმი) აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო თავისი ღრმა არსით, არის საერთო სოციალური და კონსტრუქციული მოვლენა, რაც მის უდიდეს სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს. პოლიტიკური და კლასობრივი იგი ხდება თანდათანობით, საზოგადოებაში კლასებისა და ანტაგონისტური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად.[50] საზოგადოების კლასებად დაყოფისას წარმოიშობა კლასობრივი ანტაგონიზმი და ეკონომიკურად გაბატონებული კლასი თავის მორჩილების ქვეშ აქცევს სახელმწიფოს, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში ასრულებს გარკვეულ კონსტრუქციულ-სოციალურ ფუნქციებს.

სახელმწიფოს წარმოქმნის მომენტიდან იწყება საზოგადოებასთან მისი

---

[50] რამდენადაც არსებობს მოსაზრება „სახელმწიფო იგივე საგვარეულო წყობილებაა... საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს სახელმწიფო“ (გ. ელინეკი).

ურთიერთობის რთული და წინააღმდეგობრივი ისტორია. როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა და მმართველი სისტემა, სახელმწიფო ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, ძლევს მასში წარმოქმნილ წინააღმდეგობებსა და კრიზისულ სიტუაციებს, ამასთანავე, შეიძლება დესტრუქციული როლიც ითამაშოს, ამაღლდეს საზოგადოებაზე, გაასახელმწიფოს იგი, ანუ, შეაღწიოს ყველა საზოგადოებრივ სფეროში, შებოჭოს, დაასუსტოს და დაშალოს საზოგადოებრივი ორგანიზმი. მაგრამ საერთოდ, მთლიანობაში, სახელმწიფო საზოგადოებასთან ერთად წინ მიილტვის, თანდათანობით უფრო თანამედროვე და ცივილიზებული ხდება, ამასთანავე, ინარჩუნებს გარკვეულ დამოუკიდებლობას საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

სახელმწიფოს და მისი ორგანოების პირობითი დამოუკიდებლობა, ბუნებრივია, აუცილებელი და სოციალურად გამართლებულია. მის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოსა და მისი აპარატის მიზანდასახული და აქტიური ზემოქმედება მთლიანად საზოგადოებაზე, ან მის ცალკეულ საზოგადოებრივ სფეროებზე. „ცნება „სახელმწიფოს პირობითი დამოუკიდებლობა“, მოწოდებულია, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ფორმებისგან განსხვავებით, დაჩრდილოს სახელმწიფოს ფორმების ფუნქციონირებისა და განვითარების თავისებურებები. დასასრულ, ეს ცნება მოწოდებულია, ასახოს სახელმწიფოს აქტივობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში“. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოიხატება მისი უნარით, შეძლოს თავისუფალი არჩევა მმართველობითი და სხვა აქტების მიღების, საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრის გზებისა და მეთოდების არჩევის, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავების დროს.

არსებობს თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის საზღვრები? — სვამს კითხვას პროფ. ვ. კორელსკი, რომელსაც მიაჩნია, რომ ასეთი საზღვრები არსებობს, მაგრამ ისინი პირობითი, მოძრავი და შეფასებადია. ცნობილია, რომ ნებისმიერ საზოგადოებას გააჩნია მრავალრიცხოვანი ობიექტური მოთხოვნილებანი. თუ სახელმწიფოს პოლიტიკა შეესაბამება მათ, მაშინ მისი შედეგები მოწონებული იქნება საზოგადოების მიერ. პირიქით, სახელმწიფომ, რომელიც

ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნებს, შეიძლება ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, გამოიწვიოს კრიზისული სიტუაციები. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო გასცდა თავისი დამოუკიდებლობის ფარგლებს, მისი პოლიტიკა ანტისოციალური ხდება. შესაბამისად, სახელმწიფოს დამოუკიდებლობა წონასწორდება, იზღუდება საზოგადოების მიერ მისი მოღვაწეობის კონტროლით, აგრეთვე, ამ მოღვაწეობის შეფასებით.

ზემოთ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, ეხება სამოქალაქო საზოგადოებას და სამართლებრივ სახელმწიფოს. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც სისტემა, თვითმმართველობის პრინციპით მოქმედი მოქალაქეთა სოციალური, სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანებისა (ინსტიტუტები, სტრუქტურები) და სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება სამართლებრივ საწყისებზე დაყრდნობით კანონის ფარგლებში ფუნქციონირებს, ლოგიკურად და არსებითად უკავშირდებიან ერთმანეთს. სამართლებრივი სახელმწიფო დამოუკიდებელია იმ შემთხვევაში, როცა იგი ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს, საზოგადოება კი სტიმულს აძლევს დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებას და კონტროლს უწევს მის მოღვაწეობას. „ცხადია, რომ საუკეთესოა ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს ისეთი წყობილება, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია წარმატებით მოქმედება და ბედნიერად ცხოვრება“,[51] წერდა თავის დროზე არისტოტელე.

გარკვეული დამოუკიდებლობით ხასიათდება სახელმწიფოს ზემოქმედება საზოგადოებაზე და საზოგადოებისა სახელმწიფოზე. ამ ზემოქმედებაში წამყვანი როლი საზოგადოებას ეკუთვნის.

არადემოკრატიულ, განუვითარებელ საზოგადოებას შეესაბამება, აგრეთვე, განუვითარებელი სახელმწიფო, რომლის მთელი ძალა იძულებითაღმასრულებელ და დამსჯელ ორგანოებშია თავმოყრილი. ხშირად, ასეთი სახელმწიფო იძენს შესაძლებლობას, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნას, აღწევს უსაზღვრო დამოუკიდებლობას, პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების ცენტრი ხდება და მაღლდება საზოგადოებაზე. ყოვლისშემძლე, უკონ-

[51] არისტოტელე, პოლიტიკა, IV ნაწ. 1996 წ. გვ. 68.

ტროლო ძალაუფლება თავს იყრის დიქტატორისა და მისი გარემოცვის, ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ხელში. ასე ყალიბდება ტირანული, დიქტატორული, ხოლო თანამედროვე ეპოქაში—ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოები.

სამოქალაქო საზოგადოებას დემოკრატიული (განვითარებული) სახელმწიფო შეესაბამება, რომელიც მატერიალურ და მორალურ სტიმულებზე და მეთოდებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს საზოგადოების მთლიანობას, საზოგადოებრივი ცხოვრების წესრიგსა და ორგანიზებულობას და რომელშიც სრულად ვითარდებიან კონსტრუქციულ-შემოქმედებითი დაწესებულებები და ორგანოები.

ცივილიზებული სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორგანოების დემოკრატიული წესით ჩამოყალიბებას, ახორციელებს მათი მოღვაწეობის მოქნილ კონტროლს ზედამხედველობის, კანონისა და სამართლის საფუძველზე და, აქედან გამომდინარე, ადამიანის სამსახურში აყენებს სამართლებრივი სახელმწიფოს მთელ შემოქმედებით პოტენციალს.

აღიარებულია, რომ საზოგადოების ზემოქმედება სახელმწიფოზე არის პირდაპირი კავშირი, ხოლო სახელმწიფოსი საზოგადოებაზე—უკუკავშირი. საზოგადოებაზე განვითარებული სახელმწიფოს ზემოქმედების მრავალწახნაგოვანი უკუკავშირი საკვანძო, მაგრამ არასაკმარისად შესწავლილი პრობლემაა, რომელშიც მთავარია თანაფარდობა სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების, შეგნებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ რეგულირებისა და სტიქიურ საბაზო თვითრეგულირებას შორის.

შეგნებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეგულირების შედეგად, გარკვეულწილად იზღუდება სტიქიური საბაზრო თვითრეგულირება. ამის გამო წარმოიქმნა რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა—ვიპოვოთ მეტნაკლებად ოპტიმალური თანაფარდობა მიზანდასახულ რეგულირებასა და საბაზრო თვითრეგულირებას შორის. მაგრამ ეს თანაფარდობა არამც და არამც არ არის მუდმივი და ცვლადია ნებისმიერ დროში, ნებისმიერ ქვეყანაში და მრავალრიცხოვან მიზეზებსა და პირობებზეა დამოკიდებული.

განვიხილოთ, თუ რა როლს თამაშობს სამართალი

საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან მიმართებაში, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი და საზოგადოებისა და სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი. ამ პრობლემასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. თავის დროზე რუდოლფ იერინგი წერდა: „სახელმწიფო პიროვნებას აძლევს გაცილებით მეტს, ვიდრე სამართალი". თომას ჰობსს მიაჩნდა, რომ ვისაც ხელში ძალაუფლება უჭირავს, მას შეუძლია დაცვაც, მაგრამ მასვე შეუძლია მჩაგვრელის როლში გამოსვლაც". აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ორი საპირისპირო პოზიციიდან გვევლინება. ერთი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი და მეორე, როგორც მისი უფლებებისა და თავისუფლებების პოტენციალური დამრღვევი.

თანამედროვე სამართლებრივი კონცეფცია ამოდის იქედან, რომ სამართალი განსაზღვრავს და ზღუდავს სახელმწიფოს ინტერესებს ადამიანისა და მთლიანად, საზოგადოების სასარგებლოდ. ე.ი. სამართალი არის ძალა, რომელსაც შესწევს უნარი, დაიმორჩილოს იგი. სამართალი სახელმწიფოზე მაღლა დგება იმიტომ, რომ სახელმწიფო არ დადგეს საზოგადოებაზე მაღლა. უკანასკნელ პერიოდში იზრდება სამართლის როლი, რადგანაც დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება ამის გარეშე შეუძლებელია.

სამართალი წარმოიშვა საზოგადოების შინაგანად გართულებულ და წინააღმდეგობრივ ურთიერთობათა შედეგად. იგი თავისი ფორმით სუბიექტურია, ხოლო შინაარსობრივად–ობიექტური. სამართალი ადამიანის მიერ შემეცნებული ყოფიერების და ცნობიერების სინამდვილისა და იდეალის წინააღმდეგობის დაძლევის აზრობრივი გამოხატულების იდეალური ფორმაა.[52] სწორედ ეს აძლევს მას საზოგადოებრივ-ყოფით ღირებულებას.

ობიექტურობაა მიზეზი იმისა, რომ გარკვეულ სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება სამართალი და საზოგადოება. ამ ურთიერთქმედებაში წამყვანი როლი ეკუთვნის საზოგადოებას, რომელიც განსაზღვრავს სამართლის შინაარსს და ზრუნავს მის განვითარებაზე, ამიტომ, შეუძლებელია სამართალი მოცემული საზოგადოების მიერ მიღწეულ

[52] ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1993 წ. გვ. 14.

ეკონომიკურ და სულიერ დონეზე მაღლა იდგეს—იგი მასთან ერთად ვითარდება. ამასთანავე, სამართალი ითვისებს ყოველივე ღირებულს ადათწესებისაგან, საზოგადოებაში გაბატონებული მორალისა და რელიგიისაგან, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციისაგან. ამის შემდეგ სამართალი იძენს საკმაო პოტენციას საზოგადოებასთან ურთიერთობაში და გარკვეული ზემოქმედების ძალად იქცევა სახელმწიფოსთან მიმართებაში.

სამართლის დახმარებით საზოგადოებაში მყარდება საჭირო მართლწესრიგი, გადაიჭრება სოციალური კონფლიქტი და უთანხმოებანი. ერთი სიტყვით, სამართალი საზოგადოებას თვითგანადგურებისაგან იცავს.

სამართალს, როგორც სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნებას, მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის განსახიერებას, საზოგადოებაში შემოაქვს ინფორმაცია სიკეთისა და სამართლიანობის შესახებ და მუდმივად ასაზრდოებს მას ჰუმანური ღირებულებებითა და იდეალებით. ამავე დროს, იგი საზოგადოებიდან განდევნის მისთვის უცხო ურთიერთობებსა და ჩვევებს.

სამართალი წარმოადგენს საზოგადოებრივი და პირადი თავისუფლების საზომს. როგორც არ არსებობს მდინარე ნაპირების გარეშე, ასევე არ არსებობს და არც შეიძლება იარსებოს უზომო და უსაზღვრო თავისუფლებამ. ის საზღვრების გარეშე არის თვითნებობა, ყველაფრის დაშვება, ანარქია, ე.ი. თვით თავისუფლების უარყოფა.

სამართლის, სამართლებრივი ნორმების ფარგლებში ადამიანებს, მათ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, შეუძლიათ თავისუფლად იმოქმედონ და მოიქცნენ საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

სამართლებრივი ნორმები ასრულებენ ადამიანების, მათი გაერთიანებების, დიდი და მცირე კოლექტივების განსხვავებული ინტერესების შეთანხმების აუცილებელ და მნიშვნელოვან ფუნქციას, აგრეთვე, წარმოადგენენ შეთანხმებული, კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას.

სამართალი არ ზღუდავს სხვა სოციალური მართვის მექანიზმებს, პირიქით, იგი შედის მნიშვნელოვან ელემენტად საზოგადოების ერთიან ნორმატიულ სისტემაში და ყველაზე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა (სასაქონლო-ფულადი და სხვა) მოწესრიგების საშუალება

ხდება.

შეურიგებელი წინააღმდეგობებით კლასებად დაყოფილ, გახლეჩილ საზოგადოებაში სამართალი მმართველი ოლიგარქიის ნების გამომხატველსა და გამტარებელს წარმოადგენს. ასეთ პირობებში ხუნდება მისი ჰუმანური იდეალები და ღირებულებები, შემდეგ კი თანდათანობით იძენს დესპოტურ და ტირანულ ხასიათს. დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართლისა და სამართლებრივი მოწესრიგების როლი განუსაზღვრელად იზრდება და მთლიანად გამოიყენება მისი ჰუმანურობის პოტენციალი. სამართლისა და სამართლებრივი პროცედურების წყალობით, ხალხის ფართო მასებისათვის მისაწვდომი ხდება მატერიალური და სულიერი სიმდიდრეები, საკუთარი ინტერესებისა და ნების გამოხატვის კანონიერი ფორმები. სამართლებრივი საწყისებით განმსჭვალული საზოგადოება აღწევს წარმატებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში.[53]

---

[53] სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის საკითხისადმი იხ. ა.ი. პერშიცი. პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ., 1986 წ.
გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000 წ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1997 წ.
Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова М 1998 г.
Общая теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1996г.
გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ჟურნ. მაცნე, №4, 1988 წ.

თავი მეექვსე

სახელმწიფოს არსისა და განვითარების კანონზომიერებათა გაგების პრობლემები

§1. სახელმწიფო როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა

უახლოეს იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული სახელმწიფოს წარმოშობის გზების თაობაზე. ვიწრო გაგებით, მას სამი განზომილებით განსაზღვრავენ: 1. გეოგრაფიულით, 2. სოციოლოგიურით, 3. პოლიტიკურ-სამართლებრივი მიდგომებით.

სახელმწიფოს გეოგრაფიული მიდგომა გულისხმობს ტერიტორიული საზღვრების ჩამოყალიბებას, სოციოლოგიურ მიდგომაში მოიაზრება ადამიანთა სპეციფიკური სოციალური ორგანიზაცია, რომელსაც ბევრი რამ აკავშირებს სახელმწიფო აპარატთან და ძალაუფლებასთან.

რაც შეეხება პოლიტიკურ-სამართლებრივ მიდგომას, მასში განიხილება საჯარო-პოლიტიკური ხელისუფლება, რომლის მეშვეობითაც მზადდება, მიიღება და წესრიგდება საზოგადოებრივი ურთიერთობები (იგულისხმება როგორც სამართლებრივი, ისე არასამართლებრივი). ამიტომაც სახელმწიფომცოდნეობაში რთულ პრობლემას წარმოადგენდა სახელმწიფოს არსის განსაზღვრა, მისი ცნების ჩამოყალიბება, რადგანაც საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა როგორც ადამიანთა შეხედულება სახელმწიფოზე, მის როლსა და დანიშნულებაზე, ასევე თავად სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები. ამასთან, არსებობს შემდეგი მიზეზებიც:

ეს ცვლილებები პირდაპირ და უშუალოდ ეხებოდა და ეხება საზოგადოების სხვადასხვა ფენას, კლასს, პოლიტიკურ პარტიასა და მოძრაობას.

სახელმწიფოს აკისრია ყველა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციაზე მეტი ფუნქცია და მოვალეობა, მას ყველაზე მეტი გავლენა აქვს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობაზე.

სახელმწიფო ძალზე რთული და შინაგანად წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა.

წინააღმდეგობრივი საზოგადოების პირმშო–სახელმწიფო, თავადაც წინააღმდეგობრივი ხდება, ასეთივეა მისი საქმიანობა და სოციალური როლი. სახელმწიფო, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა, რომელიც მოწოდებულია, უზრუნველყოს მისი მთლიანობა და მართვადობა, ასრულებს საზოგადოების მოთხოვნილებებით განპირობებულ ფუნქციებს, აქედან გამომდინარე, ემსახურება მის ინტერესებს. თუმცა, კლასობრივ-ანტაგონისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო ასრულებს საერთო-სოციალურ ფუნქციას, თავის საქმიანობას უმორჩილებს ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი კლასის ინტერესებს, მისი კლასობრივი დიქტატურის იარაღი ხდება და მკვეთრად გამოხატულ კლასობრივ ხასიათს იძენს. ყველაზე უფრო მკაფიოდ სწორედ ამით ვლინდება სახელმწიფოს წინააღმდეგობრივი ხასიათი და სოციალური როლი. შემდგომში სამართლებრივი სახელმწიფო ახდენს კლასობრივი საზოგადოების ინტეგრაციას, იძენს სამოქალაქო საზოგადოების ფორმას, მთლიანად გამოხატავს ხალხის ნებას. ის არის მთელი ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკური ორგანიზაცია საერთო ჭონებითა და ინტერესებით. შეუძლებელია სახელმწიფოს გარეშე საზოგადოებრივი პროგრესი, ცივილიზებული საზოგადოების არსებობა და განვითარება.

სახელმწიფოს ისტორია განუყოფელია საზოგადოების ისტორიისაგან. ის მასთან ერთად გადის გრძელ ისტორიულ გზას განუვითარებლიდან განვითარებულისაკენ, ახალ ხასიათსა და თვისებებს იძენს. განუვითარებელ სახელმწიფოში ფართოდ არ იშლება და არ ვითარდება სახელმწიფო ინსტიტუტების მთელი კომპლექსი. არსებითად, იგი დაიყვანება პოლიტიკურ (სახელმწიფო) ხელისუფლებამდე, რომელიც, ძირითადად, იძულების აპარატს ეფუძნება. ცივილიზაციისა და დემოკრატიის გარკვეული დონის მიღწევის შედეგად სახელმწიფო თანდათან ვითარდება: ეკონომიკური და სულიერი ფაქტორების საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყანაში ორგანიზებულობას და ახდენს იმ მთავარის რეალიზებას, რასაც ცივილიზაცია აძლევს ადამიანებს–ხალხის ხელისუფლებას, ეკონომიკურ თავისუფლებას, პიროვნების ავტონომიურ თავისუფლებას. „ყოველთვის და ყველგან, სახელმწიფოს მიზნად ჰქონია, ადვილად დაიცვას და

ადვილად აცხოვროს ის პირები, რომლისგანაც თვითონ შემდგარა".[54] ასეთ სახელმწიფოში ვითარდება ყველა მისი ინსტიტუტი და სტრუქტურა, მჟღავნდება მათი სოციალური პოტენციალი. ამასთან, სახელმწიფოს შეცვლა და გაუმჯობესება თავისთავად არ ხდება–მას სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ადამიანები გარდაქმნიან და შეცვლილ პირობებს უსადაგებენ, ამიტომ არსებობს საფუძველი საიმისოდ, რომ სახელმწიფო განვიხილოთ, როგორც მსოფლიო ისტორიისა და ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა.

ძალზე რთულია სახელმწიფოს ცნების, არსის, მრავალწახნაგოვნების, თვისებებისა და ხასიათის ყოველმხრივი ახსნა, ამ ამოცანის გადაჭრა მხოლოდ სახელმწიფოს კონკრეტულ-ისტორიული შესწავლით, ეკონომიკასთან, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებასთან მისი სხვადასხვაგვარი კავშირების გათვალისწინებით შეიძლება. ამასთან, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული წარსულისა და აწმყოს მეცნიერული მიღწევები.

§2. სახელმწიფოს არსის თანამედროვე გაგება

სახელმწიფოს არსის განსაზღვრის თვალსაზრისთა სხვადასხვაობა უკავშირდება იმ მეთოდოლოგიურ საშუალებათა სხვადასხვაობას, რომლებიც არა მარტო ძირითადი ამოსავალი პრინციპების, არამედ კონკრეტული პრობლემების დასამუშავებლადაც უნდა იქნას გამოყენებული.[55]

მოაზროვნენი ძველი დროიდანვე ცდილობდნენ, გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რა არის სახელმწიფო. ამ პრობლემების ირგვლივ თავის დროზე მოსაზრებები გამოთქვეს ქართველმა იურისტებმა, პროფესორებმა ირ. სურგულაძემ და გ. ნანეიშვილმა.

ირ. სურგულაძემ განავითარა დებულება, რომლის მიხედვით, სახელმწიფო, მთლიანობაში, შედგება ორი „საგნობრივი შინაარსისაგან", რომ სახელმწიფო წარმოადგენს „ორი სხვადასხვა საგნობრივი შინაარსის გაერთიანებას, ე.ი. სამართლის გაერთიანებას იმასთან, რაც სამართალს არ შეიცავს. ეს არის სოციალური მხარე

[54] იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ. 1932 წ. გვ. 35-560.
[55] იხ. ირ. სურგულაძე, დას.ნაშ. გვ. 44.

სახელმწიფოსი.[56]

საპირისპირო მოსაზრება გააჩნდა გ. ნანეიშვილს, იგი წერდა: ვინც აღიარებს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის მეცნიერების საგანი, სამართალი ნორმათა სისტემაა, მან აუცილებლად უნდა ცნოს სახელმწიფო (როგორც მთლიანობა), როგორც სამართლებრივი მსჯელობის მატერია, როგორც სიმბოლო სამართლის ობიექტებისა.[57] თუმცა, ჯერ კიდევ ძველი რომაელი ორატორი, ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე მარკუს ტულიუს ციცერონი სვამდა ამ კითხვას და იქვე პასუხობდა: „განა რა არის სახელმწიფო, თუ არა საერთო მართლწესრიგი.“[58] ციცერონს მრავალი მიმდევარი ჰყავდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში–სამართლის ნორმატივისტული თეორიის ფუძემდებელი ჰ. კელზენი, რუსი ეკონომისტი და ფილოსოფოსი პ. სტრუვე და სხვები. რამდენადმე განსხვავებული პოზიცია ეკავა სამართალმცოდნე ნ. კორკუნოვს. ის ამტკიცებდა, რომ „სახელმწიფო არის თავისუფალი ადამიანების საზოგადოებრივი კავშირი იძულებით დამყარებული მშვიდობიანი წესრიგით, როცა იძულების განსაკუთრებული უფლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს აქვთ მინიჭებული“.[59] ერთი სიტყვით, მრავალი მეცნიერი სახელმწიფოს ახასიათებდა, როგორც მართლწესრიგის (წესრიგის) ორგანიზაციას და ამაში ხედავდა მის არსსა და მთავარ დანიშნულებას, მაგრამ ეს ამ ფენომენის მხოლოდ ერთ–ერთი ნიშანი გახლავთ.

დასავლეთის მეცნიერებაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება, რომ სახელმწიფო არის ადამიანების, მათ მიერ დაკავებული ტერიტორიისა და ძალაუფლების ერთობლიობა (კავშირი). ცნობილი სახელმწიფომცოდნე ლ. დიუგი გამოყოფს სახელმწიფოს ოთხ ელემენტს:[60]

1) ადამიანთა ინდივიდების ერთობლიობა.

2) გარკვეული ტერიტორია.

3) სუვერენული ხელისუფლება.

4) მთავრობა.

---

[56] იქვე, გვ. 12.

[57] გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, გვ. 191.

[58] Цицерон. Диалоги. М. 1966 г.

[59] Коркунов Н. М. Русское государственное право спб 1904 Т с 27-28.

[60] Дюги Д. Конституционное право М. 1908 г. стр. 100-101

გ. შერშენევიჩის აზრით, სახელწოდება „სახელმწიფო“, გულისხმობს გარკვეულ საზღვრებში დამკვიდრებულ და ერთ ხელისუფლებას დამორჩილებულ ადამიანთა კავშირს“.[61]

ეს განსაზღვრება, რომელიც ასახავს სახელმწიფოს ზოგიერთ თვისებას (ნიშანს), სხვადასხვაგვარი განმარტებების საბაბად იქცა. მასზე დაყრდნობით ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოს ქვეყანასთან აიგივებდა, სხვანი–საზოგადოებასთან, მესამენი–იმ ადამიანთა წრესთან, რომელიც ძალაუფლებას ახორციელებს (მთავრობასთან). ს. ალექსეევის აზრით, სახელმწიფოში იგულისხმება ტერიტორია, მოსახლეობა, ხელისუფლება და ორგანიზებული წესრიგი, ხალხი, ქვეყნის მოსახლეობა, ყოველთვის განიხილება სახელმწიფოს სუბსტანციად.

ზემოხსენებულ განმარტებას არ ეთანხმებიან სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის მომხრენი: „სახელმწიფო არის არა გარკვეული სახის ადამიანთა ერთობლიობა,–ამტკიცებდა ფ. კოკოშკინი,––არამედ მათ შორის ურთიერთობა, თანაცხოვრების ფორმა, გარკვეული ფსიქიკური კავშირი“. მაგრამ „თანაცხოვრების ფორმა“, საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა[62]–ესეც მხოლოდ ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა და არა მთლიანად სახელმწიფო.

ამ რთული და ცვალებადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის დეფინიციის გამომუშავების სიძნელეებმა იმ წლებში შვა მოსაზრება, რომ მისი ფორმულირება საერთოდ შეუძლებელია, კერძოდ, მ. ვებერი წერდა: „რა არის სახელმწიფო? შეუძლებელია, სახელმწიფო სოციოლოგიურად განისაზღვროს მისი საქმიანობის შინაარსთა საფუძველზე, რაკი თითქმის არ არსებობს ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც თავის თავზე არ აეღოს პოლიტიკურ კავშირს. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისეთი ამოცანა არსებობს, რომლის შესახებაც შეიძლებოდა თქმულიყო, რომ მისი გადაწყვეტა ყოველ დროს მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლიტიკური კავშირის უფლებაა, რომელსაც დღეს სახელმწიფოს უწოდებენ“.[63]

სახელმწიფოს განსაზღვრა არაერთხელ უცდიათ კ. მარქსს და ფ. ენ-

---

[61] Шершеневич Г. Ф. Общее учение о праве и государстве М, 1991 г. стр. 18. Алексеев С.С. Государство и право. М. 1993 г. стр. 12.

[62] Кокошкин Ф.Ф. Русское государственное право. М., 1908 стр. 3

[63] მაქს ვებერი, „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა,“ თბ., 1994 წ.

გელსს. მათი აზრით, ესაა „ის ფორმა, რომელშიც გაბატონებული კლასის წევრი ინდივიდები ახორციელებენ თავის საერთო ინტერესებს და რომელშიც თავს იყრის მოცემული ეპოქის სამოქალაქო საზოგადოება“. მრავალი წლის შემდეგ ენგელსმა ჩამოაყალიბა მოკლე, მაგრამ, მართლაც, ყველაზე კონფრონტაციული განსაზღვრებანი, რომლის თანახმად, „სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დასათრგუნად“. ან კიდევ, სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოებაში გაბატონებული კლასის ეკონომიკურ მოთხოვნილებათა კონცენტრირებული ფორმით დაცვის პოლიტიკურ ორგანოს. ვ. ლენინმა რამდენადმე შეცვალა ეს განსაზღვრება: „ეს არის პოლიტიკური მანქანა ერთი კლასის ხელში მეორეზე ბატონობის შენარჩუნებისთვის“.

ორივე ფორმულირება ფართოდ იყო გავრცელებული მეცნიერებაშიც და ოფიციალურ პროპაგანდაშიც, მაგრამ მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებშიც წარმოიქმნება მაღალი კლასობრივი დაძაბულობა და პოლიტიკური ბრძოლა საზოგადოებას დანგრევით ემუქრება. სხვაგვარად, ამ განსაზღვრებებს, რომლებიც მიესადაგებიან ტირანულ და დიქტატორულ სახელმწიფოებს, წინა პლანზე გამოაქვთ მათი იძულებითი მხარე და ხელს უშლიან სახელმწიფოში ცივილიზაციის, კულტურის და სოციალური წესრიგის მნიშვნელოვანი ფენომენების დანახვას.

საინტერესოა ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზროვნებაში სახელმწიფოს შესახებ ჩამოყალიბებული დეფინიციები.

ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფოს არ განიხილავდა კლასობრივი ბატონობის იარაღად და, ამდენად, იგი არ მიჯნავდა ერთიმეორისაგან პირველყოფილ და მონათმფლობელურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებს:

ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს მიწისმქონელთა და უმიწოთა ურთიერთდაკავშირებაზე, ე.ი. მორიგებაზე, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად (მაგ. საზოგადოება) სახელმწიფოს წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევს.

არჩილ ჯორჯაძე თვლის, რომ სახელმწიფოს არსებობა შესაძლო გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და როდესაც ტერიტორიასაც ადმინისტრაციული ერთეულის ხასიათი მიეცა.

იგი იძლევა სახელმწიფოს შემდეგნაირ განსაზღვრებას: „სახელმწიფო არ აღმოცენებულა თანაბარუფლებიანი საზოგადოების ნიადაგზე, სახელმწიფომ ამოჰყო თავი იქ, სადაც დაირღვა თანაბრობა, განმტკიცდა უთანასწორობა. სოციალურ ჯგუფთა შორის სახელმწიფო იცნობს მოქალაქეს, ტერიტორიას და საკუთრებას, რომელსაც არ იცნობს გვაროვნული წყობილება.[64]

პროფესორი ოლაფ მუთჰორსტი წერს: სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც სამართლებრივად ახორციელებს სუვერენულ მმართველობას (სახელმწიფო ხელისუფლება), რომელიც მისი მოქალაქეობისაგან მომდინარეობს. იგი ეყრდნობა გეორგ ელინეკის მიერ დაფუძნებულ სამი ელემენტის მოძღვრებას: სახელმწიფო ხელისუფლება, სახელმწიფოს ხალხი, სახელმწიფო ტერიტორია.[65]

თანამედროვე სასწავლო ლიტერატურაში, სახელმწიფო, ჩვეულებრივ, განისაზღვრება, როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ქცევის სავალდებულო წესებს და განსაკუთრებული აპარატის მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს კანონიერებას, საზოგადოებრივ წესრიგს და მთლიანობას. ან კიდევ: სახელმწიფო არის სპეციალური აპარატის მქონე საჯარო ხელისუფლების პოლიტიკურ-ისტორიული ორგანიზაცია, რომელსაც უნარი აქვს, მის მიერვე გამოცემული ნორმატიული აქტები და დირექტივები სავალდებულო ჰყოს მთელი ქვეყნისათვის. მოცემული დეფინიციები ახდენს სახელმწიფოს არსებითი თვისებებისა და ნიშნების სინთეზირებას, მაგრამ მასში სუსტადაა ასახული კავშირი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ამიტომ მიგვაჩნია, რომ უფრო სრულყოფილი იქნება შემდეგი ფორმულირება: **სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს,**

---

[64] გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთ., 1992 წ. გვ. 189-198

[65] ო. მუთჰორსტი. სამართალმცოდნეობის საფუძვლები. თბ. 2020. გვ. 260.

სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის გარანტი.

ამ განსაზღვრებაში აისახება სახელმწიფოს ზოგადი ცნება, მისი ყველა ნიშანი და თვისება, რაც თანამედროვე სახელმწიფოს უფრო მიესადაგება. მასში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო არის მთელი საზოგადოების, ქვეყნის ყველა მოქალაქის პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა. იგი ასრულებს საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციებს, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას, მთლიანობას და სუვერენიტეტს, განაგებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ საქმეებს. ამავე დროს, სახელმწიფო მოწოდებულია, დაამყაროს საიმედო საზოგადოებრივი წესრიგი, უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალური დაცვა.

§3. სახელმწიფოს ნიშნები და მისი მეცნიერული საფუძვლები

იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფოს ნიშნების განხილვას, რადგანაც მათი განსაზღვრის მეშვეობით ადვილი წარმოსადგენი ხდება, ესა თუ ის სახელმწიფო განვითარების რა საფეხურზე იმყოფება. ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს მომენტს, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას ეკუთვნის სახელმწიფო ხელისუფლება, ვისი ინტერესების დასაცავად ახორციელებს მას. ამიტომაც, ამ საკითხზე რამდენიმე თეორია ჩამოყალიბდა. ასე მაგალითად|

ელიტების თეორია.[66] რომელიც გავრცელდა XX საუკუნეში ვ. პარეტოს, გ. მოსკის, ხ. ლასუელის, დ. სარტორის, ტ. დაის და სხვათა ნაშრომების მიხედვით. ხალხის მასებს არა აქვთ უნარი, განახორციელონ ხელისუფლება, მართონ საზოგადოება, სახელმწიფო ხელისუფლება უკონტროლოდ უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოების ზედაფენას, ელიტას, მანამ, სანამ ერთ მმართველ ელიტას მეორე არ შეცვლის.

ელიტების თეორიას ესაზღვრება და დიდად ეხმიანება **ტექნოკრატიუ-**

[66] ა. ტუკვაძე, პოლიტიკური ელიტა, თბ. 1998 წ. გვ. 40.

ლი თეორია,[67] რომელიც XX ს. 20-იანი წლებიდან გავრცელდა ტ. ვებლენის, ვ. პარნხაიმის, გ. საიმონდოს, ი. ზელის და სხვათა გამოკვლევებში. მათი აზრით, ძალაუფლება უნდა ჰქონდეთ, ანუ სახელმწიფო უნდა მართონ პროფესიონალ-მმართველებმა, მენეჯერებმა. მხოლოდ მათ აქვთ საზოგადოების ნამდვილი მოთხოვნილებების განსაზღვრის, მისი განვითარების ოპტიმალური გზების პოვნის უნარი.

ამ თეორიებს აქვთ გარკვეული ღირსებები, მაგრამ ორივე კონცეფცია აშორებს ხელისუფლებას ხალხისაგან.

დემოკრატიული დოქტრინების მიმდევრები გამოდიან იქიდან, რომ ხელისუფლების პირველწყარო და პირველმატარებელი არის ხალხი, ამიტომ სახელმწიფო ხელისუფლება თავისი ბუნებით და არსით უნდა იყოს ჭეშმარიტად სახალხო, ხალხის ინტერესების დამცველი და მათი კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს.

მარქსისტული თეორია ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ეკონომიკურად გაბატონებულ კლასს ეკუთვნის და მისი ინტერესების დასაცავად გამოიყენება. აქედან ჩანს სახელმწიფოს კლასობრივი არსი, როგორც მანქანისა (იარაღისა), რომლის მეშვეობითაც ეკონომიკურად გაბატონებული კლასი პოლიტიკურად გაბატონებული ხდება და ახორციელებს თავის დიქტატურას, ანუ კანონით შეუზღუდავ ძალასა და იძულებაზე დაყრდნობილ ძალაუფლებას.

სახელმწიფოს არსის ახსნა კლასობრივი მიდგომით მეცნიერული საზოგადოებათმცოდნეობის პრობლემაა. იგი აღმოაჩინეს და სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ფართოდაც იყენებდნენ კ. მარქსამდე დიდი ხნით ადრე, მაგრამ ამ მიდგომის უპირობოდ გავრცელება ყველანაირ სახელმწიფოზე, სულ მცირე, თეორიულად მცდარია.

სახელმწიფოს საქმიანობის კლასობრივი ხასიათი, კლასობრივი მიმართულება, მართლაც არის მისი არსებითი მხარე და დასაბამი. მაგრამ კლასობრივი წინააღმდეგობებით განპირობებული სახელმწიფო საქმიანობა გაბატონებულია მხოლოდ არადემოკრატიულ-დიქტატორულ სახელმწიფოებში, რომლებშიც საზოგადოების ერთი ნაწილი ულმობელ ექსპლუა-

---

[67] Общая теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1999 г. стр. 326.

ტაციას უწევს მეორეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, როდესაც წარმოიშობა მწვავე კლასობრივი კონფლიქტები, სახელმწიფო აკავებს კლასების ურთიერთგამანადგურებელ უნაყოფო ბრძოლას, საზოგადოების ნგრევას და ამით იცავს მის მთლიანობას. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს მთელი საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ.

განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო თანდათანობით იქცევა საზოგადოებრივი წინააღმდეგობების დაძლევის ეფექტურ მექანიზმად არა ძალადობისა და ჩახშობის გზით, არამედ საზოგადოებრივი კომპრომისის მიღწევით. ჩვენს დროში თვით სახელმწიფოს არსებობა დაკავშირებულია არა იმდენად კლასებთან და კლასობრივ ბრძოლასთან, რამდენადაც საერთო-სოციალურ მოთხოვნებთან და ინტერესებთან, რაც გულისხმობს სხვადასხვა, მათ შორის, წინააღმდეგობრივი ძალების გონივრულ თანამშრომლობას. ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვე სახელმწიფომ მთლიანად დაკარგა კლასობრიობა, იგი მხოლოდ მეორე პლანზე გადავიდა, უპირატესი კი საერთო-სოციალური მხარე გახდა. ასეთი სახელმწიფო თავის საქმიანობას სოციალური კომპრომისის უზრუნველყოფას, მთელი საზოგადოების საქმეების მართვას ახმარს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიულ[68] სახელმწიფოში უფრო მნიშვნელოვანი ხდება მეორე, საერთო-სოციალური მხარე, ვიდრე პირველი, კლასობრივი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არსის ანალიზი მოითხოვს ორივე საწყისის გათვალისწინებას. ნებისმიერი მათგანის იგნორირებით ამ არსის დახასიათება ცალმხრივია.

სახელმწიფოსა და მის არსზე, საერთო-სოციალურ და კლასობრივ საწყისებთან ერთად, ხშირად დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ფაქტორები. ზოგჯერ, სახელმწიფო ხელისუფლება ვიწრო ჯგუფის, კლასის ან ცალკეული პირების ხელში აღმოჩნდება და მათ ინტერესებს გამოხატავს. ჩვეულებრივ, ასეთი ხელისუფლება ნიღბავს თავის ინტერესებს, მათ საერთო-სოციალურად და საერთო-ეროვნულად ასაღებს, მაგრამ მისი არ-

---

[68] დემოკრატია (ბერძ. დემოკრა(ტია) ორი სიტყვისაგან დემოს – ხალხი და კრატოს – ხელისუფლება, შედგება) ნიშნავს ხალხის ხელისუფლებას, იგი არის სახელმწიფოს ფორმა, რომლის დროსაც ხალხის უმრავლესობა მხარს უჭერს ხელისუფლების მართვის გადაცემას ხალხის ცალკეული წარმომადგენლებისათვის.

სებობის რეგლამენტი ძალზე მცირეა.

სახელმწიფოს ცნება, მისი მახასიათებლების დაკონკრეტება, საბოლოო სახეს იღებს იმ ნიშნებსა და თვისებებში, რომლებიც განასხვავებენ მას, როგორც გვაროვნული წყობის, ასევე არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაგან. სხვაგვარად, სახელმწიფოს ნიშნებისა და თვისებების ანალიზი ხაზს უსვამს მის უნიკალურ თვისებას—იყოს ქვეყნის ორგანიზაციის შეუცვლელი ფორმა და უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტი. ეს ნიშნები და თვისებები შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. **მოსახლეობის ტერიტორიული ორგანიზაცია და ტერიტორიულ საზღვრებში ხელისუფლების განხორციელება.** სახელმწიფომდელ საზოგადოებაში ინდივიდის მიკუთვნება ამა თუ იმ გვარისადმი, განპირობებული იყო სისხლისმიერი ან სავარაუდო ნათესაობით. ამასთან, ხშირად, გვარს არ გააჩნდა მკაცრად განსაზღვრული ტერიტორია და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლებდა. სახელმწიფოებრივ-ორგანიზებულ საზოგადოებაში მნიშვნელობას კარგავს მოსახლეობის სისხლისმიერ ნათესაობითი პრინციპი და იგი ტერიტორიული ორგანიზაციის პრინციპით - იცვლება.

სახელმწიფოს აქვს მკაცრად ლოკალიზებული ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება მისი სუვერენული ძალაუფლება, მასზე მცხოვრები მოსახლეობა კი იქცევა სახელმწიფოს ქვეშევრდომებად ან მოქალაქეებად, ამგვარად წარმოიქმნება სახელმწიფოს სივრცითი საზღვრები, რომელშიც ჩნდება ახალი სამართლებრივი ინსტიტუტი—ქვეშევრდომობა ან მოქალაქეობა.

მოსახლეობის ტერიტორიულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულია არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმოქმნა, არამედ ცალკეული ქვეყნების ჩამოყალიბების დაწყებაც. ამიტომაც, ამ პოზიციიდან ცნებები „სახელმწიფო“ და „ქვეყანა“, ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს.

არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისაგან (პროფკავშირი, პოლიტიკური პარტია) სახელმწიფო განსხვავდება იმით, რომ გამოდის ქვეყნის მთელი მოსახლეობის სახელით და ავრცელებს მასზე თავის ძალაუფლებას.

2. **საჯარო (სახელმწიფო) ხელისუფლება.** საჯარო ეწოდება იმიტომ, რომ

თუმცა არ მოიცავს მთელ საზოგადოებას, მაგრამ გამოდის მისი სახელით, მთელი ხალხის სახელით.

ხელისუფლება არსებობდა სახელმწიფომდელ საზოგადოებაშიც, მაგრამ ეს იყო უშუალოდ საზოგადოებრივი ხელისუფლება, რომელიც გამომდინარეობდა მთელი გვარისაგან და გამოიყენებოდა მის მიერ თვითმმართველობისათვის. იგი არ საჭიროებდა არც მოხელეებს და არც არავითარ აპარატს. საჯარო ხელისუფლების პრინციპული თავისებურება არის ის, რომ იგი ხორციელდება, სახელდობრ, მოხელეებით, ანუ მმართველობის პროფესიული ფენით, რომლითაც კომპლექტდება მმართველობისა და იძულებითი ორგანოები (სახელმწიფო აპარატი), რომლის გარეშე სახელმწიფო ხელისუფლება იქნებოდა მხოლოდ აჩრდილი, წარმოსახვა, ცარიელი აბსტრაქცია.

სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში განსახიერებული საჯარო ხელისუფლება ხდება სახელმწიფო ძალაუფლება, ანუ რეალური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო იძულებას, ძალდატანებას. იძულების რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის შეიარაღებული ადამიანების რაზმებს და სპეციალურ დაწესებულებებს (არმიას, პოლიციას, ციხეს და სხვა).

საჯარო ხელისუფლებასთან დაკავშირებულია **საგადასახადო სისტემა,** რომელიც არის სხვადასხვა სახის გადასახადთა ერთობლიობა, მათი აგებისა და გამოთვლების მეთოდებით, რითაც უზრუნველყოფილი ხდება სახელმწიფო აპარატის შენახვა და სხვადასხვა სოციალური სფეროს დაფინანსება. გადასახადების გარეშე არც ერთ სახელმწიფოს არსებობა არ შეუძლია, კარგად ორგანიზებული და მოქნილი საგადასახადო სისტემა ერთ-ერთი ბერკეტია ქვეყნის ეკონომიკურ სფეროში. უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქვეყანაშიც იხვეწება და ფართოვდება საგადასახადო სისტემა, წესრიგდება მისი სამართლებრივი ფარგლები.

3. სახელმწიფო სუვერენიტეტი. ცნება „სახელმწიფო სუვერენიტეტი“, გაჩნდა შუა საუკუნეების დასასრულს, როდესაც საჭირო გახდა საეკლესიოსაგან სახელმწიფო ხელისუფლების გამოყოფა და მისთვის განსაკუთრებული, მონოპოლიური მნიშვნელობის მინიჭება. ამჟამად, სუვერენიტეტი სახელმწიფოს აუცილებელი ნიშანია. ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია

სუვერენიტეტი, არის ან კოლონია ან დომინიონი.

სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების თვისება (ატრიბუტი), მდგომარეობს მის უზენაესობაში, თავისთავადობასა და დამოუკიდებლობაში.

იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ორ მთავარ ასპექტში განიხილავენ სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხს. ესენია: სახელმწიფო სუვერენიტეტი ქვეყნის შიგნით და სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობებში. არსებობს სახალხო სუვერენიტეტი და ეროვნული სუვერენიტეტი, რომლებიც განსხვავდებიან სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებებისაგან.

სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა ქვეყნის შიგნით ნიშნავს:

ა) უნივერსალურია მისი ხელისუფლებრივი ძალა. იგი ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე, ყველა პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე ვრცელდება.

ბ) პრეროგატიულია (სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია აღკვეთოს სხვა საზოგადოებრივი ძალაუფლების ნებისმიერი გამოვლინება, თუ ეს უკანასკნელი კანონს არღვევს).

გ) აქვს ზემოქმედების ისეთი საშუალებები, როგორიც არ გააჩნია არც ერთ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას (არმია, პოლიცია, ციხე და სხვა).

სახელმწიფო სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განახორციელოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

ა) თანამედროვე საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპის, გაეროს წესდების შესაბამისად–განახორციელოს საგარეო პოლიტიკა და არ დაუშვას თავის საქმეში სხვა სახელმწიფოს ჩარევა.

ბ) სახელმწიფომ (დიდია თუ პატარა) თვითონ გადაწყვიტოს ტერიტორიის დამოუკიდებლობის, უშიშროების, მისი ხელშეუხებლობის და ხალხისათვის სასურველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წესწყობილების დამყარების საკითხი.

სახალხო სუვერენიტეტი ეწოდება ამა თუ იმ ქვეყნის მთელი მოსახლეობის შესაძლებლობას და უფლებას, თვითონ გადაწყვიტოს საკუ-

თარი ცხოვრების და ქვეყნის ბედის საკითხი.

ეროვნული სუვერენიტეტი ნიშნავს ერის თვითგამორკვევის უფლებას, ე.ი. შესაძლებლობას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი მდგომარეობა სხვა ერებთან ურთიერთობაში.

სახელმწიფო ხელისუფლების თავისთავადობა და დამოუკიდებლობა, ნებისმიერი სხვა ძალაუფლებისაგან, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, გამოიხატება მისი განსაკუთრებული, მონოპოლიური უფლებით—თავისუფლად გადაწყვიტოს ყველა საკითხი.

საბჭოთა კავშირსა და სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ხელისუფლება არ იყო არც უზენაესი, არც თავისთავადი, არც დამოუკიდებელი, რადგან მასზე მაღლა პარტიული ძალაუფლება იდგა. სახელმწიფო კი ცხოვრებაში ატარებდა მის (პარტიის) დირექტივებს, იყო მმართველი პარტიის აღმასრულებელი ინსტრუმენტი. ეს ყველაფერი ასუსტებდა სახელმწიფო ხელისუფლებას, რაც საზოგადოების და თვით სახელმწიფოს ღრმა კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

4. **სახელმწიფოს და სამართლის უწყვეტი კავშირი.** სამართალი იურიდიულად აფორმებს სახელმწიფოს, სახელმწიფო ხელისუფლებას და ამით მათ ლეგიტიმურს, ანუ კანონიერს ხდის. სახელმწიფო თავის ფუნქციებს სამართლებრივი ფორმებით ახორციელებს. სამართალი სახელმწიფოს და სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირებას აქცევს კანონიერების ჩარჩოში, უმორჩილებს მათ კონკრეტულ სამართლებრივ რეჟიმს. სამართლისადმი სახელმწიფოს ასეთი დამორჩილების შედეგად ფორმირდება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო.

5. სახელმწიფო სიმბოლოები, რომელიც დამახასიათებელია ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის, ეს სიმბოლოებია: სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება, ჰიმნი, დროშა, გერბი, სახელმწიფო, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო დღესასწაულები.

სახელმწიფო სიმბოლოები, როგორც „პასპორტი" ადამიანებს, ისე განასხვავებს ერთმანეთისაგან სხვადასხვა სახელმწიფოებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე სახელმწიფო ხანგრძლივი ისტორიის პროდუქტი, კაცობრიობის გენიის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილებაა. ის თავის საქმიანობაში არ შეიძლება ეყრდნობოდეს ცდებისა და ექსპერიმენტების მეთოდს. მაშასადამე, მისთვის აუცილებელია საიმედო

მეცნიერული ფუნდამენტი.

სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა, ფუნქციონირება და განვითარება **ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე,** რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს ამ საზოგადოების ეკონომიკურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემას, მასში არსებული საკუთრების ფორმებს, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული საკუთრივ, სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური საფუძველი (ბიუჯეტი). მსოფლიო ისტორია მოწმობს, რომ სახელმწიფოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა და სხვადასხვაგვარად ქმნიდა ეკონომიკას, რაც ფაქტობრივად მის შინაარსს და ტიპობრიობას განაპირობებს.

ადრეული კაპიტალისტური სახელმწიფო ეყრდნობოდა თავისუფალ (სტიქიურ) საბაზრო ეკონომიკას, შეუზღუდავად გაბატონებულ კერძო საკუთრებას. ამ უკანასკნელამდე წარმოიქმნა მწვავე კლასობრივი ბრძოლა, პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლები, სტიქიური ბაზარი, დამანგრეველი კრიზისები. XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივი ზემოქმედებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოწესრიგება ეკონომიკურ სფეროში, რამაც გამოიწვია კარდინალური ცვლილებები, კერძო კაპიტალის გვერდით გაჩნდა და განვითარდა სახელმწიფოებრივი, კოოპერატიული და სააქციო საკუთრება.

სახელმწიფო ფართოდ იყენებდა მართვის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა **დაგეგმვა და ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება,** სიღრმისეული საფინანსო-საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ სახელმწიფომ შეიძინა ახალი ძირითადი ფუნქცია–ანტიკრიზისული პოლიტიკის თვალსაზრისით, ეკონომიკის რეგულირება. სახელმწიფომ ეკონომიკურის პარალელურად, დაიწყო სოციალური ფუნქციის შესრულებაც–საპენსიო კანონმდებლობის მიღება, უმუშევართა დახმარების დაწესება, მინიმალური ხელფასი და ა.შ. სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეგულირების შედეგად საზოგადოებას, ასე ვთქვათ, მეორე სუნთქვა გაეხსნა. ასეთ საზოგადოებას და სახელმწიფოს უსაფუძვლოდ არ უწოდებენ პოსტკაპიტალისტურს.

სხვანაირად იყო საქმე საბჭოთა სახელმწიფოში. ის ეყრდნობოდა გეგმიურ ეკონომიკას, საერთო-სახალხო სახელმწიფო საკუთრებას, რასაც შეუზღუ-

დავად მართავდა, თანდათანობით საერთო-სახალხო საკუთრება საარვისოდ გადაიქცა, შვა მფლანგველობა და უგერგილობა, რამაც, საბოლოო ჯამში, ღრმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ეს გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ კერძო და სახელმწიფო საერთო-სახალხო (საზოგადოებრივი) საკუთრება, თავისი ბუნებით, პოლარულია, თითოეულ მათგანს აქვს ღირსებაც და ნაკლიც. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ოპტიმალურ ეკონომიკურ საფუძვლად გამოდგება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა,[69] რომელიც ეყრდნობა საკუთრებას. მათი უპირატესობა კი თანაბარ პირობებში ურთიერთკონკურენციით მტკიცდება.

სახელმწიფოს სოციალურ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების უდიდესი ნაწილი, რომელიც დაინტერესებულია მისით და აქტიურადაც უჭერს მხარს. სწორედ, მათ ეყრდნობა სახელმწიფო. მაშასადამე, სოციალური ბაზის სიფართოვეზე, საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ძალა და ძლიერება, უნარი, გადაჭრას მის წინაშე მდგარი ამოცანები. ქვეყანა, რომელსაც ვიწრო სოციალური ბაზა აქვს, სოციალურად არამდგრადია, ჩვეულებრივ, ეყრდნობა ძალადობას, ტყუილს. ასეთ სახელმწიფოში შესაძლებელია სხვადასხვაგვარი გადატრიალება. ნებისმიერ სახელმწიფოს და სახელმწიფო ხელისუფლებას აუცილებლად სჭირდება, რომ ხალხს სწამდეს მისი სიძლიერისა და სამართლიანობისა. სახელმწიფო ხელისუფლების პრესტიჟი ეფუძნება მის მიმართ მოსახლეობის ფართო ფენების ნდობას. ხელისუფლების სოციალურ-ფსიქოლოგიური არსი მისი ნდობითა და პატივისცემით განისაზღვრება. სწორედ აქ არის დაფარული ხელისუფლების ის ღრმა საიდუმლო, რომლის შესახებაც წერდა ილია ჭავჭავაძე: „სიმტკიცე სახელმწიფოსი, რაც გინდა დიდი და ძლიერი იყოს, უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის მთელ მოსახლეობას, არა ერთსახეობას და ერთფეროვნებას“.[70]

ხალხის მიერ სახელმწიფოს მხარდაჭერა შეიძლება იყოს შეგნებული და შეუგნებელი. უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ეყრდნობა პოპულიზმის პოლიტიკას, სახელმწიფო მოღვაწეთა დაპირებებით გამოწვეულ მითებსა და

---

[69] ნ. ჯითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1987 წ. გვ. 47-50.

[70] ილია ჭავჭავაძე, თხზულებები, ტ. VIII გვ. 139.

ემოციებს. შეგნებული მხარდაჭერა კი სახელმწიფოს, მისი ორგანოების საქმიანობის ყოველმხრივი შეფასების შედეგია.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა მთელს მსოფლიოში **სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე კონცეფციებმა** სამართლებრივი სახელმწიფოს, ხელისუფლების დანაწილების, სახალხო სუვერენიტეტის და ა.შ. შესახებ. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის თითოეული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და მოქმედება მოითხოვს ღრმა და ყოველმხრივ დამუშავებას, მეცნიერულ ექსპერტიზას, რათა შესაძლო ვარიანტებიდან ყველაზე ოპტიმალური ამოირჩეს. განსაკუთრებით ეს ეხება ქართულ სახელმწიფოებრიობას, რადგანაც ე.წ. აღმშენებლობები, მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტები, განახლებანი, გარდაქმნები არამეცნიერულ საფუძველზე ტარდებოდა და ნეგატიური შედეგებით მთავრდებოდა. თანამედროვე მიდგომით, სახელმწიფოს მასშტაბით ერთიანი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური სივრცის ფორმირებას და შექმნას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. „სახელწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის".[71] არავითარ განვითარებაზე არ შეიძლება ლაპარაკი ისეთ სახელმწიფოში, სადაც თითოეული ტერიტორიული ერთეულის დონეზე თანაბრად არ სრულდება კონსტიტუციური და საერთო საკანონმდებლო მოთხოვნები. თუ მოსახლეობას არ შეუძლია მიიღოს დაწესებული ერთიანი სოციალური სიკეთის მინიმუმი და არ აქვს საშუალება, ერთიანი პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია მოახდინოს, ქვეყნის მასშტაბით ვერ უზრუნველვყოფთ ვერავითარ მდგრადობას, სოციალურ პროგრესს, სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სხვა პარამეტრებით წარმატებებს. რეგიონები საშუალოზე დაბალი მაჩვენებლებით თუ ხასიათდება, მაშინ ქვეყანაში წარმოიქმნება აყვავებული და დეპრესირებული რეგიონები.[72]

ცნობილი რუსი მეცნიერები ვ. ლეკსინი და ა. შვეცოვი, რომლებმაც ამერიკაში იღვაწეს, წერენ, საკმარისია ცოტა განსხვავება უფლება-მოვალეობებსა და დაფინანსებაში, რომ წარმოიშვას პრივილეგირებული და დეპრესიული რეგიონები, ამიტომ სახელმწიფოში ყველა რეგიონი და

[71] საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995. გვ. 16.
[72] ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2019, გვ. 65.

მხარე სამართლებრივად და ეკონომიკურად ერთ სიბრტყეზე უნდა განიხილებოდეს. სხვაგვარად, ეს სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობაა.[73] გამომდინარე აქედან, სახელმწიფოს მეცნიერული საფუძვლის შესაქმნელად დიდი შესაძლებლობები აქვს არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ ყველა სხვა ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებასაც, რომელთა ძირითადი დებულებების გათვალისწინება და გამოყენება აუცილებლობას წარმოადგენს.

§4. გლობალიზაცია და სახელმწიფო

მესამე ათასწლეულს კაცობრიობა ახალი მიღწევებითა და პრობლემებით შეხვდა. დაიწყო კაცობრიობის ინფორმაციული და ტექნიკური პროგრესის არნახული ეპოქა, რამაც გამოიწვია სხვადასხვა სახელმწიფოს ერთმანეთთან დაახლოება, ეს კი ხელს უწყობს მსოფლიოს პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური სისტემების ინტეგრაციას, ანუ გლობალიზაციას.

ბუნებრივია, სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ წარმონაქმნს, ახასიათებს განვითარების ტრადიციული კანონზომიერებანი, მაგრამ წინსვლის მთავარ იმპულსებს წარმოადგენენ დინამიურად განვითარებად საზოგადოებასთან ურთიერთობები.

გლობალიზაციის ცალსახა ცნება დღემდე შემუშავებული არ არის, მაგრამ პირობითად, გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისტორიულ-ობიექტური პროცესი ანუ ინტეგრაცია, ფართო გაგებით, რომელიც რეალობაში მოიცავს პოლიტიკას, ეკონომიკას, სამართალს, იდეოლოგიას, რელიგიას, ზრდის ხალხებს, ერებს და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების მასშტაბებს. თვითონ ტერმინი „გლობალიზაცია," სამეცნიერო მიმოქცევაში XX საუკუნის 80-იანი წლებიდან შემოდის, იგი პირველად გამოიყენა ამერიკელმა ტ. ლევიტმა 1983 წელს.[74]

თეორიულად ცნობილია, რომ სახელმწიფოთა ევოლუციის ერთერთი მთავარი ფაქტორი ცივილიზაციის, როგორც საზოგადოების მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობაა, რაც სახელმწიფოს სრულყოფასა და დემოკრატიის განვითარებას

---

[73] ნ. ლეკსინი, ა. შვეცოვი, „სახელმწიფო და რეგიონები" (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1997 წ. გვ. 31.

[74] ამ პრობლემას ცალკე განვიხილავთ.

ემსახურება, ამასთან, საჭიროა გლობალიზაციის პირობებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა.

თანამედროვე სახელმწიფომ დაიწყო ახალი მაორგანიზებელი და მმართველობითი საქმიანობის განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ-სამართლებრივ და კულტურულ სფეროებზე ახლად შექმნილი დაწესებულებების, ორგანოებისა და საერთაშორისო კორპორაციების მეშვეობით. არც თუ ისე დიდი ხნის წინ პროფ. ს. ალექსეევი წერდა: „შეინიშნება სახელმწიფოს წასვლა ეკონომიკიდან, სამეურნეო ცხოვრებიდან".[75] უკანასკნელი პერიოდის იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრებანი: გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს როლის დაქვეითების თაობაზე,[76] თუმცა სხვადასხვა სფეროს მკვლევარები ამ პრობლემას განსხვავებულ შეფასებას აძლევენ.[77] ასე, რომ ს. ალექსეევის მიერ გამოთქმული ეჭვი რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის და ახლად დაწყებული მსოფლიო ინტეგრაციის პროცესის, აგრეთვე, მსოფლიო ბაზრის შექმნის ზემოქმედებით, სახელმწიფოს ფუნქციებში გაჩნდა ახალი მიმართულება სახელმწიფოების ურთიერთდაახლოების, სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შედეგად.

ასეთი მიდგომები საერთო ტენდენციაა და ჩვენი პლანეტის სახელმწიფოების ევოლუციის მთავარი ხაზია, თუმცა თანამედროვე ეტაპზე ზოგიერთი სახელმწიფოს განვითარება ხშირად ძალზე წინააღმდეგობრივია. ზიგზაგები, უკან მობრუნება, გაუთვალისწინებელი ვარდნა ერთი უკიდურესობიდან მეორეში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება პირად, ჯგუფურ, კლანურ ინტერესებს ემსახურება და ვიწროპარტიულ მიზნებს და ამოცანებს ემორჩილება, ხანდახან ამ განვითარებას ფრიად წინააღმდეგობრივს ხდის, და გლობალიზაციის პროცესში ასეთი ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტი საფრთხის წინაშე შეიძლება დადგეს.

---

[75] Алексеев С.С. Жур. Государство и право, М. 1993 г. с. 12-20.

[76] იხ. Удовин С. Глобализация. Семиотические подходи. М. 2002. В. Колосов, Н. Мироненко. Геополитика и политическая география. М. 2002 г

[77] იხ. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 1998 г. 123-125.

§5. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა

ჰუმანიტარ მკვლევართა შორის გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობის საკითხის ირგვლივ, რამაც საპოლემიკო ხასიათი მიიღო. ამ პრობლემის მიმართ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა სამი საპირისპირო პოზიცია:

სტატიკურ-ტოტალიტარული კონცეფცია გამოდის იქიდან, რომ სახელმწიფო უფრო მაღლაა და მნიშვნელოვანია, ვიდრე სამართალი, რომ იგი ქმნის სამართალს და იყენებს მას თავის პოლიტიკურ ინსტრუმენტად. „სამართალს სახელმწიფო, როგორც საშუალებას, მძიმე იარაღს, იყენებს რაიმე მიზნის მისაღწევად".[78] ეს თეორია ძირითადად ეყრდნობოდა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ გაგებას და სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული.

ლიბერალური კონცეფცია ეფუძნება ბუნებითი სამართლის თეორიას, რომლის თანახმადაც სამართალი სახელმწიფოზე უფრო მნიშვნელოვანია. ეს კონცეფცია ჩვენს საზოგადოებრივ შეგნებაში ბოლო წლებში აქტიურად მკვიდრდება.

პრაგმატისტული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ქმნის სამართალს, მაგრამ მასთანაა დაკავშირებული, იურისტ-მეცნიერთა ნაწილი უფრო ამ კონცეფციას უჭერს მხარს (ვ.ნ. კუდრიავცევი, ნ.ი. მატუზოვი, ა. ვ. მალკო).

ჩვენი აზრით, ამ კონცეფციებს არ გააჩნიათ სერიოზული მეცნიერული დასაბუთება. ისინი არათუ არ აანალიზებენ სადავო პრობლემებს, არამედ, არსებითად, უპირისპირებენ მათ ერთმანეთს. პრაქტიკულად კი სახელმწიფოს და სამართლის დაპირისპირებას აუცილებლად მივყავართ მხოლოდ მათ ურთიერთდასუსტებამდე.

სახელმწიფოს და სამართლის ურთიერთკავშირი საკმაოდ რთულია, ამიტომ მათი თანაფარდობა მხოლოდ ერთიანობის, გან–სხვავების და მრავალმხრივი ურთიერთმოქმედების ანალიზის საფუძველზე უნდა განიხილებოდეს. ესაა მათი „საერთო მოქმედებისა და პასუხისმგებლობის" კონცეფცია.

სახელმწიფო და სამართალი განუყოფელია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური წარმონაქმნები. მათ ერთი სოციალურ-ეკონო-

---

[78] ირ. სურგულაძე, დას. ნაშრ. გვ. 24.

მიკური საფუძველი აქვთ, თითქმის ერთნაირი ბედ-იღბლისანი არიან, არ შეუძლიათ ერთმანეთის გარეშე არსებობა და განვითარება. ამასთან, სახელმწიფო და სამართალი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტრუქტურით, ფუნქციონირების წესით და ა.შ. თუ სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება შედგება ორგანოებისა და დაწესებულებებისაგან, რომლებშიც ადამიანები მუშაობენ, სამართლის ცენტრალურ ნაწილს, „ბირთვს" წარმოადგენენ ნორმები, რომლებიც სამართლებრივ დარგებსა და ინსტიტუტებში ერთიანდებიან. სახელმწიფო შედის საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, როგორც მისი ღერძული ელემენტი, სამართალი–ნორმატიულ სისტემაში. მათი თანაფარდობა მართლაც ყველაზე მთავარი ასპექტია, რომელსაც ზედმიწევნით მეცნიერული დამუშავება სჭირდება, არის სახელმწიფოს ზემოქმედება სამართალზე და სამართლის გავლენა სახელმწიფოზე. ხაზს ვუსვამთ, რომ სახელმწიფოსა და სამართალს მხოლოდ აქტიური ურთიერთქმედების შედეგად შეუძლიათ სრულფასოვანი და ეფექტური ფუნქციონირება, სოციალური ღირებულების შეძენა.

თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს სამართალზე ზემოქმედების ძირითადი სფეროებია სამართალშემოქმედება და, განსაკუთრებით, სამართლის რეალიზაცია. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს სამართალშემოქმედებაში, მაგრამ არ შეიძლება აბსოლუტური იყოს მისი როლი ამ პროცესში, სწორედ ასეთ აბსოლუტიზაციაშია იურიდიული პოზიტივიზმის ძირითადი ნაკლი.

სახელმწიფო მარტო არ გამოდის სამართლის შექმნის ინიციატორად, ის იურიდიულად აფორმებს და ამკვიდრებს მხოლოდ იმას, რაც ობიექტური მოთხოვნების სახით უკვე მომწიფდა საზოგადოებაში–საზოგადოებრივ, სამართლებრივ და ზნეობრივ იდეალებს და სხვა ზოგად ცნებებს. სახელმწიფო სამართალს ანიჭებს მნიშვნელოვან თვისებებს–ფორმალურ განსაზღვრულობას, საყოველთაო სავალდებულებას. „სამართალი, რომლის ფესვები ადამიანის საზოგადოებრივ არსებობაში დევს, (Existenz) არასოდეს არ შეიძლება იქნეს ახსნილი იმ თვისებებზე მითითებით, რომლებიც მხოლოდ ინდივიდუალური

ცხოვრების დახურულ წრეში არსებობს".[79]

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სამართლის რეალიზაციის, მისი ცხოვრებაში გატარების საქმეში. უმოქმედო, არარეალიზებადი სამართალი ხომ მკვდარია. მართლაც, რა მნიშვნელობა ექნებოდა, ვთქვათ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის ნორმებს სამართალდამცავი ორგანოების გარეშე. სამართლის უკან ყოველთვის სახელმწიფოს ავტორიტეტი და რეალური ძალა დგას. ამასთან, თვითონ სახელმწიფო მკაცრად უნდა იცავდეს სამართლებრივ მოთხოვნებს, ხოლო სამართლის რეალიზაციაში შესაძლებელი და აუცილებელიცაა მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობა.

მაშასადამე, სამართალი სახელმწიფოს მხარდაჭერის და ზემოქმედების გარეშე ვერ იარსებებს, მაგრამ თვით სახელმწიფოს ობიექტურად ესაჭიროება სამართალი. სხვა სიტყვებით, მათ შორის მტკიცე ფუნქციონალური ურთიერთობა ყალიბდება.

სამართალი იურიდიულად აფორმებს სახელმწიფოს, აწესრიგებს მისი ფუნქციონირების ყველა ძირითად მხარეს და ამით ლეგიტიმურობას ანიჭებს სახელმწიფოს და მის საქმიანობას. სამართალი ახდენს სახელმწიფო ორგანოების ფორმირების რეგლამენტირებას, ამკვიდრებს მათ კომპეტენციას, აწესრიგებს მათ ურთიერდამოკიდებულებას და უმორჩილებს სახელმწიფოს საქმიანობას. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მუშაობაში, მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში, ის აწესებს გარკვეულ სამართლებრივ რეჟიმს, სახელმწიფოს ჩარევის ზღვარს და ა.შ. სამართლის დახმარებით განისაზღვრება სახელმწიფო იძულების ფორმა და ზომა, რის შედეგადაც იგი სამართლებრივი და კონტროლირებადი ხდება. სამართალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ სამართლის ყველა სუბიექტთან, მთლიანად მსოფლიო საზოგადოებასთან, იურიდიული ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.[80]

---

[79] ირ. სურგულაძე, დას. ნაშრ. გვ. 24.

[80] სახელმწიფოს არსის და მისი განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. იხ.გ. ინწკირველი სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000 წ., გ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1997 წ. ე. კოდუა, სოციოლოგიის ისტორია, წ. I-II, თბ. 1996. გ. აბესაძე, პოლიტიკური სოციალიზაცია, თბ. 1996 წ. ვ. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია თბ., 1996 წ. Тсория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 1998

თავი მეშვიდე

სახელმწიფო ხელისუფლება

§1 სახელმწიფო ხელისუფლების ცნება და თვისებები

მიუხედავად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა, სახელმწიფო ხელისუფლება სოციალური ხელისუფლების ნაირსახეობაა. ამასთან, მას მრავალი თვისობრივი თავისებურება გააჩნია. მათგან უმნიშვნელოვანესი მის პოლიტიკურ და ნორმატიულ ბუნებაში მდგომარეობს. გ. ნანეიშვილის აზრით, ხელისუფლება კარგავს აზრს, თუ მას ჩამოვაცილებთ ნორმატიულ სამოსელს, გამოვყოფთ იმ ატმოსფეროსაგან, რომელიც მთლიანად ნორმატიული შინაარსითაა გაჟღენთილი.[81] მეცნიერულ და სასწავლო ლიტერატურაში ტერმინებს „სახელმწიფო ხელისუფლება" და „პოლიტიკური ძალაუფლება", ერთმანეთთან აიგივებენ. ასეთი მიდგომა საკამათოა, მაგრამ დასაშვები. ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლება ყოველთვის პოლიტიკური მოვლენაა და თავიდან შეიცავს ძალაუფლების ელემენტს. თუმცა, არსებობს შეხედულება, სადაც „ხელისუფლება" გაიგივებულია „სოციალურ ყოფიერებასთან" („შეინ"), რომელიც უპირისპირდება სამართალს.[82] ამ მოსაზრების კრიტიკაში (ირ. სურგულაძის წინასიტყვაობაში) სრულიად ვეთანხმებით პროფ. ო. გამყრელიძეს, რომელსაც მიაჩნია, რომ „ხელისუფლება სამართლებრივი ფენომენია და ის მთლიანად უნდა იყოს მოცემული სახელმწიფო სამართლის მეცნიერების შესწავლილი „საგნობრივი შინაარსით" ანუ სახელმწიფოს სამართლებრივი ყოფიერებით".[83]

მარქსიზმის ფუძემდებლები სახელმწიფო (პოლიტიკურ) ხელისუფლებას ახასიათებდნენ, როგორც „ერთი კლასის ორგანიზებულ ძალადობას მეორის დასათრგუნად". კლასობრივ-ანტაგონისტური საზოგა-

---

Общая Теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1998 г., Хропанюк В. Н. Теория государства и права М. 1999 г.

[81] გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, თბ. 1929, გვ. 46.

[82] ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის წინასიტყვაობით, თბ., 2002 წ. გვ. 13.

[83] ირ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 13..

დოების ასეთი დახასიათება ზოგადად სწორია, მაგრამ დაუშვებელია ნებისმიერი ხელისუფლების, მით უმეტეს, დემოკრატიულის, დაყვანა „ორგანიზებულ ძალადობამდე“. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება წარმოდგენა, რომ სახელმწიფო ყოველგვარი შემოქმედების ბუნებრივი მტერია. აქედან გარდუვლად გამომდინარეობს ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლების ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეთა მიმართ. აქვე ჩნდება არცთუ უწყინარი მითი იმის შესახებ, რომ ყოველგვარი ხელისუფლება არის ბოროტება, რომელსაც საზოგადოება იძულებით ითმენს გარკვეული დროის განმავლობაში.

მეცნიერულ საფუძველზე ფუნქციონირებადი, ჰეშმარიტად სახალხო ხელისუფლება არის უდიდესი შემოქმედი ძალა, რომელიც ფლობს რეალურ შესაძლებლობას, მართოს ადამიანების მოქმედება და ქცევა, დაძლიოს სოციალური წინააღმდეგობები, შეათანხმოს ინდივიდუალური ან ჯგუფური ინტერესები, დარწმუნების, სტიმულირების, იძულების მეთოდებით დაუმორჩილოს ისინი ერთიან, ძალაუფლებრივ ნებას.

სახელმწიფო ხელისუფლების თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ, ჩვეულებრივ, მისი სუბიექტი და ობიექტი არ თანხვდება ერთმანეთს, უფრო ხშირად ძალაუფლების მქონენი (ხელისუფალნი) და ხელქვეითნი მკაფიოდ არიან გამიჯნულნი. საზოგადოებაში, სადაც კლასობრივი ანტაგონიზმია, ძალაუფლების მქონე (ხელისუფალ) სუბიექტად გვევლინება ეკონომიკურად დაწინაურებული სოციალური ფენა, ხელქვეითად–ცალკეული პირები, სოციალური, ეროვნული ერთობები. დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩნდება ძალაუფლების სუბიექტის და ობიექტის დაახლოების ტენდენცია, რასაც ისინი ნაწილობრივ თანხვედრამდე მიჰყავს. ამ თანხვედრის დიალექტიკა ასეთია: თითოეული მოქალაქე არ არის მხოლოდ ხელქვეითი. როგორც დემოკრატიული საზოგადოების წევრს, მას შეუძლია იყოს ხელისუფლების პირველმატარებელი და წყარო, აქვს უფლება და მართლა აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ხელისუფლების არჩევითი (წარმომადგენლობითი) ორგანოების ფორმირებაში, წამოაყენოს კანდიდატურები და აირჩიოს ეს ორგანოები, აკონტროლოს მათი საქმიანობა, იყოს მათი დათხოვნის, რეფორმირების ინიციატორი. მოქალაქის უფლება და მოვალეობაა, უშუალო დემოკრატიის ყველა ფორმის

მეშვეობით, მონაწილეობდეს სახელმწიფო, რეგიონულ და სხვა გადაწყვეტილებათა მიღებაში. ერთი სიტყვით, დემოკრატიული რეჟიმის დროს არ არიან და არც უნდა იყვნენ მხოლოდ ძალაუფლების მქონენი ხელისუფალნი და მხოლოდ ხელქვეითნი. თვით სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები და უმაღლესი თანამდებობის პირნიც კი ხდებიან ერთდროულად ძალაუფლების ობიექტები და სუბიექტები – მათზე მაღლა ხალხის უზენაესი ძალაუფლება დგას. ამასთან, არც დემოკრატიულად სახელმწიფოებრივ-ორგანიზებულ საზოგადოებაში არის სუბიექტის და ობიექტის სრული თანხვედრა. თუ დემოკრატიული განვითარება მიგვიყვანს ასეთ სრულ თანხვედრამდე, მაშინ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება დაჰკარგავს პოლიტიკურ ხასიათს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გადაიქცევა უშუალოდ საზოგადოებრივ ხელისუფლებად.

სახელმწიფო ხელისუფლება რეალიზდება სახელმწიფო მმართველობის მეშვეობით, მისი ორგანოების მიზანმიმართული ზემოქმედებით მთლიანად საზოგადოებაზე, მის ამა თუ იმ ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ სფეროზე შემეცნებული ობიექტური კანონების საფუძველზე.

სახელმწიფო ხელისუფლების კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება არის ის, რომ იგი მჟღავნდება იმ სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში, რომლებიც ამ ძალაუფლების მექანიზმს,–აპარატს წარმოქმნის. მას იმიტომაც ჰქვია სახელმწიფოებრივი, რომ პრაქტიკულად ხორციელდება და მოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო მექანიზმის საშუალებით. როგორც ჩანს, სახელმწიფო ხელისუფლებას სწორედ ამიტომ აიგივებენ ხშირად სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებთან. მეცნიერული თვალსაზრისით, ასეთი გაიგივება დაუშვებელია. ჯერ ერთი, სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზება შეუძლია თვითონ ძალაუფლების მქონე სუბიექტს. მაგალითად, ხალხი რეფერენდუმის და დემოკრატიის სხვა უშუალო პირდაპირი ინსტიტუტების მეშვეობით იღებს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო გადაწყვეტილებებს. მეორე, პოლიტიკური ძალაუფლება დასაბამიდან ეკუთვნის არა სახელმწიფოს, არა მის ორგანოებს, არამედ ან ელიტას, ან კლასს, ან ხალხს. ძალაუფლების მქონე სუბიექტი კი არ გადასცემს სახელმწიფო ორგანოებს თავის ძალაუფლებას, არამედ რაიმე ვადით ანიჭებს მათ სახელისუფლებო უფლებამოსილებას.

შესაძლოა, სახელმწიფო ხელისუფლება იყოს სუსტი ან ძლიერი, მაგრამ თუ იგი არ ფლობს ორგანიზებულ ძალას, ჰკარგავს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების თვისებას, რადგან აღარ აქვს უნარი, ცხოვრებაში გაატაროს ძალაუფლების მქონე სუბიექტის ნება, უზრუნველყოს კანონიერება და მართლწესრიგი საზოგადოებაში. „ქართულ შემეცნებაში არსებობს უძველესი ტერმინი „ხელისუფლება“, მაგრამ ქართველმა კაცმა, ქართულმა გენიამ, ერთმანეთისაგან განასხვავა „ხელისუფლება“ და „ძალაუფლება“. ხელისუფლება და ძალაუფლება ერთ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოებრიობის კრახი ან სამოქალაქო ომი თუ კრიმინალური ანარქია გარდუვალია“. ხელისუფლება უნდა ემსახურებოდეს ხალხს და იყენებდეს ყველა ფორმასა და მეთოდს, რომელიც დემოკრატიული აზროვნების და დემოკრატიული თანაცხოვრების ფარგლებში თავსდება.[84] სახელმწიფო ხელისუფლებას უსაფუძვლოდ არ უწოდებენ ძალის ცენტრალიზებულ ორგანიზაციას. თუმცა, ნებისმიერ ხელისუფლებას ესაჭიროება ავტორიტეტის ძალაც: რამდენადაც ღრმად და სრულად გამოხატავს ხელისუფლება ხალხის, საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს, მით უფრო მეტად ემყარება იგი ავტორიტეტის ძალას, მისდამი ნებაყოფლობით და შეგნებულ დამორჩილებას, მაგრამ სანამ არსებობს სახელმწიფო ხელისუფლება, მას აუცილებლად ექნება ძალის საგნობრივ-მატერიალური წყაროები—ადამიანთა შეიარაღებული ორგანიზაციები ანუ ძალოვანი სტრუქტურები: არმია, პოლიცია, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, აგრეთვე პენიტენციური დაწესებულებანი და სხვა იძულებითი საგნობრივი დანამატები. ორგანიზებული ძალა უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების იძულების უნარს, არის მისი გარანტი, მაგრამ მას ძალაუფლების მქონე სუბიექტის გონივრული და ჰუმანური ნება უნდა მართავდეს. თუ შინაგანი პრობლემების გადაჭრის დროს სახელმწიფო ხელისუფლება ეყრდნობა მხოლოდ საგნობრივ-მატერიალურ ძალას, ეს ნიშნავს, რომ იგი არასტაბილური, არამდგრადია და საზოგადოებაში ღრმა ფესვები არ უდგას. მთელი არსებული ძალის გამოყენება, უდავოდ, გამართლებულია გარე აგრესიის მოგერიების ან დამნაშავეობის აღკვეთის დროს.

---

[84] გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994 წ. №194, 1 ნოემბერი, გვ. 2.

საბოლოოდ, სახელმწიფო ხელისუფლების ცნება ვიწრო გაგებით შეიძლება ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ: სახელმწიფო ხელისუფლება არის საჯარო-პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა სახელმწიფოსა და მის მექანიზმში შემავალ სუბიექტებს შორის, რომელიც ეყრდნობა იძულებასა და დარწმუნებას, რითაც უზრუნველყოფს სტაბილურობასა და წესრიგს ქვეყანაში.

§2. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების სამართლებრივი ფორმები და მეთოდები

მეცნიერთა ნაწილი სიტყვა „ხელისუფლებას" იყენებს მხოლოდ სახელმწიფოს სოციალური ყოფიერების არსის აღსანიშნავად ანუ ხელისუფლებასა და სამართალს შორის სოციალური კატეგორიების აზრით.[85] სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს თავისივე სტრუქტურების მეშვეობით და იგი დაკავშირებულია სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმებთან. გამოყოფენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების სამართლებრივ და არასამართლებრივ ფორმებს. სამართლებრივ ფორმებში მოიაზრება ხელისუფლების განხორციელება მკაცრად განსაზღვრული იურიდიული გზებით, რომელიც ჯდება კანონის ფარგლებში, მოქმედებს სამართლებრივი ფორმების კლასიფიკაცია; ხელისუფლების სუბიექტების საკანონმდებლო მოღვაწეობა, სამართალაღსრულება და სამართალდაცვა, რაზედაც უფრო დაწვრილებით შემდგომში გვექნება მსჯელობა. რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების არასამართლებრივ ფორმებს, მოიაზრება ხელისუფლების საორგანიზაციო მოღვაწეობა, რომელიც ასევე კანონის ფარგლებში თავსდება. სახელმწიფო ხელისუფლებაში ფართო გაგებით მოიაზრება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო მოღვაწეობა, ხელისუფლების სამივე შტოს თავის უფლებამოსილებათა განხორციელების საკუთარი მეთოდი გააჩნია. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ზოგად, ტრადიციულ მეთოდებს განეკუთვნება დარწმუნება და იძულება. ეს მეთოდები სახელმწიფო ხელისუფლების ჩასახვისთანავე გაჩნდა და სხვადასხვაგვარად ეხამებიან ერთმანეთს.

დარწმუნება არის იდეურ-ზნეობრივი საშუალებებით აქტიური ზე-

[85] იხ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბ. 2002 წ. გვ. 55.

მოქმედება ადამიანის ნებასა და შეგნებაზე მისი შეხედულებებისა და წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად და ეფუძნება სახელმწიფო ხელისუფლების არსის, მიზნებისა და ფუნქციების ღრმა გაგებას. დარწმუნების მექანიზმი მოიცავს იდეოლოგიური, სოციალურ-ფსიქოლოგიური საშუალებებისა და ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეგნებაზე ზემოქმედების ფორმების ერთობლიობას, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ინდივიდის ან კოლექტივის მიერ გარკვეული სოციალური ღირებულებების შეთვისება და მიღება.

იდეებისა და შეხედულებების რწმენად გარდაქმნა დაკავშირებულია ადამიანის ცნობიერებისა და გრძნობების მოქმედებაზე. იდეები, საზოგადოებრივი ინტერესები და ხელისუფლების მოთხოვნები ერთ რაკურსში უნდა ექცეოდეს და მისი შესრულება თვითშეგნებით უნდა ხდებოდეს.

დარწმუნების მეთოდი ადამიანების ინიციატივის, მათი მოქმედებისა და ქცევის პასუხისმგებლობის გრძნობის სტიმულირებას ახდენს. რწმენასა და ქცევას შორის შუალედური რგოლები არ არსებობს. ცოდნა, იდეები, რომლებიც ხორცშესხმულნი არ არიან ქცევაში, არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ რწმენად. ცოდნიდან რწმენამდე, რწმენიდან პრაქტიკულ მოქმედებამდე – ასე ფუნქციონირებს დარწმუნების მეთოდი. ცივილიზაციის განვითარებასთან, პოლიტიკური კულტურის ამაღლებასთან ერთად, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ამ მეთოდის როლი და მნიშვნელობა კანონზომიერად იზრდება.

სახელმწიფო ხელისუფლებას არსებობა არ შეუძლია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იძულების გარეშე. მისი გამოყენებით ძალაუფლების მჭონე სუბიექტი ხელქვეითებს თავის ნებას უმორჩილებს. სწორედ ამით განსხვავდება სახელმწიფო ხელისუფლება გვაროვნული წყობილების სოციალური ხელისუფლების ავტორიტეტისგან, რომელიც, აგრეთვე, იმორჩილებს, მაგრამ სახელმწიფოებრივ იძულებას არ საჭიროებს.

სახელმწიფოებრივი იძულება არის სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების და თანამდებობის პირთა მიერ მატერიალური ან კანონით გათვალისწინებული ზემოქმედება პიროვნებაზე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რომ აიძულოს იგი, ძალაუფლების მჭონე სუბიექტის ნებით იმოქმედოს.

თავისთავად, სახელმწიფოებრივი იძულება სოციალური ზემოქმედების მწვავე და მკვეთრი საშუალებაა, ის ეფუძნება და გამოხატავს ორგანიზებულ ძალას და ამიტომ უნარი აქვს, უზრუნველყოს ხელისუფლების მქონე სუბიექტის ნების ბატონობა საზოგადოებაში. სახელმწიფოებრივი იძულება ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, ანუ მოაქცევს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ვარიანტის გარდა, არჩევანი არა აქვს. იძულების მეშვეობით იხშობა, მუხრუჭდება სოციალურად გაუმართლებელი ქმედებები, იხსნება წინააღმდეგობა საერთო და ინდივიდუალურ ნებას შორის, ხალისდება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა.

სახელმწიფოებრივი იძულება შეიძლება იყოს სამართლებრივი და არასამართლებრივი. უკანასკნელი შეიძლება თვითნებობად შემობრუნდეს და პიროვნება ყოვლად დაუცველ მდგომარეობაში ჩააყენოს. ასეთი იძულება დამახასიათებელია ანტიდემოკრატიული, რეაქციულ-ტირანული, დესპოტური, ტოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოებისათვის.

სამართლებრივად აღიარებულია სახელმწიფოებრივი იძულება, რომლის ფორმა და ზომა მკაცრად არის განსაზღვრული სამართლებრივი ნორმებით და პროცესუალური ფორმით ხორციელდება. სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი იძულების კანონიერება, საფუძვლიანობა და სამართლიანობა კონტროლირებადია, ის შეიძლება გასაჩივრდეს დამოუკიდებელ სასამართლოში. სახელმწიფოებრივი იძულების სამართლებრივი „გაჯერებულობის“ დონე იმდენად მაღალია, რამდენადაც ის:

ა) ემორჩილება მოცემული სამართლებრივი სისტემის ნორმებს.

ბ) საფუძველშივე ერთიანი, საყოველთაოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

გ) მოქმედებს უფლებების და მოვალეობების მექანიზმის მეშვეობით.

დ) აღჭურვილია განვითარებული პროცესუალური ფორმებით.

რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი იძულების სამართლებრივი ორგანიზაციის დონე, მით უკეთ ასრულებს საზოგადოების განვითარების პოზიტიური ფაქტორის ფუნქციას და ნაკლებად გამოხატავს სახელმწიფო ხელისუფლების მატარებლების თვითნებობას. სამართლებრივ და დემოკრა-

ტიულ სახელმწიფოში სახელმწიფოებრივი იძულება მხოლოდ სამართლებრივი უნდა იყოს.

სახელმწიფოში სამართლებრივი იძულების ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია. ესენია:

გამაფრთხილებელი ზემოქმედების ზომები – დოკუმენტების შემოწმება სამართალდარღვევის აცილების მიზნით, ავარიისა და სტიქიური უბედურებების დროს ტრანსპორტის და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის შეზღუდვა და ა.შ.

თავისუფლების აღკვეთა – ადმინისტრაციული დაკავება, წარმოდგენა, ჩხრეკა და სხვა.

დამცავი მექანიზმი – სასამართლოს მეშვეობით შელახული ღირსების და დარღვეული უფლებების აღდგენა, კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმები,[86] რომლებიც ემსახურებიან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

ასეთია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების სამართლებრივი ფორმები და მეთოდები.

§3. სახელმწიფო ხელისუფლების ზნეობრივ-იდეოლოგიური საფუძვლები

სახელმწიფო ხელისუფლება იმდენადაა მყარი და ძლიერი, რამდენადაც უფრო მტკიცეა მისი სოციალური, იდეოლოგიური და ეკონომიკური საფუძველი. ის ფუნქციონირებს სხვადასხვა წინააღმდეგობრივ, ხშირად შეურიგებელი ინტერესების სოციალურ ჯგუფებად დაყოფილ საზოგადოებაში. ძლიერი, სახელმწიფო ხელისუფლების გარეშე შესაძლოა ინტერესების „გარკვევის“ მოტივებით პოლარულად განსხვავებულმა სოციალურმა ძალებმა საზოგადოება უფსკრულში გადაჩეხონ. მსგავსი წინააღმდეგობების დასაძლევად, საყრდენს სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოებაში ეძებს, ცდილობს, მოიპოვოს თუ მთელი საზოგადოების არა, ამა თუ იმ ფენის ნდობა მაინც. ასეთი ამოცანების გადაჭრა მხოლოდ დემოკრატიულ ხელისუფლებას შეუძლია, რასაც ხელისუფლების სოციალურ

[86] იხ. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 1998 г. стр. 133-134.

ლეგიტიმურობას უწოდებენ. სწორედ ეს არის მისი სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობა, რაც იდეოლოგიასთანაცაა დაკავშირებული. „იდეოლოგია“ წარმოდგება ბერძნული სიტყვებიდან „იდეა“ და „ლოგია“. „იდეა“ ნიშნავს ობიექტურად, რეალურად არსებული მოვლენის აზროვნული ასახვის ფორმას. კანტი იდეას, გონიერების ცნებას, ადამიანთა შემეცნების ხერხს უწოდებს. „ლოგოს“ ცოდნის სისტემას, მოძღვრებას წარმოადგენს. საერთო ჯამში **ეს არის შეხედულებათა და იდეათა სისტემა, რომლითაც შეიცნობა და ფასდება სინამდვილე და ერთმანეთისადმი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება.**

„იდეოლოგია“, როგორც ტერმინი, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოღებულია 1801 წლიდან ფრანგი მეცნიერის დ. ტრასის[87] მიერ, რომელმაც ოთხ ტომად გამოაქვეყნა ნაშრომი „იდეოლოგიის ელემენტები“. ფაქტობრივად ეს იყო მცდელობა, დაეფუძნებია ახალი მეცნიერება–იდეოლოგია. მისი გაგებით, იდეოლოგია არის მოძღვრება იდეების შესახებ, ე. ი. ფილოსოფიური დისციპლინაა.

საქართველოში ერთი საზოგადოებრივი წყობიდან მეორეზე გარდამავალ პერიოდში და მომავალშიც, თუ სწორად გავიგებთ ეროვნული იდეოლოგიის მნიშვნელობას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ძლიერების ერთ-ერთ აუცილებელ ბერკეტს, ბუნებრივია, დავაჩქარებთ მისი ჩამოყალიბების პროცესს, რომელსაც არა მარტო ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაც გააჩნია.

მაინც რა არის ის მთავარი მიმართულებანი, რაც იდეოლოგიის სფეროს განეკუთვნება?

–უპირველეს ყოვლისა, ეს არის დამოკიდებულება ადამიანისადმი, როგორც საზოგადოების უმაღლესი მიზნის მიმართ.

კონცეფციები სახელმწიფოებრივი მოწყობის, ტერიტორიული მთლიანობის, პატრიოტიზმისა და თავდაცვითი სისტემის, ეროვნული სიამაყის–ჯარის რაოდენობა-ხარისხის თაობაზე.

–დამოკიდებულება ადამიანთა, ხალხთა მეგობრობისა და სახელმწიფოთა შორის.

---

[87] დესტიუტ დე ტრასი (1754-1836).

–ქალის როლი და ადგილი პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემაში.

–განათლება, კულტურა და მეცნიერება.

–ეკონომიკური კრიზისის დაძლევის კონცეფცია, მეურნეობრიობა, საბაზრო ურთიერთობები, ხალხის სოციალური ყოფა–ცხოვრების უზრუნველყოფა.

–კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

–დამოკიდებულება რელიგიის, ღმერთის მიმართ, ზნეობრიობა, ურთიერთსიყვარული და მიმტევებლობა.

ეს არის ის არასრული ჩამონათვალი, რომელიც იდეოლოგიის სფეროს წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, ეროვნული იდეოლოგია, უპირველეს ყოვლისა, იდეათა გარკვეული სისტემური ერთობლიობაა, რომელიც გამოხატავს არა რომელიმე სოციალური ჯგუფის, კლასისა თუ პარტიის ინტერესებს, არამედ მთელი ერის ცნობიერებას, რომელიც ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან. ეროვნულობა უნდა ემსახურებოდეს საკაცობრიო იდეალებს. ამის გარეშე ნებისმიერი ერის წინსვლა გამორიცხულია. იგი თვითიზოლირებული იქნება და მოწყდება ყოველგვარ პროგრესულს. ე.ი. დიდი თუ პატარა ერი კაცობრიობის შემადგენელი ნაწილია, ამდენად, ეროვნული სული, იდეოლოგია, ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან.

ცნობილი სოციოლოგები (ნ. სმელზერი, ჰ. ბერგერი, ტ. ლუკმანი და სხვა) აღიარებენ იდეოლოგიის არსებობის აუცილებლობას და მიუთითებენ მის დიდმნიშვნელოვან ფუნქციებზე ამა თუ იმ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში.

დღევანდელი საქართველოს ვითარებისთვის, როცა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების გზაჯვარედინზე დგას და როცა კოსმოპოლიტიზმი და ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები რაღაც დაშტამპულ სტანდარტად აქცევს ყველა ერსა და ქვეყანას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეროვნულ თავისებურებათა წარმოჩენა და დაცვა. ამის მაგალითს იაპონია და იაპონელები გვაძლევენ.[88]

როგორიც უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლება, ის ყოველთვის ისწრაფვის, საზოგადოებას შეუქმნას წარმოდგენა, თითქოს იგი სამაგალი-

[88] იხ. გ. ლობჟანიძე, ასი წლის წინ და ასი წლის შემდეგ, ქუთ. 1997 წ. გვ. 120–151

თოდ ზნეობრივია, მაშინაც კი, თუ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ჩამოყალიბდა ზნეობრივი იდეალები, რომლებისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ხელისუფლება: იგი არსებობს მხოლოდ სიკეთისათვის, რეალიზდება საერთო კეთილდღეობისათვის, ყოველთვის ცდილობს, დაიცვას სამართლიანობა და ა.შ. ამიტომაც, ხელისუფლება, რომლის მიზნები და გამოყენებული საშუალებები ეწინააღმდეგება ზნეობრივ იდეალებს და ფასეულობებს, ამორალურად მიიჩნევა და მოკლებულია ავტორიტეტსა და მხარდაჭერას.

სახელმწიფო ხელისუფლების, მისი სრულფასოვნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ, ეროვნულ ტრადიციებს. როცა ხელისუფლება მათ ეყრდნობა, ისინი ამაგრებენ მას საზოგადოებაში, ხდიან უფრო მტკიცეს და სტაბილურს. შემთხვევითი არ არის, რომ როგორც წარსულის, ასევე თანამედროვე სახელმწიფოები ტრადიციებს, ანუ თავის ისტორიულ, ეროვნულ, სოციალურ-კულტურულ ფესვებს მზრუნველობით ეპყრობიან. ამგვარად, ეკონომიკურად, სოციალურად და ზნეობრივად დეტერმინირებული სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა საზოგადოებაში მიღებულ ტრადიციებსა და ფასეულობებს, ხალხის თვალში ავტორიტეტს და პატივისცემას იმსახურებს. ის იშვიათად იყენებს სახელმწიფოებრივი იძულების მეთოდს თავისი მიზნების მისაღწევად.

სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ ძალდატანებას და იძულებას ეყრდნობა, არამყარი და დღემოკლეა, რადგანაც წარმოშობს მზარდ წინააღმდეგობას საზოგადოებაში. ამიტომ, ის აუცილებლად საჭიროებს იდეოლოგიას, ანუ იდეების სისტემას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალაუფლების მქონე სუბიექტის ინტერესებთან. ხელისუფლება იდეოლოგიის მეშვეობით ხსნის და ამართლებს თავის მიზნებსა და ამოცანებს, მათი მიღწევის, შესრულების მეთოდებსა და საშუალებებს. იდეოლოგია უზრუნველყოფს ხელისუფლების გარკვეულ ავტორიტეტს, ამტკიცებს მისი და ხალხის ინტერესებისა და მიზნების იგივეობას, იმის მიხედვით, თუ რამდენად თანხვდება ხელისუფალთა და ხელქვეითთა ინტერესები და მიზნები, არსებობს პოპულისტური, მითიური და ცრუ სახელმწიფო იდეოლოგია.

არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების იდეოლოგიის ორი მთავარი სახეობა და მრავალი სახესხვაობა. პირველი სახეობა არის რელიგიური იდეოლოგია, რომელიც ეფუძნება რელიგიურ მოძღვრებებს და წარმოდგენებს. ის ისწრაფვის, მისცეს ხელისუფლებას საიდუმლო, მისტიკური, საკრალური ხასიათი, ნერგავს რწმენას მისი წარმოშობის და დანიშნულების ღვთაებრიობის შესახებ. მეორე სახეობაა საერო იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებაში გაბატონებულ თეორიებს, ზნე-ჩვეულებებს ეყრდნობა და გარკვეული, ხშირად უტოპიური იდეალების მიღწევას ისახავს მიზნად. მაგალითად, მითები ნათელი კომუნისტური მომავლის ან ამერიკული ნიმუშის აყვავებული კაპიტალიზმის სწრაფი აშენების შესახებ, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ პერიოდში, საზოგადოების ნაწილში მაინც უზრუნველყოფენ ხელისუფლებისადმი მხარდაჭერას.

განსაკუთრებით საშიშია მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლების და მთელი ქვეყნის იდეოლოგიზაცია ანტიდემოკრატიული, ტოტალიტარული, დიქტატორული რეჟიმის მეშვეობით. ეს ცრუ იდეოლოგია, ჩვეულებრივ, ხოტბას ასხამს ბელადს, დიქტატორს, ამართლებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას და მოქმედებას. ასეთი იდეოლოგიის ზემოქმედების შედეგად იქმნება და მხარდაჭერას პოულობს პიროვნების კულტი – ბრმა, დაუფიქრებელი ქედის მოხრა მითიური სუპერპიროვნების წინაშე, მისი გაღმერთება. კულტის იდეოლოგია უცილობლად აშორებს, წყვეტს ხალხს ხელისუფლებისაგან.

§4. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობა

სიტყვა „ლეგიტიმური“ (Legitimitet) ლათინურიდან მოდის და კანონიერს ნიშნავს. ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება პოლიტიკური ხელისუფლების კანონიერებისა და შესაბამისად, მისი აღიარება, რომ მის ობიექტებს მორჩილების მორალური ვალდებულება აქვთ.[89] იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში იგი XIX საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს ფრანგებმა სახელმწიფო ხელისუფლების დასახასიათებლად. ლეგიტიმურობა ფართო გაგებით მოიაზრება, რო-

[89] ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები. თბ., 2004. გვ. 83

გორც ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც კანონით განსაზღვრული წესით ირჩევს და ღებულობს ამ ხელისუფლებას, აღიარებს მის უფლებას, მართოს სოციალურ-პოლიტიკური პროცესები და მზადაა, დაემორჩილოს მას. გ. ნანეიშვილის აზრით, „ხელისუფლება“ უცილობლად წარმოადგენს ძალას, მაგრამ ყოველგვარი სხვა ძალისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ხელისუფლება სამართლით მოწესრიგებული ძალაა,[90] რაც ფართო გაგებით, მისი ლეგიტიმურობის წყაროსაც წარმოადგენს.

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ხელისუფლების პირველწყაროსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ლეგიტიმურობა. ძალაუფლების პირველწყაროს (ძალაუფლების მქონე სუბიექტის) ლეგიტიმურობა აისახება და იურიდიულად მკვიდრდება ქვეყნის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები გვამცნობს: „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით“. ე.ი. კონსტიტუცია აცხადებს და განსაზღვრავს საქართველოს მრავალეროვან ხალხს სახელმწიფო ძალაუფლების პირველმატარებლად და პირველწყაროდ, რითაც ხაზს უსვამს სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობას.[91]

სახელმწიფო ორგანოები სხვადასხვაგვარად იძენენ ლეგიტიმურობის თვისებას. წარმომადგენლობითი ორგანოები ლეგიტიმურნი ხდებიან კანონით გათვალისწინებული და რეგლამენტირებული არჩევნების საფუძველზე. ეს ორგანოები სახელისუფლებო უფლებამოსილებას უშუალოდ ძალაუფლების პირველწყაროსაგან იღებენ. მმართველობის ორგანოები ლეგიტიმურობას იძენენ საკონკურსო შერჩევით, ყველაზე უფრო ხშირად, მათი დანიშვნით წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

ლეგიტიმური უნდა იყოს, აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოების მიერ

---

[90] გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, გვ. 200

[91] საქართველოს კონსტიტუცია თბ., 1995 წ. გვ. 5.

განხორციელებული სახელისუფლებო უფლებამოსილება, მოქმედების მეთოდები, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი იძულების მეთოდი.

მაქს ვებერმა თავის დროზე ერთმანეთისაგან გამიჯნა ლეგიტიმურობა და ლეგალურობა ანუ კანონიერება, სამართლის ნორმებში განხორციელების, კანონით შემოფარგვლის, კანონიერების ჩარჩოებში ფუნქციონირების უნარი. ლეგალურობა ნიშნავს ხელისუფლების იურიდიულ საფუძვლებს ანუ მის სამართალშესაბამისობას. ლეგიტიმურობა არის ნდობისა და გამართლების ფაქტორი, რომელიც ახასიათებს ხელისუფლების სრულფასოვნებას. ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც იღებს კანონებს, თუნდაც არაპოპულარულს, მაგრამ ქმნის მისი შესრულების გარანტიებს, სარგებლობს საზოგადოების ნდობითა და პატივისცემით, ე.ი. ლეგიტიმურობით. შესაძლოა, საზოგადოებაში არსებობდეს არალეგალური, მაგალითად, მაფიოზურ-დამნაშავეობრივი ხელისუფლება, რომელიც იძულების, ძალდატანების უხეშ ფორმებს იყენებს. ლეგალური ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებულ, დოკუმენტურად დამკვიდრებულ და საზოგადოებისათვის ცნობილ ნორმებს ეყრდნობა, არალეგალური–დაუწერელ, მხოლოდ ადამიანების გარკვეული წრისათვის ცნობილ ქცევის წესებს. ლეგალური ხელისუფლება საზოგადოების სტაბილურობისა და წესრიგის განმტკიცებისაკენ ისწრაფვის, არალეგალური კი ემსგავსება სენს, რომელიც აზიანებს და სპობს საზოგადოების ჯანსაღ უჯრედებს.[92]

სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის პრობლემა დღესაც აქტუალურია, რადგანაც ზოგიერთ შემთხვევაში არჩევნების შედეგად მოსულ ხელისუფლებას ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები და მათი მხარდამჭერი მოსახლეობის ნაწილი არ აღიარებს მის ლეგიტიმურობას და არ თვლიან თავიანთ ხელისუფლებად.

---

[92] სახელმწიფო ხელისუფლების ცნების, განხორციელების მეთოდების, ლეგიტიმურობის პრობლემებზე იხ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1998 წ. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თეზისები, თ.ს.უ. 1927 წ. ვ. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია, თბ., 1996 წ. გ. მკურნალიძე, პოლიტოლოგია, თბ. 1995 წ. Теория Государства и права. под ред. С. Алексеева. М. 1998 г. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г.

თავი მერვე

სახელმწიფოს ფუნქციები

§1. სახელმწიფოს ფუნქციების ცნება, კლასიფიკაცია და ევოლუცია

ფუნქცია (ლათ. function) ნიშნავს შესრულებას, განხორციელებას. ფილოსოფიაში იგი მოიაზრება, როგორც ობიექტთა ორი ჯგუფის კავშირი, რომელშიც ერთის ცვლილება მეორის ცვლილებას იწვევს,[93] რაც შედეგში აისახება. ამიტომაც, პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფო განიხილება მისი ფუნქციონალური საქმიანობის მიხედვით.[94] ასეთი მიდგომა, ჯერ ერთი, გვეხმარება, ღრმად ჩავწვდეთ თვით სახელმწიფოს ცნებას. მეორე, საშუალებას გვაძლევს, მეცნიერულად გავიაზროთ სახელმწიფოს საქმიანობის შინაარსი, მისი მექანიზმის სრულფასოვნება კონკრეტულ ისტორიულ პირობებში. მესამე, როგორ ემსახურება სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრულყოფას, რათა სახელმწიფოებრივი მმართველობა ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის განხორციელდეს.

სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც განსაზღვრულია სოციალური შინაარსით და გამოხატავენ სახელმწიფოს არსს, მიზნებსა და ამოცანებს, რომლებითაც იმართება საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი ფორმებითა და მეთოდებით, არის სახელმწიფოს ფუნქციები.

ეს განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ სახელმწიფოს ფუნქციების არსებითი ნიშნები:

–სახელმწიფოს ფუნქცია არის მისი საქმიანობის არა ნებისმიერი, არამედ ძირითადი მიმართულება, რის გარეშეც მოცემულ ისტორიულ ეტაპზე ან თუნდაც მთელი მისი არსებობის განმავლობაში, სახელმწიფო წარ-

---

[93] ქართული ენციკლოპედია, ტ.10. თბ., 1986 წ. გვ. 425-426.

[94] ხ[\ Теория государства и права под. ред. М. Марченко. М. 1996 г. стр. 80-84., Хропанюк В. Теория государства и права М. 1999 г. стр. 154-164. В. Глушенко Теория государства и права М. 2000 г. стр. 57-64.

მოუდგენელია. ეს არის სახელმწიფოს მტკიცე, ჩამოყალიბებული, საგნობრივი საქმიანობა ამა თუ იმ სფეროში – ეკონომიკაში, პოლიტიკაში, საზოგადოებრივი წესრიგის, ბუნების დაცვაში და ა.შ.

– ფუნქციების მეშვეობით შეიძლება სახელმწიფოს საზოგადოებასთან დამოკიდებულების და მისი მრავალმხრივი კავშირების შეცნობა.

– თავისი ფუნქციების შესრულებით, სახელმწიფო გადაწყვეტს მის წინაშე მდგარ მართვის ამოცანებს, ხოლო მისი საქმიანობა პრაქტიკულ მიმართულებას იძენს.

– სახელმწიფოს ფუნქციები მმართველობის კონკრეტული გამოხატულებაა და ისინი გვიჩვენებენ სახელმწიფო მმართველობის მიზნებს საზოგადოების განვითარების ყოველ ისტორიულ ეტაპზე.

– ფუნქციები გარკვეული (ძირითადად, სამართლებრივი) ფორმით და თავისებური, სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი მეთოდით ხორციელდება.

სახელმწიფოს ფუნქციები თავისი არსით ობიექტურნი არიან. მათ საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთქმედების კანონზომიერებები განაპირობებს. ამიტომაც, სახელმწიფოს მათი შესრულება-არშესრულების არჩევანი არა აქვს. სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შეუსრულებლობა უეჭველად გამოიწვევს საზოგადოების ცხოვრებაში ნეგატიური შედეგების ჯაჭვურ რეაქციას. მაგალითად, თუ სახელმწიფო შეწყვეტს მართლწესრიგის უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულებას, საზოგადოება გახდება დესტაბილური, მოიცავს ანარქია, რომელიც მას ნგრევამდე მიიყვანს.

ამასთან, სახელმწიფოს ფუნქციების ობიექტურობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ადამიანების ნების და ცნობიერების გარეშე ხორციელდება, პირიქით, აქ სუბიექტური ფაქტორის როლი ძალიან დიდია. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს ნაყოფიერად, როდესაც მის წინაშე მდგარი ამოცანები სრულად შეესაბამება საზოგადოების ობიექტურ მოთხოვნებს. მაშასადამე, ჯერ გათვითცნობიერებული უნდა იქნეს საზოგადოების ობიექტური მოთხოვნილებანი და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვროს სახელმწიფოს ფუნქციები და მათი განხორციელების მექანიზმი. ამასთან, ყოველივე ამას უზრუნველყოფს ადამიანების

შეგნებული საქმიანობა. სახელმწიფო ხელისუფლების შეცდომები და ნაკლოვანებები საზოგადოებას სხვადასხვა დონის კრიზისული მოვლენებით უბრუნდება.

სახელმწიფოს ფუნქციები მრავალგვარია, მათი წარმოქმნის და შეცვლის რიგი დამოკიდებულია საზოგადოების წინაშე ევოლუციის პროცესში მდგომი ამოცანების მიმდევრობაზე და მის მიერ დასახულ მიზნებზე. ამოცანა არის ის, რაც გადაჭრას მოითხოვს, ხოლო ფუნქცია ნიშნავს საქმიანობას, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრისაკენ. სხვაგვარად, ამოცანა და ფუნქცია ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, მაგრამ მათი გაიგივება არ შეიძლება. სახელმწიფოში ცალკეულ ისტორიულ პერიოდში პრიორიტეტულად გვევლინება სხვადასხვა ამოცანა და მიზანი, აქედან გამომდინარე, მისი ფუნქციებიც სხვადასხვაა. ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრას ზოგი ფუნქციის შეწყვეტა და მის ადგილზე ახლის წარმოშობა მოჰყვება.

ყოველ სახელმწიფო ფუნქციას თავისი ზემოქმედების ობიექტი და შინაარსი აქვს. ობიექტი არის საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეული სფერო, რომლისკენაც მიმართულია სახელმწიფოებრივი ზემოქმედება. სწორედ, ობიექტი წარმოადგენს სახელმწიფო ფუნქციების გამიჯვნის კრიტერიუმს. ფუნქციის შინაარსი გვიჩვენებს, რას აკეთებს სახელმწიფო, რა მმართველობით ქმედებებს განახორციელებს მოცემულ სფეროში, კონკრეტულად რითაა დაკავებული მისი შესაბამისი ორგანოები.

სახელმწიფოს ფუნქციები აუცილებლად უნდა განვასხვავოთ მისი ცალკეული ორგანოების საქმიანობისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ კონკრეტული სფეროს სოციალურ-მიზნობრივ დანიშნულებას, რომელიც ფუნქციების მეშვეობით ახდენს თავისი კომპეტენციის განხორციელებას. ცალკეული ორგანოებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს ფუნქციები სრულდება ყველა ან მრავალი ორგანოს მიერ. მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ ცალკეული სახელმწიფო ორგანო უპირატეს როლს ასრულებს ამა თუ იმ სახელმწიფო ფუნქციის განხორციელებაში. მაგალითად, ქვეყნის დაცვა გარეშე ძალის თავდასხმისაგან სამხედრო უწყების მთავარი ამოცანაა. ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის

უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა ორგანოების პრეროგატივაა და ა.შ.

კონკრეტული ორგანოს ნებისმიერი საქმიანობა სახელმწიფო ფუნქციებს ემორჩილება, არ შეუძლია, მათ წინააღმდეგობა გაეწიოს, ამიტომ, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების კალაპოტში უნდა მიედინებოდეს.

სხვადასხვა ისტორიული ტიპის სახელმწიფოს ფუნქციები არსებითად განსხვავდება ერთიმეორისაგან, მაგრამ ზოგიერთი საერთო ნიშნის მიხედვით მათი დალაგება მაინც შესაძლებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი არსი. სახელმწიფოს არსი წინააღმდეგობრივია, მას ორი ძირითადი მხარე აქვს – საერთო-სოციალური და კლასობრივი. საერთო-სოციალური საწყისი განპირობებულია მთელი საზოგადოების მოთხოვნილებებით, კლასობრივი – მისი კლასობრივი წინააღმდეგობებით.

უახლოეს წარსულში საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ სახელმწიფოს ყველა ფუნქცია კლასობრივი წინააღმდეგობებიდან გამომდინარეობს, კლასობრივ ხასიათს ატარებს, რომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ზეკლასობრივი, საერთო-სოციალური ფუნქციები. ეს ამახინჯებდა წარმოდგენას საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთქმედების შესახებ. სინამდვილეში, კლასებად დაყოფილი საზოგადოებაც კი ერთიანი, მთლიანი ორგანიზმია, რომელშიც მოწინააღმდეგე კლასები, სოციალური ჯგუფები და ფენები თანაარსებობენ და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას, არ შეუძლია არ ეწეოდეს საერთო-სოციალურ საქმიანობას, არ შეუძლია არ გამოდიოდეს მთელი საზოგადოების, მოსახლეობის ყველა ჯგუფის და ფენის ინტერესების წარმომადგენლად. აღმოსავლურ-დესპოტური მონათმფლობელური სახელმწიფოები ასრულებდნენ ეკონომიკურ ფუნქციას –– ორგანიზებას უკეთებდნენ არხების და ჯებირების მშენებლობას, ჭაობების დაშრობას და სხვა საზოგადოებრივ სამუშაოებს. აგრეთვე, ფეოდალური სახელმწიფოები ცდილობდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებას, ატარებდნენ პროტექციონიზმის პოლიტიკას, ცალ-

კეულ ნაბიჯებს დგამდნენ განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ყველა დასახელებული სახელმწიფო უზრუნველყოფდა მართლწესრიგს, რომლის გარეშე არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა.

ცივილიზაციისა და დემოკრატიის განვითარება ფართოდ უხსნის გზას სახელმწიფოს საერთო-სოციალურ საქმიანობას. ეკონომიკური, სოციალური, დემოკრატიული, მართლწესრიგის დაცვა პრიორიტეტულნი ხდებიან, ფართოვდება სახელმწიფოს საქმიანობა სულიერ სფეროში.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია გლობალური პრობლემები, რომლებიც მწვავედ ეხება საერთო-საკაცობრიო ინტერესებს – ბუნებისა და გარემოს დაცვა მთელ პლანეტაზე, საერთაშორისო დამნაშავეობასთან ბრძოლა, დემოგრაფიული პრობლემები და სხვა. მათ გადასაჭრელად აუცილებელია ყველა სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა, მაშასადამე, შესაბამისი ფუნქციის – მსოფლიო მართლწესრიგის უზრუნველყოფის, საერთაშორისო ეკოლოგიური და ა.შ. განვითარება.

სახელმწიფოს საერთო-სოციალური ფუნქციები უზრუნველყოფენ საზოგადოების შიგნით ურთიერთობათა აუცილებელ სტაბილურობას, მის ერთიანობას და მთლიანობას საერთო-სოციალური მოთხოვნილებების და ინტერესების საფუძველზე. რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს საერთო-სოციალური ფუნქციების ხვედრითი წილი, მით უფრო დიდია მისი როლი საზოგადოებაში, როგორც წინააღმდეგობების დასაძლევი საიმედო ინსტრუმენტისა, როგორც განსხვავებული ინტერესების შეთანხმების და საზოგადოებრივი კომპრომისის მიღწევის საშუალებისა. აქ იძულების, ძალდატანების მეთოდებს ვერ გამოიყენებ, ამიტომაც სახელმწიფომ დემოკრატიულ, ჰუმანურ ინსტიტუტებს და იდეებს (სამართლებრივი სახელმწიფო, საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში სამართლის ბატონობა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, ეროვნული უმცირესობის დაცვა, კანონიერების და მართლწესრიგის იურიდიული გარანტიების დამკვიდრება და ა.შ.) უნდა მიმართოს.

სახელმწიფოსა და ხელისუფლებისადმი ნდობა, მოსახლეობის მხარდაჭერის დონე ანუ ხელისუფლების სოციალური ლეგიტიმურობა, პირდაპირ არის დამოკიდებული სახელმწიფოს ფუნქციების დემოკრატიულ შინაარსზე, მის უნარსა და სურვილზე, თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს მრავალგვარი ინტერესები. სახელმწიფო, რომელიც აშკარად თელავს

ადამიანის უფლებებს, იგნორირებას უკეთებს მის ხელშეუვალ, ბუნებრივ უფლებებს და თავისუფლებას, ახორციელებს მთელი ხალხის ან ცალკეული ეროვნული ჯგუფების დისკრიმინაციას, ხელს უშლის კონტაქტებს ადამიანებსა და სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციებს შორის, არ შეიძლება ცივილიზებულად ჩაითვალოს. მას არ უნდა ჰქონდეს სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური თანამშრომლობის, მსოფლიო საზოგადოებაში მისთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრის იმედი. „სახელმწიფო და სამართალი სიკეთეა და ისინი არსებობენ ადამიანისათვის და არა ადამიანი მათთვის".[95]

მარქსისტული გაგებით, კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც კლასები და სხვა სოციალური ჯგუფები ერთმანეთს უპირისპირდებიან, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური ნიშნით, სადაც კლასთა ძირეული ინტერესები შეურიგებელია, სახელმწიფო ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ძალაუფლების პოლიტიკური ორგანიზაცია ხდება, ემსახურება მის ინტერესებს. აქედან გამომდინარეობს ასეთი სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია –– ჩაახშოს ექსპლუატირებული კლასების ან სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობა, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი მიმართულება აქვს. ამის გარდა, გარკვეულ კლასობრივ შეფერილობას იძენენ მისი სხვა ფუნქციებიც. ნათქვამი ეხება მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოების საწყის ეტაპებს.

მიმართულების მიხედვით, სახელმწიფოს ფუნქციები იყოფა ორად: **საშინაო და საგარეო. საშინაო ფუნქციები** მიმართულია ქვეყნის შინაგანი ამოცანების გადაჭრისაკენ, გვიჩვენებენ მოცემულ საზოგადოებაზე სახელმწიფო ზემოქმედების აქტივობის ხარისხს, **საგარეო** – სხვა სახელმწიფოებთან გარკვეული ურთიერთობების დამყარებისა და განმტკიცებისაკენ. საშინაო და საგარეო ფუნქციები მჭიდროდ უკავშირდებიან, ავსებენ ერთმანეთს.

საშინაო ფუნქციაში შეიძლება გამოიყოს დაცვის ფუნქციების ბლოკი – საკუთრების დაცვის, მართლწესრიგის უზრუნველყოფის, ბუნებისა და გარემოს დაცვის, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სხვა ფუნქციები.

საკუთრების არსებული ფორმების დაცვის ფუნქცია ახასიათებს ყველა

---

[95] ე. შევარდნაძე, „დიდი აბრეშუმის გზა" თბ. 1999 წ. გვ. 29.

სახელმწიფოს, რადგანაც ისინი იცავენ თავიანთ ეკონომიკურ ფუნდამენტს. ამასთან, საზოგადოებაში, სადაც ძირითადი ეკონომიკური პოტენციალი თავს იყრიდა ამა თუ იმ კლასის ხელში, ლაპარაკია ექსპლუატატორულ საზოგადოებაზე, სახელმწიფო საქმიანობა მიმართული იყო მათი საკუთრების დასაცავად, რომლის ხელყოფისთვისაც დასჯის მკაცრი ზომები გამოიყენებოდა. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქმედებს საკუთრების ყველა ფორმის თანაბარი სამართლებრივი დაცვის პრინციპი.

მართლწესრიგის დაცვა არის ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ფუნქცია, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს. დემოკრატიულ სახელმწიფოში პირველ პლანზე წამოწეულია მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რის გარეშეც ჭეშმარიტი მართლწესრიგი შეუძლებელია, ამიტომ, ეს ფუნქცია მოდიფიცირდება მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.

ეკოლოგიური ფუნქცია, მართალია, ახალი მიმართულებაა, მაგრამ დღითიდღე იზრდება მისი როლი და მნიშვნელობა. იგი დაკავშირებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრობლემებთან და საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტითაა განმტკიცებული,[96] რამაც განაპირობა ეკოლოგიური სამართლის ჩამოყალიბება.[97]

საგადასახადო პოლიტიკის გატარების ფუნქცია, გამოიკვეთა როგორც დამოუკიდებელი და ძირითადი მიმართულება. გადასახადების ამოღება სახელმწიფო პოლიტიკის გაგრძელებაა, რადგანაც იგი მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას. შემთხვევითი არ არის, რომ მას წამყვანი ადგილი უკავია ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში და ცალკე დარგად ჩამოყალიბდა საგადასახადო სამართალი, რაც ადასტურებს სახელმწიფოს ფუნქციებში მის დიდ როლსა და დანიშნულებას.

XX ასწლეულის მეორე ნახევარი ხასიათდება იმით, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ერთ-ერთი ძირითადი **ეკონომიკური ფუნქცია გახდა.** ამჟამად სახელმწიფო ერევა ეკონომიკაში, განსაზღვრავს მისი ზრდის ტემპს, ადგენს პროპორციებს მის ცალკეულ დარგებს შორის.

---

[96] საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. გვ. 20.

[97] ვ. ლორია, თ. ურუშაძე, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996 წ.

წარმოიქმნა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი, ანუ სახელმწიფოებრივი საკუთრება და მასზე დაფუძნებული საწარმოების და ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მმართველობა. მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო უმსხვილესი მეწარმეა–მრავალრიცხოვანი სააქციო საზოგადოებები სახელმწიფო საწარმოებს წარმოადგენენ–იგი ასრულებს მსხვილი ბანკირის როლს, რომელიც თავის ხელში უყრის თავს სასესხებო კაპიტალის დიდ მასას. თანამედროვე სახელმწიფოს უნარი აქვს, მთელი ქვეყნის მასშტაბით გააკეთოს ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება და რეგულირება. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული ობიექტების განსახელმწიფოებრიობა გამართლებულად არ უნდა მივიჩნიოთ.

სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციას ანტიკრიზისული მიმართულება აქვს და მიზნად ისახავს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას, რომელიც ითვალისწინებს და ათანხმებს მეწარმეთა და მომხმარებელთა ინტერესებს. სწორედ, ამას ემსახურება კანონმდებლობა კომპანიების, სააქციო საზოგადოებების და სხვა გაერთიანებების შესახებ. ის იცავს მოქალაქეთა–მეანაბრეთა, აქციონერთა, მომხმარებელთა უფლებებს და ინტერესებს, არ უშვებს, რომ ბაზარში მონაწილეობდნენ არაკეთილსინდისიერი კონტრაგენტები. სახელმწიფო ამტკიცებს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, აწარმოებს მრავალი სახეობის ფართო მოხმარების საქონელს, ამ საქონლით ვაჭრობის ლიცენზირებას, მთელი რიგი საქონლის ექსპორტის და იმპორტის კონტროლს, პრიორიტეტული დარგების განვითარების სტიმულირებას და ა.შ. ერთი სიტყვით, ეკონომიკური ფუნქცია განპირობებულია მთელი საზოგადოების განვითარების მოთხოვნებით.

ეკონომიკურთან მჭიდროდ არის დაკავშირებული **სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია**. ის თავისი საქმიანობის მოცულობის მიხედვით შინაარსით მრავალფეროვანი და მასშტაბურია. მისი მთავარი დანიშნულებაა, აიცილოს შესაძლო დაძაბულობა საზოგადოებაში, ეცადოს, გამოასწოროს ადამიანთა სოციალური მდგომარეობა, განავითაროს ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა.

სოციალური ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო ქმნის პენსიების, დახმარებების, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ. ფონდებს, შეიმუ-

შავებს და რეალიზაციას უკეთებს პროგრამებს, რომლებიც სტაბილურს ხდიან მოსახლეობის დასაქმებას და ამცირებენ უმუშევრობას, არეგულირებენ (მეტნაკლებად) ხელფასის ოდენობას და ა.შ.

სახელმწიფოს სოციალური საქმიანობა რეგლამენტირებულია განსაკუთრებული დარგით – სოციალური სამართლით. ამ მხრივ, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, უკვე მრავალი წელია მოქმედებს სოციალური კოდექსი, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი (კოდიფიცირებული) სოციალური შეღავათების, უზრუნველყოფის და დახმარების მრავალფეროვანი ფორმების (ომში დაღუპულების, სამხედრო მოსამსახურეების, ახალგაზრდობის, ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახების და ა.შ.) ნორმები. ყველაფერ ამაში ნათლად ჩანს სახელმწიფოს მიზანი – უზრუნველყოს ადამიანის ღირსეული არსებობა, პიროვნების თავისუფალი განვითარება, ოჯახის დაცვა, სოციალური სამართლიანობა და ა. შ.

თანამედროვე პირობებში იზრდება სახელმწიფოს როლი ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, კულტურის მხარდაჭერასა და განვითარებაში. ამ საქმიანობის სამართავად სახელმწიფო ქმნის და აფინანსებს შესაბამის ორგანიზაციებს და დაწესებულებებს.

სახელმწიფოს საგარეო ფუნქციებად, ტრადიციულად, გვევლინება ქვეყნის დაცვა გარეშე ძალთა თავდასხმისაგან,[98] დიპლომატიური ურთიერთობების უზრუნველყოფა. ჩვენს დროში მსოფლიო ბაზრის ფორმირებასთან დაკავშირებით, გააქტიურდა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა, თანამშრომლობა განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში, ასევე, ურთიერთობანი საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ დარგებში. საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის არეალში ვითარდება კოლექტიური უშიშროება, იქმნება საერთაშორისო სამშვიდობო შეირაღებული ძალები. ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს

[98] მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სხვა ქვეყნებზე აგრესიისა და თავდასხმის პრობლემამ უკანა პლანზე გადაიწია, მაგრამ XX და XXI საუკუნის მიჯნაზე, ყველასათვის მოულოდნელად, სახელმწიფოს ეს არასასურველი და საერთაშორისო სამართლით აკრძალული მოვლენა მართლაც პრობლემად იქცა.

მრავალი სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების ფუნქციას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ძალიან გაიზარდა მეცნიერული კვლევების და ექსპერიმენტული სამუშაოების თანაედროვე მასშტაბები, ამიტომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ტექნიკური პროგრესის სტიმულირების ვალდებულებას, თითქმის მთლიანად იხდის ფუნდამენტური თეორიული გამოკვლევებისათვის საჭირო დანახარჯებს. სწორედ ამან განაპირობა გლობალიზაციასთან დაკავშირებული ახალი მიმართულების წარმოქმნა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ძირითადი მიმართულებისა, გამოყოფენ მუდმივ და დროებით ფუნქციებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს მოქმედების ხანგრძლივობის მოტივი. გარდა ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით ფუნქციების დაყოფას ძირითად და არაძირითად მიმართულებებად. ნებისმიერი სახელმწიფოს პრეროგატივად რჩება, საჭირო შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭოს ამა თუ იმ ფუნქციის თუ ამოცანის შესრულებას, რაც მას ძირითადობის თუ დროებითობის მნიშვნელობას შესძენს.

§2. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტებით, რითაც ფაქტობრივად, დადგენილია მათი უფლებამოსილების ფარგლები და სამართლებრივი სტატუსი, მაგრამ სახელმწიფო თავის ფუნქციებს უნდა ასრულებდეს მისთვის დამახასიათებელი ფორმებით, იყენებდეს თავის საქმიანობაში სხვადასხვა მეთოდს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციის **სამართლებრივი და არასამართლებრივი ფორმა**. სამართლებრივ ფორმებში აისახება სახელმწიფოს და სამართლის კავშირი, სახელმწიფოს ვალდებულება, რომ თავისი ფუნქციების შესრულებისას, სამართლის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში მოქმედებდეს. ამას გარდა, ისინი გვიჩვენებენ, როგორ მუშაობენ და რა იურიდიულ მოქმედებას ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, ჩვეუ-

ლებრივ, გამოყოფენ სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების სამ ფორმას–სამართალშემოქმედებითს, სამართალაღმსრულებელს და სამართალდამცავს.

სამართალშემოქმედებითი საქმიანობა მოიცავს იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მომზადებასა და გამოცემას, რომელთა გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია სხვა სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაცია.

სამართალაღმსრულებელი საქმიანობა განპირობებულია იმით, იქნება თუ არა კანონები და სხვა ნორმატიული აქტები რეალიზებული, ხომ არ დარჩება ისინი კანონმდებლის კეთილ სურვილად. სამართლებრივი ნორმების აღსრულების ძირითადი ტვირთი მხრებზე აწევს მმართველობის, აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებს, რომლებსაც ქვეყნის მთავრობა უდგას სათავეში. ეს არის ყოველდღიური სამუშაო, რათა გადაიჭრას მმართველობითი ხასიათის სხვადასხვაგვარი საკითხები, რომლის შესასრულებლადაც აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები გამოსცემენ შესაბამის აქტებს, აკონტროლებენ აღმასრულებლის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებას და ა.შ.

სამართალდამცავი საქმიანობა, ანუ სახელისუფლო ოპერატიული და სამართალშეფარდებითი საქმიანობა მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების და ა. შ. დასაცავად მოიცავს სამართალდარღვევის აღმკვეთ ზომებს—იურიდიული საქმეების გადაჭრას, იურიდიულ პასუხისგებაში მიცემას და ა. შ.

ჩვენს დროში იზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმის როლი სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში, რასაც საბაზრო ეკონომიკის განვითარება და სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაცია განაპირობებს. ახლა სახელმწიფო ორგანოების სახელმწიფოებრივ-მბრძანებლური გადაწყვეტილებები სულ უფრო მეტად შეეფარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფორმას, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებს და მოქალაქეებს.

არასამართლებრივი ფორმები მოიცავს სახელმწიფო ფუნქციების განხორციელების პროცესის ორგანიზაციულ-მოსამზადებელი სამუშაოს დიდ ნაწილს. ასეთი საქმიანობა აუცილებელიც არის და მართლზომიერიც, მაგრამ ის დაკავშირებული არ არის იურიდიული მნიშვნელობის

მჭონე ისეთ ქმედებასთან, რომელსაც სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. ეს არის საორგანიზაციო-სარეგლამენტაციო, სამეურნეო და იდეოლოგიური საქმიანობა სხვადასხვაგვარი ინფორმაციის მოპოვების, გაფორმების და დამუშავების, მოქალაქეთა წერილების და განცხადებების შესწავლის და ა.შ. მოსამზადებელი სამუშაო.

მეთოდი არის ხერხი და საშუალება, რომელთა გამოყენებით სახელისუფლო ორგანოები ახორციელებენ სახელმწიფო ფუნქციებს. ასეთ მეთოდებად გამოიყენება 1) დარწმუნება, 2) იძულება, 3) რეკომენდაცია, 4) წახალისება. დამცავი ფუნქციების შესასრულებლად სახელმწიფო იყენებს დარწმუნების და იძულების მეთოდებს, დარგების მიხედვით გამოიყენება რეკომენდაცია, წახალისება და სხვა სპეციალური მეთოდები. ასე მაგ: ეკონომიკური ფუნქციის რეალიზაციისათვის აუცილებელია ეკონომიკური მეთოდების მთელი ნაკრები—პროგნოზირება, დაგეგმვა, შეღავათიანი დაკრედიტება და ინვესტირება, სახელმწიფო სუბსიდიები, მომხმარებელთა დაცვა და სხვა.[99]

[99] სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმებსა და მეთოდებზე იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000. ბ. სავანელი, სამართლის თეორია თბ., 1997 წ. ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები, თბ., 1962 წ. Теория Государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова М. 1998 г. Общая теория права и Государства под ред. В. Лазарева. М. 1996 г.

თავი მეცხრე

სახელმწიფო მექანიზმი

§1. სახელმწიფო მექანიზმის ცნება და სტრუქტურა

სახელმწიფო მექანიზმი არის სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებების ერთიანი იერარქიული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო პრაქტიკულად ახორციელებს თავის ამოცანებს, საშინაო და საგარეო ფუნქციებს.

რაც შეეხება სახელმწიფო მექანიზმის შემადგენელ ნაწილებს, გარდა ორგანოებისა და დაწესებულებებისა, მასში იგულისხმება ადამიანთა სპეციალური კატეგორიის საქმიანობა და ის მატერიალური საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ამ რთული სისტემის მოქმედებისათვის.[100]

სახელმწიფო მექანიზმის განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

–ეს არის სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებათა ერთიანი იერარქიული სისტემა. მის ერთიანობას უზრუნველყოფს მათი საქმიანობის ერთიანი პრინციპები, ამოცანები და მიზნები.

–მექანიზმის პირველად სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოები და დაწესებულებები, რომლებშიც სახელმწიფო მოსამსახურეები, მოხელეები მუშაობენ. სახელმწიფო ორგანოები ერთმანეთს უკავშირდებიან სუბორდინაციის და კოორდინაციის საწყისებზე.

–სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო ბრძანებების შესრულების უზრუნველსაყოფად მას აქვს იძულების იარაღი (დაწესებულებები), რომელიც შეესაბამება ყოველი ეპოქის ტექნიკურ დონეს––ადამიანების შეიარაღებული რაზმები და ა.შ. მათ გარეშე არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობა.

–მექანიზმის მეშვეობით, პრაქტიკულად ხორციელდება ხელისუფლება და სრულდება სახელმწიფო ფუნქციები.

სახელმწიფოს ფუნქციებსა და მის მექანიზმს შორის პირდაპირი და ურღვევი კავშირი არსებობს. იმის გამო, რომ მექანიზმი იქმნება სწორედ

---

[100] გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ. 2000 წ. გვ. 41.

ფუნქციების შესასრულებლად, მათ განმსაზღვრელი როლი ეკუთვნით. თუ საზოგადოებაში წინა პლანზე გამოდის კლასობრივი ან ეროვნული წინააღმდეგობიდან გამომდინარე პრობლემები, მაშინ, პირველ რიგში, აუცილებელია სახელმწიფო მექანიზმის ისეთი ელემენტების ამოქმედება, როგორიცაა იძულება, ძალისმიერი უწყებანი და დაწესებულებები.

სასწავლო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, ცნებები სახელმწიფო „მექანიზმი“ და „აპარატი“, ერთმანეთს ცვლიან. ტერმინი „მექანიზმი“, მხოლოდ ხაზს უსვამს აპარატის მთლიანობას, მის მისწრაფებას შედეგიანი საქმიანობისაკენ.

ერთიანი და მთლიანი სახელმწიფო მექანიზმი შემადგენელ ნაწილებად–ორგანოებად, ქვესისტემებად იყოფა. მათ შორის არსებობს საკუთარი იერარქია: სხვადასხვა ორგანო და ქვესისტემები სხვადასხვაგვარ ადგილს იკავებენ და რთულ სუბორდინაციულ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან.

სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურა ცვალებადი და მრავალფეროვანია,[101] მაგრამ მასში ყოველთვის შედიან მმართველობისა და იძულების ორგანოები. ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სახელმწიფოს მექანიზმის ერთი ნაწილი მარტო მმართველობას ეწევა, ხოლო მეორე–მარტო იძულებას. რეალურ ცხოვრებაში მმართველობა და იძულება ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული.

მრავალი საუკუნისა და ათასწლეულის განმავლობაში სახელმწიფო მექანიზმი განუვითარებელი იყო, მისი ორგანოები არ იყოფოდნენ შემადგენლობის და კომპეტენციის მიხედვით, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური სახელმწიფოს განვითარების ადრეულ ეტაპებზეც კი მექანიზმის საფუძველს შეადგენდა სამხედრო უწყება, შინაგან საქმეთა, ფინანსთა და საგარეო უწყებები.

თანამედროვე სახელმწიფოს მექანიზმი ძალიან რთულია, ახასიათებს ორგანოებისა და დაწესებულებების მრავალფეროვნება, იყოფა მსხვილ ქვესისტემებად. მაგალითად, მის ერთ ქვესისტემას (ნაწილს) ქმნის სახელ-

[101] სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურის ცვალებადობა და მრავალფეროვნება განსაკუთრებით დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებისათვის (გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა).

მწიფოს უმაღლესი ორგანოები: წარმომადგენლობითი, სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა. ჩვეულებრივ, ისინი საზოგადოების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მხედველობის არეში არიან, მათ ირგვლივ ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. მეორე ქვესისტემა არის მართლწესრიგის ორგანოები, სასამართლო, პროკურატურა, აგრეთვე, ძალოვანი სტრუქტურები (არმია, პოლიცია, დაზვერვა), ეს უკანასკნელნი ასრულებენ სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებს, მათ შორის, სახელმწიფოებრივი იძულების (სამხედრო ჩახშობა, პოლიციური ზომები) მეთოდებით. იძულების ყველაზე მკაცრ ზომებს ახორციელებენ ადამიანების შეიარაღებული რაზმები—ჯარი, პოლიცია.

სახელმწიფო ორგანოებს უერთდებიან სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებსაც სახელისუფლო უფლებამოსილება არ გააჩნიათ, მაგრამ ასრულებენ საერთო-სოციალურ ფუნქციებს ეკონომიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სამეცნიერო და სხვა სფეროებში.

§2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ცნება და ნიშნები

იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ქმნიან ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს, უმეტეს შემთხვევაში, ისინი არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოებია და უშუალოდ, მოსახლეობის მიერ იქმნებიან. სახელმწიფო მექანიზმის ანალიზი იძლევა საშუალებას, განვსაზღვროთ მისი ელემენტის ადგილი და როლი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში, სწორად განვსაზღვროთ მათი სტრუქტურა და იერარქიული კავშირი, რაც ქმნის მთელი სისტემის ერთიანობას. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსაც თავისი განსაზღვრება გააჩნია. **იგი არის სახელმწიფო მექანიზმის რგოლი (ელემენტი), რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში და ამისათვის მინიჭებული აქვს სათანადო უფლებამოსილება.** ამა თუ იმ ორგანოს ცნების, ნიშნების გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ მთლიანად სახელმწიფო მექანიზმს.

—მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო გარ-

კვეულად დამოუკიდებელი და ავტონომიურია, ის არის ერთიანი სახელმწიფო მექანიზმის ნაწილი, თავისი ადგილი აქვს სახელმწიფო მანქანაში და მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სხვა ნაწილებთან.

–სახელმწიფო ორგანოს ემსახურებიან სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც თავისებურ სამართლებრივ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან და ორგანოსთან.

სახელმწიფო მოხელეთა მდგომარეობა, უფლებები და მოვალეობანი განისაზღვრება კანონით და უზრუნველყოფს მათ სამართლებრივ სტატუსს,[102] მათ მიერ სახელისუფლებო უფლებამოსილების გამოყენების მოცულობა და წესიც, კანონით არის დადგენილი და დაკონკრეტებულია თანამდებობრივ ინსტრუქციებში, საშტატო განრიგებში და ა.შ. სახელმწიფო მოსამსახურეებს მიეკუთვნებიან ის თანამდებობის პირებიც, რომლებიც ფლობენ სახელისუფლებო უფლებამოსილებას, გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს, დამოუკიდებლად ახორციელებენ მათ ცხოვრებაში.

სახელმწიფო მოსამსახურეები უშუალოდ არ ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს, ამიტომ მათი შენახვა საზოგადოებას ეკისრება, ისინი იღებენ ხელფასს სახელმწიფო ორგანოში დაკავებული თანამდებობის შესაბამისად.

–სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს აქვთ შინაგანი აგებულება (სტრუქტურა), ისინი შედგებიან ქვედანაყოფებისაგან, რომელთაც აერთიანებს მიზნები, რის მისაღწევადაც შეიქმნენ, და ყველა მოსამსახურისათვის სავალდებულო დისციპლინა.

–სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უმნიშვნელოვანესი თვისებაა ის, რომ მას აქვს კომპეტენცია, ანუ გარკვეული შინაარსის და მოცულობის სახელისუფლებო უფლებამოსილება (უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა). კომპეტენციას განაპირობებს კონკრეტული ამოცანები და ფუნქციები, რომლებსაც სახელმწიფო ორგანო ასრულებს. ჩვეულებრივ, კომპეტენცია იურიდიულად არის განმტკიცებული (კონსტიტუციაში ან მოქმედ კანონმდებლობაში). სახელმწიფო ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის რეალიზაცია არის არა მარტო მისი უფლება, არა-

[102] საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თბ,. 1997 წ. 31 ოქტომბერი, №1022-ს.

მედ მოვალეობაც.

–თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო ორგანო ფლობს უფლებამოსილებას, რომელიც გამოიხატება:

ა) სავალდებულო სამართლებრივი აქტების გამოცემის შესაძლებლობაში. ეს შეიძლება იყოს ნორმატიული ან ინდივიდუალურ-განსაზღვრული (სამართლის ნორმების შეფარდების) აქტები.

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ სხვადასხვა, მათ შორის, იძულების მეთოდით, სამართლებრივი აქტების შესრულების უზრუნველყოფაში.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს თავისი კომპეტენციის განსახორციელებლად გამოეყოფა აუცილებელი მატერიალური ბაზა, აქვს ფინანსები, თავისი ანგარიში ბანკში, დაფინანსების წყარო (ბიუჯეტიდან).

და ბოლოს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო აქტიურად მონაწილეობს სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციაში, რისთვისაც იყენებენ შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს.

§3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმები

სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაში სახელმწიფო ორგანოები განიხილება წარმოქმნის გზების მიხედვით, რომლებსაც ყოფენ **პირველად და წარმოებულ ორგანოებად.** პირველად სახელმწიფო ორგანოებს არავითარი სხვა ორგანო არ ქმნის, წამოიქმნება მემკვიდრეობის წესით ან აირჩევა დადგენილი პროცედურით. ის უფლებამოსილებას ამომრჩევლებისაგან იღებს (წარმომადგენლობითი ორგანოები). წარმოებულ ორგანოებს ქმნიან პირველადი ორგანოები, რომლებიც ანიჭებენ მათ უფლებამოსილებას. მათ განეკუთვნება აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოები.

უფლებამოსილების მოცულობის მიხედვით სახელმწიფო ორგანოები განიყოფებიან **უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებად,** თუმცა, ყველა ადგილობრივი ორგანო სახელმწიფო ორგანო არ არის (მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები). სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები ყველაზე სრულად ასახიერებენ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვრცელდება. სახელმწი-

ფოს ადგილობრივი ორგანოები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (საგრაფოები, მიწები, ოლქები, კომუნები, მაზრები, პროვინციები და სხვა) ფუნქციონირებს, მათი უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ ამ რეგიონში.

კომპეტენციის სისრულის მიხედვით, გამოიყოფა **საერთო და სპეციალური** სახელმწიფო ორგანოები. საერთო კომპეტენციის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, გადაჭრან საკითხთა ფართო წრე, მთავრობა აქტიურად მონაწილეობს ყველა სახელმწიფო ფუნქციის განხორციელებაში (რა თქმა უნდა, კანონის დაცვით) სპეციალური (დარგობრივი) კომპეტენციის ორგანოები სპეციალიზებულია რომელიმე ერთი ფუნქციის, საქმიანობის ერთი სახეობის (ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო) შესრულებაზე.

არსებობს **არჩევითი და დანიშვნითი, კოლეგიური სახელმწიფო ორგანოები.** სახელმწიფო მექანიზმზე, მისი უმაღლესი ორგანოების კლასიფიკაციაზე უშუალო გავლენას ახდენს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, რომლის შესაბამისადაც იქმნება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები.

საკანონმდებლო ორგანოები. ჩვეულებრივ, კანონების გამოცემის უფლება უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს ეკუთვნით. ის აღინიშნება ზოგადი ტერმინით „პარლამენტი“. ინგლისში, კანადაში, ინდოეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში „პარლამენტი“ საკანონმდებლო ორგანოს საკუთარი სახელია, დანარჩენ ქვეყნებში მას სხვა სახელწოდება აქვს.

პარლამენტარიზმი აყვავდა კაპიტალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების და განვითარების პერიოდში, სწორედ მაშინ შეიქმნა მისი ძირითადი უფლებამოსილებათა წრე: კანონების მიღება, მთავრობის გაკონტროლება მისთვის შეკითხვებით მიმართვის და მისი საქმიანობის განხილვის მეშვეობით, ნდობის ან უნდობლობის გამოცხადება (ვოტუმი) და ა.შ. ყველაფერმა ამან თავისი განზოგადებული გამოხატულება ჰპოვა პარლამენტარიზმის პრინციპში. ჩვეულებრივ, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრების გართულებასთან ერთად, ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება მთავრობის როლის გაზრდა და პარლამენტის როლის შემცირება.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში პარლამენტი შედგება ზედა და ქვედა პალატებისაგან. პატარა ქვეყნებში (დანია, ფინეთი) არსებობს ერთპალატიანი პარლამენტი. ხშირად, ზედა პალატა, ჩვეულებრივ, უფრო დემოკრატიულია და ქვედა პალატის ერთგვარ გამწონასწორებლად გვევლინება. საქართველოს კონსტიტუციის ცალკე თავი ეძღვნება საკანონმდებლო ორგანოს–პარლამენტს, რომელიც საკანონმდებლო წესით აწესრიგებს ქვეყნის ცხოვრებას, კონტროლს უწევს ხელისუფლების მოღვაწეობას საბიუჯეტო, საფინანსო და საკანონმდებლო სფეროში. იგი აირჩევა 4 წლის უფლებამოსილების ვადით, რომელიც შედგება 120 პროპორციული 30 მაჟორიტარი წევრისაგან[103] (სულ 150). საქართველოს პარლამენტის ორგანიზაციული მუშაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს სასესიო მუშაობა. გადაწყვეტილებები მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით.

საქართველოს პარლამენტი კანონებს ღებულობს განსაკუთრებული წესით და საკანონმდებლო პროცესი ოთხი სტადიისაგან შედგება.

სახელმწიფოს მეთაური.[104] სამ შტოდ გაყოფილი სახელმწიფო ხელისუფლება მაინც ერთიანი და სუვერენულია. მისი ერთიანი ძალაუფლების წარმომქნელი წყარო არის ხალხი. ის გამოხატავს ქვეყნის მოსახლეობის ერთიან ძირეულ ინტერესებს, ამიტომ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების დამოუკიდებლობა არის არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი. სწორედ სახელმწიფოს მეთაურია მოწოდებული, რომ უზრუნველყოს ამ ორგანოების შეთანხმებული ფუნქციონირება ხალხის ერთიანი სახელისუფლო ნების და საერთოსახელმწიფოებრივი მიზნების მიღწევის ინტერესებით. თანამედროვე სახელმწიფოებში, როგორც წესი, სახელმწიფოს მეთაური ერთპიროვნუ-

---

[103] კონსტიტუციის 37-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ, პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო, რომელიც შედგება პროპორციული გზით არჩეული წევრებისაგან და სენატი, შედგება აფხაზეთის და აჭარის ა. რ. და სხვა ტერიტორიული ერთეულებში არჩეული წესებისა და პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

[104] 1992–1995 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მეთაური იმავდროულად იყო პარლამენტის თავმჯდომარე. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაური აირჩევა პარლამენტის მიერ, რაც ნიშნავს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლს. მთავრობის მეთაური საპარლამენტო რესპუბლიკაში, როგორც წესი, არის არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი, რომელიც ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

ლია: კონსტიტუციურ მონარქიებში–მონარქი, რესპუბლიკებში–პრეზიდენტი.

კონსტიტუციური დადგენილებების ან ჩამოყალიბებული ტრადიციების ძალით, მონარქი ფლობს მთელ რიგ უფლებებს პარლამენტის მიმართ: სესიების მოწვევა, დათხოვნა (ჩვეულებრივ, ქვედა პალატის), ზედა პალატის წევრების დანიშვნა (იქ, სადაც ეს მიღებულია), კანონების დამტკიცება და გამოქვეყნება. ის ნიშნავს (ან ამტკიცებს) სახელმწიფოს მეთაურს და მინისტრებს, ოღონდ, ითვალისწინებს პარტიული უმრავლესობის, ფრაქციების ან პარლამენტის კოალიციური ფრაქციების აზრს. ფორმალურად, ის ითვლება უმაღლეს მთავარსარდლად და წარმოადგენს ქვეყანას საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ, ფაქტობრივად, ამ უფლებამოსილებებს ახორციელებს მთავრობა (ან შესაბამისი მინისტრები).

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოთა უმრავლესობის მეთაური არის პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა მოსახლეობის, პარლამენტის ან განსაკუთრებული საარჩევნო პროცედურის მეშვეობით.

პრეზიდენტი იღებს უცხოელ დიპლომატიურ წარმომადგენლებს, ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში, რიგ ქვეყნებში რატიფიცირებას უკეთებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ზოგიერთ ქვეყანაში პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი, არ მოიწონოს და მეორედ განსახილველად გადასცეს პარლამენტს კანონი.

პრეზიდენტის როლი და უფლებამოსილებანი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებში მნიშვნელოვნად განსხვავდება.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი საშინაო საქმეებში ნაკლებად აქტიური ფიგურაა, მას ჩრდილავს სახელმწიფოს მეთაური, რომლის ხელშიც მთელი ძალაუფლებაა თავმოყრილი. მაგალითად, ასეთ სახელმწიფოებში პარლამენტის დათხოვნა თუმცა კი პრეზიდენტის ბრძანებულებით ფორმდება, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებით ხორციელდება. მთავრობის დასანიშნად საჭიროა პარლამენტის თანხმობა. პრეზიდენტის აქტი ძალაშია მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის, ანუ იმ მინისტრის ხელის მოწერის შემდეგ, რომლის კომპეტენციაშიც შედის აქტის მოქმედების სფერო.

საპრეზიდენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტი ცენტრალური პოლიტიკური ფიგურაა, მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილებანი, ერთდროულად არის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური. ის ხელმძღვანელობს უზარმაზარ სახელმწიფო აპარატს, რომელიც 2,5 მლნ. სახელმწიფო მოსამსახურეს ითვლის. ამასთანავე, თვითონ ნიშნავს ფედერალური უწყების დაახლოებით 1500 მოხელეს. პრეზიდენტი მხოლოდ უმაღლეს ფედერალურ თანამდებობაზე ნიშნავს სენატის „რჩევით და თანხმობით", გამოსცემს ბრძანებულებებს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხის შესახებ.

საქართველოს უზენაესი კანონის, კონსტიტუციის, მიხედვით საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მისი არჩევისათვის დადგენილია „არათანაბარი მოქალაქეობის" პრინციპი. ე.ი. კონსტიტუციით პრეზიდენტად არჩევის უფლება აქვს მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქეს 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი და არჩევნების დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტი ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას წარმოადგენს. ღებულობს ზომებს საქართველოს სუვერენიტეტის, მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი დაცვის მიზნით, იგი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. კანონმდებლობა მას ორჯერ აძლევს შესაძლებლობას ზედიზედ ეკავოს უმაღლესი პოსტი. იგი ხელშეუხებელია და თანამდებობიდან გადაყენება მხოლოდ იმპიჩმენტის წესითაა შესაძლებელი, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე აღარ ვრცელდება და კონსტიტუცია პრეზიდენტს არ განიხილავს, როგორც მთავრობის მეთაურს. პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს, გამოსცემს განკარგულებებს, დეკრეტებს, ბრძანებულებებს, ანდა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, პრეზიდენტს მინიჭებული

აქვს სუსპენსიური ვეტოს უფლება[105] და ა.შ.

აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, რომელიც უშუალოდ მართავს ქვეყანას. ჩვეულებრივ, მთავრობა შედგება სახელმწიფოს მეთაურისაგან (პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა საბჭოს ან კაბინეტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი, კანცლერი და ა.შ.), მისი მოადგილეებისაგან და მთავრობის წევრებისაგან, რომლებიც მეთაურობენ სახელმწიფო მმართველობის ცალკეულ ცენტრალურ უწყებებს (სამინისტრო, დეპარტამენტი) და ეწოდებათ მინისტრი, მდივანი, სტატს-მდივანი.

უნიტარულ სახელმწიფოში იქმნება ერთი მთავრობა, ფედერაციულ სახელმწიფოში კი საერთო-ფედერალური მთავრობა და ფედერაციის წევრთა მთავრობები.

მთავრობა თავისი კომპეტენციის ყველა საკითხის შესახებ გამოსცემს სამართლებრივ აქტებს (ბრძანებულება, დეკრეტი, განკარგულება), რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

არსებობს ერთპარტიული და კოალიციური მთავრობები. პირველ შემთხვევაში, მათში შედიან ერთი პარტიის წარმომადგენლები, მეორე შემთხვევაში—ორი ან რამდენიმე.

თავის მრავალმხრივ საქმიანობას მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო ადმინისტრაციის მრავალრიცხოვანი ორგანოების—სამინისტროების, უწყებების, კომისიების და ა.შ. მეშვეობით. სამინისტროებს და სხვა უწყებებს უჩნდებათ რთული, ძალიან დიდი და განშტოებული ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სახელმწიფო მექანიზმის საფუძველს წარმოქმნის.

მართლმსაჯულების ორგანოები (სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმა) წარმოადგენს საკმაოდ რთულ სისტემას, რომელიც შედგება სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, სამხედრო-საველე და სხვა სასამართლოებისაგან. ამ სისტემის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს უზენაესი და კონსტიტუციური სასამარ-

[105] 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საკმაოდ შეიკვეცა საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი.

თლოები.[106] სასამართლო ორგანოები ახდენენ მართლმსაჯულების რეალიზაციას სამართალწარმოების რეგულირებადი საპროცესო სამართლის მეშვეობით. იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სასამართლო პრეცედენტი, ისინი მონაწილეობენ სამართალშემოქმედებაში.

სასამართლო დამოუკიდებელია. კანონმდებლობით დამკვიდრებულია ისეთი დემოკრატიული პრინციპები, როგორებიცაა კანონის და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობა, საქმის განხილვაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა, მსჯავრდებულის უფლება, თავი დაიცვას და ა.შ.

საკონტროლო-საზედამხედველო ორგანოები, რომელთა კომპეტენციაში შედის, თვალყური ადევნონ კანონიერებასა და ტექნოლოგიურ დისციპლინას (კონტროლის პალატა, პროკურატურა, სამრეწველო-საზედამხედველო და ატომურ-რადიაციული უსაფრთხოების ორგანოები).

სახელმწიფო მექანიზმში შედიან ძალოვანი უწყებანი, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ძალას შეადგენენ—შეიარაღებული ძალები, უშიშროების ორგანოები, პოლიცია. უკანასკნელის ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და შინაგანი უშიშროების უზრუნველყოფა. პოლიცია სპეციალიზდება მისი საქმიანობის მრავალგვარი მიმართულების მიხედვით: **პოლიტიკური პოლიცია**[107] უზრუნველყოფს შინაგან უშიშროებას, ებრძვის თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს: **კრიმინალური და ადმინისტრაციული პოლიცია** იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, იგი იყოფა სატრანსპორტო, სასაზღვრო, საბაჟო, სანიტარულ, ეკოლოგიურ და ა.შ. პოლიციებად.

სახელმწიფო მექანიზმში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ასეთი ორგანოების თანამდებობის პირებს (გუბერნატორი, გამგებელი, პრეფექტი, კომისარი და ა.შ.), ჩვეულებრივ, ნიშნავს მთავრობა ამა თუ იმ რეგიონის სამართავად, ხშირად, რეგიონულ დონეზე, დანიშნულ პირებთან ერთად ფუნქციონირებენ რეგიონის მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები (საკრებულოები). არის სახელმწიფოები (დიდი ბრი-

---

[106] საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო), სააპელაციო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

[107] პოლიტიკური პოლიცია დასავლურ სახელმწიფოებში შ.ს. სამინისტროს სტრუქტურაში შედის.

ტანეთი, იაპონია), სადაც ადგილობრივი მმართველობის ყველა ფუნქციას მოსახლეობის მიერ არჩეული ადგილობრივი ადმინისტრაცია ასრულებს.[108]

ადგილობრივ თვითმმართველობას დიდი ხნის ისტორია გააჩნია, მათ ვხედავთ ფეოდალურ ეპოქაში, რომელიც ფაქტობრივად, ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას უპირისპირდებოდა და ხშირად, სახელმწიფო იძულებული იყო, თავისი ფუნქციების ნაწილი დაეთმო მათთვის.

თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებში ადგილობრივი თვითმმართველობები თავისუფალი არიან სოციალური, ეროვნული, რელიგიური ანდა პარტიული შეზღუდვებისაგან და მათ აერთიანებთ პრობლემათა გადაწყვეტის გზები, რითაც იქმნება სოციალურ-ტერიტორიული საზოგადოება.

საბოლოოდ, სახელმწიფო ორგანოები შეიძლება დაიყოს შემდეგი ნიშნის მიხედვით: ხელისუფლების დანაწილების პრინციპით (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო); იერარქიული პრინციპით: ცენტრალური რესპუბლიკური (ავტონომიური) და ადგილობრივი; უფლებამოსილების ვადის მიხედვით (მუდმივი და განსაზღვრული დროით); დაქვემდებარების ნიშნის მიხედვით: „ვერტიკალური", „ორმაგი" ან „ვერტიკალურ-ჰორიზონტალური" (სასამართლო, პოლიცია, სახელმწიფო ბანკები და ა.შ.); უფლებამოსილების მიხედვით (კოლეგიური და ერთპიროვნული); მოღვაწეობის სამართლებრივი ფორმის მიხედვით (სამართალშემოქმედი, სამართალაღმსრულებელი, სამართალდამცავი); კომპეტენციის მიხედვით (მეტი კომპეტენცია გააჩნია სახელმწიფოს, შედარებით ნაკლები–სამინისტროს).

ასეთია სახელმწიფო ორგანოთა დაყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, რაც უფრო ნათელს ხდის სახელმწიფო მექანიზმის სტრუქტურას.

---

[108] სახელმწიფოს მექანიზმის ცნების, სტრუქტურის, ნიშნების, სახელმწიფო ორგანოების ფორმების შესახებ იხ. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г. стр. 146. გ. ინწკირველი „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია", თბ. 2000. Общая Теория права и Государства. под ред. В.В. Лазарева. М. 1996 г. Теория Государства и права (курс лекций), под ред. М.Н. Марченко. М. 1996 г. Европейская партия местного самоуправления. Сб. документов и материалов. Кр. 1996 г.

თავი მეათე

სახელმწიფოს ისტორიული ტიპები

§ . სახელმწიფოთა ისტორიულ ტიპებად დაყოფის თანამედროვე მიდგომა

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არსებობდა და ერთმანეთს ცვლიდა მრავალი სახელმწიფო. ახლაც, მათი რიცხვი მსოფლიოში 200-ს აჭარბებს. ამასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია მათი მეცნიერული კლასიფიკაციის პრობლემა. ისეთ კლასიფიკაციას, რომელიც ასახავს სახელმწიფოთა ისტორიული განვითარების ლოგიკას და მოგვცემს მათი ჯგუფებში გაერთიანების საშუალებას გარკვეული კრიტერიუმის საფუძველზე, ტიპოლოგია ეწოდება.

მარქსისტული თვალსაზრისით, ანუ ფორმაციული მიდგომით, სახელმწიფოს ისტორიულ ტიპად მოიაზრება ერთად აღებული მისი ყველაზე არსებითი თვისებები და ნიშნები, რომლებიც ერთსა და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას, ერთსა და იმავე ეკონომიკურ ბაზისს განეკუთვნებიან. ყველა ოდესმე არსებული და ახლანდელი სახელმწიფოს ისტორიულ ტიპებად დაყოფის კრიტერიუმი არის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ანუ საზოგადოების ისტორიული ტიპი, რომელიც წარმოების ამა თუ იმ საშუალებას ეყრდნობა.

მარქსისტული თეორიის თანახმად, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ოთხ ტიპს (მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური) შეესაბამება სახელმწიფოთა ოთხი ტიპი—მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური, თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი ნიშნები აქვს. ერთი ისტორიული ტიპის მეორეთი შეცვლა არის ობიექტური, ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, რომელიც რევოლუციის (ან კიდევ ევოლუციის) შედეგად ხორციელდება. ამ ისტორიულ პროცესში ყოველი მომდევნო სახელმწიფოს ტიპი ისტორიულად უფრო პროგრესულად იყო მიჩნეული, ვიდრე წინამორბედი, მაგრამ მარქსისტული თეორიის მიერ შემოთავაზებული „კანონზომიერება“ დაირღვა.

სახელმწიფოს მარქსისტული ტიპოლოგია, რომელიც ფორმაციულ მიდგომას ეფუძნება, აღარ არის პოპულარული, ის სქემატურად ერთმნიშვნელოვანია. ამ ტიპოლოგიის შესაბამისად, ყველა სახელმწიფო გადიოდა მკაცრად განსაზღვრულ გზას ერთი ისტორიული ტიპიდან მეორემდე. სინამდვილეში, სახელმწიფოთა ევოლუცია ბევრად უფრო მრავალგვარი იყო. მაგალითად, ყველა სახელმწიფოსათვის სულაც არ იყო აუცილებელი მონათმფლობელური ტიპი, ზოგიერთის განვითარებაში შეინიშნებოდა უკანსვლა, ხანგრძლივი გარდამავალი მდგომარეობა (მაგალითად, „პროფეოდალური“).

სახელმწიფოთა მარქსისტულ ტიპოლოგიას ლიტერატურაში სერიოზულად აკრიტიკებენ და გვთავაზობენ განსხვავებულ კონცეფციებს, „აღმოსავლურ სახელმწიფოს“, „წარმოების აზიურ წესის“, „დასავლური სახელმწიფოს“ და „პროფეოდალიზმს“, რასაც ჩვენც ვუჭერთ მხარს. დროა, ახლებურად მივუდგეთ „პოსტსოციალისტური“ სახელმწიფოს დახასიათებასაც. რა არის ეს, სახელმწიფოს ახალი ტიპი თუ გარდამავალი მდგომარეობა? აგრეთვე, არ შეიძლება, ანგარიში არ გავუწიოთ სახელმწიფოებს, რომლებიც განვითარების სოციალისტურ გზას ადგანან. მაგალითად, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო–ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კუბა, რომლებიც აგრძელებენ „სოციალიზმის შენებას“ თავიანთი სპეციფიკით.

მსოფლიო იურიდიული ლიტერატურა სახელმწიფოთა კლასიფიკაციის მრავალგვარ განსაზღვრებას გვთავაზობს. იყო აზრი, დაყოფილიყო ისინი დემოკრატიულ და არადემოკრატიულ, ფორმაციულ და ცივილიზაციურ სახელმწიფოებად. ასეთი კლასიფიკაცია გარკვეული შემეცნებითი მიზნებით არა მარტო დასაშვებია, არამედ სასარგებლოც, მაგრამ მას მეტად ზოგადი ხასიათი აქვს და კრიტერიუმებიც საკმაოდ ბუნდოვანია.

ბოლო ხანებში ძალიან ფართოდ გამოიყენება სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ტოტალიტარულ, ავტორიტარულ, ლიბერალურ და დემოკრატიულ სახელმწიფოებად. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

ტოტალიტარული სახელმწიფოს როლი ჰიპერტროფირებულია, ადამიანი სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკი ხდება, ძალაუფლება მმართველი ელიტის ან დიქტატორის და მისი გარემოცვის ხელშია. ყველა დანარჩენი

ჩამოცილებულია ხელისუფლებას და მმართველობას. სამართლებრივი რეგულირებისას დომინირებს რეჟიმი „აკრძალულია ყველაფერი, გარდა კანონით ნებადართულისა“.

ავტორიტარული სახელმწიფო ტოტალიტარულისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მასში, თუმცა კი მცირედ, მაგრამ მაინც აღწევს დემოკრატიულობის და კანონიერების ელემენტები.

ლიბერალური სახელმწიფო ყალიბდება ლიბერალური იდეების და დოქტრინების გავლენით, რომლებიც ამცირებენ სახელმწიფოს როლს და მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში. აქ შექმნილია ადამიანის სამართლებრივი ავტონომიის პირობები, რომელიც კრძალავს სახელმწიფოს ჩარევას პირად სფეროში, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები დამკვიდრებულია კანონით, მაგრამ ყოველთვის გარანტირებული არ არის, მოქმედებს სამართლებრივი რეჟიმი „ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის“.

დემოკრატიულ სახელმწიფოში[109] იქმნება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების გადაჭრაში მოქალაქეთა რეალური მონაწილეობის პირობები, ყველა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ორგანო არჩევითია და ხალხი აკონტროლებს. მოქალაქენი ფლობენ კანონით გარანტირებულ ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს. აქ სახელმწიფო ემსახურება საზოგადოებასა და პიროვნებას.

განხილულ კლასიფიკაციას უეჭველად აქვს სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა. მის მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს პოლიტიკური, უფრო ზუსტად, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეჟიმი. ეს კრიტერიუმი სიღრმისა და საფუძვლიანობის მიხედვით ფორმაციულს ვერ შეედრება, მაგრამ გვაძლევს საშუალებას, საყოველთაოდ მიღებული ტიპების ფარგლებში გამოვყოთ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი თავისებურებანი.

ზემოთ მოყვანილი სახელმწიფოთა ტიპოლოგია ზოგადად და მთლიანად შეიძლება გამოვიყენოთ სამართლის მიმართ.

ინგლისელმა ისტორიკოსმა ა. ტოინბიმ შემოგვთავაზა საზოგადოებათა

---

[109] პოლიტოლოგები ლიბერალურ და დემოკრატიულ სახელმწიფოს ერთად განიხილავენ.

და სახელმწიფოთა კლასიფიკაციისადმი ცივილიზაციური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ საზოგადოების ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, არამედ რელიგიურ, ფსიქოლოგიურ, კულტურულ საფუძვლებსაც. მისი აზრი გაიზიარეს რუსმა სოციოლოგმა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა, ჰ. სოროკინმა, გერმანელმა მოაზროვნეებმა–ო. შპენგლერმა, მ. ვებერმა და სხვებმა.

ცივილიზაციურ მიდგომას ამტკიცებს თანამედროვე მსოფლიოს ერთიანობის, მთლიანობის იდეა, საერთო-საკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტი, ხოლო ცივილიზაცია გაიგება, როგორც გონებასა და სამართლიანობაზე ბაზირებული საზოგადოების მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტული სოციალური სისტემის ჩარჩოებში ვერ თავსდება.

ცივილიზაციის მთლიანობა განპირობებულია ტექნიკის, სოციალური ორგანიზაციის, რელიგიის და ფილოსოფიის ურთიერთქმედებით, ამასთან, ტექნიკა განსაზღვრავს ყველა დანარჩენ კომპონენტს. ადვილი შესამჩნევია, რომ ასეთი მიდგომა იგნორირებას უკეთებს ისტორიული მატერიალიზმის მნიშვნელოვან დებულებებს ზედნაშენთან მიმართებაში.

ცივილიზაციური მიდგომით არ იცვლება ფორმაციული მეთოდი, მაგრამ მათი გარკვეული შეხამება შესაძლოა იყოს მისაღები სახელმწიფოთა მეცნიერული კლასიფიკაციისათვის.

დღევანდელ სახელმწიფოთა კლასიფიკაცია ისტორიულ ტიპებად ყოვლისმომცველი არ არის.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისა და რუსეთში ცარიზმის დამხობის შემდეგ მთელ მსოფლიოში დაიწყო კოლონიური დაშლის, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი უკვე რამდენიმე ათეული ქვეყანა გადაიქცა სუვერენულ სახელმწიფოდ. ეს პროცესი დააჩქარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე 1960 წელს მიღებულმა დეკლარაციამ „კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“.

რიგ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები განხორციელდა კოლონიზატორთა წინააღმდეგ ხალხის შეიარაღებული

ბრძოლის შედეგად, ზოგან კი რევოლუცია განვითარდა მშვიდობიანი გზით, პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებით. იყო, აგრეთვე, პრეცედენტები, როდესაც იმპერიალისტური სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ თვითონვე გამოეცხადებინათ საკუთარი კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება.

ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგნენ, საზოგადოებრივი წესწყობილებისა და ხელისუფლების ხასიათის მიხედვით, აგრეთვე შემდგომი განვითარების გზების არჩევის თვალსაზრისით, ორ ძირითად ჯგუფად იყოფიან: სახელმწიფოები, რომელთა განვითარება ხდება კაპიტალისტური გზით (ინდოეთი, მალაიზია, მაროკო, ტუნისი, ფილიპინები, სენეგალი და სხვა) და სახელმწიფოები, რომლებიც განვითარების არაკაპიტალისტურ გზას დაადგნენ და სოციალისტური ორიენტაციის სახელმწიფოებად ითვლებოდნენ (ალჟირი, გვინეა, სირია, ბირმა, ტანზანია, კონგოს სახალხო რესპუბლიკა და სხვა.) არიან ისეთი სახელმწიფოებიც, რომლებმაც თავიდანვე მკეთრად ვერ განსაზღვრეს თავისი ორიენტაცია. ყველა ამ სახელმწიფოს განვითარებად ქვეყანას უწოდებენ.

ასეთი ქვეყნების განვითარება მართლაც სწრაფი ტემპით განხორციელდა, მაგრამ უმთავრესად მაინც კაპიტალისტური გზით. სოციალისტურმა იდეამ, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირისა და სხვა ე.წ. სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა სისტემებმა სრული კრახი განიცადა, დაკარგა მიმზიდველობა და განვითარებადი ქვეყნებისათვის მისაბაძ ნიმუშს აღარ წარმოადგენს.

ამ ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სირთულე, თითოეულ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში მყოფი ამა თუ იმ კლასის ან სოციალური ფენის პოლიტიკის პროგრესული ან რეაქციული ტენდენციები სანათადო ასახვას პოულობენ სახელმწიფოს ფუნქციებში. გამოჰყოფენ შემდეგ ძირითადს,—ესენია: კლასობრივ მოწინააღმდეგეთა და დაპირისპირებულ ძალთა დათრგუნვა, ეკონომიკური განვითარებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცების ფუნქცია, კულტურული განვითარებისა და იდეოლოგიური ზემოქმედების ფუნქცია. რაც შეეხება საგარეო ფუნქციებს, მათი შინაარსი განისაზღვრება

იმით, რომ ამ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა ატარებს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მონაწილეობს სამხედრო ბლოკებში და იცავს ნეიტრალიტეტს, იბრძვის კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის მთელ მსოფლიოში, მიისწრაფის სხვა, ახალგაზრდა, განვითარებად სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობისაკენ, ზრუნავს სხვა სახელმწიფოთა ხელყოფისაგან თავისი ქვეყნის თავდაცვისათვის.[110] ამ პროცესების სირთულე განსაკუთრებით მტკივნეულად მიმდინარეობს ყოფილ საბჭოთა კავშირის სისტემაში შემავალ რესპუბლიკებში, რადგანაც მათი უმრავლესობა განვითარებადი სახელმწიფოების სიაშია შეყვანილი, მათ შორის საქართველოც, რომელიც ნელ-ნელა თავის ადგილს იმკვიდრებს მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ ჩვენი ქვეყანაც ვერ გადაურჩა ნგრევის ეთნოკონფლიქტებით გამოწვეულ დაპირისპირებებს, ხელისუფლების არამდგრადობას და ეკონომიკურ კრიზისს. თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლება უკვე წარმატებით ახორციელებს საგარეო ფუნქციას და შემობრუნებაა საშინაო ფუნქციის თვალსაზრისითაც, რაც საპრეზიდენტო მმართველობის დამსახურებაა.

მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, **განვითარებად ქვეყნებში** სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ძირითადი ფორმა რესპუბლიკაა, ხოლო იმ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, სადაც თავიდან მონარქია არსებობდა, შემდგომ მოხდა რესპუბლიკურ ფორმაზე გადასვლა (ინდოეთი, პაკისტანი, კენია, ნიგერია და სხვა). ამჟამად, მონარქია არსებობს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში (მაროკო, საუდის არაბეთი). რაც შეეხება სახელმწიფო წყობილების ფორმას, გათავისუფლებულ ქვეყნებს შორის გვხვდება უნიტარულიც და ფედერაციული სახელმწიფოებიც. ფედერაციებს წარმოადგენენ, მაგალითად, ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, მალაიზია, ნიგერია, კამერუნი, ტანზანია.

„ეროვნული სამართალი გათავისუფლებულ ქვეყნებში იქმნებოდა ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად. ნაცვლად კოლონიური დამოკიდებულების პერიოდში მოქმედი სამართლებრივი აქტებისა, რომლებსაც გამოსცემდნენ მეტროპოლიების სახელმწიფო ორგანოები ან ადგილებზე კოლონიური ხელისუფლების წარმომადგენლები

---

[110] გ. ინწკირველი, „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, თბ., 2000 წ. გვ. 88-89.

(გუბერნატორები), განხორციელდა კონსტიტუციური და სხვა სახის კანონმდებლობა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ და გამოცემულ იქნა სხვა ნორმატიული აქტები. ეს სამართლებრივი სისტემები კაპიტალისტური ორიენტაციის ქვეყნებში გამოხატავენ ძირითადად საზოგადოების უმცირესობის–მმართველი კლასებისა და ფენების ნება-სურვილს, ხელს უწყობენ კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცებას. ამიტომ, გამოყენებული იქნა ძველი სამართლებრივი ინსტიტუტებიც მსხვილმესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად. მაგრამ ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ კოლონიური დამოკიდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობებს, ცხადია, მთლიანად გაუქმდა. სამაგიეროდ, სამართლებრივი წესით იქნა აღიარებული ფორმალური დასავლური დემოკრატიის რიგი ინსტიტუტები, რომელთა რეალური განხორციელება ჯერჯერობით უამრავ შეზღუდვასთან და დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული.“[111]

მომავალში, შესაძლოა გაჩნდეს ისეთი თვისებები და ნიშნები, როგორიც არც ერთ ცნობილ სახელმწიფო ტიპს არა აქვს.

მარქსისტულ ლიტერატურაში გარდამავალ სახელმწიფოებს დიდი ყურადღება არ ეთმობოდა. ითვლებოდა, რომ სახელმწიფოს ერთი ისტორიული ტიპიდან მეორეზე გადასვლა მხოლოდ რევოლუციის გზით იყო შესაძლებელი, ამიტომ გარდამავალი სახელმწიფო განიხილებოდა, როგორც რაღაც დროებითი და არათვისობრივი წარმონაქმნი. სინამდვილეში, ყველაზე უფრო ბუნებრივი და პერსპექტიული სახელმწიფოს განვითარების ევოლუციური გზაა. აქედან გამომდინარე, გარდამავალი სახელმწიფოს არსებობა სრულიად კანონზომიერია და მას შეუძლია საკმაოდ დიდხანს იარსებოს.

§2. აღმოსავლური სახელმწიფო და სამართალი

ბოლო დრომდე აღმოსავლურ სახელმწიფოებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ მდინარეების: ნილოსის, ტიგროსის, ევფრატის, განგის და სხვათა სანაპიროებზე, ჩვეულებრივ, მონათმფლობელურ ტიპს მიაკუთვნებდნენ,–თუმცა, მათში ამ ტიპის სახელმწიფოებისაგან განსხვავებული მრავალი სპეციფიკური თვისება აღინიშნებოდა და მაინც, სასწავლო და

[111] გ. ინწკირველი, დასახ. ნაშრ. გვ. 90.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღმოსავლური სახელმწიფო ცალკე განსაკუთრებულ სახედ (ტიპად) გამოიყო.[112] საამისოდ კი საკმაო საფუძველი არსებობს.

ძველაღმოსავლური სახელმწიფოები (ეგვიპტე, ბაბილონი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა) დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინ წარმოიშვა. ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა, განსაკუთრებული კლიმატური პირობები და ნიადაგი, იწვევდა დიდი და რთული სარწყავი სისტემის ორგანიზაციის აუცილებლობას. სოფლის მეურნეობის ამგვარი ხასიათი („წარმოების აზიური წესი") ითხოვდა, ჯერ ერთი, გვაროვნული თემის შენარჩუნებას, რადგან ცალკეულ ოჯახებს არ შეეძლოთ რთული და დიდი მოცულობის საირიგაციო სამუშაოების შესრულება, მეორეც, ძლიერი საჯარო ხელისუფლების არსებობას.

რამდენადაც სარწყავი სისტემების აგებისას თემის წევრთა კოლექტიურ შრომას მიმართავდა სახელმწიფო, მიწის უმაღლესი მესაკუთრის უფლებასაც ის ითვისებდა. ამის შედეგად თემის წევრები სახელმწიფოზე დამოკიდებულნი გახდნენ.

სხვა სიტყვებით, აღმოსავლური ტიპის სახელმწიფოების ეკონომიკური საფუძველი მიწის და საირიგაციო ნაგებობების სახელმწიფოებრივი საკუთრება გახდა. ის მონარქის, მასთან დაახლოებულ პირთა კერძო საკუთრებაც იყო, მაგრამ ეს წარმოებაში არსებით როლს არ თამაშობდა. საკუთრების ასეთი ხასიათი დიდად განსაზღვრავდა საზოგადოების სპეციფიკურ, „პირამიდულ" სტრუქტურას: პირამიდის წვერში –მონარქი (მეფე, ფარაონი და ა.შ.), დაბლა–მისი დაახლოებული პირები, უფრო ქვევით–შედარებით დაბალი რანგის მოხელეები, პირამიდის ფუძეში–თემის წევრები და მონები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს ექსპლუატაციის მთავარ ობიექტს წარმოადგენდნენ.

მთელ რიგ აღმოსავლურ სახელმწიფოებში (ჩინეთი და სხვა) მონობა ოჯახურ (პატრიარქალურ) ხასიათს ატარებდა, მონები მცირედ განსხვავდებოდნენ თემის ჩვეულებრივ წევრთაგან. ეგვიპტეში, ბაბილონში იყვნენ სახელმწიფოს და ტაძრის მონები, რომლებსაც დიდი წვლილი შეჰქონდათ

---

[112] Хропанюк В. Теория государства и права М. 1999 г. стр. 89-100. Общая Теория права и государства под. ред. В Лазарева М. 1999 г. стр. 337-352. Теория государства и права под. ред. В. Корельского, В. Перевалова М. 2000 г. стр. 172-174.

ამ ქვეყნების ეკონომიკაში. ინდოეთში ჩამოყალიბდა და რელიგიით დამკვიდრდა საზოგადოების კასტური ორგანიზაცია.

საერთოდ, ძველაღმოსავლურ სახელმწიფოებში არ არსებობდა საზოგადოების ტრადიციული კლასობრივი დიფერენციაცია. მათ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობდა საუკუნოვანი ტრადიციები. მათთვის დამახასიათებელი იყო შეფერხებული, დუნე განვითარება. მრავალ ადრეაღმოსავლურ სახელმწიფოში საუკუნეების განმავლობაში არაფერი იცვლებოდა.

აღმოსავლური სახელმწიფოები ასრულებდნენ რამდენიმე ფუნქციას:

–საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაცია (საირიგაციო ნაგებობების შექმნა და ექსპლუატაცია).

–ფინანსური–გადასახადის ამოღება.

–სამხედრო–საკუთარი ტერიტორიის დაცვა ან სხვისი ტერიტორიების მიტაცება.

–თემის წევრთა და მონების წინააღმდეგობის ჩახშობა.

თავისი ფუნქციების შესრულებისათვის სახელმწიფოები ქმნიდნენ მოხელეთა მკაცრად ცენტრალიზებულ აპარატს, თუმცა, ადრეაღმოსავლურ სახელმწიფოებში დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა კომპეტენციათა მკაცრი გამიჯვნა ცალკეულ უწყებათა და მოხელეებს შორის.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში უფრო ხშირად იღებდა „აღმოსავლური დესპოტიის“ ფორმას, რომლის დროსაც მემკვიდრეობითი ძალაუფლება მთელი სისრულით ეკუთვნოდა ერთ მბრძანებელს–მონარქს, რომელიც მმართველობას ძლიერი სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატის მეშვეობით ახორციელებდა.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში სამართლის, ისევე, როგორც სახელმწიფოს წარმოშობის წყაროდ მიჩნეული იყო ღმერთი: დედამიწაზე მისი სურვილების გამტარებლად კი–მონარქი, ამა თუ იმ სახელმწიფოს გამგებელი. აქედან გამომდინარე, სამართალი გამოხატავდა ღვთის ნებას. ამიტომ იყო, რომ ეგვიპტეში ფარაონს „ღმერთის შვილს“ უწოდებდნენ და ამქვეყნიურ ღმერთად აღიარებდნენ, რომელსაც ამასთან ერთად, ზეციური ღმერთებიც მფარველობდნენ. პატრონისადმი ქვეშევრდომის მორჩილებაც ამ წარმოდგენებს ეფუძნებოდა.

საწარმოო საშუალებებზე, მიწაზე სახელმწიფოებრივი საკუთრება გა-

ნაპირობებდა ერთობლივი ცხოვრების აუცილებლობას. ეს კი გამორიცხავდა ცალკეული ოჯახების გასვლას ერთობიდან.

ჩინური სამართლის მიხედვით, მემკვიდრეობით მონარქი იმავდროულად ქვეყანაში პირველი ქურუმი და ერთადერთი მიწათმფლობელი იყო, რომელიც არისტოკრატიაზე დაყრდნობით მართავდა მოსახლეობის უუფლებო მეთემეებს. აქაც მეფის ხელისუფლება ღვთაებრივადაა მიჩნეული.

ჩინეთში 2500 წლის წინათ ჩამოყალიბდა ფილოსოფიური და პოლიტიკური მოძღვრება კონფუციანობა და (კანონმცოდნეობა) ლეგისტების ფილოსოფიური სკოლა. კონფუციანელებმა წინა პლანზე წამოსწიეს ზნეობრიობა, ურთიერთმეგობრობა და კაცთმოყვარეობა.

ამის საპირისპიროდ ლეგისტებმა სახელმწიფოებრიობაში შემოიტანეს დესპოტიზმი, რაც ითვალისწინებდა სასჯელის და დასჯის ინსტიტუტების უპირატესობას.

სპეციფიკურობით გამოირჩეოდა ინდოეთის საზოგადოება, რომელიც ოთხ ძირითად კასტად (ვარნად) არის დაყოფილი. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც პოლიტიკურად, ასევე სამართლებრივად. უმაღლესი კასტა იყო ქურუმების (ბრაჰმანების), მეორე ადგილი ეკავათ მეომრებსა და მმართველებს, ანუ ქშათრიებს, მესამეზე თავისუფალი მშრომელები ანუ ვაიშები იყვნენ, ხოლო მეოთხეზე–მონები. ამათგან პოლიტიკურად და სამართლებრივად დაწინაურებული იყო პირველი ორი კასტა.

მეფის შეუზღუდავ ძალაუფლებას აღიარებს ძველი ინდური კაუტილიას ტრაქტატი „ართჰაშასტრა“. იგი მკაცრად სჯის ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის ყოველგვარ გამოვლინებას.

ძველაღმოსავლური სამართალი, კერძოდ, ხამურაბის, მანუს და ძველჩინური კანონები ეხებოდა სისხლის, საქორწინო და სამოქალაქო, სამემკვიდრეო, ვალდებულებით სამართალსა და სასამართლო პროცესს.[113]

[113] Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г. стр. 172-174

§3. დასავლური სახელმწიფო და სამართალი

უკანასკნელ პერიოდამდე სახელმწიფოთა ტიპოლოგიის მარქსისტული მიდგომა არ ითვალისწინებდა მათ დიფერენციაციას აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოებად. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ახლებური მიდგომები ამ პრობლემისადმი. კერძოდ, ხაზი ესმება აღმოსავლურ და დასავლურ სახელმწიფოთა მსგავსება-განსხვავებას.

წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ აღმოსავლურ სახელმწიფოთა ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. მათგან განსხვავებით, სახელმწიფოთა წარმოშობის დასავლური წესი შეიძლება უნიკალურ მოვლენად მივიჩნიოთ. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დასავლური საზოგადოება გახდა „ისტორიის ლოკომოტივი“.[114]

სწორედ ევროპულმა სახელმწიფოებმა შედარებით მოკლე ისტორიულ მონაკვეთში შექმნეს ცივილიზაცია, გაუსწრეს გაცილებით ადრე შექმნილ აღმოსავლურ სახელმწიფოებს და განსაზღვრეს სამომავლოდ კაცობრიობის პროგრესი.

ევროპის ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობის ძირითად მიზეზად მიჩნეულია საზოგადოების კლასებად დაყოფა. წინასახელმწიფოებრიობის პერიოდში დამყარდა „სამხედრო დემოკრატია“, რომლის დროსაც ინტენსიურად მიმდინარეობდა პირადი საკუთრების ფორმირება მიწაზე, საწარმოო საშუალებებზე, საქონელზე, მონებზე.

საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები ყველაზე კარგად სჩანს ათენის სახელმწიფოს მაგალითზე, სადაც სახელმწიფო ვითარდებოდა ნაწილობრივ გვაროვნულ წყობილებაზე დაყრდნობით და ამავე დროს, მისი განდევნის პირობებში. ე. ი. თანდათანობით ხდებოდა სახელისუფლო ორგანოების ჩამოყალიბება, „შეიარაღებული ადამიანების“ ადგილს იკავებდნენ შეიარაღებული, მაგრამ „სახალხო ხელისუფალნი“, რომელთა ინტერესები უკვე აღარ ემთხვეოდა მთელი საზოგადოების ინტერესებს. თანდათან თავს იჩენდა ეკონომიკური დიფერენციაცია მოსახლეობაში.

---

[114] Общая теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1999 г. стр. 62.

თემური წყობილების ნგრევის პირველ ეტაპზე არისტოკრატებს, გმირ ბასილევსებს, რომელთაც ჰომეროსი „ქონიანებს“ უწოდებდა, დაუგროვდათ მიწები, მონები, საწარმოო და საბრძოლო იარაღები, ბევრად მეტი, ვიდრე რიგით მოთემეებს, მონობასთან ერთად, რომელიც თავიდან პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა (მონებს ოჯახებში იყენებდნენ), გაჩნდა დაქირავებულ უმიწოთა ფენა. ოჯახებისა და ცალკეული პირების მიერ სიმდიდრის დაგროვების შესაძლებლობამ გაზარდა მისწრაფება,–გამოეყენებინათ სხვისი შრომა და ექსპლოატაცია გაეწიათ ადამიანებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მონებისათვის, რომელთა რიცხვი სამხედრო ტყვეებით ივსებოდა. უფრო მოგვიანებით, ვინც ვალებს ვერ ისტუმრებდა, მათ მონებად აქცევდნენ.

ძველ სპარტაში სახელმწიფოს წარმოშობის თვისებები უფრო სხვა გარემოებებით ხასიათდებოდნენ. სპარტამ დაიპყრო მეზობელი ტერიტორიები და დაპყრობილი მოსახლეობა აქცია მონებად. მათი რიცხვი თვით სპარტელ მოქალაქეთა რაოდენობას აჭარბებდა. მონათა მორჩილებაში ყოფნისა და მათზე ბატონობისათვის საჭირო გახდა ახალი სახელისუფლო აპარატის შექმნა. იმისათვის, რომ სპარტის ძირითად მცხოვრებლებს შორის არ მომხდარიყო ქონებრივი უთანასწორობა, იკრძალებოდა მიწაზე პირადი საკუთრება და იგი სახელმწიფოს მფლობელობაში რჩებოდა. სპარტის მთელი მიწა იყოფოდა თანასწორ ნაკვეთებად და ადილობრივ მცხოვრებლებზე ნაწილდებოდა. ქონებრივი უთანასწორობის დაუშვებლობა ხელს უწყობდა წესრიგის კონსერვაციას და არ იძლეოდა იმ სოციალური ძალის წარმოქმნის საშუალებას, რომელსაც შეეძლო ტომობრივი ნაშთების ლიკვიდაცია.

ბუნებრივია, პირველყოფილი გვაროვნული წყობილებისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი უკვე მიუღებელი და შეუთავსებელი აღმოჩნდა კლასობრივი საზოგადოებისათვის და საჭირო გახდა მანამდე უცნობი და სრულიად ახლებურად მოწყობილი ხელისუფლების ორგანოების შექმნა. მეცნიერები განიხილავენ ევროპის ტერიტორიაზე სახელმწიფოს წარმოშობის სამ ძირითად ფორმას, რაც დამახასიათებელია ზოგადად პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს წარმოშობის ყველაზე კლასიკურ მაგალითად განიხილავენ ათენის სახელმწიფოს. მისი შექმნის აუცილებლობა განაპირობა კლასობრივმა ანგატაგონიზმმა, ყოველგვარი შიდა და გარე ძალებისა თუ სხვა ზემოქმედების გარეშე.

სახელმწიფოს წარმოშობის მეორე ფორმად მიღებულია რომის სახელმწიფოს მაგალითი. მართალია, პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის პროცესი ძალიან მიაგავდა ათენში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ ერთი განსხვავებით,–რომში სახელმწიფოს შექმნა განაპირობა უკიდურესად გამწვავებულმა წინააღმდეგობამ და ბრძოლამ გვაროვნულ არისტოკრატიასა და თავისუფალ მეთემეებს, პლებეებს შორის, რის შედეგადაც იშლება სისხლით ნათესაურ პრინციპზე დამყარებული გვარი და საფუძველი ეყრება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც ემყარებოდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ და წოდებრივ-კლასობრივ დაყოფას. რომის სახელმწიფოს წარმოშობა დააჩქარა შინაგანმა წინააღმდეგობებმა.

სახელმწიფოს წარმოშობის სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გერმანელ ტომებში. იმ დროს, როდესაც რომის მონათმფლობელური იმპერია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე იყო ასული, გერმანელი ტომები ჯერ კიდევ პირველყოფილი გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. რომის მხრიდან სისტემატური თავდასხმის შიშმა ისინი გააერთიანა, თავს დაესხნენ რომის იმპერიას, დაამხეს იგი და შექმნეს არა მონათმფლობელური, არამედ ფეოდალური სახელმწიფო.

პირველყოფილი გვაროვნული წყობილებიდან ფეოდალური ტიპის სახელმწიფოს შექმნის გერმანიის მაგალითი ერთადერთი და გამონაკლისი არ არის ევროპის ტერიტორიაზე. ეს გზა გაიარეს ძველმა რუსეთმა, მონღოლეთმა, ირლანდიამ და სხვა ქვეყნებმა.

ბუნებრივია, ამ თავისებურებების გათვალისწინებით იქმნებოდა სამართალიც. პირველი სამართალი დამყარებული იყო იმ ადათებსა და წესებზე, რომლებიც წლების მანძილზე ფორმირდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადათ-წესებს და ჩვეულებებს სახელმწიფოს მიერ სავალდებულო ძალა მიენიჭა და ჩამოყალიბდა ადათობრივი სამართალი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია რომის სამოქალაქო სამართალი, სისხლის

სამართალი და სასამართლო პროცესი, რომლებმაც საფუძველი დაუდო რომანულ–გერმანული სამართლის სისტემას და უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო სამართლის განვითარების საქმეში. ძველი რომის სამართლის წყაროებიდან აღსანიშნავია–ადათი, წინაპართა წეს-ჩვეულებანი, რომელიც რომის სამართლის უძველეს წყაროს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია: რესპუბლიკის პერიოდიდან დაწყებული ცენტურიის კრებებზე მიღებული კანონები. (XII ტაბულის კანონი). ედიქტები, რომლებსაც გამოსცემდნენ რესპუბლიკისა და პრინციპატის პერიოდში არჩეული თანამდებობის პირები. სენატის დადგენილებანი, რომლებსაც ფაქტობრივად, სავალდებულო ძალა გააჩნდათ, მაგრამ კანონთა რანგში არ განიხილებოდა, რადგანაც სახალხო კრების მიერ არ იყო მიღებული. იურისტების მოღვაწეობა, რომლებიც განმარტავდნენ კანონის შინაარსს. იმპერატორების საკანონმდებლო მოღვაწეობა, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო იმპერიის პერიოდში.

რომის სამართალი[115] დღესაც სამართალმცოდნეთა სამაგიდო წიგნია, იურიდიულ ფაკულტეტებზე დამოუკიდებელ სასწავლო დისციპლინადაა აღიარებული და მკვლევართა დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს.[116]

---

[115] Иво-Пухан, Мирьяна Поленак-Акимовская. Римское право под. ред. В. Томсинова М. 1999 г.

[116] იხ. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბ, 1995. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2002 წ. გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, წ. I–II, 2009 წ.

თავი მეთერთმეტე

სახელმწიფოს ფორმები

§1 სახელმწიფოს ფორმის ცნება და მნიშვნელობა

იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში განიხილავენ სახელმწიფოს ორ ფორმას: მმართველობის და წყობილების ნიშნის მიხედვით, მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს შორის ხელისუფლების ჰორიზონტალური განაწილების წესი (მმართველობის ფორმა) და სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომ და ქვემდგომ ორგანოებს შორის ხელისუფლების ვერტიკალური განაწილების წესი (წყობილების ფორმა). ცნობილი რუსი იურისტის და ფილოსოფოსის ი. ილინის აზრით, სახელმწიფოს ფორმა არ არის განყენებული ცნება, არც ხალხის ცხოვრებისადმი გულგრილი პოლიტიკური სქემა, არამედ ცხოვრების წესი, წყობა, ხალხის ძალაუფლების ცოცხალი ორგანიზაციაა, „აუცილებელია, რომ ხალხს ესმოდეს თავისი ცხოვრების წყობა, რომ მან იცოდეს—სწორედ „ასე“ ორგანიზება, რომ პატივს სცემდეს ამ წყობის კანონებს და ჩადოს თავისი ნება ამ ორგანიზაციაში“.[117] სახელმწიფოს ფორმა პასუხობს კითხვებს, თუ რა პრინციპებზე და ტერიტორიულად როგორ არის აგებული სახელმწიფო ხელისუფლება, როგორ იქმნება სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოები, როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ერთმანეთთან და მოსახლეობასთან, როგორი მეთოდებით ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება და სხვა.

მკვლევარები სახელმწიფოს ფორმად მიიჩნევენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას და მოწყობას, რაც განპირობებულია სახელმწიფოთა პოლიტიკური რეჟიმის ფორმით და სოციალური დანიშნულებით, რომლითაც ფასდება შესაბამისი საზოგადოების ისტორიული, ეკონომიკური, ეროვნული ცნობიერების დემოკრატიისა და კულტურის განვითარების დონე.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ფორმის ცნება მოიცავს:

ა) უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, მისი წარმოქმნის წყაროებს და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთმა-

---

[117] Теория государства и праша под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г. стр. 179.

ნეთთან და მოსახლეობასთან ურთიერთქმედების პრინციპებს.

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ ორგანიზაციას, როგორც მთელის შეფარდებას მის შემადგენელ ნაწილებთან.

გ) სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების მეთოდსა და საშუალებებს.

სახელმწიფოს ფორმა დამოკიდებულია მისი წარმოქმნისა და განვითარების კონკრეტულ ისტორიულ პირობებზე. მასზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სახელმწიფოს არსი, ისტორიული გზა.

ფეოდალურ სახელმწიფოს, როგორც წესი, შეესაბამებოდა მმართველობის მონარქიული ფორმა, ხოლო კაპიტალისტურს–რესპუბლიკური. სახელმწიფოს ფორმა დიდად არის დამოკიდებული ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზე, განსაკუთრებით, მისი წარმოქმნის პერიოდში. ადრეული რევოლუცია მიდიოდა კომპრომისამდე ახალ კლასსა და ფეოდალებს შორის, რისი შედეგიც კონსტიტუციური მონარქიაა. კონსტიტუცია–ახალი კლასის მოთხოვნაა, მონარქია–დათმობა ფეოდალებისადმი.

სახელმწიფოს ფორმაზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული შემადგენლობა, ისტორიული ტრადიციები, ტერიტორიის სიდიდე, დემოკრატიისა და კულტურის განვითარების დონე და სხვა ფაქტორები. მცირე ტერიტორიის მქონე სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, უნიტარულია. „მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობა სახელმწიფოს ფორმას თავის მოთხოვნებს უყენებს. ის შეიძლება დაშლის ფაქტორი გახდეს და დამღუპველ სამოქალაქო ომამდე მივიდეს.[118] ამის მაგალითებია მოვლენები, რომლებიც განვითარდა იუგოსლავიაში, რუსეთში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. რუსი მეცნიერი ილინი თვლიდა, რომ ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი, განსაკუთრებული, ინდივიდუალური ფორმა, რომელიც მხოლოდ მას შეესაბამება. არ არსებობს ერთნაირი ხალხი და არ უნდა არსებობდეს ერთნაირი სახელმწიფოებრივი ფორმები და კონსტიტუციები, ბრმად გადმოღება და მიბაძვა უაზრობაა, საშიშია და შეიძლება, დამღუპველი გახდეს ნებისმიერი ერისათვის.[119]

---

[118] Ильин И. А. О государственной форме (Жур. Сов. Государство и право 1991 г. `1 Стр. 136).

[119] იქვე. გვ. 138.

§2. მართვა-გამგეობის ფორმა

მართვა-გამგეობის ფორმაში მოიაზრება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება.[120] ე.ი. თუ როგორ წარმოიქმნება უმაღლესი ორგანოები, დემოკრატიული თუ არადემოკრატიული გზით, რას წარმოადგენენ და რა საწყისებზე ურთიერთქმედებენ ისინი, მონაწილეობს თუ არა მოსახლეობა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ფორმირებაში.

ამგვარად, მმართველობის ფორმა ხსნის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის მეთოდს, მისი ორგანოების წარმოქნის წესს, მათ მიერ ერთმანეთთან და მოსახლეობასთან ურთიერთქმედებას, მათ ფორმირებაში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს.

სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს შორის ხელისუფლების ჰორიზონტალური განაწილების წესის მიხედვით განასხვავებენ ორ ძირითად ფორმას, **მონარქიას და რესპუბლიკას.**

მონარქია არის მმართველობის ფორმა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ერთპიროვნულ სახელმწიფო მეთაურს–მონარქს (მეფეს, იმპერატორს, შაჰს და ა.შ.), რომელიც მემკვიდრეობით იკავებს ტახტს და პასუხისმგებელი არ არის ხალხის წინაშე.

არსებობს ორგვარი მონარქია:

შეუზღუდავი (აბსოლუტური) მონარქიის პირობებში მონარქი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთადერთ უმაღლეს თანამდებობის პირს, ის ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციას (მონარქის ნება სამართლის წყარო და კანონია. ხელმწიფე არის „თვითმპყრობელი მონარქი, რომელიც თავისი საქმიანობის შესახებ არავის წინაშე პასუხს არ აგებს მთელ ქვეყანაზე“), ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს, აკონტროლებს მართლმსაჯულებას. აბსოლუტური მონარქია დამახასიათებელია ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების უკანასკნელი ეტაპისათვის, როცა ფეოდალური დაქუცმაცებულობის საბოლოოდ დაძლევის შედეგად დასრულდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი. ახლანდელ დროში აბსოლუტური მონარქიის

[120] გ. ინწკირველი, დასახ. ნაშ. გვ. 35.

მაგალითს ვხვდებით შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში (საუდის არაბეთი).

შეზღუდული[121] მონარქიის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება განაწილებულია მონარქსა და სხვა ორგანოს, ან ორგანოებს შორის (საერო კრება რუსეთის იმპერიაში, დარბაზი – საქართველოში). შეზღუდულ მონარქიას მიეკუთვნება წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია და თანამედროვე კონსტიტუციური მონარქია (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი), რომელშიც მონარქის ძალაუფლება იზღუდება კონსტიტუციით, პარლამენტით, მთავრობით და დამოუკიდებელი სასამართლოთი.

დუალისტური მონარქიის დროს სახელმწიფო ხელისუფლება ფორმალურ-იურიდიულად განაწილებულია მონარქსა და პარლამენტს შორის, რაც ნიშნავს ორპალატიან სისტემას: ქვედა პალატა ირჩევა, ზედა – ინიშნება მონარქის მიერ, რომელსაც, ამასთანავე, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე ვეტოს დადების უფლება აქვს.

საპარლამენტო მონარქიის დროს მონარქის უფლებები ფორმალურად და ფაქტობრივად შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების თითქმის ყველა სფეროში.

საკმაოდ მდიდარია მონარქიული მმართველობის გეოგრაფია მსოფლიო რუკაზე, 50-მდე ქვეყანაში მმართველობა სხვადასხვა ფორმით მონარქიულია.

რესპუბლიკა არის მმართველობის ფორმა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის გარკვეული ვადით არჩევით ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამომრჩევლების წინაშე.

რესპუბლიკას ახასიათებს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების წარმოქმნის დემოკრატიული მეთოდი. განვითარებულ სახელმწიფოებში ურთიერთქმედება უმაღლეს ორგანოებს შორის ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპით, მათ კავშირი აქვთ ამომრჩევლებთან და პასუხისმგებელნი არიან მათ წინაშე.

მმართველობის რესპუბლიკური ფორმა მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ჩაისახა. იგი ყველაზე მკაფიოდ ათენის დემოკრატიულ რეს-

---

[121] შეზღუდვის ხარისხის მიხედვით ასხვავებენ დუალისტურ და პარლამენტარულ მონარქიებს. არსებობს არჩევითი (მალაიზიის ფედერაცია, არაბთა გაერთიანებული საემიროები) და თეოკრატიული (ვატიკანი, ბაჰრეინი, ომანი) მონარქიები.

პუბლიკაში გამოვლინდა. აქ უმაღლესი სახელმწიფო ორგანო (მათ შორის უმნიშვნელოვანესი სახალხო კრება აგორა იყო), რომელსაც ათენის სრულუფლებიანი მოქალაქეები ირჩევდნენ, მაგრამ მონათმფლობელურ სახელმწიფოებში უფრო მეტად გავრცელებული იყო არისტოკრატიული რესპუბლიკა, სადაც უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ფორმირებასა და საქმიანობაში სამხედრო-მიწათმფლობელ დიდებულთა წრე მონაწილეობდა.

ფეოდალიზმის ეპოქაში მმართველობის რესპუბლიკური ფორმა იშვიათად გამოიყენებოდა. ის წარმოიქმნებოდა შუა საუკუნეების იმ ქალაქებში, რომელთაც თვითგამორკვევის უფლება ჰქონდათ (ვენეცია, გენუა, ლუბეკი, ნოვგოროდი და ა.შ.). სავაჭრო ქალაქ-სახელმწიფოები შესაბამის თანამდებობის პირთა (ბურგომისტრი, მერი და ა.შ.) მეთაურობით არჩევის გზით ჰქმნიდნენ ხელისუფლების ორგანოებს.

თანამედროვე რესპუბლიკები იყოფა საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებად. ისინი, ძირითადად, განსხვავდებიან იმით, თუ უზენაესი ხელისუფლების რომელი ორგანო, პარლამენტი თუ პრეზიდენტი, აყალიბებს მთავრობას და ვის წინაშე, პარლამენტის თუ პრეზიდენტის წინაშეა პასუხისმგებელი იგი.

საპარლამენტო რესპუბლიკაში პარლამენტს მინიჭებული აქვს არა მხოლოდ საკანონმდებლო უფლებამოსილება, არამედ მთავრობის გადაყენების უფლებაც, მისთვის უნდობლობის გამოცხადების მეშვეობით, ანუ მთავრობა თავის საქმიანობაზე ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. რესპუბლიკის პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია და არა მთავრობის. პოლიტიკურად ეს ნიშნავს, რომ მთავრობას აყალიბებს ის პარტია (ან პარტიები), რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ხოლო პრეზიდენტი, რომელიც არ არის პარტიის ლიდერი, მოკლებულია საშუალებას, წარმართოს მისი საქმიანობა. მთავრობას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი (იგი, შესაძლოა, სხვაგვარადაც იწოდებოდეს).

საპრეზიდენტო რესპუბლიკა არის მმართველობის ფორმა, სადაც პრეზიდენტი გარკვეული საპარლამენტო კონტროლის თანხლებით აყალიბებს მთავრობას, რომელიც ანგარიშვალდებულია მის წინაშე. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, ჩვეულებრივ, არ არსებობს პრემიერ-მინისტრის თანამ-

დებობა, რადგან ხშირად სახელმწიფოს მეთაურის და მთავრობის მეთაურის ფუნქციებს პრეზიდენტი ასრულებს.

არსებობს შერეული **„ნახევრადსაპრეზიდენტო“** (საპრეზიდენტო-საპარლამენტო) რესპუბლიკები (საფრანგეთი, ფინეთი, პორტუგალია), რომლებშიც პარლამენტი და პრეზიდენტი მეტნაკლებად ინაწილებენ კონტროლს და პასუხისმგებლობას მთავრობის მიმართ.

ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ იგი, როგორც წესი, არ ხელმძღვანელობს და არ უკავია პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. იმავდროულად, მას გააჩნია რიგი უფლებამოსილება, რომლის მეშვეობითაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე. პრეზიდენტს აქვს მთავრობის მიერ მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების პრეროგატივა და დაბრუნების უფლება მათ ხელმეორედ განსახილველად. ამას ემატება კანონებზე ვეტოს დადების, პარლამენტის დათხოვისა და ახალი არჩევნების დანიშვნის უფლება, რასაც თავისთავად მოჰყვება მთავრობის შეცვლა.

ნახევრადსაპრეზიდენტო, როგორც ტერმინი, პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის პრეზიდენტს უფლებრივი თვალსაზრისით, საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტებს შორის შუალედური ადგილი უკავია—ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით საფრანგეთის და რუსეთის პრეზიდენტებზე, რომლებსაც ზოგიერთ საკითხში უფრო დიდი უფლებამოსილება აქვს, ვიდრე წმინდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტს (მაგალითად, პარლამენტის გვერდის ავლით, რეფერენდუმის გზით კანონის მიღების უფლება). მისი ბუნება სწორედ საპრეზიდენტო—საპარლამენტო ხელისუფლების ფრანგული მოდელისათვის დამახასიათებელ ორგვაროვნებაში—დუალიზმში ძევს.[122]

აღსანიშნავია, რომ მონარქიამ და რესპუბლიკამ, როგორც მმართველობის ფორმებმა, დაამტკიცეს განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობა, პოლიტიკური ისტორიის სხვადასხვა პირობასთან და ეპოქასთან შეგუების უნარი. არსებითად, ყველა სახელმწიფო სწორედ ამ ფორმით განსახიერდება.

---

[122] რესპუბლიკა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, თბ., 1996 წ. შემდგენელი და რედაქტორი ო. მელქაძე.

§3. სახელმწიფო წყობილების ფორმა

სახელმწიფო წყობილების ფორმა თავის თავში გულისხმობს ხელისუფლების ზემდგომ და ქვემდგომ ორგანოებს შორის ძალაუფლების ვერტიკალური განაწილების წესს, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს შინაგანი აგებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციულ თავისებურებებთან, აქედან გამომდინარე, **„სახელმწიფო მოწყობის ფორმა“ გაიგება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიული ორგანიზაცია, სახელმწიფოს, როგორც მთელის შეფარდება მის შემადგენელ ნაწილებთან.**

სახელმწიფო მოწყობის მიხედვით, ძირითადია უნიტარული და ფედერაციული ფორმა. სახელმწიფო მოწყობის მესამე ფორმაა კონფედერაცია, მაგრამ იგი პირველ ორთან შედარებით, იშვიათად გვხვდება.

უნიტარული სახელმწიფო არის ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არ აქვთ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი, არ ფლობენ სუვერენულ უფლებებს. უნიტარულ სახელმწიფოში ერთიანი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები, ერთიანი მოქალაქეობა, ერთიანი კონსტიტუციაა, რაც ჰქმნის ორგანიზაციულ-სამართლებრივ წანამძღვრებს—ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განუხრელად ვრცელდებოდეს ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ორგანოები ან მთლიანად ცენტრის, ან ორმაგ—ცენტრის და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების დაქვემდებარებაში არიან. უნიტარიზმი ვერ ეგუება ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიას. მან შეიძლება დაუშვას მხოლოდ კულტურული ავტონომია კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფებისათვის ან ეკონომიკური დამოუკიდებლობა მიანიჭოს რომელიმე რეგიონს. იგი არის ერთიანი და არა ავტონომიურ წარმონაქმნთა კავშირი ან გაერთიანება.

ადრე და ახლა არსებული სახელმწიფოების უმრავლესობა უნიტარულია. ეს გასაგებიცაა, რადგან უნიტარული სახელმწიფო კარგად იმართება, ხოლო უნიტარული ფორმა საკმაოდ საიმედოდ უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივ ერთიანობას. უნიტარულ სახელმწიფოებში მოსახლეობის შემადგენლობა შესაძლოა იყოს მონოეროვნული (საფრანგეთი, იტალია, შვედეთი, ნორვეგია და სხვა) და მრავალეროვნული (დიდი ბრიტანეთი, ბელგია და სხვა).

ფედერაციული სახელმწიფო არის რთული სახელმწიფო, რომლის ნა-

წილები (რესპუბლიკები, შტატები, მიწები, კანტონები და ა.შ.) წარმოადგენენ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. ფედერაცია შენდება დეცენტრალიზაციის საწყისებზე.

წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ფედერაციას უწოდებენ ისეთ სახელმწიფოს, რომელიც დაყოფილია ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიებად და შეზღუდული უფლებებით აღჭურვილ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს წარმოადგენენ, რომლის შედეგად მიიღება ერთი თვისობრივად ახალი ერთიანი სახელმწიფო. ფედერაციის სუბიექტებს არ გააჩნიათ სუვერენიტეტი, მაგრამ სარგებლობენ დამოუკიდებლობით ადგილობრივი მმართველობის მხრივ. ფედერაციული სახელმწიფო არის ავტონომიურ წარმონაქმნთა გაერთიანება. იგი უნიტარულია უმაღლესი ხელისუფლების მხრივ, რადგან ემორჩილება ტერიტორიული მთლიანობის და ფედერაციული მმართველობის პრინციპებს. ამგვარი სახელმწიფოა ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და სახელმწიფოებს ფედერაციის სუბიექტები ეწოდებათ. მათ შეუძლიათ, ჰქონდეთ თავიანთი კონსტიტუცია, მოქალაქეობა, საკუთარი უმაღლესი-საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო სახელმწიფო ორგანოები. ფედერაციაში უმაღლესი ორგანოების ორი სისტემის-მთლიანად ფედერაციის და მისი სუბიექტების არსებობა იწვევს მათი კომპეტენციების გამიჯვნის აუცილებლობას.

გამიჯვნის საშუალებები, რომლებიც სხვადასხვა ფედერაციაში გამოიყენება, მრავალგვარია, მაგრამ უფრო გავრცელებულია ორი მათგანი: აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში, მექსიკაში და სხვა ქვეყნებში კონსტიტუციით არის დადგენილი სფეროები, რომლებიც მხოლოდ ფედერაციის და მხოლოდ მისი სუბიექტების კომპეტენციაში ხვდება. გფრ-ში, ინდოეთში და ზოგ სხვა სახელმწიფოში, ამის გარდა, კონსტიტუცია ითვალისწინებს ფედერაციის და მისი სუბიექტების ერთობლივი კომპეტენციების მოქმედების სფეროს.

ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ფედერაცია ხელოვნურ ხასიათს ატარებდა, რომ ფაქტიურად სსრკ უნი-

ტარული სახელმწიფო იყო. ასეთი მტკიცებებისათვის გარკვეული საფუძველი არსებობს: კავშირში, განსაკუთრებით ტოტალიტარიზმის აყვავების პერიოდში, სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციის ხარისხი ძალიან მაღალი იყო. მიუხედავად ამისა, სსრკ ფლობდა საკავშირო (ფედერაციული) სახელმწიფოს ყველა ნიშან-თვისებას.

ამჟამად მსოფლიოში 26 ფედერაციული სახელმწიფოა, ისინი განლაგებული არიან ევროპაში (ავსტრია, ბელგია, გერმანია, რუსეთი, იუგოსლავია, სერბეთი, ჩერნოგორია, შვეიცარია, 1995 წ. შექმნილი სერბეთ-ხორვატიის მუსლიმური ფედერაცია ბოსნიაში), აზიაში (ინდოეთი, მალაიზია, არაბთა გაერთიანებული საემიროები, პაკისტანი), ამერიკის კონტინენტზე (არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა, კანადა, მექსიკა, ა.შ.შ. სანკტ-კიტსი და ნევისი), აფრიკაში (ნიგერია, ტანზანია, ეთიოპია, კანარის კუნძულები და ა.შ.), ფედერაციულია ავსტრალია, ფედერაციის გარკვეული ელემენტები შეიმჩნევა ევროპის კავშირში, სადაც 27 ქვეყანაა გაერთიანებული.

გაჩნდა ახალი (ჩამოუყალიბებელი) ფორმა სახელმწიფოთა გაერთიანებისა, როგორიცაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), რასაც ვერ მივაკუთვნებთ კონფედერაციას, მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ მის ამორფულ ხასიათზე.

ზემოაღნიშნული ფორმების გარდა, კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე არსებობდნენ სპეციფიკური ფორმის სახელმწიფოები, როგორიც იყვნენ იმპერიები, პროტექტორატები და სხვა (რომის, ბრიტანეთის, რუსეთის და ა.შ.).

უკანასკნელ პერიოდში განიხილავენ ფედერაციული სახელმწიფოს სხვადასხვა სახეს, როგორიცაა: ნამდვილი და არანამდვილი ფედერაციული სახელმწიფო, კვაზიფედერაციული, ერთსაფეხურიანი და მრავალსაფეხურიანი, ბიპოლარული, რევერსიული და არარევერსიული, სტატიკური და დინამიკური, ღია და ჩაკეტილი, ცენტრალისტური და პარტიკულარული, პარიტეტული და დისპარიტეტული, სიმეტრიული და ასიმეტრიული ჰომოგენური და ჰეტეროგენული, სამთავრობო-ფედერაციული და სენატორულ-ფედერაციული, ფედერაციულ-საპრეზიდენტო და უნიტარულ-საპრეზიდენტო, ვერტიკალური, მაკავშირებელი, ფისკალური, პერსონალური, ინტრასახელმწიფო, ინტერსახელმწიფო ფედერაციულ სახელმწიფოებად. უფრო მეტიც, განიხილავენ უნიტარული ფედერაციული სახელმწიფოს სახესაც. [123] თითოეულ ამ სახეობის სახელმწიფოს განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ ერთი რამის თქმა კი შეიძლება,

---

[123] გ. ხუბუა. ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი. თბ. 2000. გვ. 329-355. Barchel V. Die Staatsavali tät der deuchen. Landier. 1982.

მსოფლიოში ამდენი სახის კი არა, რაოდენობრიობითაც არ არის ფედერაციულ სახელმწიფოთა რიცხვი. ასე რომ, ეს მიდგომები უფრო თეორიული თვალსაზრისებია, ვიდრე პრაქტიკული.

როგორც პროფ. გ. ხუბუა წერს: ფედერაციულ სახელმწიფოთა კლასიფიკაცია განსხვავებულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ავტორთან, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი სახეები აღებულია უ. ბარშელის ნაშრომში მოცემული კლასიფიკაციის შედარებით უფრო ეკონომიკური და კომპაქტური სქემა, ამის შემდეგ ნათელი ხდება ფედერალიზმის კლასიფიკაციათა სირთულე.

კონფედერაცია არის სუვერენული სახელმწიფოების კავშირი, რომელიც წარმოიქმნება გარკვეული მიზნების (სამხედრო, ეკონომიკური და სხვა) მისაღწევად. აქ საკავშირო ორგანოები ახდენენ სახელმწიფოების–კონფედერაციის წევრების საქმიანობის კოორდინირებას მხოლოდ იმ საკითხებში, რომელთა გადასაჭრელადაც გაერთიანდნენ ისინი. მაშასადამე, კონფედერაცია არ ფლობს სუვერენიტეტს.[124]

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონფედერაციას არამდგრადი, გარდამავალი ხასიათი აქვს: იგი ან იშლება, ან ფედერაციად გარდაიქმნება. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის შტატები 1776 წლიდან 1787 წლამდე კონფედერაციაში იყვნენ გაერთიანებულნი, რაც ბრიტანეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლით იყო ნაკარნახევი. კონფედერაცია გახდა საფეხური ფედერაციული სახელმწიფოს–აშშ შექმნის გზაზე, ასევე, შვეიცარიის კონფედერაცია (1815-1848), რომელიც ფედერაციად ჩამოყალიბდა, ხოლო 1952 წელს შექმნილი ეგვიპტის და სირიის კონფედერაცია (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა) სენეგამბია, სადაც გაერთიანდა სენეგალი და ლაგამბია (1982-1989 წ.წ.), რომლებიც დაიშალნენ.

ბოლო ათწლეულებში გაჩნდა ასოცირებული სახელმწიფოებრივი გაერთიანების განსაკუთრებული ფორმა. ამის მაგალითს წარმოადგენს ევროპის გაერთიანება, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა. ადვილად წარმოსადგენია, რომ თანამედროვე ევროპული ინტეგრაციის პროცესი თანამეგობრობიდან კონფედერაციულ სახელმწიფო მოწყობამდე, ხოლო შემდეგ ფედერაციულ სრულიად ევროპულ სახელმწიფომდეც შეიძლება მივიდეს.

---

[124] Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000. стр. 187

§4. პოლიტიკური რეჟიმის ცნება

იურიდიულ ლიტერატურაში სახელმწიფოს ფორმას (მართვა-გამგეობა, სახელმწიფო წყობილების ფორმა) უკავშირებენ პოლიტიკური რეჟიმის ცნებას, რომლის მნიშვნელობა ამა თუ იმ სახელმწიფოს არსებობაში განსაკუთრებულად დიდია. ქვეყანაში დემოკრატიის, დიქტატურის თუ ტოტალიტარიზმის ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმაზე, რა ფორმით და მეთოდებით ახორციელებს ხელისუფლება თავის მმართველობას–ამის შედეგად სახელმწიფოში მყარდება შესაბამისი პოლიტიკური რეჟიმი. იგი შეიძლება იყოს დემოკრატიული, დიქტატორული ან ტოტალიტარული. პოლიტიკური რეჟიმი დამოკიდებულია არა სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე–მონარქიაა თუ რესპუბლიკა, არამედ ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და ხერხებზე, როგორ და რა მეთოდებით ახორციელებს იგი თავის ძალაუფლებას. პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა (მაშინაც კი, თუ მმართველობისა და სახელმწიფო მოწყობის ფორმა არ იცვლება), ჩვეულებრივ, იწვევს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური რეჟიმი მხოლოდ ძალაუფლების ორგანიზაციის ფორმასთან კი არა, მის შინაარსთანაც არის დაკავშირებული.

პოლიტიკური რეჟიმი არის იმ პოლიტიკური ძალაუფლების მეთოდების, ხერხების და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა გამოყენების შემდეგ სახელმწიფოში მყარდება ესა თუ ის წესრიგი, რომელიც იქმნება განსხვავებული პოლიტიკური ძალების ურთიერთქმედების და ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლის, ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციონირების შედეგად და დემოკრატიზმით ან ანტიდემოკრატიზმით ხასიათდება.

ამ განმარტების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი თვისებები:

–პოლიტიკური რეჟიმი, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მეთოდებით ხორციელდება სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლება. თუ ეს არის დარწმუნების, შეთანხმების, კანონიერების, პარლამენტარიზმის მეთოდები, თუ გამოიყენება მხოლოდ სამართლებრივი იძულება, მაშინ გვაქვს პროგრესული, დემოკრატიული რეჟიმი, ხოლო როცა პირველ პლანზეა ძალდატანების მეთოდები, სახელმწიფოში იქ-

მნება რეაქციული, ანტიდემოკრატიული რეჟიმი. არსებობს რეჟიმები, სადაც მეტნაკლებად შეხამებულია ორივე საწყისი.

–ყოველ ქვეყანაში პოლიტიკურ რეჟიმს განსაზღვრავს პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა, განლაგება. ქვეყნებში, სადაც არსებობს ძალთა მდგრადი ბალანსი, ან მიღწეულია ხანგრძლივი ეროვნული თანხმობა, ასეთი თანხმობის შედეგს წარმოადგენს სტაბილური პოლიტიკური რეჟიმი. მაგრამ თუ ქვეყანაში იმარჯვებს ხან ერთი, ხან კი მეორე ძალა, პოლიტიკური რეჟიმი მუდმივად იცვლება.

დემოკრატიული რეჟიმის პირობებში სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს აქვთ ხალხის მანდატი, ძალაუფლება რეალიზდება ხალხის ინტერესების დასაცავად დემოკრატიული და სამართლებრივი მეთოდებით. აქ ადამიანის და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები ყოველმხრივ გარანტირებული და დაცულია, კანონი საზოგადოების ყველა სფეროში ბატონობს.

დემოკრატია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოსდგება ძველბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს ხალხის მმართველობას. ეს არის ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა, რაც, მკვლევართა აზრით, დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო და ხალხის მმართველობა ერთმანეთს გამორიცხავს: იქ, სადაც ხალხის მმართველობაა, სახელმწიფო არ არსებობს. პირველყოფილ–თემურ საზოგადოებაში, სადაც მმართველობას ახორციელებდა თვითონ ხალხი, სახელმწიფო საჭირო არ იყო. ეს უკანასკნელი გულისხმობს საგანგებო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ხალხის მასისაგან უკვე დამოუკიდებელია. სახელმწიფო წარმოიშობა მხოლოდ იქ, სადაც ხალხი უკვე ვეღარ ახორციელებს მმართველობას, ე. ი. ხალხის ხელისუფლება ნიშნავს მხარდაჭერას, ხელისუფლების მართვის გადაცემას ხალხის ცალკეული წარმომადგენლებისათვის. თანამედროვე მიდგომით, დემოკრატიას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ხელისუფლების ლეგიტიმურობა.

2. ხელისუფლების შეზღუდვა სამართლით.

3. ხელისუფლების დანაწილება. ხელისუფლება არ არის თავმოყრილი ერთი ორგანოს ან პირის ხელში.

4. ოპოზიციის ლეგიტიმურობა. ოპოზიცია არა თუ აკრძალული არის,

არამედ კანონიერად ითვლება.

თანამედროვე პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ დემოკრატიზაციის გზაზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს გერმანიამ, საფრანგეთმა, შვეციამ, შვეიცარიამ, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და სხვა ქვეყნებმა, როლებიც დემოკრატიზაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

დიქტატურა დემოკრატიის საპირისპირო მმართველობის ფორმაა, ამიტომ მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. ხელისუფლების არალეგიტიმურობა. იგი ხელისუფლებაში არაკანონიერად–სამხედრო გადატრიალებით ან სხვაგვარი ძალადობის გზით არის მოსული.

2. სამართლით შეუზღუდავი ძალაუფლება. მისი მმართველობა ემყარება არა კანონს, არამედ უხეშ ძალას–რეპრესიებს, შეიარაღებულ რაზმებს და ა.შ.

3. ხელისუფლების დაუნაწილებლობა. ხელისუფლება მთლიანად თავმოყრილია ერთი პირის–დიქტატორის ხელში. მას ეკუთვნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები და განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობს.

4. ოპოზიციის აკრძალვა. ოპოზიცია არაკანონიერად ითვლება და იდევნება.

ისტორიამ დიქტატურის მრავალი შემთხვევა იცის.[125] არც მეოცე საუკუნე ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. დიქტატურა თრგუნავს ხალხის ნებას, არ აძლევს საშუალებას, თავისუფლად გამოავლინოს იგი. დიქტატურის პირობებში შელახულია პიროვნების თავისუფლება, იბღალება მისი ღირსება და ხელშეუხებლობა.

დიქტატურას დემოკრატიისგან განასხვავებს არა ძალადობა, არამედ მისი გამოყენების წესი და ფორმები: ყოველი სახელმწიფო, მათ შორის, დემოკრატიულიც, ძალადობას ემყარება. იძულების გამოყენების გარეშე არ არსებობს საერთოდ სახელმწიფო, მაგრამ განსაზღვრულია მისი გამოყენების ფორმა და წესი: დიქტატურა იყენებს ძალადობას არაკანონიე-

[125] დიქტატორული რეჟიმის ნაირსახეობაა ძალდატანების პრინციპზე დამყარებული უტოპიური რეჟიმი, რომელსაც არანაირი საბოლოო პერსპექტივა არ გააჩნია. ასეთ რეჟიმად ყოფილი სსრკ მოიაზრება.

რად, ხოლო დემოკრატია–კანონიერების ფარგლებში. პირველი ამყარებს პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც ემყარება რეპრესიებს და უხეშ ძალას, ხოლო მეორე – კანონს და სამართალს.

ტერმინი „ტოტალიტარიზმი“, ლათინური წარმოშობისაა (ტოტუს) და ნიშნავს ერთიანს, მთლიანს. პოლიტიკურ მიმოქცევაში იგი შემოიტანა იტალიელმა ჯონ ჯენტილემ XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ იდეოლოგიით სარგებლობდა იტალიური ფაშიზმის მამამთავარი ბ. მუსოლინი. ე.ი. ტოტალიტარიზმი არის თეორია, რომელიც ამართლებს მთელი ძალაუფლების თავმოყრას სახელმწიფოს ხელში. ტოტალიტარული რეჟიმის დროს სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს საზოგადოების ცხოვრებას. პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ურთიერთობანი, სულიერი სფერო ექვემდებარება მკაცრ კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან, არსებობს ოფიციალური ცენზურა, რომლის ნებართვის გარეშე ვერ შესრულდება რაიმე მნიშვნელოვანი ქმედება, ადამიანის პირადი ცხოვრებაც კი მის კონტროლს ექვემდებარება. სახელმწიფო, საიდუმლო ორგანიზაციებისა და აგენტების საშუალებით, თვალყურს ადევნებს მოქალაქეთა საქმიანობას, მის ხელში თავმოყრილია არა მხოლოდ ძალაუფლება, არამედ მთელი ინფორმაცია საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

დემოკრატია პრინციპულად გამორიცხავს ტოტალიტარიზმს, რადგან იგი ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრას. დიქტატურა გულისხმობს ტოტალიტარიზმს, რადგან დამყარებულია განუსაზღვრელ ძალაუფლებაზე, რომელიც მთლიანად აკონტროლებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ ტოტალიტარიზმი ყოველთვის არ გულისხმობს დიქტატურას, რადგან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი შეიძლება განხორციელდეს რეპრესიების გარეშე, კანონიერების მეტ-ნაკლები დაცვით.[126]

---

[126] ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია თბ., 1985 წ. სახელმწიფო ფორმების, პოლიტიკური რეჟიმის, სამართლისა და ზნეობის, პოლიტიკური და ზნეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000 წ. ე. კოდუა. სოციოლოგიის ისტორია, ო I-II, 1996 წ. გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000 წ. ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996 წ. რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, თბ. 1999 წ. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 1999 г. Обіцая теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1996 г. Хропанюк

უკიდურესად არადემოკრატიულია ტოტალიტარული, ფაშისტური რეჟიმი, როცა ძალაუფლება გადადის რეაქციული ძალების ხელში და დიქტატორული, ძალდატანებითი მეთოდებით ხორციელდება. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები ყოვლად დაუცველია, საზოგადოებაში გამეფებულია თვითნებობა და უკანონობა. ამის მაგალითია ფაშისტური დიქტატურა გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და ა.შ. იტალიაში ფაშისტური რეჟიმი დამყარდა 1922 წელს და რეჟიმის მიზანი იყო უდიდესი რომის იმპერიის აღდგენა, ხოლო გერმანიაში ფაშიზმმა გაიმარჯვა 1933 წელს, რომლის მიზანი იყო „არიელი ნაციის" მსოფლიო ბატონობა.

В. Н. Теория государства и права. М. 1999 г. Н.И. Матузов, А.В. Малько, Теория государства и права. С-П. 2002 г.

თავი მეთორმეტე

სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში

§1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ზოგადი დახასიათება

სიციალურ მართვაში მონაწილეობას იქებს სხვადასხვა სუბიექტი: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტია და მოძრაობა, საზოგადოებრივი გაერთიანებები და ა.შ. ყველა ისინი აქტიურ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ახორციელებენ პოლიტიკურ ძალაუფლებას და ერთიანდებიან პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც არის ადამიანთა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი გაერთიანებების (ორგანიზაციების) გარკვეული ინტერესების ერთობლიობა იმ სოციალური ფენების, ჯგუფებისა და ერების ინტერესებისა და ნება-სურვილის გამოხატულება, რომლებსაც სურთ, რეალურად გაატარონ ცხოვრებაში პოლიტიკური ძალაუფლება, ან იბრძვიან მისი განხორციელებისათვის სახელმწიფოს საშუალებით სამართლის ფარგლებში.

„სისტემის“ ცნება მეცნიერებაში გერმანელმა ბიოლოგმა ლი ფონ ბერტალაფმა (1901-1972) XXს. 20-იან წლებში შემოიტანა. სისტემას იგი განიხილავდა, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას.

საზოგადოების შესწავლაში კი სისტემის ცნება ტ. პარსონასმა დაამკვიდრა. რაც შეეხება ტერმინს „პოლიტიკური სისტემა“ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა XXს. 50-60-იან წლებში, მანამდე ხელისუფლებითი ურთიერთობების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ცნებები მმართველობის ტიპი, მმართველობის სისტემა და ა.შ.

თანამედროვე პოლიტიკურ ლიტერატურაში განიხილავენ შემდეგ პოლიტიკურ სისტემებს:

ა) სახალხო ტომობრივი პოლიტიკური სისტემები;

ბ) მობილიზაციური (ტოტალიტარული) პოლიტიკური სისტემები;

გ) შემთანხმებლური (ლიბერალურ-დემოკრატიული) პოლიტიკური

სისტემის.

პოლიტიკური სისტემის კომპონენტებს შეადგენს:

ა) პოლიტიკურ გაერთიანებათა ერთობლიობა (სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები).

ბ) პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნებიან სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს შორის.

გ) პოლიტიკური ნორმები და ტრადიციები, რომლებიც არეგულირებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

დ) პოლიტიკური კულტურა, რომელიც ასახავს სისტემის იდეოლოგიურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს.

ე) ცალკეულ ადამიანთა, როგორც პოლიტიკური გაერთიანების წევრებისა და წარმომადგენლების პოლიტიკური მოღვაწეობა.

სხვადასხვა მეთოდოლოგიური ხერხის გამოყენებით ვლინდება მიდგომების რიგი, რომლებიც იძლევა პოლიტიკური სისტემის მოცემული განსაზღვრის გაანალიზებისა და დასაბუთების საშუალებას.

გენეტიკური მიდგომის თვალსაზრისით, მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური მოვლენების ობიექტურ განპირობებას ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით. პოლიტიკის ეკონომიკური შეფასებები, უპირველეს ყოვლისა, წარმოჩნდება საკუთრებისა და მრეწველობის ურთიერთობაში და პირიქით, პოლიტიკის უკუქმედება ეკონომიკაზე უფრო მეტად შესაძლებელია განაწილებისა და მართვის ურთიერთქმედებაში. პოლიტიკურ მოვლენებზე სოციალური ზემოქმედების კრიტერიუმები მიგვითითებენ იმაზე, რომ ისინი წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების საშუალებებს და შედეგებს. ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა განუყოფელია ხალხისაგან. ადამიანი, როგორც კონკრეტული მატერიალური და გონებრივი არსება, ქმნის პოლიტიკურ იდეებს, ამუშავებს პოლიტიკურ ნორმებს, ამყარებს კავშირებს, ე.ი. პოლიტიკას ქმნიან სწორედ ადამიანები და არა რაიმე აბსტრაქციები. სოციალური ინტერესების კრიტერიუმები ხსნიან პოლიტიკური სისტემებისა და მისი ელემენტების ურთიერ-

---

[127] იხ. Чарльз Ф. Эндрейн. Сравнительный анализ политических систем. М. 2000 г. стр. 19.

თავშირს გარკვეულ სოციალურ ჯგუფებთან, ფენებთან, კლასებთან, ერებთან. მათი მოთხოვნილებები და ინტერესები გვევლინება გადამწყვეტ მოტივირებულ ფაქტორად პოლიტიკური ორგანიზაციების ფორმირებისას.

ინსტიტუციონალური მიდგომა საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს დროსა და სივრცეში პოლიტიკური მოვლენების მდგრადი და რეალური მახასიათებლები. ამ მოვლენის დედააზრს ასახავს ორგანიზაციული კრიტერიუმი, რომელიც აჩვენებს, რომ ცალკეული ინდივიდები თავისთავად არ შეიძლება წარმოჩნდნენ პოლიტიკური სისტემის ელემენტებად. ადამიანი იბადება როგორც სოციალურ-ბიოლოგიური, მაგრამ არა როგორც პოლიტიკური არსება. ამ თვალსაზრისით, ის თავისთავად წარმოადგენს იმ მასალას, რომლისგანაც შესაბამისი ისტორიული პირობებისა და გარკვეული სოციალური თვისობრიობის არსებობის შემთხვევაში ფორმირდება პოლიტიკოსი მთლიანობაში.

პოლიტიკური მოვლენების შესწავლისადმი სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა, წარმოვიდგინოთ იგი მთლიანი სახით, რომელსაც შეუძლია, გავლენა იქონიოს თავის სტრუქტურულ ელემენტებზე და ურთიერთმოქმედებს მის გარეთ – საზოგადოებაზე, სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემაზე, გარემომცველ სამყაროზე. სისტემური შეფასებები საშუალებას იძლევა, პოლიტიკური სისტემიდან და მისი შემადგენლობიდან გამოიყოს ისეთი ნიშან-თვისებები, როგორებიცაა იერარქიული სტრუქტურები, ელემენტების ერთგვაროვნება, ინსტიტუციური ურთიერთშეთავსება, სხვადასხვაგვარი კავშირების არსებობა, ელემენტების განპირობება, მათი მოქმედების ავტონომია. მთავარი კრიტერიუმი, რომელიც ახასიათებს სისტემის დინამიკასა და სტატიკას, არის მისი როგორც სისტემის განვითარება მთლიანობის მიღწევის პროცესში.

სუბსტანციური (არსებითი) მიდგომა ხელს უწყობს გამოვლინდეს ის, რაზეც დაფუძნებულია ყველა პოლიტიკური მოვლენა (იდეები, ნორმები, ურთიერთობები, პროცესები, ინსტიტუტები). ცნება – „სუბსტანციას“ მეცნიერების სხვადასხვა დარგში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ქიმიაში ეს ელემენტია, ბიოლოგიაში – ცოცხალი ცილა, პოლიტიკურ ეკონომიკაში – შრომა, ფილოსოფიაში – მატერია. პოლიტოლოგიაში სუბსტანცია

განიხილება, როგორც პოლიტიკური ძალაუფლება, ხოლო მისი განხორციელების მექანიზმი პოლიტიკური სისტემაა. ეს კრიტერიუმი (ძალაუფლება) ახასიათებს პოლიტიკურ სისტემას მისი არსებობის ყველა ეტაპზე ეკონომიკური, გეოგრაფიული, რელიგიური, ეროვნული და სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად.

ნორმატიული მიდგომა განიხილავს სამართლებრივ, პოლიტიკურ, მორალურ ნორმებსა და ღირებულებებს, ტრადიციებსა და ჩვეულებებს. მათი საშუალებით პოლიტიკური სისტემა სისტემატურ ზემოქმედებას ახდენს ცალკეული ინსტიტუტების საქმიანობაზე, ზოგადად, მოქალაქეთა ქცევაზე.

გარდა ამისა, ეს არის კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანებების ხელისუფლება (პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები), რომელიც მათი საორგანიზაციო ხელმძღვანელი სტრუქტურის მეშვეობით ხორციელდება. ამ ინსტიტუციონალური – პოლიტიკური ხელისუფლების დონე განსაკუთრებით თვალსაჩინო და რეალურია.

მეორე, შეიძლება გამოიყოს ხელისუფლების კოალიციური დონე, რომელიც ასახავს რამდენიმე სოციალურად ერთგვაროვანი პოლიტიკური ორგანიზაციის, ორგანიზაციების ბლოკის, ან სხვადასხვა სოციალური გაერთიანების ინტერესების გამომხატველი პარტიისა და გაერთიანებების ბლოკის სახელისუფლო მისწრაფებების ერთობლიობას. მსგავს შემთხვევაში ხელისუფლება ხელთ უპყრიათ მრგვალი მაგიდის, პარლამენტის ფრაქციათა საბჭოს ტიპის დროებით თუ მუდმივ ორგანოებს.

მესამეც, აუცილებელი ხდება, გამოიყოს ხელისუფლების საერთო პოლიტიკური დონე. აქ ხდება სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა თანამშრომლობისა და მეტოქეობის შედეგად მიღწეული პოლიტიკური კონსენსუსის შედეგების კონცენტრირება. თუკი ასეთი შედეგები ასახვას ჰპოვებს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, მაშინ პოლიტიკური ხელისუფლება ემთხვევა სახელმწიფო ხელისუფლებას და ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. სხვა შემთხვევაში, მისი რეალიზება ხდება სხვადასხვა ხასიათის, როგორც წესი, სხვადასხვა ხანგრძლივობის, პოლიტიკური ორგანოების მიერ (ეროვნული თანხმობის კონცეფცია, სახალხო ფრონტი და ა.შ.).

საზოგადოების ცხოველქმედების სფეროების მიხედვით, კონკრეტულ-

ისტორიული მიდგომა საშუალებას იძლევა, გამოიყენოს შემდეგი შეფასებები, სოციალურ-ეკონომიკური, (შრომის ხასიათი, მეურნეობის ძირითადი პრინციპები). სოციალურ-სტრუქტურული (გარკვეული კლასების, ფენების არსებობა ან არარსებობა). სოციალურ-კულტურული (მოსახლეობის განათლების დონე, პიროვნების განვითარების რეალობა). პოლიტიკური (ხალხის თვითმმართველობის რეალურობა, პოლიტიკური ხელისუფლების კლასიფიკაცია). სამართლებრივი (მოქალაქეთა კანონით განსაზღვრული დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დიაპაზონი, მათი განხორციელების გარანტია, პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმურობა, კანონმდებლობისა და მართლწესრიგის მდგომარეობა).

ამგვარად, ადამიანთა საზოგადოების რეალური სამყაროს სტრუქტურების მრავალგვარობა განაპირობებს შესაბამისი კრიტერიუმების სიმრავლეს, ხოლო შეგნება იმისა, რომ ერთად აღებული პოლიტიკური მოვლენები შეადგენენ სისტემას, რომელიც ხასიათდება მუდმივი მოძრაობით, განსაზღვრავს მათ კომპლექსურ და დიალექტიკურ გამოყენებას.

პოლიტიკური სისტემები ფუნქციონირებს დროსა და სივრცეში, მათი დაყოფა შესაძლებელია სხვადასხვა საფუძველზე. კერძოდ, პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ასხვავებენ დემოკრატიულ და ტოტალიტარულ პოლიტიკურ სისტემებს. მარქსისტული თეორიის პოზიციიდან, კლასიფიკაციის საფუძვლად (საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის – კატეგორია) გამოყოფენ მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებების პოლიტიკურ სისტემებს. გეოგრაფიული, ტერიტორიული ფაქტორების აღრიცხვა შესაძლებლობას იძლევა, ვილაპარაკოთ ევროპულ, აზიურ, ჩრდილოამერიკულ და სხვა რეგიონულ სისტემებზე. ეროვნული, რელიგიური, ენობრივი, საერთო და განსხვავებული თვისებები წინასწარ განსაზღვრავენ არაბული, ინდუსტური, ისლამური და სხვა პოლიტიკური სისტემების ხასიათს. კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკური სისტემების შიგნით თავისებური პოლიტიკური სისტემა-წარმონაქმნების სახით, შესაძლებელია არსებობდნენ მისი სტრუქტურული ელემენტები: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები[128] და ა. შ.

---

[128] Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г.

პოლიტიკური პარტია არის ამა თუ იმ სოციალური ფენის ყველაზე აქტიური და ორგანიზებული ნაწილი, რომელიც გამოხატავს მათ ინტერესებს. გააჩნია საკუთარი იდეოლოგია და აქტიურად იბრძვის ხელისუფლებისათვის.

პოლიტიკურ პარტიებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ პოლიტიკურ სისტემაში, რამდენადაც ისინი მიილტვიან ხელისუფლებისაკენ. ძირითადად, ეყრდნობიან მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ ორიენტირებს. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში პარტიებს შორის შეჯიბრებითობის პრინციპი ხელს არ უშლის ხელისუფლებას თავისი ფუნქციების განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიის სტრუქტურა ასეთია: პარტიული აპარატი, პარტიის წევრთა კრებული და პარტიის მხარდამჭერები. აქვს წესდება და პროგრამა.

პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებანი. ეს არის მეტ-ნაკლებად საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომელიც გამოხატავს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის ინტერესებს და იბრძვის რაიმე პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ასეთ ორგანიზაციას არ ახასიათებს პოლიტიკური პარტიის მონოლითურობა, არ გააჩნია მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურული სისტემა, მუდმივი წევრები და შესაბამისი საპროგრამო დოკუმენტები (პროგრამა და წესდება).

§2. სახელმწიფოსა და სამართლის ადგილი და დანიშნულება პოლიტიკურ სისტემაში

ცნებები „სახელმწიფო“ და „საზოგადოების პოლიტიკური სისტემა,“ მოიაზრება, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთად, თუმცა ისტორიული თვალსაზრისით, სახელმწიფო პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმაა. ხოლო ტერმინი პოლიტიკა მისგან წარმოქმნილი სიტყვაა და სათავეს იღებს პოლისისაგან, რომელსაც ძველი ბერძნები თავის ქალაქ-სახელმწიფოებს უწოდებდნენ.[129] სხვადასხვა ხალხში სახელმწიფო სხვადასხვაგვარი განვითარების სტადიაზე დროის ისტორიულად

стр. 70-76. Теория государства и права. Н. Матузов, А. Малко. М. 2002. стр. 98-100.

[129] პლატონი (428-348) თავის დიალოგებში „კანონები“, „რესპუბლიკა“, არისტოტელე (384-322) ნაშრომში „პოლიტიკა,“ საზოგადოებას და ქალაქ-სახელმწიფოს ერთმანეთთან აიგივებდნენ.

განსხვავებულ მონაკვეთში წარმოიქმნებოდა, მაგრამ ყველა მათგანისათვის საერთო იყო ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა საწარმოო იარაღის სრულყოფა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, საბაზრო ურთიერთობებისა და ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნა, სოციალური ჯგუფების, წოდებებისა და კლასების ჩამოყალიბება, ადამიანების მიერ საერთო და ჯგუფური (კლასობრივი) ინტერესების შეცნობა.

სახელმწიფო გახდა კლასობრივი საზოგადოების პირველი, მაგრამ არა ერთადერთი და უკანასკნელი პოლიტიკური ორგანიზაცია. ადამიანთა ურთიერთობებმა ცხოვრებაში შემოიტანეს სოციალური მატერიის ახალი პოლიტიკური ფორმები. სახელმწიფოსთან ერთად, საზოგადოებაში შეიქმნა გარკვეული კლასის, წოდების, ჯგუფის, ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა არასახელმწიფო გაერთიანება, რომლებიც თავიდანვე მონაწილეობდნენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, არისტოტელე მოიხსენიებს მონათმფლობელური ათენის მთის, ბარისა და ქალაქის სანაპირო ნაწილის პარტიებს. ფეოდალური საზოგადოების პირობებში პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მესაკუთრეთა გაერთიანებები – ერთობა, გილდია, საამქრო. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საეკლესიო დაწესებულებები, რომლებიც მმართველი კლასების ორგანიზაციულ-იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენენ. საზოგადოებაში, თანამედროვე პირობებში, გარდა სახელმწიფო დაწესებულებისა, მოქმედებენ სხვადასხვაგვარი პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, ქალთა და ახალგაზრდული საზოგადოებრივი გაერთიანებები, მეწარმეთა და ფერმერთა ორგანიზაციები, რომლებიც თავისი მოღვაწეობით გამოხატავენ გარკვეული სოციალური ძალების ინტერესებს და გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის სპეციალური აპარატის და საზოგადოებაში უზენაესობის მქონე მსხვილი სოციალური ერთობის პოლიტიკური ძალაუფლების გამოვლენის ძირითადი ფორმა.[130] ეს განპირობებულია შემდეგით:

---

[130] В. Чиркин. Государствоведение. М. 1997. стр. 85.

–უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო გამოდის, როგორც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს, ფენებს, კლასებს (მათი წინააღმდეგობრივი ინტერესებით) შორის უნაყოფო ბრძოლის ალტერნატივა. მან ჩვენი ცივილიზაციის განვითარების ადრეულ სტადიაზევე აარიდა ადამიანთა საზოგადოებას თვითგანადგურების საფრთხე და არიდებს დღესაც. ამ თვალსაზრისით, მან „სიცოცხლე შეუნარჩუნა“ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას „დამანგრეველი გავლენისაგან“.[131]

ამავე დროს, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, სწორედ სახელმწიფო ახვევდა თავს ქვეშევრდომებს შინაბრძოლას, რეგიონულ შეიარაღებულ კონფლიქტს, ომს ორი მსოფლიო ომის ჩათვლით. ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო (როგორც აგრესორი) იყო და არის გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფებების, სოციალური ფენების, საზოგადოების ინტერესების დამცველი. თანამედროვე გაგებით, იგი საერთო-სახალხო ინტერესებს გამოხატავს.

–ლიტერატურაში სახელმწიფო განიხილება, როგორც ორგანიზაციული ფორმა, როგორც კავშირი ხალხისა, რომლებიც ერთად საცხოვრებლად შეიკრიბა. ინდივიდების ისტორიული, იდეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური კავშირი და ა. შ. მოქალაქეობის პოლიტიკურ-სამართლებრივი გარანტია. ასეთი მიდგომით თითოეული ადამიანი დაინტერესებულია მისი არსებობით, ვინაიდან პირად დამოუკიდებლობასა და თავისუფალ ურთიერთობას თანამოქალაქეებთან, ოჯახისა და საკუთრების დაცვას, პირად ცხოვრებაში გარედან ჩარევის თავიდან აცილებას და უშიშროების გარანტიას სახელმწიფო უზრუნველყოფს. როგორც მოქალაქე, ინდივიდი მოიპოვებს მყარ, პირველად პოლიტიკურ უფლებებს, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებისა და მოძრაობის, პოლიტიკური პარტიის და ა.შ. საქმიანობაში მისი მონაწილეობის საფუძველი ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინდივიდი „უპირველესად“ სახელმწიფოს საშუალებით „ერთვება“ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში.

ამასთანავე, სახელმწიფოსა და ცალკეულ მოქალაქეთა შორის (მიუხედავად იმისა, რომელ საზოგადოებრივ ფენას მიეკუთვნება) არ-

---

[131] Parsons T. Politics and Structure N.Y. London, 1969, p. 34-37.

სებობს უთანხმოებათა კომპლექსი, რომელიც მთლიანობაში ხასიათდება, როგორც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ძირითადი შინაგანი წინააღმდეგობა. ეს არის წინააღმდეგობა დემოკრატიასა და ბიუროკრატიას შორის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში, თვითმმართველობის განვითარების ტენდენციებსა და მისი განხორციელების შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის და სხვა. ეს უთანხმოებები ძალზე მწვავდება, როცა სახელმწიფო ატარებს მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ პოლიტიკას იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან პოლიტიკურად პრივილეგიურ სოციალურ ჯგუფს.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს წარმოქმნას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საზოგადოების სოციალურ-კლასობრივ დანაწილებას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფო თავიდან ეკონომიკურად გაბატონებული კლასების პოლიტიკური ორგანიზაციაა.

თანამედროვე სახელმწიფოსა და პოლიტიკურ სისტემას მთლიანად ერთი და იგივე ამოცანები აქვთ: გარდაქმნან კლასობრივი ბრძოლა ცივილიზებული პოლიტიკური დემოკრატიისა და სამართლის პრინციპზე დაყრდნობით. ურთიერთდაპირისპირებული ფენების, პოლიტიკური ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართონ საერთო-სოციალური პრობლემების კონსტრუქციულად გადასაწყვეტად.

სახელმწიფო აღმოჩნდა პირველი გარანტი იმ ხალხის პოლიტიკური მოღვაწეობისა, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეული სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს. ამან გამოკვეთა სახელმწიფოს ინტერესები – მთლიანად თავისი უფლებების სფეროში მოექცია პოლიტიკური მოვლენები.

ამ შემთხვევაში, სახელმწიფო თამაშობს ზედამხედველის, არბიტრის როლს. კანონმდებლობის მიხედვით, იგი ადგენს „თამაშის წესებს“ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებებისათვის, ცდილობს, თავის პოლიტიკაში გაითვალისწინოს მათი მრავალმხრივი, ზოგჯერ, ანტაგონისტური საწინააღმდეგო ინტერესების სპექტრი. დემოკრატიული სახელმწიფო მიისწრაფვის, უზრუნველყოს არა მხოლოდ ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობები, არამედ სახელმწიფო ხელისუფ-

ლების მშვიდობიანი შეცვლა, თუკი წარმოიშვება ისტორიული აუცილებლობა. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური „საერთო საცხოვრებლის“ ფორმა, გამოდის პოლიტიკური სისტემის შემაკავშირებელ ფენომენად.

სახელმწიფო–მთლიანობაში, პირობითად აერთიანებს პოლიტიკურ სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებას, რადგანაც იძულებულია, იზრუნოს საერთო სოციალურ პრობლემებზე – მოხუცთა თავშესაფრის აშენება, კავშირგაბმულობის მოწესრიგება, სატრანსპორტო არტერიების შექმნა და სხვა, მომავალი თაობების ენერგეტიკულ და ეკოლოგიურ უზრუნველყოფამდე. როგორც წარმოების საშუალებათა, მიწისა და მისი წიაღისეულის მთავარი მესაკუთრე, იგი აფინანსებს განსაკუთრებით დიდ კაპიტალდაბანდებებს წარმოებებსა და მეცნიერების დარგებში, იხდის თავდაცვის ხარჯებს. როგორც საზოგადოებრივი საქმეების მმართველი ორგანო, სახელმწიფო საკუთარი აპარატის (პენიტენციური სისტემა, პოლიცია და ა.შ.) საშუალებით იცავს პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ მთლიანობას, უზრუნველყოფს მართლწესრიგს საზოგადოებაში.

საზოგადოების პოლიტიკური სისტემისათვის გამაერთიანებელი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენულ ხასიათს. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება, ხალხისა და საზოგადოების სახელით გამოვიდეს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკური სისტემების შესვლა მსოფლიო პოლიტიკურ გაერთიანებაში დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს სუვერენული თვისებების ხარისხზე.

ეკონომიკური, სოციალურ–კულტურული ურთიერთობების მოქნილობაზე, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური იმიჯის ცვალებადობაზე დამოკიდებული პოლიტიკური სისტემა მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. ყველა მისი ელემენტი და კომპონენტი მუშაობს შეკავშირებულად, ათანხმებს სოციალური ჯგუფის ინტერესებს, იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ როგორც კი იქმნება განსაკუთრებული, საგანგებო სიტუაცია (სტიქიური უბედურება, მმართველობის ფორმის ან პოლიტიკური სისტემის შეცვლა), მათი გადაწყვეტის განსაკუთრებული პრიორი-

ტეტი მიეკუთვნება სახელმწიფოს. ამასთან, ამ შემთხვევაში ლაპარაკი გვაქვს არა უბრალოდ სახელმწიფოზე, არამედ მის სუბსტანციურ გამოვლინებაზე–სახელმწიფო ძალაუფლების სახით. მხოლოდ კანონიერ სახელმწიფო ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს შედარებით უმტკივნეულო და უსისხლო გადასვლა თავისთავად ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწეობა ასე თუ ისე უკავშირდება სახელმწიფო ხელისუფლებას. სწორედ იმის გამო, რომ პოლიტიკური სისტემის განკარგულებაშია სახელმწიფო ხელისუფლება, სპეციალური სახელმწიფო აპარატი, იგი ფლობს სახელმწიფო იძულების მონოპოლიას და გამოხატავს ისტორიულად განსაზღვრულ სოციალურ-პოლიტიკურ რეალობას[32], მაგრამ აქსიომაა ის, რომ ადამიანებისა და მათი გაერთიანებების პოლიტიკური მოღვაწეობის საბოლოო შედეგი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებაა, რაც არ ფიქსირდება სხვადასხვა დროისა და ტიპის პოლიტიკური პარტიების პროგრამულ დოკუმენტებში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მათ სჭირდებათ სახელმწიფო ხელისუფლება დეკლარირებული თუ საიდუმლო მიზნების მისაღწევად. ამიტომ, ნებისმიერი საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების შეცვლისა და განხორციელების მოქნილი სამართლებრივი მექანიზმი.

სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში მინიშნებულია, რომ სამართლის წარმოშობა უსწრებს პოლიტიკურ მოვლენებს. მისი წარმოქმნა და განვითარება სქემატურად ასეა წარმოდგენილი: ადამიანი გაჩნდა დედამიწაზე, როგორც სახეობა და იცავს საკუთარ სიცოცხლეს, თავისუფლებას, საკუთრებას (თავიდან ინსტიქტურად, შემდეგ შეგნებულად), ე.ი. ფაქტობრივად, იცავს საკუთარ უფლებებს სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და საკუთრებაზე. ამასთანავე, ადამიანებს შორის წარმოიქმნება დაპირისპირებანი და მათი შედეგიც. ამიტომ, აუცილებელი ხდება, ერთი ადამიანის თავისუფლება შესაბამისობაში მოვიდეს მეორესთან, რაც ხღუდავს ორივეს თავისუფლებას. სამართალი ახერხებს ყველა ინდივიდის

[32] სახელმწიფოებრივი იძულების ლეგიტიმურობას ცალკე თავი ეძღვნება.

ნება-სურვილისა და მოქმედების თავისუფლების ზღვრების დადგენას და ამის მიხედვით ახდენს მათი ქცევის ნორმების შემუშავებას.

ათასწლეულების მანძილზე კაცობრიობის არსებობის ქვაკუთხედები, სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება და მათი დაცვა, ურთიერთგანუყოფელი იყო და ატარებდა კონკრეტულ, პერსონიფიცირებულ ხასიათს, რაც უზრუნველყოფდა ურთიერთობის მოწესრიგებას ადამიანებს შორის. ამ პროცესში თანდათან შემუშავდა ჩვევები, სტერეოტიპები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობენ მოქმედების თავისუფლებას და, მეორე მხრივ, ზღუდავენ მას გონივრული და სამართლიანი (სოციალური უმრავლესობის ან გარკვეული სოციალური ძალის თვალსაზრისით) ჩარჩოებით. ყალიბდება საყოველთაოდ მიღებული წესები, ე.ი. ადამიანთა გარკვეული წრის (ოჯახი, გვარი ტომი და ტომთა კავშირი, ხალხი, ერი) ჩვეულებები.[133]

თავდაპირველად, ეს ბუნებრივად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესები არსებობდა მონონორმების სახით, – საკუთარ თავში აერთიანებდა რელიგიურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ეკოლოგიურ საწყისებს. იგი არ იყოფოდა უფლებებად და მოვალეობებად და ატარებდა ორგანიზაციულ-რელიგიურ ხასიათს. მიმთვისებლური ეკონომიკის ეპოქაში აწესრიგებდა საკვების მოპოვებასა და განაწილებას, ამყარებდა წესრიგს, იცავდა რიტუალების შესრულებას და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მონონორმები პრაქტიკულად იმავე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც თანამედროვე სამართლებრივი ნორმები. თუმცა, ისინი ტრადიციებისა და ჩვეულებების მიხედვით უმთავრესად ნებაყოფლობით სრულდებოდა, არსებობდა დამსჯელი სანქციებიც მათი დარღვევისათვის–გაკიცხვა, თემიდან განდევნა, სხეულის დაზიანება, სიკვდილით დასჯა. მონონორმების შემსრულებელ სუბიექტებად გვევლინებოდნენ ნათესავები, მთლიანად საზოგადოება.

ყურადსაღებია, რომ კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზეც არსებობდა სოციალური მოწესრიგების სამი ძირითადი წესი, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია–აკრძალვა, დაშვება და ვალდებულება. მაგალითად, უმკაცრესი სასჯელით დასჯის შიშით აკრძალული (ტაბუდადებული) იყო გარკვეული ცხოველების განადგურება, „წმინდა მიწაზე“ ასვლა,

[133] ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ. 2002. გვ. 331-333.

სისხლით ნათესავებს შორის ქორწინება. დაშვება აწესრიგებდა მოსავლის აღების დროსა და ადგილს, ნადირობისა და თევზჭერის საერთო იარაღებითა და საშუალებებით სარგებლობას. ვალდებულებები მიმართული იყო ქცევის ორგანიზებისათვის საკვების მომზადების პროცესში, საცხოვრებლის აგებისას, კოცონის გაჩაღებისა და ცეცხლის შენარჩუნების, იარაღისა და გადაადგილების საშუალებათა დამზადების დროს.

მწარმოებლური ეკონომიკის განმტკიცების ეპოქაში, ე.ი. მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და ხელოსნობის წარმოქმნიდან, საზოგადოების ჯგუფებად, ფენებად და კლასებად თანდათანობით დაყოფიდან, იწყება მონონორმების დაშლა საკუთრივ სამართლებრივ, მორალურ და რელიგიურ ნორმებად. გარდა ამისა, გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ყოფის, საკულტო ცერემონიების, საზოგადოების სოციალური დიფერენცირების სპეციფიკით განპირობებული ნორმები. დამწერლობისა და ხელოსნობის წარმოქმნასთან, ბუნებრივ მოვლენებზე ადამიანის ცოდნისა და მწარმოებლური გამოცდილების შეძენასთან ერთად ხდება იმ ნორმების თავმოყრა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა სჭირდებათ, რა შეიძლება და რა არ შეიძლება მოიმოქმედონ ადამიანებმა გარკვეულ სიტუაციებში. ჩნდება მათი მოწესრიგებისა და გამოყენების სტაბილური უზრუნველყოფის აუცილებლობა, ე.ი. სამართლებრივი ნორმების დაფიქსირება (ქვაზე, თიხასა და ხის დაფებზე, ტყავებზე, პაპირუსებზე.) მათი სისტემატიზაცია (მოღვაწეობის სფეროსა და რელიგიური წეს-ჩვეულებების მიხედვით) და შესრულების უზრუნველყოფა (იძულებითი ღონისძიებების, რელიგიური შიშის, ავტორიტეტის გამოყენებით).

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი სისტემატიზებული „სამართლებრივი აქტი“ იყო აგროკალენდარი, რომელიც ადამიანს აცნობდა კოსმიური და მიწიერი მოვლენების ციკლურ თვისებებს და რომელიც შედგენილი იყო ციური მნათობების (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) მოძრაობის მიხედვით. ადრეულ მიწათმოქმედ საზოგადოებებში (მესოპოტამია, ეგვიპტე და სხვა) მზისა და მთვარის აგროკალენდრები წარმოადგენდა ადამიანური ცივილიზაციის უმაღლეს მიღწევასა და სამართლის შეგრძნებისა და ჩამოყალიბების ახალ ეტაპს.

სახელმწიფოს წარმოშობისთანავე ზეპირი ფორმით იქმნება სამართალი, შემდგომში გაჩნდა დაწერილი სამართალი (კანონები, კოდექსები, კა-

ნონთა კრებულები). ფიზიკური და სოციალური უთანასწორობა, ისტორიული, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორები წინასწარ განსაზღვრავდნენ სამართლებრივი ნორმების განსხვავებულ შინაარსს. მთელი რიგი უძველესი იურიდიული აქტები (ხამურაბის კანონები, სოლონის რეფორმები, მანუს კანონები) და სხვა წყაროები (12 ტაბულის კანონები, სალიკური სამართალი) საკმაოდ მკაფიოდ განასხვავებდა სამართლებრივი მოწესრიგების წოდებრივ-კლასობრივ ხასიათს. ასეთი მიდგომა ჩანს ქართულ სამართალშიც. ვახტანგ VI სამართლის მიხედვით დიდებულის მოკვლის საზღაურად უნდა გადაეხადათ 1536 თუმანი, ასევე, სვანეთის ისტორიულ ძეგლებში, სამართლებრივ პრაქტიკაში იყენებდნენ ცნებებს „საპატიო სვანის სისხლი", – ჯაფარიძის, იოსელიანის, ყიფიანის სისხლი– და სხვა. თავადის მოკვლისათვის 768 თუმანი, აზნაურისათვის – 192, და ა.შ.

უახლეს პერიოდში იხვეწება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა, მაღლდება სახელმწიფოს სამართალშემოქმედებითი მოღვაწეობის როლი, რთულდება ფაქტობრივი ურთიერთობები. ყველაფერი ეს განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმების გარკვეულ თავისებურებებს – ისინი უფრო სპეციალიზებული ხდებიან, წარმოიქმნება საზოგადოებრივი ურთიერთობების (მატერიალური და პროცესუალური. საჯარო და კერძო სამართლის ნორმები და სხვა) რეგულირების კომპლექსური გამოყენების აუცილებლობა. უფრო სტაბილურ ხასიათს იღებს ნორმის ელემენტებს შორის ლოგიკურად შემოწმებული და აპრობირებული შიდა და გარე სისტემური კავშირები, ფორმირდება სხვადასხვა დონის იურიდიული ინსტიტუციონალური კონსტრუქციები, უფრო შესამჩნევი ხდება სამართალშემეცნების როლი სამართალშეფარდებისა და მისი რეალიზაციის პროცესი.

ამგვარად, ყალიბდება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი ნორმების (ქცევის წესების) გარკვეული სისტემები, რომლებიც ასახავენ ადამიანის ან ადამიანთა ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოებრივი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლების დონეს.

სამართლის მნიშვნელობა და მისი როლი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში საშუალებას იძლევა, აიხსნას მათი თანაფარდობის შემდეგი ასპექტები:

–სამართალი არის ადამიანთა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოღვაწეობის შედეგი, რომელიც ასახავს პიროვნების თავისუფლების საზ-

ღვრებს, რომლებიც განმტკიცებულია ოფიციალური ნორმატიული დოკუმენტებით და უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ძალაუფლებითა და საზოგადოების ავტორიტეტით, ამიტომ პოლიტიკური სისტემის ყველა სტრუქტურული ელემენტი და მათ შორის, თვით სახელმწიფოც, იძულებულია, არეგულიროს საკუთარი პოლიტიკური უფლებები ამ საზღვრების ჩარჩოებში.

–სამართალი წარმოადგენს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს და სოციალურ-ღირებულებითი მნიშვნელობა გააჩნია. მის ჩარჩოებში ყალიბდება პოლიტიკური ინსტიტუტები, განისაზღვრება პოლიტიკური სისტემების სტრუქტურული ელემენტების ადგილი. სამართლებრივი ფორმით იმოსება სახელმწიფო ხელისუფლების, სახელმწიფო ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების მაღალეფექტური და მიზანშეწონილი საშუალებაა.

–სამართალი ადამიანთა ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, მთლიანად საზოგადოების, სულიერი მოთხოვნილების თავისებური ნაკრებია. სამართლის საშუალებით ხდება თითოეული ინდივიდისა თუ საზოგადოებრივი ნების გამოხატვის უმაღლესი კონსენსუსის (შეთანხმების) მიღწევა. თავისი სტრუქტურებისა და სისტემურობის ძალით სამართალს შეუძლია, თავი მოუყაროს სულიერ მისწრაფებებს საზოგადოებრივი ორგანიზმის სხვადასხვა დონეზე, წარმოჩნდეს ინდივიდების, მათი კოლექტივების, ეროვნული თუ რელიგიური ერთობების სოციალურ-პოლიტიკური ავტონომიის ფორმით.

–სამართალი თამაშობს პოლიტიკურ სისტემასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დამაკავშირებელი შუამავლის როლს. ერთის მხრივ, იგი აგროვებს და ამუშავებს მრავალგვარ სოციალურ (იურიდიული და პოლიტიკური მნიშვნელობის) ინფორმაციას და, მეორე მხრივ, გადაჰყავს პოლიტიკური მოთხოვნები ზუსტად განსაზღვრული და სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი ქცევის წესების ენაზე, ქმნის პროცედურულ ფორმებს ადამიანის მიერ ცხოვრებაში მათ განსახორციელებლად. ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ტექსტებში ფიქსირდება რეგულირებადი საზოგადოებრივი ურთიერთობების საერთო პოლიტიკური და

იურიდიული შეფასება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კანონების სწორად გაგებისა და შეფასებისათვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის.

–სამართალი წარმოადგენს პოლიტიკური სისტემის აუცილებელ, მასტაბილიზებელ ფაქტორს. სამართლით რეგულირებადი პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგება უზრუნველყოფილია სამართლის ნორმების, დროში ხანგრძლივი არსებობისა და მკაცრად რეგლამენტირებული პროცესუალური ფორმებით.

–სამართლის პირველწყაროებს წარმოადგენენ არა მარტო სახელმწიფოს ნორმატიული აქტები, არამედ წეს-ჩვეულებები, პრეცენდენტები და, აგრეთვე, საერთო-სახალხო რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილებები (კანონები). ასეთ შემთხვევებში სამართლის მოწესრიგებადი ძალა იძენს საერთო-საკაცობრიო, საერთო-სამოქალაქო ხასიათს, გამოდის განსაკუთრებით პოლიტიკური მოვლენების ზღვარიდან.

ამრიგად, სამართალი და სახელმწიფო ჩვენი ცივილიზაციის განვითარების, ზოგადსაკაცობრიო მიღწევის შედეგია, მათთან დაკავშირებულია სოციალური პროგრესი, ადამიანის ბუნებითი და შეძენილი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება, დემოკრატიული სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბება. ადამიანისა და საზოგადოების მოთხოვნილებაა–კიდევ უფრო განვითარდეს სახელმწიფო და სამართალი. ამ უკანასკნელთა მზარდი სოციალური ღირებულება უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესების დაჩქარებას[134]

---

[134] სახელმწიფოსა და სამართლის ადგილის პრობლემა საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, იხ. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 1998 г. Общая теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1966 г. ვ. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია, თბ., 1966 წ. გ. აბესაძე, პოლიტიკური სოციალიზაცია. თბ. 1996 წ. რეხვიაშვილი, ჯ. ჯალიაშვილი, ვ. ხოჭოლავა პოლიტოლოგია, თბ., 1991 წ. ქობალია, პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება, თბ., 1993წ. ლ. გეგეშიძე, ს. ყურაშვილი, პოლიტოლოგია თბ., 1991 წ. Хропанюк В. Н. Теория государства и права М. 1999 г.

§3. ეკონომიკა, კულტურა, სახელმწიფო და სამართალი

სიტყვა „ეკონომიკა“ ბერძნულიდან მოდის და ნიშნავს „მეოჯახეობას“, უფრო ზუსტად, იგი წარმოადგენს მოცემული საზოგადოების წარმოებით ურთიერთობებს, რომლებიც შეესაბამება ამა თუ იმ საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარებას. ისტორიული და არქეოლოგიური მეცნიერების მიერ მოპოვებული წყაროებით დგინდება, რომ ჩვ.წ.აღ.მდე დაახლოებით VII–III ათასწლეულში ადამიანთა ცხოვრებაში მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა მოხდა.

მიმთვისებლური მეურნეობისათვის (ნადირობა, თევზჭერა, ველურად მზარდი ხეხილის ნაყოფის შეგროვება) დამახასიათებელია ის, რომ მწარმოებლის როლში გვევლინება თვით ბუნება, ადამიანი კი არ აწარმოებს მოხმარების პროდუქტს, არამედ მოიპოვებს. თუმცა იმისათვის, რომ მოინადირო ცხოველი ან დაიჭირო თევზი, აუცილებელია იარაღი, რომელსაც დამზადება, წარმოება სჭირდება. მაშასადამე, წარმოების პრიმიტიული ელემენტები დამახასიათებელია მიმთვისებლური მეურნეობისთვისაც.

მწარმოებლური მეურნეობა პროგრესულ ნაბიჯს ნიშნავდა: მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, ხელოსნობის გაჩენიდან მოხმარების პროდუქტების მწარმოებლად სულ უფრო ხშირად გვევლინება ადამიანი, უფრო ზუსტად, მისი შრომა, რომელიც თანდათანობით იძენს მწარმოებლური პროცესის განმსაზღვრელი ელემენტის ხასიათს. მწარმოებლურმა შრომამ საფუძველი დაუდო საზოგადოებრივი ურთიერთობების ახალ ტიპს–ეკონომიკურს, სადაც ადამიანის შრომა ორგანულად ერწყმის ბუნებრივი ძალების მოქმედებას. ბუნება ადამიანს ეხმარება მის მიერ შექმნილი პირობებით, ე.ი. მოქმედ ბუნებრივ ძალთა სისტემაში „თავსდება“ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობა, როგორც მათი ეფექტურობის დამაჩქარებელი. ბუნებრივი პროცესი კი ხდება ადამიანის მწარმოებლური მოღვაწეობის ელემენტი.

ეკონომიკა თავისთავად წარმოადგენს წარმოების, განაწილების, გაცვლის და მატერიალურ სიკეთეთა მოხმარების ურთიერთობათა სისტემას. ეკონომიკურ ურთიერთობათა ციკლი იწყება მატერიალურ სიკეთეთა

წარმოებით და მთავრდება მათი მოხმარებით. წარმოებული პროდუქციის განაწილებასა და გაცვლასთან დაკავშირებული ურთიერთობანი შუალედური ხასიათისაა. მათმა ჩამოყალიბებამ წარმოშვა მათივე გაძლიერების, სტაბილიზაციისა და განვითარების ახალი ინსტიტუციური ფორმები. სახელმწიფო და სამართალი კი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტებია, რომლებიც ცხოვრებაში ეკონომიკამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათი განვითარების და მოწესრიგების მოთხოვნამ შემოიტანა.

სამართალთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიკას, ამიტომ დასაწყისში განვიხილოთ მათი მიმართება.

პირველ რიგში, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი ფორმით არის შესაძლებელი. ყველა სხვა ფორმა (ტრადიციული, რელიგიურ-ზნეობრივი,) არ არის მისაღები, ვინაიდან არ პასუხობს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, ამახინჯებს ან უბრალოდ, უარყოფს საბაზრო საწყისებს, როგორც არაზნეობრივს, ანარქიულს, სახალხო ნების შეუსაბამოს და ა.შ. ამგვარად, სამართალი არ არის უცხო ეკონომიკისათვის, სამართალი—ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებული **ბუნებრივი** ფორმაა.

ეკონომიკურ ურთიერთობებს, ისევე, როგორც სხვა სოციალურ ურთიერთკავშირებს, შეუძლიათ სტაბილური ფუნქციონირება, თუკი ისინი თავსდებიან ნორმატიულ ფარგლებში.

ეკონომიკური ურთიერთობის ციკლის ერთიან იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს **საკუთრების** უფლება. ამასთანავე, ეკონომიკის სფეროში საკუთრების უმთავრეს ობიექტად გვევლინება ადამიანის შრომა. ამასთან კავშირში საგნებს, ფულს, ფასიან ქაღალდებს, ეკონომიკური მიმოქცევის სხვა ობიექტებს მნიშვნელობა აქვთ არა თავისთავად, არამედ როგორც განსაკუთრებული ღირებულების მატარებლებს, ნიშნებსა და სიმბოლოებს, მათში ჩადებული შრომის მიხედვით და, რაც ყველაზე მთავარია: შრომითი მოღვაწეობის, შრომის შედეგების (საგნებით, ფულით და ა.შ.) გაცვლა ხდება თანაბარუფლებიან მესაკუთრეთა შორის პირადი უფლებების საფუძველზე. ამ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება აღმოჩნდეს დადებითი, თუკი ასეთი ჩარევის შედეგად მოხდება რომელიმე მხარის დარღვეული უფლებების დაცვა, ან უარყოფითი, თუკი ამით შეიზღუდება მესაკუთრის ინტერესები, ე.ი. მისი უფლებები.

სამართალი არის ეკონომიკის თვითმოწესრიგების საშუალება. ეკონომიკას, ისევე როგორც მომსახურებას და საქონლის წარმოებას, გააჩნია ობიექტური შინაარსი. ეს შინაარსი განპირობებულია, ერთი მხრივ, მოსახლეობის მოთხოვნილებით, და, მეორე მხრივ, ტექნიკის განვითარების დონით, შრომის ნაყოფიერებით, ბუნებრივი პირობებით. ამასთანავე, ჩნდება კითხვა, როგორ, რა საშუალებით იღებს ინფორმაციას ცალკეული მეწარმე იმის შესახებ, თუ რისი წარმოებაა საჭირო. ასეთი კითხვები არ იბადება ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ტრადიციული, ნატურალური მეურნეობის დროს. აქ საჭირო არ არის არც სამართლის მოქმედებელი ფუნქცია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სხვა ურთიერთობებთან გვაქვს საქმე: ფასები მომსახურებაზე და სასაქონლო ბაზრის მიხედვით. წესრიგდება მოთხოვნილებებისა და მიწოდების თანაფარდობით, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ნებისმიერი მესაკუთრე იურიდიულად თავისუფალი იყოს, ე.ი. დამოუკიდებლად წყვეტდეს–რა, როგორი რაოდენობით აწარმოოს და რა ფასად გაყიდოს. იურიდიული თავისუფლება აუცილებელი პირობაა ეკონომიკური აუცილებლობის გამოსავლენად. იგი საშუალებას აძლევს მეწარმეს, გაერკვეს ბაზრის მოთხოვნაში და გაითვალისწინოს იგი. მეწარმე თვითონ აწესრიგებს საქმიანობის ეკონომიკურ ნიუანსებს თავისი უფლებით და სამართლის საშუალებით, რომლის დახმარებითაც დაცული და გამყარებულია მისი თავისუფალი არჩევანი.

ამგვარად, სამართალი არა მარტო ზემოქმედებს ეკონომიკაზე, არამედ მისი იმანენტური ნაწილიცაა. უფრო მეტიც, საფუძველი გვაქვს, მივიჩნიოთ, რომ სამართლის, როგორც მომწესრიგებელი ძალის, ჩამოყალიბება მთავრდება განვითარებული ეკონომიკური სისტემის წარმოქმნისას. ასე მოხდა ევროპაში XIX საუკუნეში, ეს უკანასკნელი ანგლო-საქსური და რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემების ფორმირებით გამოიხატა.

სულ სხვა ხასიათი აქვს სახელმწიფოს ზემოქმედებას ეკონომიკაზე. თუ სამართალი, რომელიც ეკონომიკის ოპტიმალურ საშუალებასა და საბაზრო ეკონომიკის ერთადერთ შესაძლო ფორმას წარმოადგენს, შიგნიდან მოქმედებს ეკონომიკაზე, ასე ვთქვათ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკის ფუნქციონირების **გარეგან პირობებს.**

ჯერ ერთი, სახელმწიფო ასრულებს გარე თავდასხმისაგან ქვეყნის დაცვის ფუნქციას და ამით იცავს ქვეყნის შიდა ეკონომიკურ სივრცეს.

მეორე მხრივ, იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მის შედარებით სტაბილურობას, როცა საზოგადოება იყოფა კლასებად და განსხვავებული, ხშირად საწინააღმდეგო ინტერესების მქონე სოციალურ ფენებად. საზოგადოების სტაბილურობა და შინაგანი ერთიანობა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისა მოქნილი საფინანსო სისტემის ჩამოყალიბების და ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

საფინანსო სისტემა კი არის საფინანსო ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო მიიზიდავს და გამოიყენებს მისთვის საჭირო ფულად სახსრებს. ხოლო თითოეული საფინანსო ინსტიტუტი მოიცავს განსაზღვრულ ეკონომიკურ ურთიერთობებს.[135]

მესამე მხრივ, სახელმწიფო წარმოგვიდგება ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტადაც, იმდენად, რამდენადაც კისრულობს გარკვეულ ეკონომიკურ ფუნქციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მთლიანობას, მაგალითად, უხსოვარი დროიდან სახელმწიფო ზრუნავს ფულად მიმოქცევაზე, აქვს ბიუჯეტი, აფინანსებს მეცნიერებას, განათლებას, კულტურას და სხვა.

მეოთხეც, ეკონომიკური კავშირების ისტორიული განვითარების გართულებასთან დაკავშირებით, საბაზრო ეკონომიკაში აღმოცენებული ნეგატიური ტენდენციების წინ აღდგომის მიზნით, სახელმწიფო სულ უფრო აქტიურად ერევა სამეურნეო საქმიანობაში. ასე მაგალითად, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოებრივი მოწესრიგება სასარგებლოდ და აუცილებლადაა მიჩნეული. მოცემულ შემთხვევაში საუბარი ეხება ეკონომიკაზე არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ზემოქმედებას. ასეთი ზემოქმედების ფორმები მრავალგვარია: მონოპოლიზმთან ბრძოლა. პროდუქციის ხარისხის კონტროლი. მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვა. ეკოლოგიური მოთხოვნების

---

[135] რ. შენგელია. საფინანსო სამართალი. თბ., 2009 წ. გვ. 23.

დაცვა წარმოების პროცესში და ა.შ.

როდესაც სახელმწიფოს გავლენა ეკონომიკაზე უზომოდ დიდია, იგი ნეგატიური ხდება, რადგან ხელს უშლის მის თავისუფალ ფუნქციონირებასა და განვითარებას. ამგვარი ზემოქმედების უკიდურესი გამოვლინებაა ეკონომიკის გასახელმწიფოებრიობა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხდება წარმოების საშუალებათა ძირითადი მესაკუთრე და თვითონ მართავს მეურნეობას. ამგვარი სისტემის მანკიერება გამოიხატება შემდეგში:

ჯერ ერთი, სახელმწიფო „თიშავს" საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების შეთანხმებული ავტომატური მექანიზმების მოქმედებას, ე.ი. მომხმარებლისა და მწარმოებლის ინტერესებს. საბაზრო სისტემის პირობებში მეწარმე აწარმოებს იმას, რაც მომხმარებელს სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გაკოტრდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებელი კარნახობს, თუ რომელი და რა რაოდენობის საქონლის გამოშვებაა საჭირო. სახელმწიფო-მესაკუთრე მრეწველობის დაგეგმარებით ამ ფუნქციებს თავის თავზე იღებს, მეწარმისათვის განმსაზღვრელი ხდება სახელმწიფო ჩინოვნიკის აზრი იმის შესახებ, თუ რა სჭირდება მომხმარებელს, საზოგადოებას. სახელმწიფო აპარატის მოხელეების კოლექტიური ნააზრევი არ შეესაბამება მომხმარებლის კოლექტიურ მოთხოვნილებას, ეს კი საზოგადოებრივ მეურნეობაში წარმოქმნის დისპროპორციას, ე.ი. გამოუსადეგარი საქონლის წარმოებასა და საჭირო პროდუქციის დეფიციტს.

მეორე მხრივ, ეკონომიკის გასახელმწიფოებრიობა იწვევს წარმოებების, ქარხნების, ფაბრიკების ეკონომიკური პასუხისმგებლობის შესუსტებასა და გაქრობას. ეკონომიკური მართვის ეფექტურობას აღარა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც რენტაბელური საწარმოების მოგება სახელმწიფოს მიაქვს, ხოლო წამგებიანს თავად აფინანსებს. არც ერთი საწარმო არ შეიძლება გაკოტრდეს. გაკოტრება შეუძლია მხოლოდ მთლიანად სახელმწიფოს, მაგრამ თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ამ ზღვრამდე იგი უბრალოდ არ მივა.

სახელმწიფო არის ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ ხარჯავს და არაფერს აწარმოებს. რა თქმა უნდა, იგი ასრულებს სასარგებლო ფუნქციებს, რომელთა გარეშეც საზოგადოება ვერ იარსებებს. დანახარჯი მათზე–ეს, ასე ვთქვათ, სახელმწიფო მომსახურების ნორმალური ღირებულებაა,

მაგრამ სახელმწიფოს თავისი ძალის გამოყენებით შეუძლია დიდი ხარკიც დააღოს საზოგადოებას და მაშინ ეს დანახარჯები მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას, ასუსტებს მის განვითარებას. განსაკუთრებით დიდი ტიპიური დანახარჯებით გამოირჩევა ეკონომიკის მილიტარიზაცია, მძლავრი არმიის, სახელმწიფო მოხელეთა დიდი აპარატის შენახვა და ა.შ. უდიდესი სახელმწიფო დანახარჯების ინდიკატორებად წარმოგვიდგება პირდაპირი და ირიბი გადასახადები, რომლებიც ძარცვავენ მოსახლეობას და ახრჩობენ ეკონომიკას, რასაც მოჰყვება ინფლაციის სწრაფი ზრდა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

მესამეც, სახელმწიფოს უსაზღვრო ზემოქმედება ეკონომიკაზე გამოიხატება ეკონომიკური ურთიერთობების გადაჭარბებული ადმინისტრაციული მოწესრიგებით. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვას, სახელმწიფო აპარატში კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოქმნას.

გაბატონებული მდგომარეობა ეკონომიკაში სახელმწიფოს ანიჭებს გარკვეულ უპირატესობასაც, მათგან მთავარია ყველა საჭირო რესურსის (მატერიალური, ფინანსური, შრომითი) სწრაფი და დაუბრკოლებელი კონცენტრირების შესაძლებლობა ცალკეული ურთულესი პრობლემის გადასაჭრელად: იარაღის წარმოება, ყამირი მიწების ათვისება, ახალი ქალაქების მშენებლობა, გიგანტური სამრეწველო ნაგებობების შენება, კოსმოსური პროექტების რეალიზაცია და ა.შ., მაგრამ ამგვარი მიღწევების ჩრდილოვან მხარედ წარმოგვიდგება მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, დემოკრატიის არქონა, ცალკეული ადამიანის უუფლებობა, ეკოლოგიის სამართლის ნორმათა მოთხოვნების უგულებელყოფა და სხვა.

XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის მიჯნაზე კაცობრიობა დგას პრობლემის წინაშე, ორგანულად როგორ შეაერთოს საბაზრო ეკონომიკა, სოციალური პოლიტიკა და ეკოლოგია. ცივილიზებულ საზოგადოებაში ეკონომიკა უნდა იყოს სოციალური და ეკოლოგიური. ეკონომიკის ამგვარი ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ მასზე სახელმწიფოსა და სამართლის დადებითი ზემოქმედების იმ პირობებში, რომელშიც საზოგადოების უმაღლეს ღირებულებად ითვლება ადამიანის ღირსება, მისი უფლებები და თავისუფლებები, ეკონომიკური პროგრესისა და კეთილდღეობის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს დემოკრატიული სისტემა.

მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნები იმავდროულად ადამიანთა ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტად გამოდიან.

სახელმწიფო და სამართალი რთულ და არაერთგვაროვან ურთიერთობაში არიან კულტურასთან, რადგანაც ეს არის საზოგადოების განვითარების ისტორიულად განსაზღვრული დონე, ადამიანის უნარი და შემოქმედებითი ძალა, გამოხატული ხალხის ცხოვრებასა და მოღვაწეობის ორგანიზების ფორმებსა და ტიპებში, მათ ურთიერთშესაბამისობაში და, აგრეთვე, ხალხის შექმნილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებაში. განასხვავებენ მატერიალურ და სულიერ კულტურას, ხოლო ვიწრო გაგებით, ეს ტერმინი მიეკუთვნება ხალხის სულიერი ცხოვრების სფეროს, რომელიც დარგების მიხედვით ნაწილდება (პოლიტიკური კულტურა, შრომის კულტურა, მეტყველების კულტურა, სამართლებრივი კულტურა და ა.შ.).

ეს არის გარკვეული ისტორიული ეპოქის (უძველესი სამყაროს კულტურა და ა.შ.), ხალხის ან ერის (მაგალითად, ბერძნული, რომაული კულტურა, ქართული კულტურა) დახასიათება.

კულტურა შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური ან საზოგადოებრივი, გონებრივი ან ზნეობრივი განვითარების დონე (მაგალითად, პოლიციის მუშაკთა კულტურა).

საერთო თვალთახედვით კულტურა არის ყველაფერი ის, რაც შექმნილია ადამიანის მიერ, აქვს საფუძველი მის სულში და მისი შემოქმედების შედეგს წარმოადგენს. ამდაგვარ ღირებულებებს უნდა მივაკუთვნოთ სახელმწიფოცა და სამართალიც. უფრო მეტიც, სახელმწიფოს წარმოქმნამ ბიძგი მისცა ნახტომს კულტურის განვითარებაში–გადასვლას ბარბაროსობიდან ცივილიზაციაში.[136] ზემოთ ნათქვამი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა კულტურის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს, როგორც კულტურული ღირებულების გაგება, ძნელად მკვიდრდებოდა საზოგადოებაში. XIX ს. ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს მიერ ადამიანის აბუჩად აგდების თეორია. ამაში „დამნაშავე“ არიან არა მხოლოდ მარქსისტული იდეოლოგები, რომლებიც სახელმწიფოში (და

[136] ლუის ჰენრი მორგანი, ძველი საზოგადოება პეტერბურგი, 1800 წ.

აგრეთვე, სამართალშიც) ხედავდნენ მხოლოდ სოციალურ ბოროტებას, არამედ ამ თეორიას მხარს უჭერდა რევოლუციამდელი რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წელს განიხილავდა სახელმწიფოს, როგორც ეშმაკისეულ ცდუნებას და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მსხვერპლად ეწირება ადამიანი, პიროვნება.[137]

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ეს შეფასებები შემთხვევითი არ იყო. აიხსნებოდა იმით, რომ იძულებითი მეთოდები გამოიყენებოდა უმთავრესად პიროვნების საწინააღმდეგოდ, ზღუდავდა და ბღალავდა მის თავისუფლებას, ჩრდილში რჩებოდა სახელმწიფოს მმართველობითი ბუნება და მისი საზოგადოების მთლიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია. სახელმწიფო, როგორც ძალოვანი სტრუქტურა, მოქმედებდა იმ სფეროში, სადაც მოგვიანებით იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოება და განვითარებული სამართლებრივი სისტემა.

განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოებაში იზრდება სახელმწიფოს, როგორც კულტურული მოვლენის, ღირებულება. სახელმწიფო სულ უფრო მეტად ხდება ადამიანის თავისუფლების დაცვის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების ფაქტორი. სახელმწიფო ზრუნავს მოზარდი თაობის განათლებაზე, ხელს უწყობს საკუთარ მოქალაქეთა საერთო და პროფესიული კულტურის განვითარებას. ამას გარდა, სახელმწიფო იცავს და უფრთხილდება კაცობრიობის მიერ დაგროვილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს.

განსაკუთრებულ გავლენას სახელმწიფო ახდენს პოლიტიკურ კულტურაზე, რომლის მატარებლად ითვლება საზოგადოება, პარტიები და პოლიტიკური ლიდერები, მოქალაქეები. პოლიტიკური კულტურის განვითარება, თავის მხრივ, ქმნის საზოგადოების, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა განშტოების, პოლიტიკური სისტემის განვითარებისა და ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობას.

სახელმწიფო ზრუნავს სულიერი კულტურის განვითარებაზე, ხელს უწყობს და აფინანსებს ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, თეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

სამართალი ქმნის შემოქმედების, კულტურული ღირებულების შექმნის,

[137] ნ. ბერდიაევი, სახელმწიფო, ლენინგ. 1990 წ. გვ. 282.

ადამიანის კულტურული განვითარების ოპტიმალურ პირობებს.

კულტურული უფლებები დაკავშირებულია საზოგადოების მიერ შექმნილი სულიერი და მატერიალური ფასეულობებისადმი ხელმიწვდომასთან. აღნიშნული უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ნორმით, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.[138]

სამართლის საფუძველზე ყალიბდება კულტურის განსაკუთრებული დონე, სამართლებრივი კულტურა, რომლის ცხოვრებაში გამტარებლად წარმოჩნდება მთლიანად საზოგადოება, სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, სოციალური ჯგუფები, პოლიტიკური მოღვაწეები, მოქალაქეები. ჩვენი ქვეყნისათვის სამართლებრივი კულტურის განვითარება აქტუალური პრობლემაა, რადგან საუკუნეების მანძილზე საქართველოს დამოუკიდებელი სამართალი არ გააჩნდა და ამას საბჭოური პერიოდის სამართლებრივი ნიჰილიზმი მოჰყვა.

---

[138] საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 წ. გვ. 15. ნ. ჭითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, თბ., 1997 წ.
პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ. 1986.წ.
Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 1998г. Общая теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1996 г. Хропанюк В. Н. Теория государства и права М. 1999 г.
Н.Ц. Матузов, А.В. Малько, Теория государства и права. С-П. 2002 г.

თავი მეცამეტე

სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება

§1. სამართლებრივი სახელმწიფოს მოძღვრების თეორიული ფესვები

ბოლო პერიოდის პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა სამართლებრივი სახელმწიფოს (Rechtstaat) კონცეფციის განხილვას. ყველა ავტორი ყურადღებას ამახვილებს სამართლის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობაზე, თუ როგორ თავსდება ხელისუფლების მოღვაწეობა სამართლის ფარგლებში. მანამ, სანამ ადამიანის უფლებები მხოლოდ ქაღალდზე იქნება დაფიქსირებული და ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იქნება რეალიზებული, სანამ არ მოიპოვებს უმაღლესი ფასეულობის სტატუსს, სანამ არ გახდება სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის შემზღუდველი, საზოგადოება ვერ შეფასდება, როგორც დემოკრატიული, ხოლო სახელმწიფო–როგორც სამართლებრივი.[139]

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის საწყისები უნდა ვეძებოთ იმ დროში, როცა ადამიანური ცივილიზაცია ჯერ კიდევ აკვანში იმყოფებოდა.[140] ადამიანთა ცხოვრებაზე, თავისუფლებაზე, საკუთრებაზე ბუნებითი უფლებების რეალიზაციისა და გამოყენების პროცესში თანდათანობით გამოკრისტალდა ბუნებითი სამართლის ნორმები. ისინი ასრულებენ ძირითად და უშუალო რეგულირების როლს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში და, გარკვეულ მომენტამდე, ჰარმონიულად ათანხმებენ მათ.

სახელმწიფომ შეძლო, ბუნებითი სამართალი თავის საკუთრებად გაეხადა და ხელთ ეგდო თვით სამართლებრივი ნორმების შექმნის შესაძლებლობა.

სახელმწიფო გახდა შუამავალი ინდივიდსა და საზოგადოებას შორის

---

[139] გ. მიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, თბ., 1999 წ. გვ. 10.

[140] იხ. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г. стр. 100-102.

და, სამართლის ჰუმანური საწყისების გამოყენების გზით, იგი საკუთარი მიზნების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტად აქცია. კაცობრიობა იძულებული გახდა, ხელახლა დაეწყო შეთანხმების ოპტიმალური ფორმების ძიება ამჯერად უკვე პიროვნებას, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის,—ეპოვნა მათი გონივრული შეთანხმების, მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების გზები და ამისათვის სამართალი გამოეყენებინა.

სამართლებრივ სახელმწიფოზე მოძღვრების წინაპირობად კანონის უზენაესობის, მისი ღვთაებრივი და სამართლიანი შინაარსის, კანონის სამართალთან შესაბამისობის აუცილებლობის იდეა შეიძლება მივიჩნიოთ. სამართლის, როგორც გარდუვალი, ცხოვრებისეულ ამაოებაზე ამაღლებული მოვლენის ჭეშმარიტი პატივისცემის პირველ მაგალითს გვაძლევს ანტიკური ისტორია: ბრძენმა სოკრატემ მიიღო სიკვდილი, არ მოინდომა გასცლოდა სასამართლო განაჩენს (მიუხედავად მისი უსამართლობისა).[141]

თუმცა გაურკვეველია, თუ რატომ გაუსწორდა ასე მკაცრად ჰელეია სოკრატეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრული ბრალდების არც ერთი პუნქტი სასამართლოს სხდომაზე არ დადასტურდა. კიდევ უფრო გაუგებარია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სოკრატეს სიკვდილით დასჯის შესახებ. იმ დროს ათენის სახელმწიფოში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სახის დანაშაული—მკრეხელობა, სხვისი ქონების დატაცება, თავისუფალ მოქალაქეთა და მონათა გატაცება-გაყიდვა და სახელმწიფოს ღალატი ისჯებოდა სიკვდილით. რაც შეეხება სოკრატეს წინააღმდეგ აღძრული ბრალდების საფუძველზე მის დადანაშაულებას, ახალგაზრდობის გარყვნასა და ძველი ღმერთების ნაცვლად ახალი ღმერთების შემოღების ცდას, ეს ამ პერიოდის ათენის სახელმწიფოს კანონების მიხედვით დამნაშავის სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა.

სახელმწიფოს ნორმალური განვითარების სამართლებრივი კანონების მნიშვნელობისა და მმართველთა თვითნებობის შეზღუდვის შესახებ პლა-

---

[141] სოკრატეს სიკვდილით დასჯის შემდეგ პლატონს სასწრაფოდ დაუტოვებია ათენი და გადასულა მეგარაში, სადაც ცხოვრობდა სოკრატეს მოწაფის ევკლიდეს ოჯახში. დაწ. იხ. ვ. აბაშიძე „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“, თბ., 1997 წ.

ტონი წერდა: „მე ვხედავ იმ სახელმწიფოს დაღუპვას უახლოეს დროში, რომელშიც კანონს ძალა არ გააჩნია და იმყოფება ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ. იქ კი, სადაც კანონი მმართველობის მბრძანებელია, ხოლო ისინი კი–მისი მონები, მე ვხედავ სახელმწიფოს გადარჩენას და ყველა იმ სიკეთეს, რომელიც კი ძალუძთ ღმერთებს მიანიჭონ სახელმწიფოს".[142] ანალოგიურ შეხედულებებს მისდევს არისტოტელეც, როდესაც ხაზს უსვამს, რომ „იქ, სადაც არ არსებობს კანონის ძალა, არა აქვს ადგილი სახელმწიფოებრივი წყობის არანაირ ფორმას".

ახალი დროის ევროპულმა მოძღვრებებმა მიიღეს ესტაფეტა ანტიკური მოაზროვნეებისაგან. XIX საუკუნის 30–იან წლებში გერმანელი იურისტების კ. ველკერის, რ. ფონ მოლემის, რ. გნაისტის და სხვათა შრომებში გაჩნდა სამართლებრივი სახელმწიფოს მეცნიერული კონტურები.[143] კ. იასპერსი, სამართლებრივად აღიარებდა ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც მოქმედებს კანონებზე დაფუძნებული თავისუფლება.[144] მკვლევარები თვლიან, რომ უფრო ადრე პოლიტიკური თავისუფლების კლასიკური ტიპის დოკუმენტები ჩამოყალიბდა ინგლისში 700 წლის წინ. ჯერ კიდევ 1328 წელს ნორთჰემპტონის სტატუტში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს არანაირ განკარგულებას არ შეუძლია იქონიოს ზემოქმედება მართლმსაჯულებაზე. იმ დროისათვის, როდესაც ჯ. ლოკმა დაწერა თავისი პამფლეტი მთავრობაზე, ინგლისში უკვე ჩამოყალიბდა პოლიტიკური სისტემა, რომელშიც უკვე რეალური იყო სასამართლოსადმი პატივისცემა და ხელისუფლებასთან ურთიერთობაში თავშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების გარკვეული სისტემა.

ხელისუფლების დანაწილების, მოქალაქეთა უფლებითა და თავისუფლებით უზრუნველყოფის იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს შ. მონტესკიეს ნაშრომებში. „თუკი, – წერდა იგი, – კანონმდებელი და აღმასრულებელი ხელისუფლება გაერთიანდება ერთ პიროვნებაში, ან ერთ დაწესებულებაში, მაშინ თავისუფლება არ იქნება, რადგანაც იქმნება საშიშროება, რომ ეს მონარქი, ანდა ეს სენატი დაიწყებს ტირანული კანო-

---

[142] პლატონი, თხზ. ტ. 3. 1972 წ. გვ. 189.

[143] Общая теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1999 г. с. 422.

[144] Ясперс К., Смысл и назначение истории М. 1991. с. 215.

ნების შექმნას იმისათვის, რათა ასევე ტირანულად გამოიყენოს ისინი. არ იქნება თავისუფლება იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო ხელისუფლება არ იქნება გამოყოფილი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. თუ იგი შეერთებული იქნება საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, მაშინ მოქალაქეთა სიცოცხლე და თავისუფლება აღმოჩნდება ბედის ანაბარად მიტოვებული, რადგანაც მოსამართლე კანონმდებელი იქნება. თუკი სასამართლო ხელისუფლება შეერთებული იქნება აღმასრულებელთან, მაშინ მოსამართლეს ექნება საშუალება, გახდეს მჩაგვრელი".[145]

სამართლებრივ სახელმწიფოზე მოძღვრების ფილოსოფიურ დასაბუთებას მის სისტემურ ხედვაში უკავშირებენ კანტისა და ჰეგელის სახელებს. კანტი სახელმწიფოს აღიქვამს, როგორც სამართლისა და კანონმორჩილ ადამიანთა ერთობლიობას. ადამიანის გონების კატეგორიული ბრძანება მოითხოვდა ისეთ ქცევას, რომ საკუთარი ინტერესების თავისუფალი გამოვლინება შეთავსებადი ყოფილიყო ნებისმიერი პიროვნების თავისუფლებასთან და საყოველთაო კანონთან. ჰეგელისათვის სახელმწიფო იგივე იყო, რაც სამართალი, („თავისუფალი ნების არსებობა"), მაგრამ ყველაზე უფრო მეტად განვითარებული (სამართლის მთელი სისტემა), რომელიც თავის თავში მოიცავდა პიროვნებისა და საზოგადოების სამართალს, ამიტომაც სამართლის სისტემა, ე.ი. სახელმწიფო, მისი დიალექტიკური გაგებით, არის რეალიზებული თავისუფლების სამეფო.

როგორც უკვე ითქვა, სიტყვათშეხამება „სამართლებრივი სახელმწიფო" პირველად გვხვდება გერმანელი მეცნიერების კ. ველკერის (1813 წ.) და ი. ფრაიხერ ფონ არეტინის (1824 წ.) ნაშრომებში. მაგრამ აღნიშნული ტერმინი იურიდიულად პირველმა გააანალიზა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეიტანა მათმა თანამემამულემ რობერტ ფონ მოლემმა (1832 წ.). იგი განიხილავდა სამართლებრივ სახელმწიფოს, როგორც მუდმივად განვითარებადი მოძღვრების კატეგორიას სახელმწიფოზე და მიაკუთვნა მას მეხუთე ადგილი პატრიარქალური, თეოკრატიული, დესპოტური და ლიბერალური სახელმწიფოების შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ამ დრო-

[145] Монтескье Ш. Избранные произведения. М. 1955 ст. 290-291.

იდან დაწყებული იდეა სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ, საუკუნეზე მეტ ხანს იყო გერმანელი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში.

ლიტერატურაში გამოყოფილია სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული იდეის განვითარების ოთხი ეტაპი: 1848 წლის რევოლუციამდე იგი ფორმირდებოდა, როგორც მისი შექმნის თეორიული და კონსტიტუციურ-პოლიტიკური საფუძველი. 1848 წლის პაულკირხენის კონსტიტუციის პროექტში იყო სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის იდეების გაერთიანების მცდელობა. 1871 წლიდან ხელისუფლების დანაწილების, კანონის ცნების და სასამართლო პროცესის პრინციპები დეტალურად მუშავდებოდა. 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუცია, რომელიც აერთიანებდა სამართლებრივ სახელმწიფოს და წარმომადგენლობით-საპარლამენტო ელემენტებს. დღეს მოქმედი ძირითადი კანონით, გფრ სოციალურ-სამართლებრივი სახელმწიფოა. გერმანულ ლიტერატურაში მრავალგზის გამოთქმულია აზრი (იგი ფართოდაა გავრცელებული) იმის შესახებ, თითქოს პირველი სამართლებრივი სახელმწიფო გერმანიაში ჩამოყალიბდა 1880 წელს.

დასავლეთის მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბდა სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემების ისეთი ტიპი, რომელთა მოწყობის პრინციპი მრავალ საკითხში შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებს. გერმანიის, აშშ, საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიის, საბერძნეთის, ბულგარეთის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების კონსტიტუციებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით დაფიქსირებულია, რომ მოცემული სახელმწიფოები სამართლებრივნი არიან.[146] ამ იდეის გავრცელებასა და პლანეტის მასშტაბით რეალიზაციას აქტიურად უწყობს ხელს გაერო თავისი ორგანიზაციული სტრუქტურებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მეშვეობით.

---

[146] ბევრ ქვეყანაში „სამართლებრივი სახელმწიფო" კონსტიტუციური ნება პრაქტიკულად ხორციელდება, ბევრი ქვეყნის სამართლებრივ აქტში ეს მხოლოდ იდეად რჩება. იხ. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г. стр. 103.

§2. სამართლებრივი სახელმწიფო და მისი დამახასიათებელი ნიშნები

იდეას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ თვალსაჩინო ადგილი უკავია საერთო ცივილიზებულ ჰუმანისტურ აზროვნებაში, ვინაიდან ის ორიენტირებულია ისეთ სახელმწიფოებზე, სადაც პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობები სამართლის მკაცრ საფუძვლებს ემყარება და გამორიცხავს ურთიერთდაპირისპირებას. სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია უზრუნველყოფს პიროვნების ავტონომიას, ე.ი. განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების გამოვლენის სფეროს, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა არა მხოლოდ არამიზანშეწონილად, არამედ კანონსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს ყველასთვის მისაღები განსაზღვრება. ეს აიხსნება სხვადასხვა ფაქტორის მოქმედებით, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ისტორიული და კულტურული განვითარების განსაკუთრებულობა, დემოკრატიული, პოლიტიკური და სამართლებრივი ტრადიციები, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების თავისებურება, განსხვავება სამართლის ცნებასა და სამართლის, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების და კავშირების უნივერსალურ-სოციალური საშუალების გააზრებას შორის. ამასთან ერთად, რამდენადაც უნდა განსხვავდებოდეს სამართლებრივი სახელმწიფოს განსაზღვრის დეფინიციები, შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი საერთო თვისება. ამ პოლიტიკურ-სამართლებრივი მოდელის საბოლოოდ დასრულებას უკავშირებენ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების მაქსიმალურ უზრუნველყოფას, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე და მოქალაქის პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე, კანონის უზენაესობას და მის მკაცრ დაცვას ყველა სახელმწიფოებრივი ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის, კოლექტივისა და მოქალაქის მიერ, სამართალდამცავი ორგანოების ეფექტურ მუშაობას.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ემყარება საერთო ფილოსოფიურ წარმოდგენას სამართალზე, როგორც უმაღლეს ღირებულებაზე, რომელსაც თავისი შინაარსი აქვს.

თავისი არსებობის მანძილზე სამართლებრივი სახელმწიფოს კონ-

სტრუქციამ თანდათან მიიღო უფრო ფორმალიზებული, სრულყოფილი სახე. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა ობიექტურად ვარაუდობს ინდივიდის ავტონომიურობას და პოლიტიკურ თავისუფლებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმეებში პრიორიტეტს ანიჭებს პიროვნების სოციალურ მიზნებს.

კატეგორიები „საერთო კეთილდღეობა“ და „უმაღლესი სამართლიანობა“, თავისი განუსაზღვრელობის გამო, ადგილს უთმობს სამართლებრივი სახელმწიფოს „კლასიკურ“ ნიშნებს. ამ პროცესის დასაწყისს საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, ორატორმა და იურისტმა მ. ციცერონმა. სახელმწიფოს (respublica) ციცერონი განსაზღვრავს, როგორც ხალხის საკუთრებას (res populi). თანაც, მისი თვალსაზრისით, „ხალხი არის ადამიანთა არა ნებისმიერი კავშირი, არამედ ადამიანთა მასიური გაერთიანება, რომლებიც ერთმანეთთან სამართლითა და ინტერესების ერთობით არიან დაკავშირებული“.[147] თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ციცერონი სახელმწიფოს განიხილავს არა როგორც საერთო ინტერესების შემცველს, არამედ როგორც განსაზღვრულ სამართლებრივ წარმონაქმნს, როგორც ზოგადად მათლწესრიგს. ციცერონის მიხედვით, სამართალს საფუძვლად უდევს არა მხოლოდ ბუნებისათვის ჩვეული, არამედ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არამთლიანობა. მისი აზრით, ფიზიკური და სოციალური სამყარო, თვით ადამიანის ყოფა, სული და სხეული, მიკრო და მაკროკოსმოსის–სამართლის ჰეშმარიტი წყაროა. ციცერონი მიესალმება მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტიურობას. იგი დგას სახელმწიფოს იურიდიზაციის სათავეებთან, რომელიც შემდეგ სამართლებრივ სახელმწიფოდ გარდაიქმნა.

სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებასთან, მათ თეორიულ გააზრებასთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი, არსებითი საკითხი გახდა ხელისუფლების და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა. ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოქმნის **სახალხო სუვერენიტეტის იდეას**, რომელიც თავისი არსით სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ ნიშანს წარმოადგენს.

სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ძალაუფლების

[147] Цицерон. Диалоги М. 1966 г. ст. 24-25.

წყარო არის მხოლოდ ხალხი. ეს გაბედული აზრი თავის დროზე შუასაუკუნეების ცნობილმა მეცნიერმა მარს დიუს პადუელმა წამოაყენა. „მშვიდობის დამცველის“ ავტორი თვლიდა, რომ სახელმწიფოს სუვერენია ხალხი–კანონმდებელი. ეს იყო, საერთოდ, ახალი ჰუმანისტური გაგება ადამიანის, როგორც საკუთარი ბედ–იღბლის შემქმნელის და შემოქმედისა.

ეს კონცეფცია გაიზიარა და შემდგომ განავითარა ჟან–ჟაკ რუსომ. სუვერენიტეტის მისეული გაგება ეფუძნება იმას, რომ სახელმწიფო (რესპუბლიკა) წარმოადგენს საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგს. სუვერენული ხელისუფლება უნდა გავიგოთ, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის გამოხატვა. სახელმწიფოში ყოველი ადამიანი იძენს მოქალაქეობრივ თავისუფლებას თავისი საკუთარი დამოუკიდებლობის ნაცვლად. რუსოსთან „საერთო ნება“ გარდუვლად იღებს სამართლებრივ ხასიათს და ბუნებითი სამართლის ჩარჩოებში თავსდება, თანაც, სუვერენული ხელისუფლება სამართლის სამსახურშია და სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, წყვეტს არსებობას, თუ სუვერენობა არ გამოხატავს ხალხის საერთო ნებას. სახელმწიფო ხელისუფლება და მართვა–გამგეობა ლეგიტიმური უნდა იყოს.

ეს და მსგავსი თეორიული წანამძღვრები ზოგიერთ სამართლებრივ დოკუმენტშიც აისახა. აშშ–ს წარმომადგენელთა დამოუკიდებლობის დეკლარაცია მოიცავს შემდეგ დებულებას: ჩვენ ვთვლით თვით სიცხადედ შემდეგ ჭეშმარიტებას: ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად. რომელსაც მინიჭებული აქვს (თანდაყოლილი) განუსხვისებელი უფლებები სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და ბედნიერებისაკენ სწრაფვაზე. ამ უფლებების უზრუნველყოფისათვის ადამიანები ქმნიან მთავრობას, რომელიც იღებს თავის თავზე სამართლიან მმართველობას ადამიანთა თანხმობით...“ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელია სახალხო სუვერენიტეტი როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წყარო და საფუძველი. სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობას, დამოუკიდებლობას, სისრულეს, საყოველთაობას და განსაკუთრებულობას.

ბოლო პერიოდში განიხილება **სამართლებრივი სუვერენიტეტის**

საკითხიც.[148]

სუვერენიტეტის პრობლემას უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთი ნიშანიც, როგორიცაა **კანონის უზენაესობა**, ვინაიდან სუვერენიტეტი გულისხმობს უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივ ორგანიზაციას, მისი განხორციელების იურიდიულ პროცედურას, პიროვნების და ხელისუფლების ურთიერთობის პრინციპებს. სახელმწიფოს, როგორც იურიდიულად ორგანიზებული საზოგადოებრივი მთლიანობის საქმიანობა უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამართლებრივი ფორმით და სამართლის შესაბამისად–ეს მთლიანად ეხება როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასაც.

თეორიულად კანონის უზენაესობა გამოიხატება იმით, რომ ის წარმოადგენს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ნების პროდუქტს, არამედ ინდივიდების სამართალცნობიერებით ჩამოყალიბებული იდეის რეალიზაციას, რომელთანაც სახელმწიფო საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფება.

სამართლის გენეზისი კონტინენტური ევროპის ქვეყნებში პირობითად შემდეგი სქემით მიმდინარეობს: თავდაპირველად საზოგადოებაში წარმოიშვება სამართლებრივი იდეები, რომლებიც მტკიცდებიან იურიდიულ ნორმებში, ხოლო შემდეგ სამართლის სუბიექტების კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში რეალიზდებიან.

მაშასადამე, სამართლებრივი სახელმწიფო იღებს მკაცრი კანონიერების ფორმას.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია **ხელისუფლების დანაწილება.**[149] ამ კონცეფციის დამფუძნებლად ითვლება

---

[148] გ. ლობჟანიძე, ადამიანის საყოველთაო უფლებათა გარანტიები, 2003 წ. გვ. 20.

[149] ამ პრობლემის ირგვლივ მოსაზრება გამოთქვა ბ. სავანელმა. მისი აზრით უნდა იყოს: „არა ხელისუფლების დანაწილებაზე, არამედ განაწილებაზე, რადგან არ უნდა არსებობდეს ერთი ხელისუფლება და მისი სამი შტო, არამედ უნდა იყოს სამი ხელისუფლება, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ–ადამიანის უფლებების დაცვა და ამ მიზანს ისინი აღწევენ ერთმანეთის შეზღუდვის მექანიზმით, რაც უფრო შეზღუდულია სამი ხელისუფლება ანუ მთლიანად სახელმწიფო, მით უფრო თავისუფალია პიროვნება, ანუ სახეზეა სამოქალაქო საზოგადოება“. დაწვ. იხ. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1993 წ. გვ. 121

ცნობილი ფრანგი განმანათლებელი მონტესკიე, თუმცა მანამდე მსგავსი მოსაზრებები გამოთქვა ჯ. ლოკმა, უფრო ადრე პოლიბიმ და თავის დროზე ხომ რომის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობა ხელისუფლების განაწილების საწყისებზე იყო დაფუძნებული.

ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების სასახელოდ უნდა აღინიშნოს XII საუკუნის საქართველოში ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ხელისუფლების დანაწილების მოთხოვნით გამოდიოდა.

ამ მოვლენის ივანე ჯავახიშვილისეული შეფასება სავსებით ასახავს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც, საერთოდ, შუა საუკუნეებში დაწყებული მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწევრების თეორიის შუქზე მსოფლიო კულტურის ისტორიის ახალი ფურცელია და, ამდენად, თავისი მნიშვნელობით, სცილდება საქართველოს ისტორიის ფარგლებს.

ასეთი სახელმწიფოებრივი მექანიზმის შექმნის იდეა გამორიცხავს ძალაუფლების თავმოყრას ერთ ხელში. ხელისუფლების ყველა შტო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) დამოუკიდებელია, აქვს თავისი კომპეტენცია და სხვების კომპეტენციაში არ ერევა.

ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის ერთ-ერთი ვარიანტი ვარაუდობს ე.წ. „თავშეკავების და საპირწონეების სისტემის“ შექმნას, როდესაც ყოველ ხელისუფლებას გააჩნია მრავალი შესაძლებლობა, აკონტროლოს და შეზღუდოს ერთმანეთი. ასეთი სახელმწიფოებრივი მექანიზმი ფუნქციონირებს აშშ-ში. მეორე ვარიანტი ვარაუდობს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს, საკანონმდებლო პრიორიტეტს, რაც დამახასიათებელია, მაგალითად, ინგლისისათვის.

ძალაუფლების დაბალანსება ეფუძნება სახალხო სუვერენიტეტს, რაც ზოგ თანამედროვე სახელმწიფოში კონსტიტუციურად არის განმტკიცებული. იდეის მიხედვით, საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კანონები, აღმასრულებელმა—ორგანიზაცია გაუკეთოს მის შესრულებას, ხოლო სასამართლომ—კანონით გადაწყვიტოს დავა უფლებებზე.

ამჟამად შეინიშნება გააქტიურება აღმასრულებელი ხელისუფლებისა, რომელიც თანდათან აფართოებს თავისი საქმიანობის ასპარეზს. ეს ობიექტური კანონზომიერებაა, ვინაიდან თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრება უფრო რთულდება და მოითხოვს ხელისუფლების ოპერატიულ ჩარევას, რომელიც წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მთავრობის ფუნქციას, ამასთანავე, მნიშვნელოვანია ის, რომ აღმასრულებელი სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობა ხორციელდებოდეს სამართლებრივ ფორმებში საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული აქტების საფუძველზე.

უნიტარულისაგან განსხვავებით, ფედერაციულ სახელმწიფოში ძალაუფლების „ჰორიზონტალურ“ გაყოფასთან ერთად გამოიყენება „ვერტიკალური“ გაყოფის პრინციპი ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის.

სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სამ ტრადიციულ შტოსთან ერთად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) გასათვალისწინებელია ე.წ. „მეოთხე ხელისუფლების“ ფუნქციონირება. საზოგადოებრივი აზრის (პრესის), საინფორმაციო საშუალებების („მასმედიის“) როლი და მნიშვნელობა მაკონტროლებელი ორგანოების, სამართალდამცავ ორგანოებსა და ძალისმიერ სტრუქტურებთან, რომელიც ასოცირებულია სახელმწიფოს ისეთ ინსტიტუტებთან, როგორიცაა ჯარი, პოლიცია, ციხე და ა.შ.

სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ნიშანია **პიროვნების უფლებების და თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფა.** ადამიანის უფლებები არის სამართლებრივი სახელმწიფოს კვინტესენცია, საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ცნობილმა სოფისტმა პროტაგორამ (480–410 წ. ჩვ. წ. აღ.) ჩამოაყალიბა შემდგომი ეპოქებისათვის მნიშვნელოვანი ფორმულა: „ადამიანი საზომია ყველა საგნისა“. დროთა განმავლობაში შემოვიდა იმის გაგება, რომ ადამიანის უფლებების საუკეთესო გარანტია შეიძლება იყოს კანონი, რომელიც იცავს პიროვნების ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით, მართებულია, გავიხსენოთ გერმანელი ფილოსოფოსი ი. კანტი (1724–1804 წწ.), რომელიც უკვე მე-19 საუკუნის შუახანებში სამართლებრივი სახელმწიფოს თეორეტიკოსად იყო აღიარებული. მისი აზრით, პოზიტიური კანონმდებლობის ნორმები იმდენად

წარმოადგენს სამართალს, რამდენადაც ისინი შეესაბამება გონებას, რომელიც ადამიანს თავისუფლების კანონებს აძლევს. სამართალი არეგულირებს ურთიერთობებს ინდივიდებს, თავისუფალი ნების მატარებლებს შორის და საბოლოოდ გამოდის პირობების ერთობლიობით, რომელიც საშუალებას იძლევა ერთი პირის თავისუფლება შეთავსებულ იქნას სხვა პირის თავისუფლებასთან საყოველთაო კანონის თვალსაზრისით. მაშასადამე, სამართალი, კანტის მიხედვით, არა მხოლოდ საგარეო თავისუფლების ფორმალური პირობაა, არამედ მისი ყოფის არსებითი ფორმაც არის. გონებით წარმოშობილ ქცევის წესებს კანტი „იმპერატივს“ უწოდებს.

კონტინენტურ ევროპაში დომინირებს სამართლებრივი სახელმწიფოს გერმანული კონსტრუქცია, რომელიც რაციონალისტურ ტრადიციას ემყარება. მისი საფუძველია კანტის, უმეტესად კი ჰეგელის ფილოსოფია. ჰეგელს კაცობრიობის ევოლუცია მიაჩნდა, როგორც თავისუფლების თანმიმდევრული განვითარება თვითნებობის დაძლევის გზით. გერმანული იურისპრუდენციისათვის (და არა მხოლოდ მისთვის) დამახასიათებელია სამართლის, სახელმწიფოს, თავისუფლების, როგორც რაღაც განუყოფელი და შესატყვისი კატეგორიების ინტერპრეტირება. სამართლებრივი სახელმწიფოს ეს ვერსია დიდი ლიბერალური პოტენციალის შემცველია.

სამართლებრივ სახელმწიფოში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ პატერნალისტურ გონება-განწყობილებას, რომელთა თანახმად, სახელმწიფო მოქალაქეებს რაღაც უფლებებით და თავისუფლებებით „ასაჩუქრებს“. ადამიანს დაბადებისთანავე ენიჭება სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, ბედნიერებისაკენ სწრაფვის ბუნებრივი უფლებები. ისინი თვითცხად აპრიორულ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ და დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოს კონსტიტუციაში აისახებიან. გარდა ამისა, ინდივიდი არის პოლიტიკური კავშირის (სახელმწიფოს) წევრი და გამოდის, როგორც მოქალაქე. სახელმწიფოს და მოქალაქის ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს სამართლის მყარ საფუძველს და წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ კავშირს, რომელიც უფლებების და თავისუფლებების ურთიერთაღიარებას ვარაუდობს.

სამართლებრივი სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვან ნიშნებს მიეკუთ-

ვნება: განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ძალაუფლების ერთი პირის ან ორგანოს ხელში თავმოყრას. კონსტიტუციური კანონის უზენაესობა და სამართლებრივი ქმედება, სახელმწიფოებრივი ძალაუფლების სუვერენულობის კანონით დადგენა და სინამდვილეში გატარება. სასამართლოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალების, უზენაესობა. კანონების სამართალთან შესაბამისობა, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემის სამართლებრივი ორგანიზაცია და სხვა.

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიის ნაირსახეობას წარმოადგენს განვითარებული და ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი სისტემა, ანუ „სამართლის უზენაესობის“ კონცეფცია,[150] რომელიც ჩამოყალიბდა ლიბერალური პარადიგმის ჩარჩოებში, და უპირველეს ყოვლისა, ანგლოსაქსური სამართალპოლიტიკური ტრადიციისათვის არის დამახასიათებელი. შედარებითი სამართლისმცოდნეობის დარგის ცნობილი სპეციალისტის რ. დავიდის სამართლიანი შენიშვნის მიხედვით, საერთო სამართალი ატარებს საკუთარი ისტორიის ცნობილ ანაბეჭდს. ინგლისური სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბდა მოსამართლეების მიერ და ახლაც, პრეცენდენტული სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობების უდიდეს სფეროს, სასამართლო პრაქტიკის როლი არსებითი და მნიშვნელოვანია დღესაც. ისე მოხდა, რომ თავდაპირველად ინგლისში, შემდეგ კი აშშ-ში სამართლის უზენაესობის იდეა იყო მატერიალიზებული, ძლიერი, დამოუკიდებელი სასამართლოს ინსტიტუტში, რომელიც ინდივიდს და ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, ცენტრალურს შორის თავისებური ბუფერი გახდა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში და სამართლებრივ სისტემაში განმტკიცდა პიროვნების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის თეზისი. მსგავსი პოზიცია გამოიხატება კანონებისა და სახელისუფლებო ინსტიტუტების განკარგულებებისადმი ფრიად ფხიზელი დამოკიდებულებით, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფის ალბათობა აქტუა-

[150] სამართლის უზენაესობის კონცეფცია მკვიდრდება საქართველოშიც. იხ. მართლმსაჯულების მაცნე №4, თბ., 1998 წ.

ლურია ყოველთვის და ნებისმიერი პოლიტიკური რეჟიმის დროს. საზოგადოებრივი ცნობიერება მუდმივად უკეთებს დემონსტრირებას ნდობის უმაღლეს ფაქტორს, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს მიმართ და ადამიანის უფლებების ყველაზე მნიშვნელოვან გარანტად მიიჩნევს მას. ამგვარად, თანდათან ჩამოყალიბდა შეზღუდული სახელმწიფოს იდეა.

ყურადსაღებია, რომ „სამართლის უზენაესობის“ თეორია და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია ერთი სულიერი წყაროდან–აღორძინების ფილოსოფიიდან იღებს სათავეს. ამასთან ერთად, სამართლებრივი სახელმწიფოს რომანულ–გერმანულ თეორიას აქვს მკაფიოდ გამოსახული რაციონალისტური ასპექტი, ვინაიდან საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება მხოლოდ პოზიტიური სამართლის საშუალებით მოიაზრება. ამ თვალსაზრისით, სამართალი გადმოიცემა, როგორც თავისებური დისციპლინური სოციალური სისტემა. არსებითად, გერმანული სამართლებრივი სახელმწიფო არის განმტკიცებული „მართლწესრიგის განსახიერება“ და სხვა არაფერი. გერმანული სამართლებრივი სახელმწიფო გამოიყურება, როგორც კანონწესრიგის სახელმწიფო, ხოლო მისი ანგლო-საქსური ვერსია ვარაუდობს შეზღუდულ სახელმწიფოს და თავისუფალ სამართლებრივ საზოგადოებას. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფოს ენიჭება არბიტრის, შუამავლის როლი, რომელიც სამართლებრივ კონფლიქტში ჩაერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამოწურულია ყველა სხვა შესაძლებლობა და საჭირო ხდება მოთხოვნილება აქტიურ უფლებრივ მოქმედებაში.

სამართლის უზენაესობის კონცეფცია ფრიად თანამიმდევრულად გამოხატავს თავდადებას კლასიკური ლიბერალიზმის იდეებისადმი. ჯ. ლოკმა, ადამიანის ბუნებითი უფლებების თავისი ცნობილი ტრიადის (სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება) დასაბუთებით ბუნებრივად გამოაცხადა კერძო სამართლის ძირითადი პრინციპები, დაამტკიცა მათი პრიორიტეტულობა პოზიტიური სამართლის მიმართ. ამ პრინციპების დაცვით იზღუდება სახელმწიფოს უფლებები, ამიტომ, ლოკის იდეალია სამართლებრივი საზოგადოება, რომლის არსებობის ერთ-ერთი პირობა შეზღუდული სახელმწიფოა. საჯარო სამართლით განსაზღვრული ხელისუფლების და პიროვნების ურთიერთობები აღიარებული შეიძლება იყოს იმდენად, რამდენადაც ისინი კერძო სამართლის სფეროში ბუნებრივად

ჩამოყალიბებულ პრინციპებს აღიქვამენ. ინდივიდის და სახელმწიფოს კონფლიქტი ღებულობს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს შორის კოლიზიის ფორმას, ამ შემთხვევაში, სამართალს ყოველთვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა, ვინაიდან, თავისუფლება ინდივიდუალურია და უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს.[151]

დაბოლოს, ჩვენი აზრით, კიდევ ერთ ნიშანზე შეიძლება საუბარი, ესაა: სახელმწიფოსა და ეკლესიას (რელიგიას) შორის ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება.

სამართლებრივ სახელმწიფოში მხარს უჭერენ ძირითადი რელიგიის განვითარებას, ხელს არ უშლიან დასაშვებ რელიგიურ მიმდინარეობებს, რაც არ ნიშნავს ქვეყანაში ამ კუთხით ქაოსსა და გაუგებრობას, პირიქით, სამართლებრივ სახელმწიფოში მკვეთრადაა გამიჯნული სახელმწიფო რელიგიისაგან და მათ შორის ურთიერთობა კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სამართლებრივია სახელმწიფო, რომლის სუვერენიტეტი აბსოლუტურად დაცულია, აღიარებული და გარანტირებულია კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, პიროვნების ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების რეალური უზრუნველყოფა, სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული, პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტების არსებობა, განვითარებული და ზუსტად განსაზღვრული სამართლებრივი სისტემა. ასეთ სახელმწიფოში მოქალაქეებსა და სახელმწიფოს ერთმანეთის მიმართ აქვთ უფლებები და ეკისრებათ შექცევადი ურთიერთპასუხისმგებლობა.

საბოლოოდ, სამართლებრივ სახელმწიფოსთან მიმართებაში ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ა) სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პირველი სურვილები გაჩნდა პლატონისა და არისტოტელეს შრომებში. ბ) სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა მეცნიერულად დაამუშავა შ.ლ. მონტესკიემ. გ) სამართლებრივი სახელმწიფოს ფილოსოფიური დასაბუთება მოგვცეს კანტმა და ჰეგელმა. დ) სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის პრაქტიკული განხორციელება მოხდა გერმანიაში, ავსტრიაში, ამერიკაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში.

---

[151] Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000. стр. 104-108.

ასეთია სამართლებრივი სახელმწიფოს არსი და დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც კატეგორიულობით არ ხასიათდება და მკვლევართა მიერ სხვადასხვა ინტერპრეტაციით განიხილება.

§3. სამოქალაქო საზოგადოების ცნება

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების იდეას განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რომელიც ხასიათდება ყველა დროის მოაზროვნეთა მისწრაფებით—შეექმნათ მოდელი რეალური იდეალური საზოგადოებრივი წყობისა, სადაც უნდა ებატონა აზროვნებას, თავისუფლებას, კეთილდღეობას და სამართლიანობას. სამოქალაქო საზოგადოების იდეის ჩამოყალიბებისას ყოველთვის ჩნდებოდა სახელმწიფოს სრულყოფასთან, კანონისა და სამართლის მნიშვნელობის ამაღლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ამ მიზანს უძველეს სამყაროში ობიექტურად ითვალისწინებდა პლატონის ეიდოსის (სახელმწიფოს იდეა) თეორია. იმავე აზრს ავითარებდა არისტოტელე. თავის „პოლიტიკაში“ თვლიდა, რომ სახელმწიფო არის საკმაო თვითზეწოლის პირობებში არსებული მოქალაქეთა გაერთიანება, ე.ი. სამოქალაქო საზოგადოება. ციცერონი, აკვირდებოდა და ასაბუთებდა რა ადამიანთა სამართლებრივ თანასწორობას, წერდა: სამართალი არის სამოქალაქო საზოგადოების შემაკავშირებელი რგოლი. კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოება მთლიანად გაიგივებული იყო სახელმწიფოსთან. ეს გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს და განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების დონით (შრომის დანაწილების პრიმიტიული ფორმები, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების საწყისი ეტაპი, საზოგადოებრივი ცხოვრების გასახელმწიფოებრიობა, სოციალური სტრუქტურის კასტური ხასიათი).

საზოგადოებრივი ურთიერთობების შემდგომმა თანმიმდევრულმა განვითარებამ განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების შესახებ სწავლულთა შეხედულებების ტრანსფორმირება. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ნ. მაკიაველის, ჰ. გროციუსის, თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, შ. მონტესკიეს, ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებში უკვე დასაბუთებული იყო სამოქალაქო საზოგა-

დოების შესაბამისობა არა ნებისმიერ, არამედ, მათი აზრით, მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოწყობის პროგრესულ ფორმებთან, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ ბუნებით-სამართლებრივ საწყისებზე. კერძოდ, ჯ. ლოკი თვლიდა, რომ „აბსოლუტური მონარქია... შეუთავსებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან და, აქედან გამომდინარე, საერთოდ არ შეიძლება იყოს სამოქალაქო მმართველობის ფორმა“, მაკიაველს საუკეთესოდ მიაჩნდა სახელმწიფოს შერეული ფორმა, შედგენილი მონარქიის, არისტოკრატიისა და დემოკრატიისაგან, სადაც თითოეული მათგანი მოწოდებულია, შეაკავოს და დაიცვას დანარჩენი ორი...

სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების ფილოსოფიურ დახასიათებას გვაძლევს ე. კანტიც. მისი აზრით, უმთავრესია შემდეგი იდეები:

ა) ადამიანმა ყველაფერი საკუთარი ძალებით უნდა შექმნას და პასუხი აგოს თავის ქმნილებაზე.

ბ) ადამიანური ინტერესების შეჯერება და მათი დაცვის აუცილებლობა არის ადამიანის თვითსრულყოფის საფუძველი.

გ) კანონით დაცული სამოქალაქო თავისუფლება არის თვითგანვითარების აუცილებელი პირობა, ადამიანური ღირსების შენარჩუნებისა და ამაღლების გარანტი.

ეს იდეები უდავოდ შეიძლება დაედოს საფუძვლად სამოქალაქო საზოგადოების თეორიას. კანტი, გადააქვს რა ინდივიდებს შორის ანტაგონიზმის კონცენტრაცია, როგორც მათი თვითგანვითარების სტიმული სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაზე, კაცობრიობისათვის უდიდეს პრობლემაზე, აკეთებს დასკვნას, რომ თვით ბუნება განსაზღვრავს საყოველთაო სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების შექმნას. ვ ჰუმბოლდტმა მიიღო კანტის ფილოსოფიური მოძღვრება და კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით შეეცადა, ეჩვენებინა წინააღმდეგობა და სხვაობა სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის. სამოქალაქო საზოგადოებას იგი აკუთვნებს:

ა) პირადად ინდივიდების მიერ შექმნილ ეროვნულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა სისტემებს.

ბ) ბუნებით და საერთო სამართალს.

გ) ადამიანს.

მისი აზრით, სამოქალაქო საზოგადოებისაგან განსხვავებით სახელმწიფოს გააჩნია:

ა) სახელმწიფო ინსტიტუტების სისტემა.

ბ) სახელმწიფოს მიერ გამოცემული პოზიტიური სამართალი.

გ) ჰყავს მოქალაქე.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჰეგელს, წარმოადგინა რა იგი, როგორც კერძო ინტერესების მოქმედების სფერო, მან აქვე მიუჩინა ადგილი ოჯახს, წოდებრივ ურთიერთობებს, რელიგიას, სამართალს, მორალს, განათლებას, კანონსა და მათგან გამომდინარე სუბიექტების იურიდიულ ურთიერთკავშირს. ჰეგელი განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ურთიერთდაპირისპირებულ ინდივიდებს.

სახელმწიფო, რომელიც საერთო ინტერესების სფეროს წარმოაჩენს, განვითარების უფრო მაღალ საფეხურად მიაჩნია ჰეგელს, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება. სახელმწიფო, აერთიანებს რა ინდივიდებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, მაღლდება საზოგადოებაზე, აწესრიგებს მის წინააღმდეგობას, ათანხმებს დაპირისპირებულთა ინტერესებს.

მოვლენებსა და მათ ამსახველ კატეგორიებს მატერიალისტური დახასიათება მისცეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. სამოქალაქო საზოგადოება დაუკავშირეს ინდივიდების მატერიალურ ურთიერთობას, საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრულ დონეს. ისტორიული მონაცემებისა და მოყვანილი მსჯელობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი რთული და წინააღმდეგობრივია. იგი მოიცავს ათეულობით საუკუნეს, იწყება ანტიკურ სამყაროში (ათენი, რომი) და მიემართება ახალი დროის ევროპისა და ამერიკის განვითარებული საზოგადოებრივი სისტემებისაკენ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება დამოკიდებულია ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების დონეზე, ინდივიდების პირადი და ეკონომიკური თავისუფლების რეალობაზე, სახელმწიფოებრივ-ძალოვან სტრუქტურაზე, საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის მუშაობაზე. სამოქალაქო საზოგადოების ხარისხი ჩადებულია ნებისმიერ სამოქალაქო სისტემაში, მაგრამ მათ შეიძლება განვითარების სხვადასხვა დონე ჰქონდეთ. ასე

რომ, დროის გარკვეულ მონაკვეთში, ისინი ჩანასახის მდგომარეობაში არიან, ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში კი შეიძლება, დროებით დათრგუნული, შეკუმშული ზამბარის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მკვეთრად გამოხატული კლასობრივი ხასიათის საზოგადოებრივ წყობაში გარკვეული დოზით არსებობენ და მხოლოდ სოციალური თანასწორობის მიღწევისას დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის პირობებში ვითარდებიან და ხდებიან მნიშვნელოვანნი.

სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება ითვალისწინებს მასში მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებების კომპლექსის არსებობას. მათი უქონლობა ან განუვითარებლობა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ სოციალური ორგანიზმის „ჯანმრთელობის“ მდგომარეობა და მისი თვითგანვითარების აუცილებელი მიმართულებები. განვიხილოთ ეს ნიშან-თვისებები უფრო დაწვრილებით.

სამოქალაქო საზოგადოება არის თავისუფალი ინდივიდების ერთობლიობა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, რომ თითოეული ინდივიდი წარმოადგენს მესაკუთრეს, რეალურად ფლობს იმ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური არსებობისათვის. იგი თავისუფალია საკუთრების შეძენა-განკარგვაში, პროფესიის არჩევაში. სოციალური თვალსაზრისით, ინდივიდის რომელიმე სოციალურ ერთობაში გაწევრიანება აუცილებელი არ არის. მას შეუძლია, დამოუკიდებლად იარსებოს, აქვს საკმარისი ავტონომიური თვითორგანიზაციის უფლება საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ინდივიდის, როგორც მოქალაქის, თავისუფლების პოლიტიკურ ასპექტს წარმოადგენს მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან, ანუ, მას შესაძლებლობა აქვს, იყოს იმ პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრი, რომელიც გამოდის არსებული სახელმწიფო ხელისუფლების კრიტიკით, მისი უფლებაა, მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. თავისუფლება გარანტირებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდს გარკვეული მექანიზმების (მაგალითად, სასამართლო) საშუალებით შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფო ან სხვა სტრუქტურების თვითნებობა საკუთარი უფლებების დასაცავად.

სამოქალაქო საზოგადოების დედააზრია ღია სოციალური წარმონაქმნი. მასში უზრუნველყოფილია სიტყვის თავისუფლება კრიტიკის თავისუფლების ჩათვლით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თავისუფალი მიმოსვლის უფლება, სხვადასხვა ქვეყნის ინფორმაციული და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ფართო და მუდმივი გაცვლა-გამოცვლა, უცხო ქვეყნების სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მონაწილეობის მიღება საერთაშორისო და უცხოური გაერთიანებების საქმიანობაში. იგი საერთო ჰუმანურობის პრინციპის მომხრეა და ღიაა ურთიერთქმედებისათვის ანალოგიურ წარმონაქმნებთან პლანეტის მასშტაბით.

სამოქალაქო საზოგადოება რთული სტრუქტურის პლურალისტური სისტემაა, სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ფორმებისა და ინსტიტუტების არსებობა იძლევა ინდივიდის ნებისმიერი მოთხოვნილების, ინტერესების გამოხატვისა და რეალიზაციის, ადამიანის არსის მთელი ორიგინალობით გახსნის საშუალებას. პლურალიზმი, როგორც საზოგადოებრივი სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციონირების დამახასიათებელი ნიშანი, მჟღავნდება მის ყოველ სფეროში: ეკონომიკურში–ეს არის საკუთრების მრავალგვარი ფორმა (კერძო, სააქციო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო), სოციალურსა და პოლიტიკურში–არის საზოგადოებრივი წარმონაქმნების ფართო და განვითარებული ქსელები, რომლებშიც ინდივიდს საშუალება აქვს, წარმოაჩინოს და დაიცვას თავი. სულიერში–მსოფლმხედველობის თავისუფლების დაცვა, იდეოლოგიური მოტივებით დისკრიმინაციის გამორიცხვა, სხვადასხვა რელიგიური და საწინააღმდეგო შეხედულებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება.

სამოქალაქო საზოგადოება არის თვითგანვითარებადი და თვითმართვადი სისტემა. ინდივიდები ერთიანდებიან სხვადასხვა ორგანიზაციაში და აწესრიგებენ ურთიერთშორის დამოკიდებულებებს, ათანხმებენ თავიანთ, ხანდახან წინააღმდეგობრივ ინტერესებს. ყოველივე ამით უზრუნველყოფენ საზოგადოების ჰარმონიულ, მიზანდასახულ განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია საკუთარი, სახელმწიფოსგან დამოუკი-

დებელი, თვითგანვითარების შინაგანი წყაროები. უფრო მეტიც, ამის წყალობით მას შეუძლია შეზღუდოს სახელმწიფოს ძალისმიერი ზემოქმედება. საზოგადოების დინამიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სამოქალაქო ინიციატივა, როგორც შეგნებული და აქტიური მოღვაწეობა საზოგადოების საკეთილდღეოდ. ისეთ ზნეობრივ კატეგორიებთან ერთად, როგორიცაა მოქალაქეობრივი ვალდებულება და მოქალაქეობრივი სინდისი, იგი სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარების საიმედო საშუალებად გვევლინება.

სამოქალაქო საზოგადოება არის სამართლებრივი დემოკრატიული საზოგადოება, რომლის შემაკავშირებელ ფაქტორად ადამიანისა და მოქალაქის ბუნებითი და შეძენილი უფლებების უზრუნველყოფა და დაცვა გვევლინება. სამოქალაქო საზოგადოების იდეებს ხელისუფლების გონიერებასა და სამართლიანობაზე, პიროვნების თავისუფლებასა და კეთილდღეობაზე, შეესაბამება იდეები სამართლის პრიორიტეტის, სამართლისა და კანონის ერთიანობის, სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეული შტოების მოღვაწეობის სამართლებრივი გამიჯვნის შესახებ. სამართლიანობისაკენ მიმავალი სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსთან ერთად ვითარდება, სამართლებრივი სახელმწიფო კი შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შედეგად და მისი შემდგომი სრულყოფის პირობად მივიჩნიოთ.

ცივილიზებული მიდგომა ამ პრობლემის მიმართ გამოიხატება იმით, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არ უპირისპირდება სამოქალაქო საზოგადოებას, პირიქით, ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნის მას. ასეთი ურთიერთქმედება იძლევა დაპირისპირების სამართლებრივი, ცივილიზებული გზით მოგვარების, სოციალური კატაკლიზმების აღმოფხვრის, საზოგადოების თანდათანობითი, მშვიდობიანი განვითარების გარანტიებს. სამოქალაქო საზოგადოება არის კონკრეტულ ადამიანზე ორიენტირებული თავისუფალი დემოკრატიული სამართლებრივი საზოგადოება, იგი ჰქმნის სამართლებრივი ტრადიციებისა და კანონების, საერთო ჰუმანიზმის იდეალების პატივისცემის ატმოსფეროს, უზრუნველყოფს შემოქმედებითი და მწარმოებლური საქმიანობის თავისუფლებას, შესაძლებლობას უქმნის ადამიანისა და მოქალაქის კეთილდღეობასა და სამართლის რეალიზაციას, ორ-

განულად გამოიმუშავებს სახელმწიფოს მოღვაწეობის შეზღუდვისა და კონტროლის მექანიზმს.

მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოება არის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია. იგი მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს, რომელთაც მოქალაქენი ქმნიან საკუთარი კერძო ინტერესების და მიზნების განსახორციელებლად და არ ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივს.[152]

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება XXI საუკუნის რეალობაა, მისი მრავალი დამახასიათებელი ნიშან-თვისების ჩამოყალიბებისა და ფორმირების პროცესი დაწყებულია. დღეს ეს პროცესი რთულდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების არასტაბილურობით, ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებზე შენელებული გადასვლით, მესაკუთრეთა ფართო სოციალური ფენის არარსებობით, პიროვნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმის დაბალი ეფექტურობით. და მაინც, სხვადასხვა სახის კატაკლიზმებისა და დაპირისპირებების მიუხედავად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება თავსდება მსოფლიო განვითარების კალაპოტში, საკუთარი წარსულის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებითა და თვითმყოფადობის დაბრუნებით. 1995 წლის 24 აგვისტოს ახალი კონსტიტუციის მიღებით სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პროცესმა მიიღო მძლავრი იმპულსი და მისი განხორციელებისათვის გარკვეული იურიდიული გარანტიები. კონსტიტუციურად გამყარდა სამოქალაქო საზოგადოების ფუძემდებლური იდეები. ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები გამოცხადებულია უმაღლეს ღირსებად, ხოლო ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქვეყნოდ გამოცხადებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაყოფა, რეალობად იქცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა. ქვეყანაში მოქმედებენ დიდი რაოდენობით არასამთავრობო

---

[152] დაწვ. იხ. გ. ლობჟანიძე, სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, თბ., 2002 წ.

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები.[153]

სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარება დამოკიდებულია სახელმწიფოსგან საკუთრების გონივრულ და თანმიმდევრულ გამოყოფაზე, ბიუროკრატიული აპარატის შემცირებასა და ნეიტრალიზაციაზე, ქვეყნისათვის მისაღებ მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაზე, წარმოების აღორძინების სტიმულთა სისტემის შექმნაზე, ოპტიმალური სოციალური პროგრამების შემუშავებაზე და ა.შ. ამ ჭრილში ერთ-ერთ მოქმედ ბერკეტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფუძემდებლური ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება, რომლის მნიშვნელობაც გამოიხატება სამართლის საშუალებებით სამი ძირითადი მიზნის მიღწევაში: შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ ზედმეტი ჩარევა სამოქალაქო საზოგადოების საქმეებში და მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში. დაფიქსირდეს სახელმწიფოს ვალდებულებები საზოგადოების წინაშე. უზრუნველყოფილ იქნეს კონსტიტუციური დებულებების რეალიზაცია სახელმწიფოში.[154]

რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურას, პირობითად შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: 1) პიროვნება, 2) ოჯახი, 3) სკოლა, 4) სოციალური ჯგუფი, 5) პირადი სიცოცხლე და მისი დაცვის გარანტიები, 6) დემოკრატიული ინსტიტუტები, 7) საზოგადოებივი გაერთიანებანი, პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები, 8) დამოუკიდებელი სასამართლო, 9) აღზრდის სისტემა, 10) თავისუფალი საინფორმაციო საშუალებანი, 11) არასამთავრობო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი და ა.შ.

---

[153] დაწვრ. იხ. ვ. ჭარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები. თბ, 1999 წ.

[154] სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესის შესახებ. იხ. Теория государства и права (курс лекции) под ред. М.Н. Марченко. М. 1999 г. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 1998 г. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1997 წ., ე. კოდუა, სოციოლოგიის ისტორია. წ. I-II. 1996 წ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 2000 წ.
Хропанюк В. Н. Теория государства и права. М. 1999 г.

თავი XIV

სახელმწიფო, ადამიანის უფლებები და მოვალეობები

§1. ადამიანის უფლება-მოვალეობათა ცნება

თეორიულ-კონცეფტუალური თვალსაზრისით სახელმწიფო სამართალი შეიცავს სახელმწიფოს შექმნის წესებს, განსაზღვრავს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ურთიერთობის პრინციპებს, უფლებამოსილებებს, აგრეთვე ადამიანის ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს.[155]

ადამიანის უფლებების წარმოქმნა და მისი, როგორც თეორიული პრობლემის, შეცნობა განუყრელად არის დაკავშირებული ბუნებითი სამართლის იდეის აღმოცენებასა და გავრცელებასთან. ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე VI-V ათასწლეულებში ძველი ბერძენი მოაზროვნეები (ლიკოფრონი, ანტიფონი) ამტკიცებდნენ, რომ ყველა ადამიანი დაბადებიდანვე თანასწორუფლებიანია, რადგან ბუნებით მინიჭებული ერთნაირი უფლებები აქვთ. არისტოტელე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა უფლებას კერძო საკუთრებაზე, რომელიც ასახავდა თვით ადამიანის ბუნებას და საკუთრებისადმი მის სიყვარულს ემყარებოდა. ფეოდალიზმის პერიოდში მრავალი ბუნებით-სამართლებრივი იდეა შეიმოსა რელიგიური მანტიით. მოგვიანებით მათ ასახვა და შემდგომი განვითარება ჰპოვეს ლოკის, მონტესკიეს, რუსოს, კანტის, ბენტამის და სხვა მოაზროვნეთა ნაშრომებში. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ადამიანის უფლებები იდეალური კატეგორიიდან გარდაიქმნა რეალურ სინამდვილედ, გამყარდა სახელმწიფო-სამართლებრივ და საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში და ამა თუ იმ სისტემის სამართლებრივ, თუ სახელმწიფოს მოწყობის დემოკრატიულობის კრიტერიუმად იქცა.

პირველი იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ადამიანის უფლებათა მწყობრ სისტემას, იყო თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილი და კონგრესის მიერ მიღებული ამერიკის

---

[155] კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ. 2010, გვ. 4.

შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის ვირჯინიის დეკლარაცია (1776 წ.), სადაც, როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, პირველად გაიჟღერა ადამიანის ბუნებითი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობამ: „ჩვენ მიგვაჩნია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, რომ ყველა ადამიანი შექმნილია თანასწორად.

არსთა გამრიგემ მათ უბოძა გარკვეული ხელშეუვალი უფლებანი, მათ შორის არის: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა.

ამ უფლებათა დასაცავად ადამიანები ქმნიან ხელისუფლებას, რომელიც თავის მართლზომიერ უფლებამოსილებას მათგანვე იღებს მათივე თანხმობით.

უკეთუ მმართველობის რომელიმე ფორმა ხელყოფს ამ მიზანს, ხალხის უფლებაა, შეცვალოს ან გააუქმოს არსებული მმართველობა და დაამყაროს ახალი ხელისუფლება, რომელიც ისეთ პრინციპებს დაეფუძნება და ისე მოაწყობს ამ ხელისუფლებას, როგორადაც უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს საკუთარი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის“, – ვკითხულობთ დეკლარაციაში. მას შემდგომში მოჰყვა აშშ კონსტიტუცია (1791 წ.), ფრანგული დეკლარაცია (1789 წ.), უფლებათა ბილი (პირველი თავისუფლების ნუსხა). ამ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოკუმენტებში ჩადებულ ადამიანის ფუძემდებლურ უფლებებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. მათი ძირითადი დებულებები განვრცობილად აისახა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში.

სადღეისოდ ადამიანის უფლებები რეალურადაა განმტკიცებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის სამართლის დარგებში, ინსტიტუტებსა და საკანონმდებლო აქტებში.

უფლებები და თავისუფლებები ნებისმიერი ადამიანის ხელშეუვალი და მისი ყოფიერების მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა. სახელმწიფო არავის „ასაჩუქრებს“ უფლებებით, იგი მხოლოდ ამტკიცებს მას კანონით და უზრუნველყოფს მის რეალიზებას. სახელმწიფო იმ შემთხვევაში არ შეიძლება სამართლებრივად ჩაითვალოს, თუ იგი უგულვებელყოფს ადამიანის ბუნებით უფლებებს, ან, უფრო მეტიც, ბღალავს და ებრძვის მას, ეწინააღმდეგება მათ განხორციელებას, ასეთი სახელმწიფო ხასიათდება, როგორც ანტიდემოკრატიული (ავტორიტარული, ტოტალიტარული და ა.შ.).

უფლება არის სახელმწიფოს მიერ კანონის რანგში აყვანილი ადამიანის შესაძლებლობები, ნებადართული ქცევის წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის სიცოცხლეს, საკუთრებას, ადამიანურ ღირსებებს და თავისუფალ მოღვაწეობას ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

კატეგორია „უფლებასთან" ერთად იხმარება ტერმინი „თავისუფლება" – სინდისის თავისუფლება, სარწმუნოების არჩევის თავისუფლება, აზრის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება და ა.შ. აზრობრივად და შინაარსობრივად ეს კატეგორიები შეიძლება ტოლფასად ჩაითვალოს. იურიდიულ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში იხმარება აგრეთვე კატეგორიები – „სამოქალაქო თავისუფლებები", „სამოქალაქო უფლებები", „პიროვნების უფლებები" და „მოქალაქის უფლებები". რა განსხვავებაა უფლებასა და თავისუფლებას შორის?

მართალია, მათ შორის ბევრი რამ საერთოა და ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ, მაგრამ მაინც არ შეიძლება მათი სრული იდენტურობა გავიზიაროთ.

რას ნიშნავს უფლება სიცოცხლეზე?

უფლება სიცოცხლეზე ნიშნავს იმას, რომ მისი სიცოცხლე არ იქნება ხელყოფილი არავის მიერ. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს იმისაგან, რომ მის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არ ექნება ადგილი: წამებას, სასტიკ არაადამიანურ, მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას; იგი არ იქნება ცნობილი ბრალდებულად ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად; თვითნებურად და უკანონოდ არ ჩაერევიან მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში და ა.შ. რაც სახელმწიფოს უმოქმედობით გამოიხატება.

ადამიანს გააჩნია თავისუფლება შრომით, მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში და ა.შ., რომელსაც უნდა უქმნიდეს სახელმწიფო თავისი აქტიური მოქმედებით.

მკვლევართა აზრით, თავისუფლებები, ეს ის სიკეთეებია, რომლებსაც ადამიანები ბუნებრივად ფლობენ, წარმოადგენენ მუდმივ და განუსხვისებელ ღირებულებებს, რომლის დაცვა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ თავისი უმოქმედობითა და მოქმედებით. ე.ი. ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში მისი

ნების, სურვილისა და ინტერესების შესატყვისი მოქმედების შესაძლებლობაა საკუთარი ნებითვე დადგენილ საზღვრებში.[156]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ „მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები (იგულისხმება სახელმწიფოები – გ.ლ.) უზრუნველყოფენ მათ იურისდიქციაში მყოფი ყოველი ადამიანისთვის იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც გადმოცემულია მოცემული კონვენციის I ნაწილში“[157]) სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც. რაც იმას ნიშნავს, რომ კონვენციითა და შესაბამისი ოქმებით სახელმწიფოს ევალება, თავი შეიკავოს აქტიურ ჩარევაზე უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეულ სფეროში, მაგრამ უზრუნველყოს მათი დაცვა. სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება თვით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამის მაგალითები მრავლად არსებობს.

საბოლოო ჯამში ადამიანის თავისუფლებები მიმართულებების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: 1. სფეროები, სადაც სახელმწიფო არ უნდა აქტიურობდეს, ანუ იჩენდეს უმოქმედობას (ასეთია სიცოცხლის ხელყოფა, პირადი, ოჯახის, კორესპონდენციის, ღირსების, რეპუტაციის, რელიგიური მრწამსის, ინფორმაციის სიტყვის, აზრის და ა.შ.).

2. სფეროები, სადაც საჭიროა სახელმწიფოს აქტიური მოქმედება (შრომის, ცხოვრების პირობები, ჯანმრთელობის, განათლების, ბინის, ე.ი. ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებებს აქვს ბუნებითი შინაარსი და განუყოფელია ინდივიდისაგან. ისინი ტერიტორიისა და ეროვნულობის მიღმა, სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და

---

[156] საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ. 1998, გვ. 388..

[157] კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ. 2010, გვ. 4.

საერთაშორისო-სამართლებრივი მოწესრიგებისა და დაცვის ობიექტებს წარმოადგენენ. თუკი ადამიანის ეს უფლებები განმტკიცდება კონკრეტული სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებში, ისინი ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებებად იქცევიან.

მოქალაქეთა უფლებები ბუნებითი უფლებამოსილებების ერთობლიობაა, რომლებიც ნორმატიულ-სამართლებრივ სახელმწიფო აქტებში აისახება. ის სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების პროცესში წარმოიშვა. მოქალაქის უფლებები, როგორც წესი, განისაზღვრება კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, ასევე აუცილებელია სახელმწიფომ მოახდინოს მათი დეკლარირება და უზრუნველყოს დაცვა. ისინი აძლევენ ადამიანს საზოგადოების წევრის სტატუსს.

პიროვნების უფლებები აიხსნება, როგორც კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული ინდივიდის კუთვნილი უფლებამოსილებანი. მათი მოცულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ადამიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებზე, მის სამუშაოსა და ცხოვრების დონეზე. ტერმინ „პიროვნების“ ქვეშ იგულისხმება ადამიანი, მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, იძულებით ადგილნაცვალი. პიროვნების უფლება გვიხასიათებს ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მისი სოციალური სიმწიფის ხარისხს, უნარს გაიცნობიეროს სამართალი და პასუხი აგოს საკუთარ მოქმედებაზე.

როდესაც ვმსჯელობთ ადამიანის უფლებებზე, იქვე უნდა განვსაზღვროთ ძირითად მოვალეობათა წრე, კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედების, ან მოქმედებებისაგან თავის შეკავების მორალური, ან იურიდიული ვალდებულება. ადამიანმა ან სახელმწიფომ პასუხი უნდა აგოს გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა აფრიკული და აზიური ქარტიის გარდა, ძნელად თუ მოიძებნება, თუნდაც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი, ადამიანის უფლებებთან ერთად მის მოვალეობასაც რომ არ აწესებდეს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (29-ე მუხლი) ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე...“, მაგრამ არ არის განმარტებული, რომელ მოვალეობებზეა ლაპარაკი. ადამიანის უფლებებსა და მის მოვალეობებს შორის კავშირი სადავოა. სახელმწიფოს კი, ძირითადად, საერთაშორისო ვალდებულებები

აკისრია... ან უფლებამოსილი პირის მოთხოვნით სამართლის ნორმის საფუძველზე შესასრულებელი ქცევა (მოქმედება ან უმოქმედობისაგან თავის შეკავება),[158] რომელიც არის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული, მოქალაქეთა მიერ სავალდებულო მოქმედებების შესრულების შესაძლებლობანი. ასე მაგ. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.[159]

საქართველოს უზენაესი კანონის – კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით ყველას აქვს უფლება და ვალდებულება გაუფრთხილდეს, იზრუნოს ბუნებრივ და კულტურულ გარემოზე.

კონსტიტუციის 33 მუხლში კონკრეტულადაა მითითებული, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

კონსტიტუციის 67 მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვალეობა, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

კონსტიტუციის 70-ე მუხლით საქართველოს დაცვა ამ ქვეყნის ყოველი მოქალაქის მოვალეობაა, ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია.

უფლება-მოვალეობათა შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ილია ჭავჭავაძე, რომელსაც კარგად ესმის უფლება-მოვალეობათა თანაფარდობის პრობლემა, მისთვის უმნიშვნელოვანესია თითოეულ ადამიანში მოვალეობისადმი მაღალი მგრძნობელობა. ამის თაობაზე გ. ლასხიშვილი წერს: „ციმბირიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, ჩემთან მოვიდა მინა ჩოდრიშვილი, რომელიც

---

[158] ადამიანის უფლებათა ლექსიკონი (შეადგინა ფრიდონ საყვარელიძემ; რედ.; ანა ჭაბაშვილი). თბ. დასი, 1999, გვ. 128.

[159] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი (გაეროს განვითარების პროგრამა, შემდგ. სამსონ ურიდია და სხვ., რედ. ვაჟა გურგენიძე), თბ. 2004, გვ. 483.

ხელოსანთა არტელის (საზოგადოების) დაარსების იდეით იყო გატაცებული და წესდებასთან ერთად ამ თემაზე „ივერიაში“ წერილებიც მოვათავსეთ, მანამდე კი საგურამოში ილია ჭავჭავაძეს ვეწვიეთ და წესდება მივუტანეთო. ხელოსანთა საზოგადოების შექმნას ილია თანაგრძნობით შეხვდა, წესდებასაც გაეცნო და თან დასძინა – ერთი რამ არ მომწონს, აქ სულ ხელოსანთა უფლებებზე ლაპარაკი, მოვალეობაზე კი არაფერია. სადაც უფლებაა, იქ მოვალეობაც უნდა იყოსო.[160] ილია ჭავჭავაძის მოწოდება ასეთია: „სამუდამოდ დაიმახსოვრე, რომ მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი“.[161]

უფლება-მოვალეობის პრობლემის განხილვისას ილ. ჭავჭავაძე სცილდება საკანონმდებლო ჩარჩოებს და მას საზოგადოებრივი ურთიერთობის ქვაკუთხედად მიიჩნევს. დასკვნაც შესაბამისი გამოაქვს. ამრიგად, უფლებისა და მოვალეობის შინაარსი განისაზღვრება საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებებით. კერძოდ, უფლება-მოვალეობები წარმოდგენას გვაძლევს საზოგადოებაში ინდივიდთა შორის „ჩემი“ და „შენის“ თანაფარდობაზე და ამდენად „რაც სხვისაა, – ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, – ეგ ჩემი უფლებაა“,[162] ამიტომაც საზოგადოების კეთილდღეობა შეუძლებელია წარმოდგენილი იქნას მის წევრთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრის გარეშე, მეტიც, სადაც მოქალაქეებს წარმოდგენა არა აქვთ საკუთარ უფლებებზე და მოვალეობებზე, იქ, რა მდიდარიც არ უნდა იყოს ქვეყანა, ხალხის კეთილდღეობა არ შეიძლება მიღწეულ იქნას: „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ აქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად თუ უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველივე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“.[163] ადამიანთა უფლება-მოვალეობებს, მართალია, კანონმდებელი ადგენს, მაგრამ შეუძლებელია საზოგადოების ერთ ნაწილს მხოლოდ უფლებები

---

[160] გიორგი ლასხიშვილი, მოგონებანი, თბ. 1928, გვ. 82.

[161] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, გვ. 265.

[162] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. XI. გვ. 195.

[163] იქვე.

გააჩნდეს, ხოლო მეორე ნაწილს კი ვალდებულებები. ამით იმის თქმა სურს, რომ რომელი წოდებისაც არ უნდა იყოს ადამიანი, უფლება და მოვალეობა ერთნაირი თანასწორობით უნდა იქნეს განაწილებული.

ადამიანთა უფლება-მოვალეობების სწორი გამიჯვნა ადამიანთა ღირსების პატივისცემაა, რაც „ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა რასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს".[164]

ამჟამად, საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში, სამეცნიერო ლიტერატურასა და განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში კატეგორიებს: „ადამიანის უფლება", „მოქალაქის უფლება", „პიროვნების უფლება", ძირითადად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. ცალკეული კატეგორიების გამოყენება განპირობებულია ლოგიკური და სტილისტური წესებით, ანდა აუცილებლობით, გამოიკვეთოს ადამიანის უფლებების პრობლემის ესა თუ ის ასპექტი, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

§2. ადამიანის უფლებათა კონცეფციის ევოლუცია

ადამიანის უფლებათა სამართალი საერთაშორისო სამართლის ახალი დარგია, მაგრამ მას თავისი განვითარების საკუთარი ისტორია გააჩნია, რადგანაც იგი ადამიანის ბუნებით უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება, რომელთა აღიარება, დაცვა და შენარჩუნება ძნელი აღმოჩნდა კაცობრიობისათვის. თავის დროზე ამ პრობლემის ირგვლივ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თეორიული მიმდინარეობა: ბუნებითი სამართალი და პოზიტივიზმი. ბუნებითი სამართლის თეორიის მომხრეთა მტკიცებით ადამიანს უფლებები ღმერთმა უბოძა და მისივე ბუნებიდან გამომდინარეობენ, რომლებიც არ იცვლებიან, მიუხედავად საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეპოქათა ცვალებადობისა. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ტიპის სახელმწიფო ვალდებულია აღიაროს და დაიცვას ეს უფლებები.

ბუნებითი სამართლის თეორიას უპირისპირდებოდა პოზიტივიზმის თეორია, რომლის მიმდევრები უპირატესობას ანიჭებდნენ სახელმწიფოს მიერ მიღებულ და მოქმედ კანონმდებლობას ბუნებით უფლებებთან მიმართებაში, ამიტომაც

[164] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. XI, გა. 270.

საუკუნეები დასჭირდა ამ სფეროში მოძრაობის დაწყებას, რადგანაც ადამიანებს თანადგომასა და პარტნიორობაზე უფრო ეადვილებოდათ სხვისი უფლებების ხელყოფა და დათრგუნვა. „უფლებაწართმეულთა საპასუხო მოქმედება კი ისევ თავის დამთრგუნველთა დათრგუნვისაკენ, დამმორჩილებელთა დამორჩილებისაკენ იყო მიმართული“.

ანტიკური ეპოქის, X-XI საუკუნეების შემდეგ, პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში გადაიდგა, კერძოდ, 1215 წლის 15 ივნისს ინგლისის მეფის ჯონ უმიწაწყლოს მიერ რუნიმედის მოედანზე „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ ხელმოწერითა და გამოცხადებით. ეს იყო მსოფლიოში პირველი ისტორიული წერილობითი დოკუმენტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კონსტიტუციური მმართველობის იდეასა და აზროვნებას. ადამიანის უფლებები იქცა კონსტიტუციონალიზმის საფუძვლად, რომ არა ეს უფლებები, შესაძლოა, არც კი შექმნილიყო კონსტიტუცია. მართალია, რომ „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ მეფისა და ხელისუფლების ხელყოფისაგან იცავდა მხოლოდ ბარონებს, შეძლებულ ფენებსა და ფეოდალთა უფლებებს, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია. მკვლევარები ადამიანის უფლებათა შესახებ ერთიანი კონცეფციის ჩამოყალიბებას უკავშირებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ დიდ ისტორიულ მოვლენებს. მაგ. დიდ ბრიტანეთში 1688-89 წლების რევოლუციას მოჰყვა „უფლებათა შესახებ ბილის“ მიღება, საფრანგეთის რევოლუციას – ადამიანის და მოქალაქის უფლებების 1789 წლის დეკლარაცია, რომელმაც არა მარტო აღიარა ადამიანის უფლებები, არამედ სახელმწიფოს დააკისრა მისი დაცვის უზრუნველყოფა, შეერთებული შტატების ბილი ადამიანის უფლებების შესახებ (1791), რასაც მოყვა მე-18-19 საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ ევროპაში ადამიანის საყოველთაო უფლებების პრიორიტეტის აღიარება სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონების მიმართ. გამოჩნდნენ მოაზროვნეები, რომლებმაც აღიარეს და დაასაბუთეს ადამიანის უფლებების ზესახელმწიფოებრივი ბუნება. ესენი იყვნენ: ჰუგო გროციუსი, თომას ჰომსი, ჯონ ლოკი, შარლ ლუი დე მონტესკიე. ამერიკის კონტინენტზე (ჩრდილოეთ ამერიკაში) თომას ჯეფერსონმა, ბენჯამინ ფრანკლინმა და ჯონ ადამსმა შეადგინეს ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, სადაც ფაქტობრივად ასახვა ჰპოვა ევრო-

პულმა კონცეფციებმა, რომ „ყველა ადამიანი დაჯილდოებულია განუსხვისებელი უფლებებით, რომელთა შორის არის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა. ამ უფლებების უსაფრთხოებისათვის ადამიანთა შორის ყალიბდება მმართველობანი, რომელთა ძალაუფლების კანონიერება წარმოსდგება მართულთა შეთანხმებიდან. ამიტომ იქ, სადაც მმართველობის ფორმა იწყებს ამ მიზნის მოშლას, ხალხის უფლებაა შეცვალოს ან აკრძალოს იგი და ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა“.

ადამიანის უფლებათა სამართლის საწყისების აქტიური ჩამოყალიბება იწყება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ადამიანს მიენიჭა შედარებით ფართო პოლიტიკური უფლებანი. მეორე ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის 50-იანი წლები, როდესაც გაიზარდა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების არეალი და XX საუკუნის 80-იანი წლები ეკოლოგიური და საინფორმაციო უფლებების მოპოვებისა და გაფართოების პერიოდი.

საბოლოოდ ადამიანის საყოველთაო უფლებათა რეალური ჩამოყალიბება იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. კერძოდ, 1945 წელს ჩატარებული ნიურნბერგის პროცესი, ადამიანის საერთაშორისო უფლებათა ისტორიაში შევიდა როგორც საკვანძო ეტაპი, რომელიც ნაკლებად ეხებოდა საბჭოურ სივრცეს. ცნობილია, რომ საბჭოური კონცეფცია უარს ამბობდა ბუნებითი სამართლის იდეაზე და ამტკიცებდა, რომ სამართალი უბრალო ზედნაშენია, რომელიც ეკონომიკურ ინტერესს ემსახურება, სამართალი სხვა არაფერი არის, თუ არა პოლიტიკის იარაღი, ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის მაღლა იდგა სამართალსა და სამართლიანობაზე, ცნება „სოციალისტური კანონიერება“ გამოხატავდა სამართლის დაქვემდებარებას პოლიტიკისადმი. ეს ცნება კი შეუთავსებელი იყო ბუნებითი სამართლის კონცეფციასთან. აქედან გამომდინარე, სსრ კავშირში წინა პლანზე იყო წამოწეული არა სამართალი და ადამიანის უფლებები, არამედ საზოგადოებრივი საკუთრება და სოციალისტური სახელმწიფოს იდეა, რომლის საბოლოო კვდომასაც წინასწარმეტყველებდნენ სამართალთან ერთად. ამ იდეოლოგიის მსხვრევის შემდეგ იწყება გაეროს ეგიდით ფართომასშტაბიანი საერთაშორისო საქმიანობა, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ადამიანის უფლებათა სამართლის ჩამოყალიბების საქმეში, რადგანაც

ტრადიციული საერთაშორისო სამართალი სრულყოფილად არ იხილავდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს.[165]

ამ ხარვეზის შევსების მიზნით ბოლო წლების განმავლობაში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტების დიდი ნუსხა, რამაც დღის წესრიგში დააყენა მათი სისტემატიზაცია და დაცვის მექანიზმების სრულყოფა. დღემდე დადებულია 120-მდე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროს, მათი პატივისცემა კი „საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა", ყოველივე ამან განაპირობა ადამიანის უფლებათა სამართლის ცალკე დარგად ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველი წევრის მიერ, რომელთა რიცხვი და მასშტაბები ყოველდღიურად ფართოვდება.

§3. ადამიანის ძირითადი უთლებებისა და თავისუფლებების უნივერსალური და ეროვნული სტანდარტები

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ და შესაბამისად პაქტებმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, განსაზღვრა ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ნუსხა და ჩამოაყალიბა საერთო სტანდარტი ყველა ხალხისა და ყველა ერისათვის, რითაც ეროვნულ კანონმდებლობას მისცა მათი გაფართოების საშუალება. დეკლარაციით განსაზღვრულია:

I – **სამოქალაქო უფლებები.** მასში მოიაზრება: ა) ყველას თანასწორობა კანონის წინაშე; ბ) ყოველ ადამიანს გააჩნია მოქალაქეობის უფლება; გ) ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ცხოვრების უფლება; დ) ყოველ ადამიანს უფლება აქვს სახელმწიფოს ფარგლებში გადაადგილდეს და აირჩიოს თავისი საცხოვრებელი ადგილი, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის თავისიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში; ე) არავის არა აქვს ადამიანის თვითნებურად დაპატიმრების, დაკავების ან

[165] საერთაშორისო სამართალი შემოიფარგლება უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეთა უფლებების დაცვის პრობლემებით.

განდევნის უფლება; ვ) არ შეიძლება თვითნებურად ჩარევა ადამიანის პირად ცხოვრებასა და საოჯახო საქმეებში.

II – პოლიტიკურ უფლებებში შედის: ა) მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება; ბ) ყოველ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება; გ) მრწამსის თავისუფლებისა და გამოხატვის უფლება; დ) ყოველ ადამიანს აქვს მშვიდობიან საკრებულოებსა და ასოციაციებში მონაწილეობის უფლება; ე) ყოველ ადამიანს უფლება აქვს დევნის შემთხვევაში თავშესაფარი ეძიოს ქვეყანაში; ვ) არავინ არ უნდა ეწამოს და დაისაჯოს; ზ) ადამიანს გააჩნია პეტიციის უფლება, ხალხს შეუძლია დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, თუ ის გადაუხვევს დემოკრატიის გზიდან.

III – ეკონომიკური უფლებებია: ა) ყოველ ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს ქონებას, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, ქონება ხელშეუხებელია და მისი თვითნებურად ჩამორთმევა დაუშვებელია; ბ) ყოველ ადამიანს აქვს შრომის უფლება, საქმიანობის თავისუფალი არჩევის, გასამრჯელოს მიღების უფლება. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შექმნას პროფესიული კავშირები და შედიოდეს მათში თავისი ინტერესების დასაცავად; გ) ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს წარმოების მართვაში, უფლება ჯანმრთელ გარემოზე, სამედიცინო მომსახურეობაზე.

IV – სოციალური უფლებებია: ა) ყოველ ადამიანს აქვს სოციალური უზრუნველყოფის, ღირსების შენარჩუნების, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; ბ) ყოველ ადამიანს აქვს დასვენების უფლება; გ) ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება, რაც ხელს უნდა უწყობდეს ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემასა და გაგებას; დ) სრულწლოვან მამაკაცებსა და ქალებს, რასის და ეროვნების, რელიგიის ნიშნების მიხედვით ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აქვთ შეუღლების, ოჯახის შექმნის უფლება.

V – კულტურული უფლებებია: ა) ყოველ ადამიანს აქვს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში მონაწილეობის უფლება; ბ) ყოველ ადამიანს აქვს საავტორო უფლება; გ) ყოველ ადამიანს უფლება აქვს დაიცვას თავისი მორალური და მატერიალური ინტერესები.

გარდა უფლებებისა, ნებისმიერ ადამიანს აქვს ვალდებულებები საზოგადოების წინაშე, რომელთა დაცვა და შესრულება სავალდებულოა.

მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები აბსოლუტური უფლებების სახელითაა ცნობილი, რომელთაგან განასხვავებენ ხელშეუხებელ (უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლება წამებისაგან, თავისუფლება მონობისაგან, უფლება სამართლის სუბიექტად ცნობაზე, უფლება აზრის, რწმენის, რელიგიის თავისუფლებაზე) უფლებათა რიგს და ხელშესახებ (თავისუფლება სავალდებულო შრომისაგან, უფლება თავისუფლად გადაადგილების შესახებ, უფლება საცხოვრებელი ადგილის თავისუფალ არჩევაზე, უფლება სასამართლოში საქმის ღია განხილვაზე და ა.შ.) უფლებებს.

რაც შეეხება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს – განიხილავენ, როგორც შეფარდებითი უფლებები.

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებებად დაყოფასაც. პოზიტიურ უფლებებში მოიაზრებენ სახელმწიფო მოხელეთა ან სახელმწიფო მექანიზმში შემავალი სტრუქტურების ვალდებულებებს, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ მოქალაქემ ისარგებლოს სიკეთეებით და განახორციელოს მისთვის მიზანშეწონილი მოქმედებანი.

ნეგატიურ უფლებებში იგულისხმება სახელმწიფოსა და ადამიანის ვალდებულებები, თავი შეიკავონ ამა თუ იმ მოქმედებისაგან სხვა ადამიანის მიმართ და ამით დაიცვან ინდივიდი მისი თავისუფლებების შემზღუდავი, მისთვის არასასურველი ზემოქმედებისაგან.

ადამიანის უფლებებში, როგორც უკვე ითქვა, გამოყოფენ ასევე ორ ძირითად ჯგუფს – მატერიალურ და საპროცესო უფლებებს. მატერიალური უფლებები მოიცავენ, პირად (სამოქალაქო) უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

საპროცესო უფლებების სფეროში შედის ყველა ის გარანტია, მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელთა დახმარებითაც ადამიანი ახერხებს თავისი დარღვეული უფლებების აღდგენას, ან რითაც დაცულია ადამიანი ხელისუფლების თვითნებობისაგან.

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განსაზღვრულია საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით და

კონკრეტული სახელმწიფოების კონსტიტუციებით. მათი კლასიფიკაციის ერთ-ერთ საყოველთაოდ აღიარებულ კრიტერიუმს წარმოადგენს საზოგადოებაში ადამიანის მოღვაწეობის სფერო, რომელშიც რეალიზდება პიროვნების ესა თუ ის ინტერესი და მოთხოვნილება. ადამიანის უფლებები გახდა კონსტიტუციონალიზმის საფუძველი, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას კონსტიტუციაში აქვს დაფიქსირებული სახელმწიფო წყობილების საორიენტაციო მოდელი, სადაც ასახულია კონკრეტული ქვეყნის საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი, მისი ისტორიული, ეროვნულ-ეთნიკური კულტურის თავისებურებანი. ნებისმიერ სახელმწიფოს თავისი შიდა სამართლებრივი სისტემა გააჩნია, რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის რომელიმე ოჯახთან არის დაკავშირებული, მიუხედავად განსხვავებული და სპეციფიკური თავისებურებებისა, ყველაფერი ეს ასახვას პოულობს კონსტიტუციებში, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. განვიხილავთ რამდენიმე კლასიკური ქვეყნის კონსტიტუციას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი კანონი – კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1949 წლის 23 მაისს, რომლის პირველი განყოფილება ადამიანის „ძირითად უფლებებს" ეხება, სადაც მოცემულია ადამიანის ღირსების განმსაზღვრელი, მომწესრიგებელი და დამცავი ნორმების ერთობლიობა. „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია, მისი პატივისცემა და დაცვა ყველა სახელმწიფოში ხელისუფლების მოვალეობაა", სპეციალისტები ხაზს უსვამენ ერთ გარემოებას, რომ „გერმანიის კონსტიტუციური სამართლის ამოსავალი დებულებაა, სახელმწიფო ადამიანისათვის და არა პირიქით, – ასეთია მისი დედააზრი, რომელიც მთელ კონსტიტუციას წითელ ზოლად გასდევს".[166]

საფრანგეთის ადამიანის უფლებათა დაცვისა და კონსტიტუციონალიზმის განვითარებას ისტორიული გზა გააჩნია. აღსანიშნავია 1789 წლის ფრანგული დეკლარაცია, სადაც პირდაპირ იყო მინიშნებული, რომ ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალი, სახელმწიფოს უზენაესი მიზანი კი არის ამ უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა.

---

[166] GRUNDGESETZ für die Bundesrepublik Deutschland. Stand: Juni, 1993.

დღეისათვის საფრანგეთში მოქმედებს 1958 წლის 4 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუცია, რომლის პრეამბულამ სცნო სწორედ 1789 წლის დეკლარაცია და 1946 წლის კონსტიტუციის პრეამბულა, გერმანიის კონსტიტუციასთან მიმართებაში საფრანგეთის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმების ნაკლებობაა, მაგრამ ეს „სულაც არ ნიშნავს ადამიანის უფლება-თავისუფლებების დაცვის გარანტიების ნაკლებობას“, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს სასამართლო ხელისუფლება, კონსტიტუციით ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიებს შორის მნიშვნელოვანია მედიატორის ინსტიტუტი, რომელიც ომბუდსმენის სახესხვაობაა და ექვსწლიანი ვადით მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ინიშნება და ანგარიშვალდებულიც მის წინაშეა.[167]

იტალიის კონსტიტუცია მიღებული იქნა 1947 წლის 22 დეკემბერს დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციური სამართლის სფეროში მოღვაწე მკვლევართა აზრით, იგი ითვლება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე სოციალურ და დემოკრატიულ ნორმატიულ აქტად.

მართლაც, იტალიის კონსტიტუციის 139 მუხლიდან, მესამედზე მეტი ადამიანისა და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს ეძღვნება. კონსტიტუციაში გამიჯნულია პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, თუმცა ქვეყანაში არ ფუნქციონირებს ომბუდსმენის ინსტიტუტი.[168]

კონსტიტუციონალიზმის განვითარების თავისებური გზა განვლო ესპანეთმა. ამჟამად მოქმედი 1978 წლის კონსტიტუცია რიგით მეცხრეა, სადაც ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს 6 თავი და 45 მუხლი აქვს დათმობილი. ესპანეთში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფერო სამ ფორმად განიხილება: 1) მოქალაქეთა უფლება, მიმართონ საერთო იურისდიქციის სასამართლოებს; 2) მოქალაქეთა უფლება, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს; 3) მოქალაქის უფლება, მიმართოს

---

[167] მ. კვერენჩხილაძე, ო. მელქაძე. საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა. თბ. 1997, გვ. 13.

[168] გ. ლობჟანიძე, ჯ. გახოკიძე, დ. ივანიშვილი, დ. ლობჟანიძე. საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობა. თბ. 2019, გვ. 161.

სახალხო დამცველს. ეს უკანასკნელი ომბუდსმენის ინსტიტუტის ნაირსახეობაა, რომელიც ხუთი წლის ვადით ინიშნება თანამდებობაზე კორტესების მიერ და მისი უმაღლესი კომისარია. ესპანეთის კონსტიტუცია ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ სამართლებრივ აქტად.[169]

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თავიანთი ტრადიციები გააჩნიათ აშშ-სა და ევროპა-აზიის სხვა ქვეყნებსაც. დღეისათვის მკვლევარები ასაბუთებენ, რომ არანაკლებ 100 ეროვნულ კონსტიტუციას, რომლებიც მიღებული იქნენ 1948 წლის შემდეგ, ან პირდაპირ გადმოაქვს დეკლარაციის დებულებები, ან აშკარად იგრძნობა მათი გავლენა. უფრო მეტიც, ბელგიაში, ნიდერლანდებში, ინდოეთში, შრი-ლანკაში და სხვა ქვეყნებში – საყოველთაო დეკლარაციის დებულებები ფართოდაა გამოყენებული შიდასახელმწიფო კანონების ლეგალური განმარტების მიზნით. მათ ხშირად უთითებენ ამ ქვეყნის სასამართლოებიც. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ეროვნულ არეალში შეიძლება განვიხილოთ სამოქალაქო (პირადი), ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ინფორმაციული უფლებები.

სამოქალაქო (პირადი) უფლებები და თავისუფლებები მოიცავს სიცოცხლის უფლებას, პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობას, ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, თავისუფალი გადაადგილების უფლებას, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას, სასამართლოს წესით დაცვის უფლებას. უფრო დაწვრილებით კი სამოქალაქო (პირადი) უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ ბუნებით-სამართლებრივი საწყისების ამსახველ უფლებამოსილებათა ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების ინდივიდუალობას და ორიგინალობას სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან ურთიერთკავშირში. მათ მიეკუთვნება სიცოცხლის, პიროვნების ღირსების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პირადი და ოჯახური საიდუმლოებების დაცვის, საკუთარი ღირსების და სახელის დაცვის, მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, ფოსტის, ტელეგრაფის და კავშირგაბმულობის სხვა

---

[169] საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი I კრებული, 1999, გვ. 162.

სახეობების საიდუმლოების დაცვის, თავისუფალი გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის არჩევის და სხვა უფლებები.

სიცოცხლის უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც დაცულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით (დეკლარაციით, კონვენციით) საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით. ეს ნიშნავს, რომ არცერთ ადამიანს, როგორი მოქმედებებიც არ უნდა ჩაიდინოს, არ შეიძლება წაერთვას სიცოცხლე არავისაგან, ამიტომაც მსოფლიოს სამართლებრივი სახელმწიფოები კრძალავენ სიკვდილით დასჯას, მათ შორისაა აშშ, გერმანია, ავსტრია, ავსტრალია და სხვა ქვეყნები, საქართველომ კარგა ხანია გააუქმა სიკვდილით დასჯა და იგი შეიცვალა უვადო პატიმრობით.

ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობა პირადი უფლებების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

კონსტიტუციის მე-13 მუხლით ადამიანის თავისუფლება დაცულია.

პირად უფლებათა შორის მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს უფლებათა არეალს, სადაც შედის პირადი და ოჯახური საიდუმლოების დაცვა, მიმოწერის, ყველა სახის საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების, და ა.შ. მნიშვნელოვანი უფლებაა საცხოვრებელი ბინის ხელშეუვალობა, რაც ნიშნავს, რომ არავის არ აქვს უფლება შეაღწიოს საცხოვრებელ ბინაში ბინის მეპატრონის ნების გაუთვალისწინებლად.

პირად უფლებებს ეკუთვნის პიროვნების თავისუფალი გადაადგილება და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის კონსტიტუციური (მე-14 მუხლი) უფლება. „ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება“. ასევე ყველას შეუძლია თავისუფლად გავიდეს, ხოლო საქართველოს მოქალაქეს დაუბრკოლებლად შემოვიდეს თავის ქვეყანაში. ეს კონსტიტუციური დებულება განმტკიცებულია პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (23-ე მუხლი). ამ უფლებათა ცხოვრებაში

გატარების მიზნით 1996 წლის 27 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის და პირადობის დადასტურების წესის შესახებ". ამ კანონით გაუქმდა მანამდე არსებული და მკაცრად დაცული ჩაწერის აუცილებლობა, რაც საცხოვრებელი ადგილის არჩევის შესაძლებლობას ზღუდავდა. შემოღებული იქნა რეგისტრაციის წესი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის მიხედვით, 3 თვეზე მეტი ვადით ადგილის შეცვლისას პირი ვალდებულია ამის შესახებ 10 დღის განმავლობაში აცნობოს შესაბამის რაიონულ თუ სამოქალაქო ორგანოებს.

საქართველოს კონსტიტუციით დაშვებულია სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის თავისუფლება.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები ითვალისწინებს სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას, სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებას, გაერთიანების უფლებას, პეტიციის უფლებას, რომელიც არის წერილობითი სახით კოლექტიური თხოვნის შეტანა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. პეტიციის უფლებით, როგორც წესი, აღჭურვილი არიან მხოლოდ მოქალაქეები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, ეს უფლება მოქალაქეების გარდა ენიჭებათ ასევე უცხოელებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. პოლიტიკური უფლებების პრობლემა უკავშირდება **პოლიტიკურ უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას**. ე.ი. პირი უნდა იყოს პოლიტიკური სამართალურთიერთობის სუბიექტი და მოქალაქეს უნდა გააჩნდეს უნარი, თავისი მოქმედებით დამოუკიდებლად განახორციელოს პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში. მათ მიეკუთვნება ადამიანის მოქალაქეობის უფლება, უფლება, განსაზღვროს და მიუთითოს თავისი ეროვნული წარმომავლობა, გაერთიანების უფლება, საკუთარი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნის უფლების ჩათვლით, ყრილობების, მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების უფლება, როგორც პირადად, ასევე თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობისა და მართვის უფლება, უფლება, აირჩიოს და თავად იქნეს არჩეული, სახელმწიფო

ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში, მიმართოს სახელმწიფო ორგანოებს და სხვ.

ქვეყნის კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, გარდა მოქალაქეებისა, რომლებიც სასამართლომ სცნო ქმედუუნაროდ და მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელის აღმსრულებელ დაწესებულებებში. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება, 23-ე მუხლი ყველას აძლევს უფლებას მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ გაერთიანებებში, პოლიტიკურ პარტიებში და გაერთიანებათა მუშაობაში. თუმცა მე-2 პუნქტის შესაბამისად ,,პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ, ან – პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას".

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის უფლებაა. პოლიტიკური უფლებების ნაწილს შეადგენს ინფორმაციის თავისუფლება, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სიტყვის, აზრის, ბეჭდვის, ინფორმაციის თავისუფლებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს ნებისმიერი აგიტაციისა და პროპაგანდის აკრძალვას, რაც უკავშირდება სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დანაშაულის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. **პოლიტიკურ უფლებებში შედის მოქალაქეთა მონაწილეობა საყოველთაო სახალხო კენჭისყრაში (რეფერენდუმი),** რომლის ჩატარების წესსა და პროცედურას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, რის საფუძველზეც (მუხლი 52) მოქალაქეებს შეუძლიათ არა მარტო მონაწილეობა, არამედ უფლება აქვთ, მოითხოვონ მისი ჩატარება (200000 ამომრჩევლის მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს რეფერენდუმი სახელმწიფო მნიშვნელობის სხვადასხვა საკითხზე). რეფერენდუმში მონაწილეთა უფლებას ადამიანი იძენს 18 წლის ასაკიდან. 26-ე მუხლით აღიარებულია გაფიცვის უფლება და ა.შ.

სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებსა და თავისუფლებებში შედის ოჯახის შექმნის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, განათლების უფლება, შემოქმედების თავისუფლება, შრომის თავისუფლება, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება.

უფრო კონკრეტულად, ეკონომიკური უფლებები არის ის უფლებამოსილებები, რომლებიც ადამიანის ბუნებითი უფლებების ეკონომიკურ ასპექტებს ასახავენ და იმავდროულად უზრუნველყოფენ ინდივიდის სამეურნეო ავტონომიურობას და მათ ურთიერთობას ერთმანეთთან და საზოგადოებასთან. ეს არის კერძო საკუთრების უფლება, საკუთარი ქონების ფლობის, გამოყენების და განკარგვის უფლება როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვა პირებთან ერთად, მეწილეობის უფლება კოოპერაციულ, აქციონერულ, მუნიციპალურ, სახელმწიფო საკუთრებაში, სამეწარმეო საქმიანობის უფლება, საკუთარი შრომითი შესაძლებლობების თავისუფლად გამოყენების, პროფესიის, მოღვაწეობის სფეროს არჩევისა და სხვა უფლებები. კონსტიტუციით სხვა უფლებებთან ერთად უზრუნველყოფს ეკონომიკურ თავისუფლებას, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტით სახელმწიფო ხელს უწყობს მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას და ა.შ.

სოციალური უფლებები ასახავენ კონკრეტული სახელმწიფოსა და საზოგადოების მატერიალური განვითარების დონესა და მათ უნარს, უზრუნველყონ ადამიანის ცხოვრების ღირსეული პირობები და სოციალური დაცვა, რაც უპირველესად გულისხმობს მოხუცებულობის, დროებითი ან მუდმივი შრომისუნარიანობის, მარჩენალის დაკარგვის, სიღარიბის შემთხვევაში, პენსიებისა და დახმარებების მიღებას სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. სოციალურ უფლებათა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, საცხოვრებლის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლებებს.

კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულია ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, საცხოვრებელი ბინა. 26-ე მუხლით შრომა თავისუფალია, შრომითი უფლებები დაცულია. 28-ე მუხლით უზრუნველყოფილია ადამიანის ჯანმრთელობის, სამედიცინო დახმარების, ეკოლოგიური და უსაფრთხო (29-ე მუხლი) გარემოს შექმნადა ა.შ.

განათლების უფლება ადამიანის სოციალური სფეროს ფუნდამენტური მიმართულებაა, რადგანაც განათლება განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებისა და ინტელექტის დონეს, საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლით „ყველას აქვს განათლებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებელში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება. ქვეყანაში დაშვებულია კერძო სასწავლებლების გახსნა და ფასიანი სწავლების ფორმა“.

სოციალური სფეროს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო მომსახურების უფლება. კონსტიტუციის 28-ე მუხლით, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრულ პირობებში არეგულირებს ფარმაცევტულ წარმოებას და მათ მოქცევას, გარდა ამისა, სოციალური დაზღვევის სამსახური ხელშეკრულებას აფორმებს სამედიცინო სფეროს პერსონალთან, დაზღვეული პირის სამედიცინო მომსახურების თაობაზე, რის საფუძველზეც შეიძლება მოხდეს მომსახურების ღირებულების ნაწილობრივი გადახდა ან უფასო მომსახურეობაც.

კულტურული უფლებები მოქმედებს სულიერ-კულტურულ ურთიერთობებზე, უზრუნველყოფს პიროვნების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას. ამ ჯგუფში შედის მშობლიური ენის გამოყენების, საურთიერთობო ენის თავისუფალი არჩევის, სარწმუნოებისა და სინდისის თავისუფლების, განათლების, ლიტერატურულ, მხატვრულ, სამეცნიერო-ტექნიკური და ხელოვნების სხვა დარგების თავისუფლების, კულტურული ღირებულებების გაცნობის უფლებები. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის, განათლების კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფადობის გამოვლენას და განვითარებას და ა.შ.

ეკოლოგიური უფლებები მოწოდებული არიან – უზრუნველყონ დედამიწაზე და კონკრეტულ ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების ნორმალური პირობები. ეს არის უფლება ხელსაყრელი გარემოს, მისი მდგომარეობის შესახებ სწორი ინფორმაციის მიღების,

ადამიანის ჯანმრთელობის ან მისი ქონებისათვის ეკოლოგიური კანონდარღვევებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების უფლებები. სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს გარემოს შესაბამისი დაცვა და მისი გამოყენების სარგებლიანობა.

ინფორმაციული უფლებები, მართალია, პოლიტიკურ უფლებათა რიგში მოიაზრება, მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი ცალკე გამოყოფაც დასაშვებია, იგი უმეტესად პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების ახალი ეპოქისათვისაა დამახასიათებელი. მის განმტკიცებასა და დაცვაზე დამოკიდებულია პიროვნების საერთო სამართლებრივი სტატუსის რეალიზაცია. ამას მიეკუთვნება ფიქრის და სიტყვის თავისუფლება, ინფორმაციის მოძიების, მირების, გადაცემის, წარმოქმნის და გავრცელების უფლება ნებისმიერი კანონიერი საშუალებებით, მასობრივი ინფორმაციის თავისუფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია და ა.შ.

ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების ისტორიული გამოცდილება იძლევა ადამიანის უფლებების კანონზომიერი განვითარების გამოვლენის, მათი საერთო და სპეციფიკური პრინციპების ფორმირების და რეალიზაციის საშუალებას. ამ შემთხვევაში საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ვითარებებს:

– ადამიანის უფლებებს აქვს უნივერსალური ხასიათი. ისინი ვრცელდება ყველა ადამიანზე და გამოიყენება ყველა ქვეყანაში მისი ამა თუ იმ საერთაშორისო ერთობის წევრობისაგან დამოუკიდებლად. ცხადია, უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ეფექტურობა და მოცულობა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების განვითარების დონეზე.

– ადამიანის უფლებები მუდმივად ვითარდება და საზოგადოებრივი ურთიერთობების დინამიკასა და მოქალაქეთა სამართალშემეცნების ზრდას ასახავს. ამ საერთაშორისო პრინციპებმა თავისი ასახვა ჰპოვეს საქართველოს კანონმდებლობაში. საზოგადოების განვითარებისა და ცხოვრების დონის

ცვალებადობასთანაა დაკავშირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლების განვითარების მექანიზმების სრულყოფის პროცესი.

– ადამიანის უფლებები არის იურიდიულად განმტკიცებული, სოციალური აუცილებლობა. არ შეიძლება მისი აბსოლუტიზება და რეალური ცხოვრებისაგან, მოაზროვნე ადამიანისგან მოწყვეტა. მთელ რიგ საერთაშორისო-სამართლებრივ და შიდასახელმწიფოებრივ დოკუმენტებში დაშვებულია ზოგიერთი უფლებისა და თავისუფლების ნაწილობრივი შეზღუდვა საზოგადოების უსაფრთხოების, ეკოლოგიური თანაფარდობის და სხვა თვალსაზრისით. გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის კანონმდელობაში განსაზღვრულია კერძო საკუთრების დასაშვები ფარგლები, ხაზგასმით აღნიშნულია მისი საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენების აუცილებლობა. შვეიცარიაში მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა შეზღუდულია სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწები, მისი მფლობელის შეცვლის შემთხვევაში, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნით.

– ადამიანის უფლებებს აუცილებლად თან ახლავს მოვალეობებიც. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების იურიდიულ მოვალეობებთან შესაბამისობა, მათი წარმატებით რეალიზაციის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

ცალკე განხილვის საგანია პოლონეთის ჰელსინკის კომიტეტის სამხედრო მდგომარეობის პერიოდში 1982 წელს დაფუძნებული პოლონელ ინტელექტუალთა იატაკქვეშა ორგანიზაციის ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც ეუთოს მადრიდის კონფერენციაზე წარადგინეს. მასალებმა სერიოზული გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. პოლონელი სპეციალისტების მიერ ჩამოყალიბდა დებულებანი, რომლის მიხედვითაც ,,ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორი იბადება, საკუთარი ღირსებებითა და უფლებებით – ადამიანის ღირსება მისი განუყოფელი და თანდაყოლილი თვისებაა, რელიგიური და ფილოსოფიური საფუძვლების მიუხედავად, ის ფუნდამენტია, რომელზედაც დაფუძნებულია უფლებათა და თავისუფლებათა საერთო ბურჯები". მათ მიერ გამოყოფილი იქნა თავისუფლებათა შორის პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიცაა:

1. ღირსება, რომელიც აღიარებულია, როგორც კაცობრიობის უნივერსალურ ფასეულობათა ღერძი, რომელიც 1948 წლის

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია აღიარებული, ყველა ადამიანი თანასწორია თავისი ღირსებით. იგი თან ახლავს ოჯახის ყველა წევრს, ხოლო სახელსა და მდგომარეობას საზოგადოებაში თითოეული ადამიანი თავად მოიპოვებს.

2. **თანასწორობა**, როგორც პოლიტიკური მოთხოვნა XVIII საკუკუნის ბოლოს გაჩნდა. ეს ცნება აღიარა ვირჯინიის შტატის უფლებათა ქარტიამ, 1793 წლის საფრანგეთის კონსტიტუციამ, შემდგომში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ და ა.შ. არსებობს კანონის წინაშე თანასწორობა, რაც ახასიათებს დემოკრატიულ საზოგადოებას და სამართლებრივ სახელმწიფოს.

3. **თავისუფლება**, რაც კაცობრიობის სანატრელი და ხშირად მიუღწეველი ოცნება იყო. რეალურად ადამიანთა მასიური შეზღუდვები XX საუკუნემდე ახასიათებდა კაცობრიობას. მონობის კანონის გაუქმებას მოჰყვა შედარებითი თავისუფლებების განხორციელება. რელიგიური და ფილოსოფიური თეორიები განიხილავდნენ და საზოგადოებას სთავაზობდნენ ნების თავისუფლების მნიშვნელობას და პასუხისმგებლობას კაცობრიობის მიერ გაკეთებულ არჩევანზე პრინციპით: ნუ მოექცევი სხვას ისე, როგორც არ გინდა მოგექცნენ შენ, მაგრამ თავისუფლება თავის თავში უფრო მეტს შეიცავს, ვიდრე უარის თქმას საკუთარ უფლებებზე სხვებისათვის. მხოლოდ რობიზონ კრუზოს ჰქონდა საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების გამოყენების შესაძლებლობა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, და ისიც მხოლოდ პარასკევას გამოჩენამდე.

თავისუფლება რთული ფენომენია. კიდევ უფრო რთულია მათთვის, ვინც არ არის მიჩვეული მას. ადამიანებმა უნდა შეძლონ თავისუფლებასთან ადაპტირება. ,,ჩვენ უნდა ვისწავლოთ თავისუფლება".

4. **სიცოცხლის უფლება** ფუნდამენტური უფლებაა, რომლის გარეშე ადამიანის ყველა დანარჩენი უფლება ყოველგვარ აზრსა და დასაბუთებას კარგავს. ამიტომაც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში სიცოცხლის უფლება პირველ ადგილზე დგას.

სიკვდილი, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა, ნიშნავს არამართლზომიერი გზით ადამიანიათვის სიცოცხლის წართმევას ოფიციალური ან ამ როლში მყოფი პირის მიერ. საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, სიკვდილით დასჯის განაჩენის

გამოტანა და აღსრულება, ყველა აუცილებელი გარანტიის არსებობის შემთხვევაში, არ მიიჩნევა ადამიანის უფლებათა დარღვევად, იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა, თუმცა ასეთი სახელმწიფოების რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია.

ბუნებრივი სიკვდილის შესახებ თავის დროზე ეპიკურე აღნიშნავდა: „სიკვდილი ჩვენთვის არარაა, ვინაიდან ვიდრე ცოცხლები ვართ, იგი არ არის, ხოლო როცა ის მოვა, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით“.

ჟან-ჟაკ რუსო ჯერ კიდევ 1762 წელს გამოქვეყნებულ „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“ ტრაქტატში წერდა: „ომი არავითარ შემთხვევაში არ არის ურთიერთობა ადამიანებს შორის, არამედ ეს არის ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის და ამ ურთიერთობისას ცალკეული პირები მხოლოდ შემთხვევის წყალობით ხდებიან მტრები; არა როგორც ადამიანები, არა როგორც მოქალაქეები, არამედ როგორც ჯარისკაცები... თუ ომის მიზანია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს განადგურება, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გაანადგუროს მისი დამცველები მანამ, სანამ ისინი იარაღით ხელში იბრძვიან; მაგრამ როგორც კი მებრძოლები იარაღს დაყრიან და დანებდებიან, ისინი აღარ წარმოადგენდნენ მტრებს ან იარაღს მტრის ხელში და ისევ ჩვეულებრივი ადამიანები ხდებიან, ამიტომ, მათთვის სიცოცხლის წართმევის უფლება აღარავის აქვს“.

5. პირადი ცხოვრების უფლება. კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოს არა აქვს უფლება თვითნებურად ჩაერიოს ადამიანთა პირად ცხოვრებაში. პირადი ცხოვრების მოთხოვნილება დიდი ხნის წინათ გაუჩნდათ ადამიანებს. შემთხვევითი არაა, რომ შუა საუკუნეებში მიღებული ქარტიები უკრძალავდნენ ხელისუფლებას განსაკუთრებული შემთხვევების, ორდერის ან სპეციალური ნებართვის გარეშე შეჭრილიყვნენ კერძო სახლებსა და პიროვნების კუთვნილ ტერიტორიაზე.

პირადი ცხოვრების უფლება სხვა უფლებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. იგი შეიძლება შეიზღუდოს, როცა საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს თუ საზოგადოების უშიშროებას, ან კიდევ, სტიქიური უბედურების და სხვა საგანგებო მდგომარეობის გამო. პირადი ცხოვრების უფლების ხშირი დარღვევა ხდება პოლიციურ

სახელმწიფოში. ხოლო სამართლებრივი სახელმწიფო სხვა უფლებებთან ერთად პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიცაა.

6. საკუთრების უფლება ადამიანის ერთი ფუნდამენტური უფლებაა, ის იცვლებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმების ცვალებადობასთან ერთად. საზოგადოებაში მიმდინარე რევოლუციური პროცესები თავისუფლებისა და თანასწორობის გვერდით ყოველთვის ითვალისწინებდა საკუთრების უფლებას და მას ერთ-ერთ წამყვან როლს აკისრებდა.

საკუთრების უფლება არა მხოლოდ ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, არამედ საერთოდ თავისუფალ საქმიანობას განსაზღვრავს. მისი პატივისცემა ის საფუძველია, რომელსაც ემყარება მთელი საზოგადოება. საკუთრების უფლების გაუქმების შედეგები ყველამ ვიწვნიეთ კომუნისტურ ქვეყანაში. პირველი დარტყმა მესაკუთრეებს ოქტომბრის რევოლუციამ მიაყენა. მშრომელთა უფლებების 1918 წლის დეკლარაციას მოჰყვა „განსაზოგადოებრიობა“, რამაც პიროვნება უკანა პლანზე გადასწია“.

7. პროტესტის გამოხატვის უფლება ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ არ უნდა შეზღუდოს ის მიზნები და ამოცანები, რისთვისაც ერთიანდებიან ადამიანები და სხვადასხვა საშუალებით გამოხატავენ პროტესტს. ამის გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება. უფლების ეს სახე ერთიანდება პოლიტიკურ უფლებებში, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი.

8. სიტყვისა და აზრის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რომელიც ნორმალურ საზოგადოებაში კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს, მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ რა არის დასაშვები და რა არა, რაზე შეიკავოს თავი და რაზე არა. ამაზე იტყვიან, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

ადამიანის უფლებათა სფეროში კვლევით დაინტერესებული სპეციალისტები თანხმდებიან ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, როდესაც მსჯელობაა სიტყვის, აზრის თავისუფლებაზე, საუბარია ყველა ადამიანის უფლებებზე, რადგანაც განსაკუთრებული დაცვა სჭირდება იმ ადამიანს, რომელიც თავისი რწმენით, აზროვნებით და სხვა მიზეზებით აღმოჩნდება უმცირესობაში, როდესაც იგი მკვეთრად უპირისპირდება უმრავლესობის ან ხელისუფლების პოზიციას. ანგარიშგასაწევია მოსაზრება, რომ ამ პირობებში,

სხვადასხვა გარემოების გამო, შეიძლება, ადრე თუ გვიან ნებისმიერი ადამიანი აღმოჩნდეს.[170]

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული კონცეფციების გარდა ადამიანის ძირითადი უფლებების დაჯგუფება სხვადასხვა პრინციპების საფუძველზე ხორციელდება, იმისდა მიუხედავად, ესა თუ ის სასწავლო დისციპლინა რა მიმართულებით ინტერესდება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების სივრცეში.

კაცობრიობის ისტორიის განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე სახელმწიფო ხელისუფლება და მმართველი წრეები უხეშად ერეოდნენ ადამიანის პირად ცხოვრებაში და ცდილობდნენ, შეეზღუდათ ხალხის უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ მათი სტრუქტურების თვითნებობას მეტ-ნაკლებად მაინც ზღუდავდა სამართალი.

[170] გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005, გვ. 77-78.

თავი XV. საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურიმართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების იდეურ-სამართლებრივი ჭრილი

§1. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსობრივი მხარე

საქართველო მსოფლიო ცივილიზებული სამყაროს შემადგენელი ნაწილია, ქვეყანა ამ გზას ადგა ქრისტესშობამდე და ამ გზას გაყვა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც. არც ისაა შემთხვევითი, რომ რომში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე საქართველოში მოხდა ახალი მოძღვრების რეცეფცია. დასავლეთ საქართველოში პირველი საუკუნის დასაწყისშივე გამოჩნდნენ წმინდა მამები და იქადაგეს ქრისტიანობა; და ახალმა რელიგიამაც მკვიდრი საყრდენი ნახა ქართველ ხალხში. მეორე ქვეყანა არ მეგულება (მისი მასშტაბებიდან გამომდინარე), სადაც ამდენი ტაძრები, ეკლესიები და ღვთის სახლები იყოს, რამდენიც საქართველოშია. მცირე ისტორიული ექსკურსიც საკმარისია იმის გამოსახატავად, რისი თქმაც მსურს. ესაა ქართველი ხალხის ერთგულება მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ღმერთის სიყვარულისადმი.

70 წლის ათეისტურ სივრცეში ცხოვრების შემდეგ უდიდესი მოვლენა იყო 2002 წლის 14 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში კონსტიტუციურ შეთანხმებაზე ხელმოწერა, რომელიც 2002 წლის 22 ოქტომბერს დამტკიცებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს უზენაესი კანონის კონსტიტუციის მე-8 მუხლი აცხადებს:

რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა

განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.[171]

რაც შეეხება შეთანხმებას, შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების (კონკორდატის) შესაბამისად და განიხილავს ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით საჭირო და აქტუალურ საკითხებს.

ხელშეკრულების ტექსტში მითითებულია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. კომენტარებში აღნიშნულია: მასზე არ ვრცელდება „საჯარო სამართალი იურიდიული პირის შესახებ" კანონის დებულებები, რადგან საკონსტიტუციო შეთანხმება თავისი იურიდიული ძალით კანონზე მაღლა დგას. შესაბამისად, მის უფლებაუნარიანობას განსაზღვრავს საკონსტიტუციო შეთანხმება. მართლმადიდებელი ეკლესია თავის საქმიანობას წარმართავს კანონიკური სამართლის, კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს სხვა აქტების საფუძველზე. ეკლესიას სპეციალური უფლება-მოსილების გარეშე წარმოადგენს: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო, ხოლო სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსილებას ანიჭებს სრულიად კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც ხელშეუხებელია.[172]

საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფო სასულიერო პირს ათავისუფლებს სამხედრო ვალდებულებებისაგან, სამაგიეროდ უზრუნველყოფილია სამხედრო საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებში და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნა. გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლებას ნებათმყოფლობის საფუძველზე ფართო ასპარეზი ექმნება.

---

[171] საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995, გვ. 8.

[172] ვ. სონღულაშვილი. სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა XI-XII საუკუნეების საქართველოში, თბ. 2016. გვ. 203.

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის საკუთრებას და სხვა ქონებრივ უფლებებს, რაც განმტკიცებულია კანონმდებლობით. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (მოქმედი და არამოქმედი) მიწის ნაკვეთები და ნარგავები ეკუთვნის საქართველოს ეკლესიას. რაც შეეხება საზღვარგარეთ მდებარე ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მათ ნანგრევებს, სხვა საეკლესიო ნაგებობებს, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მოლაპარაკება აწარმოოს შესაბამის სახელმწიფოებთან მათი მოვლა-პატრონობის და საკუთრების თაობაზე.

შეთანხმებაში მნიშვნელოვანია იმის განცხადება, რომ სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა), თუმცა იქვეა დათქმა, რომ აღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმინდა ნაწილებისა და წმინდა რელიკვიების გარდა). ხელშეკრულების მუხლებში კარგად სჩანს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანადგომა ეროვნულ ღირებულებათა დაცვისა და მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით. არის ობიექტები და ნაგებობანი, რომლებიც ერთობლივი ზრუნვის საგანია. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურით სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს და ა.შ.

შეთანხმების ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს 1921-1990 წლებში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტის აღიარება, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.

შეთანხმების ბოლო მე-12 მუხლი ეხება ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხს, რაც შესაძლებელია მხოლოდ მხარეთაურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმინდა სინოდის დამტკიცებით.

§2. კონსტიტუციური შეთანხმების (კონკორდატის) იდეურ-სამართლებრივი ბუნება

კონკორდატი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ორ სახელმწიფოს შორის იდება, აქედან ერთი არის წმინდა საყდარი (ვატიკანი) რომის პაპის მეთაურობით, მეორე მხარე – სახელმწიფო, რომლის საგანია ურთიერთობა კათოლიკურ ეკლესიასთან (კათოლიკეებთან ქვეყანაში). ასევე მისი შინაარსი გულისხმობს, საერთო ინტერესების განსაზღვრას პიროვნებებთან, ინსტიტუტებთან და საეკლესიო ქონებასთან დაკავშირებით.

როგორც წესი, კონკორდატი შერეულ საკითხებს შეეხება, რომელიც არის ორივე მხარის ინტერესთა სფერო. ამგვარი შეთანხმება მე-15 საუკუნიდან გავრცელდა, მათგან მნიშვნელოვანია 1516 წლის კონკორდატი ლეონ X-ისა და საფრანგეთის მეფის ფრანსუა I შორის და 1801 წლის შეთანხმება ნაპოლეონსა და პიუ XVII-ს შორის, ამ უკანასკნელის მემკვიდრეობით საფრანგეთის სახელმწიფომ ეპისკოპოსთა არჩევის პროცესში ჩარევის და ეკლესიის ქონების ნაციონალიზაციის უფლება მიიღო.

იტალიაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ლატერანის კონკორდატს, რომელსაც 1929 წლის 11 თებერვალს ხელი მოაწერეს ბენიტო მუსოლინიმ და კარდინალმა გასპარიმ. იგი სხვა საკითხებთან ერთად ეხებოდა კათოლიკეობის საშუალო განათლების სისტემაში სწავლების საკითხს.

ვატიკანსა და გერმანიას შორის კონკორდატი გაფორმდა 1933 წლის 20 ივლისს, რომელიც დღესაც მოქმედებს.

1984 წლის 18 თებერვალს კვლავ დაიდო ანალოგიური ხელშეკრულება იტალიაში, რომელსაც ხელი მოაწერეს ბენიტო კრაქსიომ და კარდინალმა კაზაროლიმ, ამ ხელშეკრულებით კათოლიკეობა უკვე აღარ წარმოადგენს იტალიის სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიას.[173]

კონკორდატი, თანამედროვე გაგებით, გაუთანაბრდა კონსტიტუციურ შეთანხმებას, რაც გულისხმობს ქრისტიანული ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართებას. მისი პრაქტიკულ სიბრტყეში გადატანა მოიაზრებს მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის

---

[173] ლ. აბაშიძე, რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში, თბ. 2003 წ. (ქრისტიანობის ლექსიკონი (პიეტრო-პეტროზილი).

მოწესრიგებას, საქართველოსათვის მოცემულ დროში სასურველი მოდელის შექმნას, რომელიც ეფუძნება სახელმწიფოსა და ეკლესიის კონსესუალურ ნებას.[174]

სტუდენტებისათვის (და არა მარტო) საინტერესო იქნება შეთანხმებაზე ხელმოწერის დროს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II მიერ წარმოთქმული სიტყვა, რადგანაც ვთვლით, რომ ამ სიტყვაში არა მარტო შეთანხმების მნიშვნელობაზეა საუბარი, არამედ შეფასებულია არსებული რეალობა და დანახულია ქვეყნის მომავალი. ესაა არაჩვეულებრივი ანალიზი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ[175] მომავალში, წერს ილია ჭავჭავაძე.

აღსრულდა განგება ღვთისა! სვეტიცხოვლის ამ დიდებულ ტაძარში, იქ, სადაც დაკრძალულია ხალენი ილია წინასწარმეტყველისა და კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც იკურთხებიან მეფენი და პატრიარქნი, სადაც განისვენებენ ჩვენი დიდი წინაპარნი დღეს, საუფლო კვართისა და მირონმდინარე ბრწყინვალე სვეტის დღესასწაულზე, საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელს ვაწერთ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტს, – კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობას სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, – ბრძანა საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ.

საქართველოს პატრიარქი თავის გამოსვლაში შეეხო ეკლიან გზას, რომელიც განვლო ერმა და ეკლესიამ 2002 წლოვანი ისტორიის მანძილზე. განსაცდელი ქართველ ხალხს მრავლად ჰქონია, მაგრამ წმიდა დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ თითქმის საერთოდ აღარ დაგვდგომია მშვიდობიანი ჟამი. მან ხაზი გაუსვა ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთად დგომის საკითხს, რაც უკავშირდებოდა მტერთან ბრძოლის უმძიმეს პერიოდს – გათიშვის, სიდუხჭირის, დაცემისა და ღალატის, მაგრამ, მისი აზრით ყველაზე მძიმე დრო მაინც მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ დაგვიდგა, რადგან ქვეყანას ერთდროულად მოუშალეს უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება, საქართველოს მეფისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახით. მანამდე ასეთ ფაქტს ჩვენს

---

[174] ვ. სონღულაშვილი, სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა XI-XII საუკუნეებში საქართველოში, თბ. 2016, გვ. 13.
[175] ე. ბატიაშვილი, საუბრები ილია მართალზე, თბ. 2021, გვ. 1.

ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია. 70-წლიანმა ათეისტურმა ყოფამ კი ჩვენს ეკლესიას ფიზიკური და მატერიალური განადგურების საფრთხე შეუქმნა. დახურეს და დაანგრიეს ათასობით ტაძარი და მონასტერი, რეპრესირებულ იქნა მრავალი მღვდელმსახური, ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში სასულიერო პირს უფლება არ ჰქონდა საზოგადოებასთან კონტაქტისა. უფლება არ ჰქონდა გაჭირვებული ადამიანის დახმარებისა. არადა ეკლესიის უმთავრესი ფუნქცია ხალხის მსახურებაა. ეს იყო მოკლე, მაგრამ საქართველოს ისტორიის კონკრეტული მონაკვეთის რეალური მდგომარეობის ნათლად წარმოჩენა.

ილია II საგანგებოდ შეეხო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული შეთანხმების უმთავრეს მიზანს, რომლითაც ეკლესიას მიეცემა საშუალება, მეტი ძალისხმევით იშრომოს ერის საკეთილდღეოდ; მისი აზრით, ეს შეთანხმება ეკლესიას აძლევს უფლებას განათლების, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვის, სამხედრო-საჯარისო და სხვა სფეროში მოღვაწეობისა, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში. შეთანხმება გულისხმობს საეკლესიო საკუთრების აღდგენას ეკლესია-მონასტრებზე, ხატებზე და სხვა საეკლესიო დანიშნულების ნივთებზე. მუზეუმებში დაცული საეკლესიო საგანძური კი იქნება ორმხრივ (სახელმწიფოსა და ეკლესიის) მფლობელობაში. აგრეთვე მოხდება ჩამორთმეული მატერიალური ქონების ნაწილობრივი კომპენსაცია; შეთანხმებით განისაზღვრა ეკლესიის სტატუსიც.

ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რაც განპირობებულია ქვეყნის შიდა პოლიტიკური მოწყობითა და, ასევე, საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით. პატრიარქის გამოსვლაში გაიჟღერა ხელშეკრულების სამართლებრივი მხარის შეფასებამაც.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად შერჩეულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმება, აღნიშნა პატრიარქმა, რომელიც კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი რანგის სამართლებრივი აქტი იქნება. ამით სახელმწიფო აღიარებს, რომ ეკლესია ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიულად არსებული განსაკუთრებული ფუნქციისა და მნიშვნელობის მქონე სამართალსუბიექტია.

კონსტიტუციური შეთანხმება არის დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი და მოვლენა, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის მხოლოდ ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი ხელშეკრულება, რომლის განხორციელება უნდა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სამართლებრივი აქტების მიღებით.

იწყება ახალი ეტაპი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობისა და ის ყოველდღიურ დიდ შრომას მოითხოვს. დღეს ჩვენ ყველამ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ავიღეთ ღვთის, ერთმანეთისა და საზოგადოების წინაშე და ეს ბევრს გვავალებს.

თავის გამოსვლაში პატრიარქი არ მორიდებია აღენიშნა საქართველოს ეკლესიაში არსებული პრობლემები. აღნიშნა, რომ პრობლემები ეკლესიის წიაღშიც მრავლადაა, იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით შევძლებთ, სათანადო პასუხი გავცეთ სექტანტთა პროზელიტიზმს და ამასთან ხელი შევუწყოთ ქვეყნის მოსახლეობის მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით დაცვას; ბევრი რამაა გასაკეთებელი თვით მოძღვართა დონის ასამაღლებლად, – თქვა პატრიარქმა.

გამოსვლაში ასევე ხაზი გაესვა ეკლესიის მზადყოფნას, ითანამშრომლოს ნებისმიერ ორგანიზაციასთან და პოლიტიკურ ძალასთან, რომლის საქმიანობაც ჩვენი ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდაა მიმართული. ეკლესია იყო, არის და კვლავ უნდა დარჩეს ერის გამაერთიანებელ სულიერ ძალად და ამისათვის ყველამ ერთად უნდა ვიღვაწოთ. ილია II-ს არ დავიწყებია იმ სუბიექტების დასახელება, რომლებიც მონაწილეობდნენ ხელშეკრულების მომზადებაში. ამით დოკუმენტის ხარისხობრივი და სამართლებრივი დონეც გაიზარდა. მის შექმნაში პოლიტიკური პარტიების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო ჩართულობის გზით, რაც ერის გაერთიანების სურვილის მინიშნებაც იყო. მის გამოსვლაში შეიმჩნევა სინანული ერში და პოლიტიკურ სპექტრში პოლარიზაციის ტენდენციების გამო. მიუხედავად ამისა ამ დოკუმენტის შექმნაში თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა და თავისი სერიოზული წვლილი შეიტანა უწმინდესმა. მადლობა გადაუხადა ყველა სამინისტროს, არასამთავრობო და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებს.

ცალკე აღნიშნა პარლამენტისა და მისი თითოეული ფრაქციის, აგრეთვე, წმიდა სინოდის, საპატრიარქოსი და ჩვენი ქართული ეკლესიის სამღვდელოების წარმომადგენლების დიდი დამსახურება.

უწმინდესმა თავისი გამოსვლის ბოლოს მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს და ხატოვნად აღნიშნა: ბუნებრივია, არაერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისთვის გაქვთ ხელი მოწერილი, მაგრამ, ვფიქრობ, ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ეს შეთანხმება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია.[176]

ალბათ ყველა დამეთანხმება იმ შეფასებაში, რომ საქართველოს პატრიარქის სიტყვა მნიშვნელოვანია მრავალი თვალსაზრისით, მათ შორის სამართლებრივადაც.

§3. რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური არსი

ცალკე განხილვის თემაა რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა შორის თავისი განსაკუთრებულობით გამოირჩევა. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. მეორე პუნქტით ამ უფლებათა შეზღუდვის დასაშვებაობა მხოლოდ კანონის შესაბამისადაა გათვალისწინებული, რაც ემსახურება დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის ან სხვა უფლებების დაცვას.

მესამე პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო. აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. რწმენის ანუ რელიგიის თავისუფლება გაგებულია სხვადასხვა კუთხით.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეთანხმების გაფორმებამ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს იყო სხვა რელიგიებისა და რწმენის ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა, რაც არ იყო სწორი, თუმცა უნდა აღინიშნოს,

[176] საპატრიარქოს უწყებანი №42, 18-24 ოქტომბერი, გვ. 4, 5, 6, 7.

რომ ბოლო პერიოდში მსგავსი შეფასებები აღარ გამოთქმულა, არადა, რომელ ქვეყანაში აძლევენ უპირატესობას სხვა რელიგიას?

მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია რწმენის თავისუფლება. აქ მოიაზრება არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის, არამედ ზოგადად ადამიანის რელიგიური თავისუფლება.

ჩვენი ქვეყანა ისტორიულად იყო გამორჩეული ტოლერანტობით, მაშინ, როდესაც ამ ცნების მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ იცოდა დანარჩენმა მსოფლიომ. მოყოლებული დავით აღმაშენებლიდან, ასეთი მიდგომა დამცავი უფლება იყო არა მხოლოდ ადამიანისათვის, არამედ აგრეთვე რელიგიური და სხვა მსოფლმხედველობრივი გაერთიანებისათვის.[177] ასეა დღესაც.

იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, სადაც ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოს ვერ იხეირებსო და დაირღვევაო, რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეს აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია - ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე და იქვე დასძენდა: ქართველი არ არის დამწყვდეული თავის გვარტომობის ვიწრო წრეში, არამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულგაშლით ეკიდება სხვა გვარტომსა.[178]

საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სხვათა უფლებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რელიგიის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე, თუ მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომლის თვითმხილველი გახლდით. რამდენიმე წლის წინ ზემო რაჭაში კონკრეტულად კურორტ შოვის დასაწყისში გაჩერდა ავტომანქანა, საიდანაც გადმოვიდა რამდენიმე განსხვავებული ჩაცმულობით სხვა რელიგიის მსახურნი და პირდაპირ მანქანის სავალ ნაწილზე დაიწყეს ლოცვის რიტუალის შესრულება, თავისთავად მოძრაობა შეფერხდა, მაგრამ ტრანსპორტი ცოტა იყო და რამდენიმე ავტომანქანის მძღოლი ამ პროცესს გაგებით მოეკიდა. მაგრამ ეს რომ მომხდარიყო ავტომაგისტრალზე, სადაც სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა დიდია, ეს აუცილებლად გამოიწვევდა მძღოლთა და მათი

---

[177] კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბ. 2010, გვ. 138.
[178] ი. ჭავჭავაძე, ტ. III, გვ. 181.

მგზავრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდებას, ასეთ პირობებში მლოცველის რელიგიური თავისუფლება შესაძლებელია შეზღუდულიყო. ამ და მსგავს პრობლემებს საფუძვლიანად განიხილავს ადამიანის უფლებათა სამართალი, სადაც კარგად ჩანს სახელმწიფოს ვალდებულება ზედმიწევნით დაიცვას ადამიანის კონსტიტუციური უფლებები.[179]

რაკი რელიგიის საკითხს შევეხეთ და მე-16 მუხლს, სადაც გაერთიანებულია სინდისი, აღმსარებლობა და რწმენის თავისუფლება, ეს შემთხვევითი არაა, რადგანაც მათი ერთიანობა ერთ სფეროს წარმოადგენს. სინდისის თავისუფლება არ არის ადამიანის აბსოლუტურად შეუზღუდავი ძირითადი უფლება როგორც რელიგიის, თავისუფლების მსგავსად. იგი შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.

მაინც რა არის სინდისის თავისუფლება? როგორია სახელმწიფოს მხრიდან მისი დაცულობის არეალი და ა.შ.

სინდისის თავისუფლება არის ინდივიდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ე.წ. „სინდისის გადაწყვეტილება"), რომელიც ეხება „კარგსა" და „ცუდს", კონკრეტული ინდივიდის მიერ მიღებული ინტუიციურად კონკრეტულ სიტუაციაში შინაგანად მისთვის საჭირო და აუცილებელი გადაწყვეტილება, რომელსაც ორი მხარე გააჩნია „შინაგანი" და „გარეგანი". ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ პირს გააჩნია.

იყო პერიოდები, როდესაც საზოგადოებაში მუსირებდა აზრი ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის მიმართ „სინდისის პატიმარი"-ს სტატუსზე. თუმცა ყოველ შეზღუდვას უნდა ჰქონდეს საფუძველი კანონის ნორმის სახით და არა საზოგადოებრივი აზრი.

სინდისის თავისუფლებიდან გამომდინარეობს სამხედრო სავალდებულო სამსახურზე უარის თქმის უფლება. თუმცა საქართველოს 1997 წლის 28 ოქტომბრის კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" ადგენს, რომ ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაიწვევა ის მოქალაქე, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოიხადოს სამხედრო ვალდებულება, მაგრამ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე (მ.

[179] გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005, გვ. 44.

4). კანონი განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შინაარსსა და მნიშვნელობას, ადგენს ამ სამსახურის სახეებს, მისი გავლის ადგილებს, ვადებსა და წესს, აგრეთვე სამსახურში მყოფ მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს. მოქალაქე, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა უფლებით (მ. 14). ამ სამსახურის გავლის შემდეგ მოქალაქე ირიცხება რეზერვში 50 წლის ასაკამდე და იგი შეიძლება გაიწვიონ სტიქიური უბედურებებისა და ავარიების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებზე, ასევე მობილიზაციის ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო (მ. 18).[180]

პოლიტიკურმა პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლება" გამოიყენა სინდისის თავისუფლების საერთაშორისო და კონსტიტუციური უფლების გარანტიები, სახელმწიფოს პრაქტიკა, სამხედრო სავალდებულო სამსახურზე უარის თქმის უფლების ალტერნატიული გადაწყვეტა „არასამხედრო, შრომითი სამსახურის" შემოღების შესახებ, კონსტიტუციური შეთანხმება და შექმნა ე.წ. „საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური პროტესტანტული ეკლესია – ბიბლიური თავისუფლება", რითაც ისარგებლა ბევრმა ახალგაზრდამ და უარი თქვა სამხედრო სამსახურზე, ხელისუფლებამ და, სხვათაშორის ვერც ეკლესიამ, ამ პრაქტიკის დანერგვას ხელი ვერ შეუშალა.

თუ რამდენად გამართლებულია ასეთი ალტერნატივის არებობა, ჩვენი აზრით, ეს მსჯელობის სხვა თემაა და პრობლემაზე საუბარს აქ ვწყვეტთ.

და ბოლოს, საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია, ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესიისადმი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მხოლოდ კეთილი ნების გამოხატვა როდია, იგი კონსტიტუციური მოთხოვნაა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულებაა სხვა რელიგიებთან ერთად.

[180] კ. კუბლაშვილი, დას. ნაშ. გვ. 145.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი „სახელმწიფო სამართალი“ სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის“ შემადგენელი ნაწილია, თუმცა მისი ცალკე დისციპლინად გამოყოფა შესაძლებელია, რათა გაცილებით ეფექტური იყოს სახელმწიფოს, მისი წარმოშობის განვითარების ეტაპების, ფორმებისა და სახეების სამართლებრივ ჭრილში უკეთ გაცნობიერება.

სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ფენომენის საფუძვლიანად შესწავლა, ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებმა (და არამარტო) დაიწყეს და ამომწურავი პასუხები მასთან დაკავშირებით დღემდე არ არსებობს, ამის მიზეზია საზოგადოების განვითარების უწყვეტობა, სახელმწიფოც ცოცხალი ორგანიზმია და მისი ფორმალური სტრუქტურის ცვალებადობა დაკავშირებულია ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალის ნებაზე და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე, თუმცა არსებობს საკაცობრიო მიდგომები, რომლის იქეთ არავის არ შეუძლია ზღვრის გადალახვა.

ერთი რამ აუცილებლად იმსახურებს ხაზგასმას: გლობალიზაციამ, მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმა, უმსხვილესი კორპორაციული ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ, მრავალ მხრივ შეცვალა სახელმწიფოს ადგილი პოლიტიკურ სივრცეში, ანუ ამით იმის თქმა გვსურს, რომ გარკვეულწილად იზღუდება მისი სუვერენიტეტის არეალი, ეს არ ეხება მარტო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სხვა სფეროებს, ეს ეხება სამართალსაც.

მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ სისტემაში სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის უპირველეს სუბიექტს, ვერაფერი ცვლის, ამიტომ სახელმწიფოთმცოდნეობა, მისი სამართლებრივი სივრცე ყოველთვის იქნება კვლევისა და ინტერესის სფერო.

Conclusion

The given work "State Law" is a part of " the general theory of the state and law", though it is possible to separate it as a special discipline, to make it more effective and easier to understand the state, its development, its structural forms and kinds of through the legislative standpoint.

The thorough study of the state as an independent political phenomenon was started by the antic philosophers (and not only) and there are not complete answers even today. The reason is the process of development of the society, the state is a vital structure and its changes are deeply connected with the political officials' free will and desire and the processes in the society general as well. Though, we come across the mankind approaches that nobody is allowed to cross its borders.

The following one thing must be mentioned: the globalization, the integral processes in the world, the establishment of the biggest corporate organizations have changed the state's role and place from many points in the political space. This means the following thing: the borders of its sovereignty have been restricted, this is not only connected to the political and economical fields, but also this is said about the law as well.

Despite the mentioned one, in the political system the state as a first subject of the international law cannot be changed. That's why the subject of studying the state's order and its legislative space will always be the field of the research and interests.

Резюме

Представленный труд „Государственное право“ является составной частью общей теории государства и права,хотя выделение ее отдельной дисциплиной может быть более эфективной в разрезе правового изучения государства, его этапов развития, форм и видов.

Основательное изучение государства, как политического феномена, начали философы (и не только они) еще в античную эпоху, но до сегодняшнего дня нет исчерпывающего ответа на него и причиной этого является непрерывность развития общества, а государство это живой организм и его формальные стрктурные изменения связаны с волей, находящихся у власти политических сил и процессов происходящих в обществе, хотя существуют общечеловеческие подходы, границы которых никому нельзя переступить.

Однако надо подчеркнуть, что глобализация, происходящие в мире процессы интеграции, возникновение крупнейших корпоративных организаций многогранно изменили место государства в политическом пространстве, этим мы хотим сказать, что это определенным образом ограничивает его суверенитет и это касается не только политических, экономических и других сфер, но и права.

Несмотря на это в политической системе государства, как основного субъекта международного права, ничего не изменится, поэтому изучение государства, его правового пространства всегда будут сферой интересов и исследований.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, თბ. 2021.
2. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლები თბ., 2000 წ.
3. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბ., 1998 წ.
4. ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2003 წ.
5. ა. მუჯირი, თანამედროვე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო, თბ., 2000 წ
6. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1998 წ.
7. ბ. სავანელი, ადამიანის უფლებები, თბ., 2001 წ.
8. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ. 2002. გვ. 290.
9. ჟურნალი «Народы Азии и Африки». 1990 г. N2-5. 7.
10. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. თბ., 1953 წ.
11. ა.ი. პერშიცი. პირველყოფილი საზოგადოების ისტორია თბ., 1986 წ.
12. არისტოტელე, პოლიტიკა, IV ნაწ. 1996 წ
13. ბ. ლუტიძე, სოციოლოგია, თბ. 2002 წ.
14. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 1996 წ.
15. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V.
16. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. III, ტ. VIII.
17. ივ. სურგულაძე, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, „მოამბე", თბ. 1981 წ.
18. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, ო. გამყრელიძის წინასიტყვაობით, თბ., 2002 წ.
19. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თეზისები, თ.ს.უ. 1927 წ.
20. ილია ჭავჭავაძე, თხზულებები, ტ. VIII
21. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თბ,. 1997 წ. 31 ოქტომბერი, №1022-ს.
22. საქართველოს კონსტიტუცია თბ., 1995 წ.
23. ვ. აბაშმაძე „ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან", თბ., 1997 წ.
24. ვ. აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები, თბ., 1962 წ.
25. ვ. ლორია, თ. ურუშაძე, ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996 წ.
26. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ., 1977 წ.
27. ვ. ჭანუყვაძე, ვ. ჭანია, პოლიტოლოგია თბ., 1996 წ.
28. ე. ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები. თბ., 2004.
29. ე. კოდუა, სოციოლოგიის ისტორია, წ. I-II, თბ. 1996.
30. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ. 1953.
31. ა. ტუკვაძე, პოლიტიკური ელიტა, თბ. 1998 წ.

32. გ. აბესაძე, პოლიტიკური სოციალიზაცია, თბ. 1996 წ.
33. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ. 2000 წ.
34. გ. ლობჟანიძე, ადამიანის საყოველთაო უფლებათა გარანტიები, 2003 წ.
35. გ. ლობჟანიძე, სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, თბ., 2002 წ.
36. გ. მიქანაძე, ევროპის ომბუდსმენები, თბ., 1999 წ.
37. გ. ნადარეიშვილი, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2002 წ.
38. გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები
39. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ., 2003 წ.
40. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია (2018 წ. მდგომარეობით);
41. ე. ბატიაშვილი, საუბრები ილია მართალზე, თბ. 2012;
42. საპატრიარქოს უწყებანი №42, 18-24 ოქტომბერი;
43. გ. ლობჟანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ. 2005.
44. ლ. აბაშიძე, რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში, თბ. 2003;
45. ვ. სონღულაშვილი, სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი ურთიერთობა XI-XII საუკუნეების საქართველოში, თბ. 2016;
46. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003;
47. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998 წ.
48. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები,თბ., 2003 წ.
49. კ. კორკელია, ი. ქურდაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბ., 2004 წ.
50. პირველყოფილი საზოგადოების ისტორია, თბ. 1986 წ.
51. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2004 წ.
52. პოლიტოლოგია პროფ. ო. გოგიაშვილის რედაქტორობით, თბ. 2004 წ.
53. პლატონი, თხზ. ტ. 3. გ. 1972 წ. (რუსულ ენაზე)
54. რეხვიაშვილი, ჯ. ჯალიაშვილი, ვ. ხოპოლავა პოლიტოლოგია, თბ., 1991 წ.
55. რესპუბლიკა საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, თბ., 1996 წ. შემდგენელი და რედაქტორი ო. მელქაძე.
56. ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2019
57. ი. ბაჩიაშვილი. იურიდიული განათლება და სამართალმცოდნეობა. თბ. 2007.
58. ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, თბ. 2002 წ
59. ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ., 1996 წ.
60. ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. თბ. 1995.
61. ო. მელქაძე და მისი გუნდი. მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი, – ნაწ. I, თბ., 2001 წ.
62. ლ. გეგეშიძე, ს. ყურაშვილი, პოლიტოლოგია თბ., 1991 წ.
63. ლუის ჰენრი მორგანი, ძველი საზოგადოება პეტერბურგი, 1900 წ.
64. ქობალია, პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება, თბ., 1993 წ.

65. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, თბ. 1932 წ.
66. ნ. ჰითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1987 წ.
67. მ. ბეჟანიშვილი, საუბარი ადამიანის უფლებებზე, თბ., 1997 წ.
68. ო. გოგიაშვილი, ე. ბატიაშვილი. ქართული სახელმწიფოს იდეოლოგები. თბ. 2002 წ
69. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998 წ.
70. ქართული ენციკლოპედია, ტ.10. თბ., 1986 წ.
71. რ. შენგელია. საფინანსო სამართალი. თბ., 2009 წ.
72. საქართველოს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი №1324 – ვებგვერდი, 19.10.2017 წ; საქართველოს 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონი №2071 – ვებგვერდი, 02.04.2018 წ.
73. ე. შევარდნაძე, „დიდი აბრეშუმის გზა“ თბ. 1999 წ.
74. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1994 წ. №194, 1 ნოემბერი
75. ტ. კულმანი, ჰ. ვოლმანი. შესავალი შედარებით საჯარო მმართველობაში. თბ., 2019.
76. გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000 წ.
77. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004 წ.
78. გ. ლობჟანიძე, ასი წლის წინ და ასი წლის შემდეგ, ქუთ. 1997 წ.
79. გ. ლობჟანიძე, რომის სახელმწიფო და სამართალი, წ. I-II, 2009 წ.
80. გ. ლობჟანიძე, ნარკვევები არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობრივ-სამართლებრივი ნააზრევიდან, ქუთ., 1992 წ.
81. გ. ლობჟანიძე, ჯ. გახოკიძე, დ. ივანიშვილი, დ. ლობჟანიძე. საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობა. თბ. 2019
82. გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ძველ საქართველოში, გამ. „მეცნიერება“, 1979.
83. გ. მკურნალიძე, პოლიტოლოგია, თბ. 1995 წ.
84. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოს წარმოშობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ჟურნ. მაცნე, №4, 1988 წ.
85. გ. ნადარეიშვილი, სამართლის მსოფლიო ისტორია, ქართული სამართლის ისტორია (ლექციების მოკლე კურსი), თბილისი, 1994
86. გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ. 1992
87. გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, თბ. 1929
88. ვ. მეტრეველი, რომის სამართალი (საფუძვლები), თბ, 1995.
89. ვ. ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები. თბ, 1999 წ.
90. მართლმსაჯულების მაცნე №4, თბ., 1998 წ.
91. მაქს ვებერი, „პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა,“ თბ., 1994 წ.
92. ნ. ბერდიაევი, სახელმწიფო, ლენინგ. 1990 წ. გვ. 282.
93. ნ. ლეკსინი, ა. შვეცოვი, „სახელმწიფო და რეგიონები“ (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1997 წ.

94. ნ. ჯითანავა, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, თბ., 1997 წ.
95. შენიშვნები ადამიანის უფლებათა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის შესახებ, თბ., 1998 წ.
96. ჯ. ხეცურიანი. სამოქალაქო სამართლის ფუნქციები. თბ. 1995.
97. ჯ. ხეცურიანი. საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს უფლებამოსილებანი. 2019.
98. ჰანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ., 1995 წ.
99. ჰ. ჰ. გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, თბ., 1999 წ.
100. Алексеев С.С. Жур. Государство и право, М. 1993 г.
101. В. Глушенко Теория государства и права М. 2000 г.
102. В. Колосов, Н. Мироненко. Геополитика и политическая география. М. 2002 г
103. В. Чиркин. Государствоведение. М. 1997.
104. Гегель. Философия истории. Соч. Т.8, 1835
105. Дюги Д. Конституционное право М. 1908 г.
106. Европейская партия местного самоуправления. Сб. документов и материалов. Кр. 1996 г.
107. Елинек Г. Общее учение о государстве СПбМ. 1908 г.
108. Иво-Пухан, Мирьяна Поленак-Акимовская. Римское право под. ред. В. Томсинова М. 1999 г.
109. Ильин И. А. О государственной форме (Жур. Сов. Государство и право 1991 г
110. Коркунов Н. М. Русское государственное право спб 1904
111. Кокошкин Ф.Ф. Русское государственное право. М., 1908
112. Монтескье Ш. Избранные произведения. М. 1955
113. «Международное Право», 3/98/31. Мос. 1998 г.
114. Матузов Н., Правовая система и личность, Саратов. 1987 г.
115. Н. Матузов и А. Малько, Теория государства и права М. 2002г.
116. Н.И. Матузов, А.В. Малько, Теория государства и права. С-П. 2002 г.
117. Обшая теория права и государства под. ред. В. Лазарева М. 1999 г. стр. 326.
118. Общая теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1996г.
119. Общая Теория права и государства под ред. В. Лазарева. М. 1998 г.,
120. Теория Государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова М. 1998 г.
121. Теория государства и права (курс лекции) под ред. М.Н. Марченко. М. 1999 г.
122. Теория государства и права под ред. В. Корельского и В. Перевалова. М. 2000 г. стр. 100-102.
123. Удовин С. Глобализация. Семиотические подходи. М. 2002.
124. Хропанюк В. Н. Теория государства и права М. 1999 г.
125. Цицерон. Диалоги М. 1966 г

126. Чарльз Ф. Эндрейн. Сравнительный анализ политических систем. М. 2000 г.
127. Шершеневич Г. Ф. Общее учение о праве и государстве М, 1991 г.
128. Хропанюк В. Теория государства и права М. 1999 г.
129. Ясперс К., Смысл и назначение истории М. 1991.
130. Degenhart Ch., Staatsrecht I: Staatsorganisationsrechr, 18., neu bearb. Aufl., Heidelberg 2002;
131. Kaufmann/Hassemer. Einfuhrung in die Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart, 5 Aufl. 1989
132. Parsons T. Politics and Structure N.Y. London, 1969
133. Pieroth B., Schilnk B., Grundrechte: Staarsrecht II, 18., neubearb. Aufl/. Heidelberf 2002.
134. Muthorst O. Grundlagen der Rechtswissenshafl. (Methode-Begriff-System). München. 2011
135. Kuhlmann S. Wollmann H. Introduction to Comparative Public Administration. Northmpton, MA. USA, 2019
136. Andrew Heywood. Political Ideologies, An Introduction, Third Edition, Palgrave Macmillan. 2003
137. GRUNDGESETZ für die Bundesrepublik Deutschland, Stand: Juni, 1993.
138. Thomas Buerganta. Dinan Shelton. Protecting Human Rights in the Americas, Strasburg, 1995.
139. Yuval Noah Harari. Sapiens: A Brief History of Humankind. Copyright©2011.

სარჩევი

შესავალი 3

თავი პირველი. სახელმწიფო სამართლის თეორიის ზოგადი ნაწილი 5

§1. სახელმწიფო სამართლის თეორიის არსი და საგანი 5

§2. სახელმწიფო სამართლის მეთოდები 7

§3. ზოგადმეცნიერული კვლევის მეთოდები, არსი და ცნება 10

§4. კერძო მეცნიერული და სპეციალური კვლევითი მეთოდები 13

§5. სახელმწიფო სამართლის წყაროები 15

თავი მეორე. სახელმწიფო სამართლის თეორიის ზოგადი ნაწილი 16

§1. სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორიის სისტემა და მისი ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის 16

§2. სახელმწიფო სამართლის ზოგადი თეორია იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში 22

§3. კონსტიტუციური სამართლისა და სახელმწიფო სამართლის თანაფარდობა 24

თავი მესამე. საზოგადოება, მისი არსი, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები 33

§1. საზოგადოება და მისი არსი 33

§2. სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები 38

თავი მეოთხე. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა 41

§1. პირველყოფილი საზოგადოება 41

§2. სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის მიზეზები და პირობები 44

თავი მეხუთე. სახელმწიფოს წარმოშობის თეორიული არგუმენტაცია 53

§1. ძირითადი თეორიები სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ 53

§2. საზოგადოება, სახელმწიფო და სამართალი 62

თავი მეექვსე. სახელმწიფოს არსისა და განვითარების კანონზომიერებათა გაგების პრობლემები 70

§1. სახელმწიფო როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა 70

§2. სახელმწიფოს არსის თანამედროვე გაგება 72
§3. სახელმწიფოს ნიშნები და მისი მეცნიერული საფუძვლები 77
§4. გლობალიზაცია და სახელმწიფო 87
§5. სახელმწიფოსა და სამართლის თანაფარდობა 89
თავი მეშვიდე. სახელმწიფო ხელისუფლება 92
§1 სახელმწიფო ხელისუფლების ცნება და თვისებები 92
§2. სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების სამართლებრივი ფორმები და მეთოდები 96
§3. სახელმწიფო ხელისუფლების ზნეობრივ-იდეოლოგიური საფუძვლები 99
§4. სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობა 103
თავი მერვე. სახელმწიფოს ფუნქციები 106
§1. სახელმწიფოს ფუნქციების ცნება, კლასიფიკაცია და ევოლუცია 106
§2. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელების ფორმები და მეთოდები 115
თავი მეცხრე. სახელმწიფო მექანიზმი 118
§1. სახელმწიფო მექანიზმის ცნება და სტრუქტურა 118
§2. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ცნება და ნიშნები 120
§3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმები 122
თავი მეათე. სახელმწიფოს ისტორიული ტიპები 130
§1. სახელმწიფოთა ისტორიულ ტიპებად დაყოფის თანამედროვე მიდგომა 130
§2. აღმოსავლური სახელმწიფო და სამართალი 136
§3. დასავლური სახელმწიფო და სამართალი 141
თავი მეთერთმეტე. სახელმწიფოს ფორმები 144
§1 სახელმწიფოს ფორმის ცნება და მნიშვნელობა 144
§2. მართვა-გამგეობის ფორმა 146
§3. სახელმწიფო წყობილების ფორმა 150
§4. პოლიტიკური რეჟიმის ცნება 154
თავი მეთორმეტე. სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში 159
§1. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ზოგადი დახასიათება 159
§2. სახელმწიფოსა და სამართლის ადგილი და დანიშნულება პოლიტიკურ სისტემაში 164

§ . ეკონომიკა, კულტურა, სახელმწიფო და სამართალი 175
თავი მეცამეტე. სამართლებრივი სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება 184
§ . სამართლებრივი სახელმწიფოს მოძღვრების თეორიული ფესვები 184
§ . სამართლებრივი სახელმწიფო და მისი დამახასიათებელი ნიშნები 189
§ . სამოქალაქო საზოგადოების ცნება 199
თავი მეთოთხმეტე. სახელმწიფო ადამიანის უფლებები და მოვალეობები 207
§1. ადამიანის უფლება-მოვალეობათა ცნება 207
§2. ადამიანის უფლებათა კონცეფციის ევოლუცია 214
§3. ადამიანის ძირითადი უთლებებისა და თავისუფლებების უნივერსალური და ეროვნული სტანდარტები 217

თავი მეთხუთმეტე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურმართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების იდეურ-სამართლებრივი ჭრილი 234
§1. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების შინაარსობრივი მხარე 234
§2. კონსტიტუციური შეთანხმების (კონკორდატის) იდეურ-სამართლებრივი ბუნება 237
§3. რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლების კონსტიტუციური არსი 241

დასკვნა 245
გამოყენებული ლიტერატურა 248

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სტამბა
თბილისი – 2022
რუსთაველის გამზ. 52

Georgian National Academy Press
Tbilisi – 2022
52, Rustaveli Ave.